კვირის პალიტრა

ფეხი

N13(146) 27/III.-2/IV.2003. ფასი 60 თ.

1168
2003

სიყვარულის სამკუთხედი

89

სტუმრად საკუთარი ცოლის ნიშნობაზე და ...

... სასტიკი ანგარიშსწორება

63

ზალიკო ბერგერი „ძალიან შავმა“ მოდელმა მოხიბლა

რითი აფრთხობდა პახუშტი კოტეტიშვილი ახალგაზრდა მეუღლეს

ახალი ქართული მაფრსიუჟეტიანი რომანი



მთამსვლელთა მკურნალი

ზურა ასტახიშვილი:

„ფილტვების შეშუპების შემთხვევის მოხმე შერაეებში უფრო ხშირად ვყოფილვარ. ვიდრე სხვებში... უჭანგბადოდ ადიან ზიიი მეტრის სიმაღლეზე... სიმაღლის ამტანობა მათ გენეტიკურად მოსდგამთ...“

გვ. 26

№13 (146)
27 მარტი - 2 აპრილი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ცხვირი ჰგავს? – ჰგავს“ ანუ ორეულების პერსპექტივა ქართულ პოლიტიკაში 3
ერთი კითხვა 4
ექსპერტი
როგორი იქნება ომის შემდგომი ერაყი 6
თემა
სასიყვარულო სამკუთხედი 7
ბიზნესმენი
ალბერტო სოლისი – მონოპოლისტი, მრავალშვილიანი მამა და ქართულ ღვინოზე შეყვარებული კაცი 10
კრიმინალი
● განსასჯელს მეგობრის დედის მკვლელობისთვის ასამართლებენ 12
● ყაჩაღებმა მოხუცს წამებით ამოხადეს სული 14
ნამდვილი ამბავი
ჩერნიშევსკი ბაკურაძეებისას... 16
საზოგადოება
ფული ხომ ხელის ჭუჭყია ანუ სად არის „ის“ ფული?!. 17
ქალი საჭესთან
ცხოვრებაში დაბნეული მზეო კოტეტიშვილი საჭესთან მაქსიმალურად მობილიზებულია 20
გემოვნება
გამომწვევი გარეგნობის ქალების მოყვარული მოდელიერი ახლობლებს ნებისყოფით აკვირვებს 22
ტესტი
ერთგული მკითხველი 24
სიმაღლე
მთამსვლელთა მკურნალი ზურა ასტახიშვილი 26
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 28
თეთრი ლაქები
ჩიმკენტში გადასახლებულ ქართველებს ზერმანელმა ტყვეებმა უმასპინძლეს 29
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 30

ალბერტო სოლისი – ქართულ ღვინოზე შეყვარებული კაცი

საბითუმო ბაზრის გენერალურ დირექტორს ალბერტო სოლისს არ მოსწონს, ამოღებულ თანხებს მაღალჩინოსნები ჯიბეში რომ იდებენ. და ამ წყენის გაქარვებას ქართველი ლამაზმანების ცქერით ცდილობს, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, არც ამ საქმეში უმართლებს ბოლომდე...

10

გამომწვევი გარეგნობის ქალების მოყვარული მოდელიერი ახლობლებს ნებისყოფით აკვირვებს

მიყვარს ხორბლისფერკანიანი ხალხი, ძალიან „თეთრგვრემანი“ ქალები რაგომღაც არ მომწონს... შეიძლება, თვალში მეცეს ქალის ლამაზი ფეხები, ან მკერდი. საერთოდ, გამომწვევი ტიპის ქალები უფრო მიზიდავს...

22

განსასჯელს მეგობრის დედის მკვლელობისთვის ასამართლებენ

თამაზ ემანულიძე მას შინ არ დახვდა. ხათაშვილი იძულებული გახდა, სოფელში დარჩენილიყო და ღამე ემანულიძის დედასთან, გვერდით სახლში მცხოვრებ ცისანა ემანულიძესთან გაეთია. ცისანა ემანულიძე მარტო იყო, მაგრამ შვილის მეგობარი შინ მან უსიტყვოდ მიიღო.

12

ცხოვრებაში დაბნეული მზეო კოტეტიშვილი საჭესთან მაქსიმალურად მობილიზებულია

მანქანის საბუთები და გასაღები ვერ ვიპოვე. აღარ მახსოვდა, სად დავდე. თურმე მექანიკურად, მაცივარში შემიდვია. ცოტა ხნის შემდეგ, ვახუშტის და იზა ორჯონიკიძის სურათებიც იქ შევინახე და შემთხვევით, დედაჩემმა იპოვა მერე, გაყინული...

20

საოჯახო ფსიქოლოგია

შეგიძლიათ თუ არა სწორად ჩხუბი? 32

ტაძარი

რა მადლს ვიღებთ ნაკურთხი გეთის ცხებისას? 34

საუნჯე

„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ...“ 35

ფავორიტები

დიდი სპორტი და ტატუირება 38

სპორტული მოზაიკა 39

საფეხბურთო მინდვრებზე 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (დასაწყისი) 42

ვარსკვლავი

ჰოლივუდის ყველაზე კოლორიტული ვარსკვლავი 46

დიქტატორი

სადამ ჰუსეინს უძილობა არ აწუხებს... ანუ ბაღდადელი ქურდი 48

ავტო 50

აქეთური-იქითური 52,54

ჯანმრთელობა

- სტრესი სამსახურში – გულის შეტევა შინ... 56
- ეგზემა 57
- საჭირო მინერალი 58
- ჯანმრთელი ფეხები 59
- ცრემლის მაცოცხლებელი ძალა 59

ეტიკეტი

როგორ შევარჩიოთ საჩუქარი 60

სანავორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (31 მარტი – 6 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორი მეგობარი ხართ? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ჩიმკენტში გადასახლებულ ქართველებს გერმანელმა ტყვეებმა შეასინქლეს

მენაღარიშვილებსაც მიწური ოთახები გამოუყვეს საცხოვრებლად, სადაც მანამდე, ვირების სადგომი ყოფილა. ცოტა შეაკეთეს, გაასუფთავეს ბინა და სწორედ იქ შეეძინათ ვაჟი – ირაკლი, რომელიც დღეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია.

29

სტუმრად საკუთარი ოლის ნიშნებზე და... სასტიკი ანგარიშსწორება



ხშირად ორი ადამიანის ურთიერთობაში ჩნდება მესამე... ზოგი ამას მხოლოდ საკუთარ თავს უმჟღავნებს და განცდებში იძირება, ზოგი მზად არის, ნებისმიერი, თუნდაც უღირსი გზით მოიპოვოს სასურველი ადამიანის სიყვარული, ზოგი კი, მხოლოდ უსიამოვნო გაუგებრობის მსხვერპლი ხდება...

7

ჰოლივუდის ყველაზე კოლორიტული ვარსკვლავი

ჰოლივუდის წარმატებული და საკმაოდ მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავის შესაძლებლობებისა ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რადგან ვერავის წარმოედგინა, რომ იგი შეძლებდა ასე ღრმად ჩასწვდომოდა გენიალური მხატვარი ქალის სულის ტრაგედიას.

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– მოიცა, კაკო, ბეჭი ნუ ამოიგდე! – გაისმა უცბად კაკოს გვერდით მჯდარი მამაკაცის ხმა. ეს ხმა დეას ძალიან ეცნო, ამიტომ მამაკაცს მაშინვე გულმოდგინედ დაამტერდა და კინაღამ მუხლებიც მოეკვეთა: მის წინ იმ დილით ციხეში ნანახი, კანონიერი ქურდი გიგოლა იჯდა...

42



„ცხვირი ჰგავს? – ჰგავს!" ანუ ორეულების ჰერსპექტივა ქართულ ჰოლიტიკაში

ამერიკა-ერაყის სარაკეტო „ფლირტაობის" თემა დღეს იმდენად „ხადავოია", რომ ტელევიზორი და რადიო კი არა, უთო და მაცივარი რომ ჩართო, ისინიც ამ ომზე ქაქანებენ და მეც თუ იგივე ვილაპარაკე, რაღა პროვოკატორი ვარ?! ამიტომ, ამერიკული ბომბდამშენების ერაყში ვოიაჟის ერთ დეტალს შეგახსენებთ, რომელმაც საშუალება მომცა, მორიგი კეთილი რჩევა მიმეცა ჩვენი მთავრობისათვის.

ამერიკას ჩვენ ისეთ პატივს ვცემთ, რომ ერაყის კი არა, საქართველოს დაბომბვაც რომ მოინდომოს, იმაშიც დავეხმარებით. ამიტომ ფეხზე დავაყენეთ ჩვენი ჯარი, კბილებამდე შევაიარაღეთ თითო ავტომატით, ორ-ორი მჭიდით, მჭადით და ყველით და ოკეანისგაღმელ „უფროს ძმას" დახმარების მზადყოფნა გამოვუცხადეთ.

– საქართველოც თუ დამეხმარება, რაღა მიჭირს! – შესძახა ბუშმა და დასცხო, მაგრამ რა დასცხო ბაღდადს. ქვეყნიერებასაც მოსდო – ზუსტად ის ბუნკერი დავბომბეთ, სადაც ჰუსეინი იმალებოდა. რომ მოვარტყით ვიცი, მაგრამ კოჭი მოვტეხეთ თუ ლავიწის ძვალი, ზუსტად არ ვიცი... იმავე საღამოს გამოჩნდა ცოცხალი ჰუსეინი ტელევიზორში და რატომღაც არც ლავიწის მოტეხილობას იმჩნევდა და არც კოჭის ამოვარდნილობას. ამერიკელმა სამხედრო ექსპერტებმა კი თავი იმით იმართლეს, რომ ასეთი „აპრავიანი" სათვალე ცხოვრებაში არ უტარებია ამ ტირანს და ეს კაცი ნამდვილად მისი ორეულიაო.

„ორეული" – აი, რას ჩაებღაუჭა პროვოკაციებზე დაგეშილი ჩემი გონება. აი, რა ესაჭიროება დღეს პრობლემებით დაღლილ ჩვენს მთავრობას. ჯერ პრეზიდენტს დავეხმაროთ:

როგორია – ყოველი ორშაბათი დილა რადიოინტერვიუთი დაიწყო?!. კარგი, ბატონო, რადიოინტერვიუში სახე მაინც არ ჩანს და რაღაცას კიდევ მოახერხებს კაცი – „პლუსავოი" ფონოგრამას ჩაწერ და ატრიალებ, მაგრამ ოთხშაბათს რას უშვრები?! იოლია, ყოველკვირა ყურები გამოიჭედო მინისტრებისა და გუბერნატორების ტირილით?! გაუშვებს ორეულს და იმან იმტვრიოს თავი, როგორც უნდა. მეორე ორეულს პუტინთან შეხვედრებზე გაგზავნის. დიდი ენაწყლიანობით არც „ორიგინალი" გამოირჩევა, ხშირად უსიტყვოდ ეთანხმება ყველაფერში ჩრდილოელ კოლეგას, მაგას კი ორეულიც შეძლებს და რატომ უნდა მოცდეს თვითონ?! ამასობაში გასვლით რეისებს მოილევს არაქართულ რაიონებში. ხშირი ჩასვლით ეროვნული უმცირესობების ენებსაც უფრო მალე ისწავლის და აისრულებს საწადელს – აზერბაიჯანულად და სომხურად ესაუბროს... თუმცა, უცხო ენების სწავლა მისთვის ახლა ისეთივე აუხდენელი ოცნებაა, როგორიც ქვეყნის აყვავება. ჰოდა, რაღა თვითონ შეიწუხოს თავი? – მაგ საქმესაც ორეულები მოაგვარებენ...

მაგრამ მარტო პრეზიდენტის ორეულები ეყოფიან ჩვენს ჩაოხრებულ საქმეს? რამდენი თბილისელი დგას მერის მისაღებში და თვიდან თვემდე, ამაოდ ელის აუდიენციას?! ამიტომ, ბატონ ვანოსაც სჭირდება ორეულები. ისინი მიიღებენ მოსახლეობას და დაპირებითაც ისინი დაჰპირდებიან ყველა პრობლემის გადაჭრას. მართალია, ვერ აუსრულებენ, მაგრამ სად – ერთი კაცი რომ შეგპირდება, გიშველიო და სად – ხუთი?!.

ა, ბატონო: ეს ჩვენი მერია, ესეც ჩვენი მერია. შუბლი ჰგავს? – ჰგავს; თვალებიც ხომ ჰგავს? – ჰგავს. ცხვირი ჰგავს? – ჰგავს... ე.ი. ისაა, ანუ იმ რეკლამისა არ იყოს: „ამჩნევთ რაიმე განსხვავებას? – არავითარი განსხვავება. – ჰოდა, ნუ გადაიხდით ზედმეტს!.."

ხოლო, რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს – ორეული კი არა, ოთხეულიც დასჭირდება: ერთი (სავარაუდოდ – თვითონ) ხომ უნდა იჯდეს საკრებულოში? მეორე ამასობაში, მწვანე ნარგავებს გააშენებს დიღმის ტყე-პარკში, მესამე – უკანონო შენობებს მიადგება ურითი და მეოთხე – მერიის სახურავზე გაამაგრებს პოზიციებს, რომ შარაძის ორეულმა ხუთჯვრიანი დროშა არ ჩამოხსნას...

ასე გადაინაწილებენ ფუნქციებს ორეულები და თვითონ „ორიგინალებს" ცოტათი შეღავათი მიეცემათ. ადგეს მერე მოსახლეობა და მართოს საპროტესტო აქციები, რამდენიც გაეხარდება. ხიოს და წვას პოლიტიკოსთა სურათები: სინამდვილეში ხომ ორეულების სურათები განადგურდება!..

ასე რომ, იჩქარეთ, ბატონებო, სწრაფად მოძებნეთ თქვენ-თქვენი ორეულები და გაინაღდეთ მშვიდი ცხოვრება. ბევრი პოპულარული მომღერალი და მსახიობი მიმართავს ამ ხერხს, რომ მასზე უზომოდ შეყვარებული თაყვანისმცემლების მხურვალე გრძნობები ვინმეზე გადაანაწილოს... მართალია, ეს „საფრთხე" თქვენ ნაკლებად გემუქრებათ, მაგრამ ლანძღვა-გინების ვინმეზე გადანაწილება კი ნამდვილად არ გაწყენდათ...

მჯერა, ეს იდეა ჩვენს დეპუტატებსაც ისე მოეწონებათ, რომ მალე გაჩნდება ახლანდელი პარლამენტის („დედნის") „ორეული". საკითხების განხილვისა და პროექტების ჩაგდებას ორეულებიც მოახერხებენ. თვითონ დეპუტატები კი, თვის ბოლოს შეირბენენ ხოლმე... ხელფასის ასაღებად. და, ბოლოს, ხელში შეგვრჩება სრულიად საქართველოს „ორეული" ქვეყანა. არა უშავს – იმაზე უარესი ნამდვილად არ იქნება, ვიდრე დღევანდელი „ორიგინალების" ხელში მყოფი „დედანია"...

P.S. სახელმწიფო კანცელარიის დერეფანში ორეული ხვდება პრეზიდენტს.

– უკაცრავად, ბატონო პრეზიდენტო! თქვენი ორეულობისათვის საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას დამპირდით, მაგრამ თვეებია, არ ამიღია. ნება მიბოძეთ, მიზეზი გკითხოთ!..

– მაპატიეთ, კოლეგავ. მინდოდა, მეც იგივე მეკითხა თქვენთვის...

პროვოკატორი

„უმჯობესია, თავისუფლება ზონებს კი არა – მთლიანად ეკონომიკას მივანიჭოთ...“

— ფრაქცია „აღორძინების“ ინიციატივით პარლამენტმა უკვე დაიწყო თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ-ების) შესახებ კანონპროექტის განხილვა. თქვენი აზრით, საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნამ რა საფრთხე შეიძლება შეუქმნას ქვეყანას?

ლადო პაპავა, *ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი:*

— ეკონომიკურ პრობლემებზე მეტად შეიძლება, პოლიტიკური პრობლემები გაჩნდეს. პოლიტიკური საფრთხე ნამდვილად არსებობს, თუმცა ამაში აჭარას არ ვგულისხმობ. საქართველოში ბევრი ისეთი რეგიონია, სადაც სხვა ეროვნების წარმომადგენლები კომპაქტურად სახლობენ. მათაც რომ გამოთქვან თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის სურვილი, რა მოტივით ეტყვის პრეზიდენტი უარს?.. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ სივრცეს ჩამოშორებული მხარეები ქვეყანას უფრო დაშორდებიან. ამიტომაც ვფიქრობ, რომ საქართველოში თეზ-ების შექმნა აუცილებელი არ არის. მე თუ მკითხავთ, უმჯობესია, თავისუფლება ზონებს კი არა — მთლიანად ეკონომიკას მივანიჭოთ! ეს კანონპროექტი მოგების გადასახადის 20-დან 10 პროცენტამდე შემცირებას, რეინვესტიციის შემთხვევაში კი, მის საერთოდ გაუქმებას ითვალისწინებს. რატომ არ შეიძლება, რომ ასეთი ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამოქმედდეს?!. ■

„საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა გაიზარდა...“

— ამერიკის ადმინისტრაციაში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სახელზე უკვე მეშვიდე მიმართვა გაგიგზავნათ. თუ საიდუმლო არ არის, რაზეა საუბარი ამ მიმართვებში და კიდევ — იზიარებთ თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ამერიკელების მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის გამოყენება ქართული მხარისთვის საზიანო იქნება?

ირაკლი წერეთელი, *ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი:*

— ამერიკის ადმინისტრაციას მივმართავ თხოვნით, რომ საქართველოს ბაზები ავიაციისთვის დროულად გამოიყენოს. მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობამ ამ საკითხში სწორი პოზიცია დაიკავა და ამერიკის მიმართ მორალურ-პოლიტიკური თანადგომა გამოხატა. მს შემდეგ, რაც თურქეთმა უარი უთხრა ამერიკას თავისი ბაზების დათმობაზე, საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. იმედი მაქვს, რომ ამერიკის ჯარების შემოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობას განამტკიცებს და ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრებას დაჩქარებს. ამჟამად საქართველოში 7 სამხედრო აეროდრომი არსებობს, სადაც შეიძლება, ამერიკული ბომბდამშენები განლაგდნენ — ვაზიანის, მარნეულის, დედოფლისწყაროს, კოპიტნარის, სენაკის და გუდაუთის. ამერიკას შეუძლია, ეს აეროდრომები გაარემონტოს, რის შემდეგაც იქ მათი თვითმფრინავების განლაგებას წინ აღარაფერი დაუდგება. ეს კი არანაირ ზიანს არ მოუტანს ქართულ მხარეს. ჩვენს მიმართვებში აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია პრეზიდენტს უცხადებს სრულ სოლიდარობასა და მორალურ-პოლიტიკურ თანადგომას ერაყის წინააღმდეგ წარმოებულ ომში და წინასწარ ვულოცავთ გამარჯვებას. მიმაჩნია, რომ ამ ომში ამერიკის გამარჯვება აუცილებლად მოიტანს სასიკეთო ცვლილებებს მთელ მსოფლიოში თავისუფლების, დემოკრატიისა და პროგრესის განმტკიცების საქმეში. ■

ერაყის მეზობელ ქვეყნებს მიწისძვრის საფრთხე ემუქრება?!.

— გაქვთ თუ არა, როგორც ასტროლოგს, რაიმე პროგნოზი, ერაყში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით?

მიხეილ ცაგარელი, *ასტროლოგი:*

— ამერიკამ ერაყში ბრძოლა 20-21 აპრილამდე უნდა დაამთავროს, რადგან ამ პერიოდში მზე კუროს ზოდიაქოს ნიშანში გადადის, კურო კი, ძალზედ მშვიდობიანია და ამის წყალობით, უფრო მეტად, სიმშვიდის ენერგოვიბრაცია შემოვა კოსმოსიდან; პაციფისტთა გამოსვლები გამძაფრდება და ამერიკას გაუჭირდება. ახლანდელი პერიოდი კი, ხელს უწყობს ბრძოლასა და აგრესიას, რადგან ამჟამად მზე ვერძის ზოდიაქოს ნიშანშია. ვერძს აგრესიისა და ომის პლანეტა მარსი მართავს. როგორც იცით, ერაყში ძირითადი დარტყმები ჰაერიდან ხდება, რაც ომის შედეგებზე დადებითად აისახება — ჩვენ ხომ მერწყულის დიდ ერაში გადავედით, მერწყული კი ჰაერის სტიქიას განეკუთვნება. ამერიკელებმაც კარგად იციან, რომ ძირითადი, „გამწმენდი“ ოპერაციები 21 აპრილამდე უნდა დაამთავრონ (ამერიკის თავდაცვის სამინისტროსთან ასტროლოგების ჯგუფი მუშაობს). მაისსა და აგვისტოში რთული პერიოდი დადგება და თუ ამერიკა ამ პერიოდებს არ გამოიყენებს, მაშინ ომი გაისადაც გაგრძელდება, თუმცა მაინც ამერიკის გამარჯვებით დამთავრდება. ეს ომი საქართველოს საფრთხეს უქმნის იმ თვალსაზრისით, რომ მიწისძვრების საშიშროება არსებობს. თუ ერაყს მძიმეწონიან ბომბებს დაუშენენ, ამან შეიძლება, გეომაგნიტიზმი შეცვალოს და ირგვლივ მდებარე ქვეყნები მიწისძვრის საფრთხის წინაშე დააყენოს. ■

„საქართველო სერიოზულ საფრთხეს გადაურჩა...“



— თქვენი აზრით, რა გახდა ეროვნული გვარდიის ვეტერანთა ამბოხის მიზეზი — ეს იყო — სამხედრო გადატრიალების მცდელობა თუ სოციალურ ნიადაგზე მოწყობილი ამბოხი? გაჩნდა ეჭვიც, რომ ამ აქციის უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები იდგნენ...

კოგა ნარჩემაშვილი, *შინაგან საქმეთა მინისტრი:*

— ისნის სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტი წინასწარ დაგეგმილი, რუსეთიდან მართული აქცია იყო.

ჩვენ ვფლობდით ოპერატიულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ თბილისის სამხედრო ნაწილში მსგავსი აქცია იყო დაგეგმილი. უბრალოდ, გარკვეული არ იყო, თუ კონკრეტულად რომელ ნაწილში ექნებოდა ინციდენტს ადგილი. უკანასკნელ დღეებში ჩვენი სამინისტრო განუწყვეტლივ აკონტროლებდა ვეტერან გვარდიელებს, რომლებიც ახლა დაკავებულები არიან.

ირაკლი გათიაშვილი, *პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— შემიძლია იმის დანამდვილებით თქმა, რომ ეს არ იყო სოციალურ ნიადაგზე სპონტანურად მოწყობილი აქცია. ეს იყო გაცილებით სერიოზული მოვლენა, შეიარაღებული ამბოხის მცდელობა, რომელშიც მონაწილეობდა ის ხალხი, ვისაც საომარი მოქმედებების დიდი გამოცდილება ჰქონდა. ეროვნული გვარდიის ვეტერანები ამ ამბოხისთვის საკმაოდ კარგად იყვნენ მომზადებულნი. მათ განკარგულებაში იყო არა მხოლოდ მსუბუქი შეიარაღება, არამედ მძიმე ტექნიკაც, რომელიც საბრძოლო მდგომარეობაში ჰყავდათ მოყვანილი. უნდა ითქვას, რომ საქართველო სერიოზულ საფრთხეს გადაურჩა. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ეს ყველაფერი შეიარაღებულ ექსცესებში გადაზრდილიყო და სავალალო შედეგებიც მოჰყოლოდა. ვფიქრობ, ამ ამბოხების უკან ძალიან სერიოზული ჩანაფიქრი იყო და თუ დროულად არ მოგვარდებოდა ინციდენტი, ხელისუფლებას სერიოზულად გაუჭირდებოდა სახელმწიფოს მართვა. ვშიშობ, რომ ამგვარი რამ შესაძლოა, ნებისმიერ დროს, სხვაგანაც განმეორდეს. რაც შეეხება მოტივებს — ჩემი აზრით, ეს ამბოხება პირდაპირ კავშირში უნდა იყოს იმ ხელშეკრულებასთან, რომელიც საქართველოს მთავრობამ ამერიკასთან გააფორმა.

კოგა ლიკლიკაძე, *სამხედრო ექსპერტი:*

— საერთოდ, სამხედრო ნაწილებში ამბოხება ყოველთვის სოციალური პრობლემების მომიზეზებით იწყება ხოლმე. ვფიქრობ, სურათი გამოიკვეთება, როცა დაკავებული გვარდიელები დააკონკრეტებენ, თუ სახელდობრ რა სოციალურ მოთხოვნებს აყენებდნენ. გვარდიელებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ, თავიანთი პრეტენზიები სხვა ფორმით გამოეთქვათ, მაგრამ ხელისუფლებასაც ხომ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ეს ინციდენტი თავიდან აეცილებინა? საინტერესოა კიდევ ერთი რამ: ყველა ძალოვანი აცხადებს, რომ მას ჰქონდა გარკვეულ ინფორმაცია ამბოხებასთან დაკავშირებით. კი, მაგრამ, თუკი ეს ასე იყო, რატომ არ მიმართა არც ერთმა ძალოვანმა უწყებამ პრევენციულ ზომებს?

■

„ძალიან გახარებული და კმაყოფილი ვარ...“

— მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მერიის თავზე აღმართული ხუთჯვრიანი დროშა უკანონოდ ცნო და მისი ჩამოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. ამრიგად, სასამართლო პროცესი თქვენი გამარჯვებით დამთავრდა. როგორ გუნებაზე დაგაყენათ ამ გამარჯვებამ და შემდგომში, კიდევ თუ აპირებთ სააკაშვილთან ბრძოლას?

გურამ შარაძე, *პარლამენტარი:*

— რა უნდა გითხრათ — ძალიან გახარებული და კმაყოფილი ვარ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სააკაშვილთან ბრძოლა დავასრულე და მის თაღლითურ საქციელს საქვეყნოდ აღარ ვამხელ! სააკაშვილის თაღლითური ბუნება სწორედ მაშინ გამოვლინდა, როცა მან მერიის 2002 წლის 19 ნოემბრის დადგენილება, მერიის თავზე აღმართულ დროშასთან დაკავშირებით ერთი ხელის მოსმით გააყალბა. ამ ამბავში პრემიერი გია შერაძეც ჩაითრია და მას უკანონოდ გამოატანინა სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებული, 2003 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება... გარდა ამისა, სააკაშვილის გუნდის ახალი წევრია მეუფე სტეფანე, რომელიც ცაგერში მოსახლეობას სააკაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ეს იმიტომ კეთდება, რომ სააკაშვილმაც და დავითაშვილმაც კარგად იციან, თუ ცაგერში რამდენი მხარდამჭერი მყავს! მეუფე სტეფანეს საქმიანობის შესწავლა საპარტიარქოს ვთხოვე, მას კი ვურჩევ, სააკაშვილის აგიტატორობას თავი დაანებოს და ცაგერში მომრავლებულ იეღოველებს მიხედოს...

■

როგორი იქნება ომის შემდგომი ერაყი

ბოლო წლებში, ერაყი მთელი მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტადაა ქცეული. აშშ-ის მიერ დაწყებული საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან კი, ყველა, გაფაციცებით ადევნებს თვალყურს წამყვანი ტელეარხების საინფორმაციო გამოშვებებს. რას წარმოადგენს ერაყი, როგორც სახელმწიფო, როგორია მისი მოსახლეობის ცხოვრების წესი, ხელისუფლებასთან დამოკიდებულება და სურს თუ არა მის უმეტეს ნაწილს, ქვეყანაში არსებული რეჟიმის შეცვლა, რომელიც წლების მანძილზე, სადამ ჰუსეინმა (თავად პრეზიდენტის მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევს, „გზის“ ამავე ნომერში გთავაზობთ) ჩამოაყალიბა — გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, აღმოსავლეთმცოდნე ცაცი კოტეტიშვილი.

ხათუნა მაღრაძე

— ერაყში დამკვიდრებული მმართველობის სტილი სრულიად მიუღებელია თანამედროვე მსოფლიოსათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ერაყში ცხოვრების ნორმალური პირობები მხოლოდ სადამ ჰუსეინის ოჯახსა და მის უახლოეს გარემოცვას აქვს. 22-მილიონიან მოსახლეობაში, შეძლებული ფენა მხოლოდ 2-3%-ს თუ შეადგენს... მიუხედავად იმისა, რომ ერაყი ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა და მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, იქ ხალხი უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს. თუმცა, მათი ბედი ქვეყნის პირველ პირს სრულიად არ ადარდებს, რადგან თვითონ უზარმაზარი სიმდიდრის მფლობელია. სადამ ჰუსეინის პოლიტიკური კურსი მხოლოდ მის პირად ინტერესებსა და ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება. ამ მიზნისთვის სჭირდება ქიმიური იარაღიც, რომლის განადგურებას დიდი ხანია, მისგან მოითხოვს ამერიკა და პროგრესული მსოფლიო. თვითონ ცნობა იმის შესახებ, რომ ამ ტერიტორიაზე არსებობს ქიმიური იარაღის მწარმოებელი ქარხნები, უტყუარია, მაგრამ მის განადგურებაზე, მიუხედავად არაერთი მოლაპარაკებისა, სადამ ჰუსეინი არ დათანხმდა. ამას მოჰყვა იმ საომარი მოქმედებების დაწყება, რომლის დამთავრებასაც ჯორჯ ბუში სამი კვირის განმავლობაში აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთ მოკლე ვადაში გამარჯვების მიღწევა შეუძლებელი იქნება, რადგან სხვა ფაქტორებთან ერთად, ცოტა ხანში, ერაყში საგრძნობლად დაცხება, დაიწყება უდაბნოს ქარები (რომელიც, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო). ასეთ კლიმატურ პირობებში, როგორც ბოლო დღეებში დავინახეთ, ძალიან პრობლემატურია ქვეითი ჯარის წინსვლა და მოქმედება.

— თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, როგორია მოსახლეობის უმეტესი ნაწილის განწყობა ჰუსეინის რეჟიმის მიმართ?

— იქ მცხოვრები ადამიანების მოაზროვნე ნაწილი მხარს უჭერს ამერიკას, როგორც სუპერსახელმწიფოს, რომელიც აცხადებს, რომ ერაყელ ხალხს დიქტატურისაგან გაათავისუფლებს. მას იმედი აქვს, რომ ამ ომში ამერიკა გაიმარჯვებს და ამის შედეგად, ქვეყანას მიეცემა შესაძლებლობა, გაუმჯობესოს მოსახლეობის ცხოვრების დონე, სოციალური პირობები. თუმცა, ბევრი ერაყელი რასაკვირველია, აღშფოთებულია იმით, რომ მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, იღუპება ხალხი, მათ შორის — მშვიდობიანი მოსახლეობა. ერაყელთა დიდ ნაწილს, ომში ახლობლების დაღუპვას, ისევ სადამ ჰუსეინის დიქტატის ქვეშ ცხოვრება ურჩევნია.

— მეტ-ნაკლებად ნეიტრალურად განწყობილი მოსახლეობის გარდა, ერაყში უამრავი ფანატიკოსია, რომელიც ხელისუფლების ნებისმიერი ბრძანების შესასრულებლად, დაუფიქრებლად სწირავს სიცოცხლეს...

— მუსლიმანურ სახელმწიფოში მორწმუნე ადამიანებს რელიგია ჰკარნახობს ცხოვრების წესს. ქრისტიანებისაგან განსხვავებით, მათთვის თვითმკვლელობა, ტრაგედია არ არის. რაც ჩვენთვის ჯოჯოხეთში მოხვედრის გარანტიადაა მიჩნეული, მათთვის — ღმერთთან მიახლოებას ნიშნავს... ამიტომ არის, რომ ნებისმიერ საქმეს, რომელიც ეროვნულ ფაქტორთან არის დაკავშირებული, რელიგიური ექსტაზით ასრულებენ და საკუთარი სიცოცხლეც დაუფიქრებლად მიაქვთ სამსხვერპლოზე.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ მოსახლეობის საერთო განათლების დონეზე?

— ერაყელთა გარკვეულ ნაწილს კარგი განათლება აქვს მიღებული. ასეთ ადამიანებთან ნებისმიერ თემაზე შეიძლება საუბარი. ეს ის ნაწილია, რომელიც ცივილიზებული ევროპელის ენაზე ლაპარაკობს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ასეთი ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი დიდია...

— ათეული წლების განმავლობაში, ერაყელები დიქტატორული რეჟიმის პირობებში ცხოვრობენ. რამდენად ღრმადა აქვს მათ ფსიქოლოგიაში შიშის ფაქტორს ფესვები გადგმული?

— სადამ ჰუსეინზე თამამად შეიძლება ითქვას — ტირანიაო. იგი დაუნდობელია ნებისმიერი ადამიანის მიმართ, თუკი მის მიერ გადადგმული ერთი ნაბიჯი მაინც არ მოეწონება. წლების წინ, როდესაც მას საგარეო პოლიტიკაში პირველი სერიოზული პრობლემა შეექმნა, მისმა სიძეებმა — ქალიშვილების ქმრებმა — ქვეყნიდან წასვლა მოინდომეს. ჰუსეინმა ეს, მათი მხრიდან ღალატად მონათლა და ორივე, სიკვდილით დასაჯა. იგი დღესაც, ამგვარად უსწორდება ყველა სამხედროს, რომელიც მის განკარგულებას უყოყმანოდ არ შეასრულებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ერაყის მოსახლეობა შეშინებული და დათრგუნვილია.

— იმ შემთხვევაში, თუ კოალიციური ჯარი ომს მოიგებს, რაც ალბათ გარდაუვალია, შეძლებს თუ არა, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი მოსახლეობა დემოკრატიული განვითარების რელსებზე გადასვლას?

— რა თქმა უნდა, ეს პროცესი ძალიან რთულად წარიმართება და უახლოეს მომავალში ამ საკითხის მოგვარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ერაყელები აბსოლუტურად განსხვავებული რეგილიისა და შეხედულებების მატარებელი ხალხია. ალბათ გარკვეული ნაწილი მხარს დაუჭერს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების დამკვიდრებას. მაგრამ ის ფანატიკური ნაწილი, რომლის აზროვნებაც შეზღუდულია, იმდენად არის შეთვისებული დიქტატორული რეჟიმის ჩარჩოებს, რომ მხოლოდ ეკონომიკური პირობების საგრძნობლად გაუმჯობესების შემთხვევაში შეძლებს სასიკეთო ძვრების დანახვასა და მხარდაჭერას.

■

თუ ოდესმე შეყვარებული ყოფილხართ, ადვილი შესაძლებელია, თქვენთვის სასიყვარულო სამკუთხედის პრობლემებიც ნაცნობი იყოს. ხშირად ხდება ისე, რომ ორი ადამიანის ურთიერთობაში ჩნდება მესამე, რომელიც ერთ-ერთი მათგანის ადგილის დაკავებას ისურვებდა. ზოგი ამას მხოლოდ საკუთარ თავს უმჟღავნებს და განცდებში იძირება, ზოგი მზად არის, ნებისმიერი, თუნდაც უღირსი გზით მოიპოვოს სასურველი ადამიანის სიყვარული, ზოგი კი, მხოლოდ უსიამოვნო გაუგებრობის მსხვერპლი ხდება...

სამი ადამიანი, სამი ამბავი, სამი განსხვავებული დამოკიდებულება.

მარი ჯაფარიძე

ქეთინო პაპუაშვილი, *25 წლის:*

— მაშინ 16 წლის ვიყავი. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ძალიან დავუახლოვდი თანაკურსელ გოგონას. 4 წლის განმავლობაში, უერთმანეთოდ ერთი დღეც კი არ ვყოფილვართ... ქეთი ერთ ბიჭს უყვარდა, არც ჩემი მეგობარი იყო გულგრილი მის მიმართ. თითქმის ყველა მათი პაემანის მოწმე ვიყავი. მომავალ ქორწილზე საუბრობდნენ, ქეთის მეჯვარე კი, რასაკვირველია, მე უნდა ვყოფილიყავი. ერთხელ, შეყვარებულები წაკინკლავდნენ და ერთმანეთს დაემდურნენ. ბადრიმ დამირეკა და მიამბო თავისი გულისტკივილის შესახებ. მე მას დავუჭირე მხარი, ქეთისაც ვუთხარი, რომ ტყუოდა და ასე არ უნდა მოქცეულიყო. თანაც ვთხოვე: პირველმა შენ დაურეკე, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ შენს საქციელს ნანობ და ბადრის უფრო ადვილად შემოირიგებ-მეთქი. ცხვირი აიბზუა. საკუთარ სიამაყეს ვერ სძლია და მათი ურთიერთობა რამდენიმე ხნით საკმაოდ დაიძაბა. იმ პერიოდში, ბადრი ხშირად მირეკავდა და ქეთიზე მელაპარაკებოდა. ერთ დღეს, შეხვედრაც მთხოვა, იმ საბაბით, რომ ქეთის შემორიგების გეგმა დაგვესახა. დავთანხმდი, მაგრამ შეხვედრისას შევნიშე, რომ ჩემს მეგობარზე საუბარს აშკარად არიდებდა თავს. მალე გამოვემშვიდობე და წამოვედი. შეხვდი მეორედაც. მაშინაც იგივე გამეორდა. კიდევ რომ მთხოვა შეხვედრა, გავბრაზდი და ყურმილი დავუკიდე. მაინც განაგრძობდა ჩემთან რეკვას. ვცდილობდი, ხანმოკლე საუბრით შემოვფარგლულიყავი, შეხვედრაზე ხომ, ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ბადრიმ შენიშნა, რომ მასთან ურთიერთობას თავს ვარიდებდი და უეცრად, სიყვარული ამიხსნა. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე, სალანძღავი სიტყვები არ დამშურებია, სულ არაკაცი და დეგენერატი ვუძახე. ის მაინც არ მანებებდა თავს. მე ვფიქრობდი, რომ ამით უნდოდა, ქეთი გაემწარებინა და ამას რომ გავიფიქრებდი, ზიზღის გრძნობა მეუფლებოდა...

— ქეთის არ მოუყევი ამის შესახებ?

— თავიდან, როდესაც ტელეფონით მირეკავდა, რა თქმა უნდა, ვუყვებოდი. ჩვენი პირველი შეხვედრის შესახებაც იცოდა. შემდეგ — უკვე აღარ: არ მინდოდა, მისთვის ტკივილი მიმეყენებინა; ვფიქრობდი, რომ ადრე თუ გვიან, ისინი შერიგდებოდნენ და მაშინ, გულში ხინჯად დარჩებოდა ეს ამბავი... რაც დრო გადიოდა, ბადრი უფრო მეტად მაწუხებდა. ტელეფონით საერთოდ აღარ ველაპარაკებოდი, მაგრამ ხან სად დამხვდებოდა, ხან — სად. ერთხელ, გამწარებულმა ჩემს ძმას შევჩივლე. მან და მისმა მეგობრებმა ერთი-ორი წაუთაქეს კიდეც და თითიც დაუქნიეს: თუ კიდევ გაბედავ ამ გოგოს შეწუხებას, ასე იოლად ვეღარ გადაგვირჩებიო. ის კი თავისას არ იშლიდა... ერთ დღეს, ქეთიმ საყვედურებით ამავსო: შენ თურმე ჩვენი ჩხუბით გისარგებლია და ბადრის იქით ურეკავდი — შენთვის „აბამდიო“... კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. ვცადე ამეხსნა, რომ მისი საყვედური უსაფუძვლო იყო. მაგრამ მას ჩემი მოსმენაც კი არ უნდოდა. ტყვიასავით მომაყარა სათქმელი — მორჩა, ჩვენი მეგობრობა დამთავრდა და აღარ დამირეკოო, — მითხრა.

ქეთინო პაპუაშვილი

— ვინ უთხრა ქეთის ასეთი ჭორი?

— თვითონ ბადრის დაურეკავს და ყველაფერი უკუღმა მოუყოლია: თითქოს მე ვურეკავდი და სიყვარულს ვუხსნიდი, ჩვენი შეხვედრაც ჩემი ინიციატივით მოხდა და რა ვიცი, კიდევ რა — ათასი სისულელე მოუჩმახავს. ძალიან განვიცადე ეს ამბავი. ალალმართალი ვიყავი და მეგობრის ღალატი მბრალდებოდა... დღეს, ქეთი და ბადრი ცოლ-ქმარია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემმა მეგობარმა სიმართლე დღემდე არ იცის. კარგი იქნება, თუკი ამას თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან შეიტყობს...



როსტომი, 36 წლის *(რესპონდენტის თხოვნით, მისი და ამ ამბის მონაწილე სხვა პირების სახელები შეცვლილია):*

— ოჯახი სიყვარულით შევქმენი. 9 წელი ვიცხოვრე მეუღლესთან ერთად. ამდენი წლის განმავლობაში, მის მიმართ ისეთივე გრძნობა მქონდა, როგორიც შეუღლების პირველ პერიოდში. ერთ საღამოს, შინ ნასვამი დავბრუნდი. კარზე რომ დავაკაკუნე, მაშინ გამახსენდა, რომ მაიკომ დღისით დამირეკა და მითხრა: დედაჩემთან მივდივარ და გასაღებს კარის მეზობელთან დავტოვებო. მეზობლის კარზე მივაკაკუნე. ახალგაზრდა, უცნობმა ქალმა გამიღო. მეზობლის სტუმარი აღმოჩნდა. დიასახლისი სადღაც გასულიყო. როდესაც ჩემი ამბავი ვუთხარი, შინ შებრუნდა, დიდხანს ეძება გასაღები, მაგრამ ვერსად მიაგნო და შემიპატიჟა: მობრძანდით, ემა დეიდა მალე მოვა და აქ დაელოდეთო. შევედი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ ცოტა ხანში, მე და ეს ქალი ერთმანეთს ვეხუტებოდით და თავდავიწყებით ვკოცნიდით. მალე კარზე კაკუნი გაისმა. არიქა, ემა დაბრუნდაო! — წამოხტა ქალი. ძლივს მოვასწარით ტანისამოსის ჩაცმა. ემას სტუმარმა (მისი სახელი დღესაც არ ვიცი) კარი გააღო და ჩემი მეუღლის ხმა გავიგონე... მოკლედ, დიდი სკანდალი მოაწყო. ვერაფრით დავარწმუნე, რომ ის ქალი მართლა ემას სტუმარი იყო. ფიქრობდა, რომ მე მივიყვანე და ემას ვთხოვე, ცოტა ხნით ჩვენთვის ბინა დაეთმო. მაიამ მიმატოვა, ჩვენი 8 წლის გიოც თან წაიყვანა. მაიას დაკარგვა ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. რა არ მოვიმოქმედე, რომ დამებრუნებინა, მაგრამ ამაოდ... ამასობაში 6 თვე გავიდა. ერთ დღეს, შვილს პერსონალური კომპიუტერი ვუყიდე და სიდედრის სახლში მივიტანე, ბავშვი კი, 2 კვირით ჩემთან წამოიყვანე. რამდენიმე დღის შემდეგ, გიო აღარ გამიჩერდა; კომპიუტერი მინდაო, — აიტეხა და იძულებული გავხდი, ბავშვი უკან მიმეყვანა. შაბათი იყო. საღამო ხანს, ხელოსანთან ერთად (კომპიუტერი უნდა მოეწესრიგებინა) სიდედრის ბინას ვეწვიე. კარი რომ გაგვიღეს, მომეჩვენა, რომ ჩემი დანახვა არ ესიამოვნათ, მაგრამ მაინც შემიპატიჟეს. საკმაოდ ბევრი სტუმარი ჰყავდათ. სუფრა იყო გაშლილი და შუაგულ ქეიფში აღმოვჩნდი. თავიდან ვერ გავიგე, რა ხდებოდა, მაგრამ მერე უცებ დავაფიქსირე, რომ... საკუთარი ცოლის ნიშნობის მომსწრე გავხდი — გვერდს ახალი ქმარი და მისი მშობლები უმშვენებდნენ... უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. სუფრიდან ავდექი და ჩუმად გამოვიპარე. მტერს არ ვუსურვებ იმას, რაც მე გადავიტანე მომდევნო რამდენიმე თვის მანძილზე.

— მაიას აღარ დალაპარაკებიხარ?

— არა, რა უნდა მეთქვა?! აზრიც აღარ ჰქონდა საყვედურებსა და საქმის გარჩევას. მაგრამ ყველაზე გულსატკენი ის იყო, რომ მისი ახალი მეუღლე ჩვენი ყოფილი მეზობელი იყო: ადრე, ჩვენს სადარბაზოში ქირით ცხოვრობდა და მაიას თვალი ალბათ მაშინვე დაადგა...

ნინო, *27 წლის (ამ ამბის მონაწილეთა სახელებიც შეცვლილია):*

— 21 წლის ვიყავი, როდესაც ზაზა შემიყვარდა. თვალდახუჭული ვენდობოდი, მთელი არსებით მიყვარდა და როდესაც ფიზიკური სიახლოვე შემომთავაზა, უარი არ მითქვამს... ის 2 წელი ყველაზე საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში. შემდეგ ჩემმა უბნელმა ბიჭმა მომიტაცა და ცოლად შემირთო. ცუდი ადამიანი არ იყო, კარგადაც მექცეოდა, მაგრამ მე არ მიყვარდა. გამუდმებით ზაზაზე ვფიქრობდი, საოცრად მენატრებოდა. მხოლოდ ერთი წელი გავძელი მის გარეშე. გიჟს ვგავდი — დღეს მასზე ოცნებაში ვატარებდი, ღამით — მესიზმრებოდა. ველარ შევძელი ქმართან ცხოვრება და ოჯახი მივატოვე. მეორე დღესვე, ზაზას დავურეკე და ჩვენი ურთიერთობა აღდგა. ისევ მეწვია ბედნიერება და არც არავინ მეგულებოდა დედამიწის ზურგზე, ვინც ამ ბედნიერებას დამინგრევდა. ზაზა მეუბნებოდა ხოლმე: იმას რომ არ მოეტაცე, ცოლად შეგირთავდი, მაგრამ ახლა არ შემიძლია და რა ვქნაო?!. თუმცა, მე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. მთავარი ის იყო, რომ ზაზა ისევ მე მეკუთვნოდა...

— არასოდეს გიფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ის ოჯახის შექმნას გადაწყვეტდა?

— ამის წარმოდგენაც კი არ მინდოდა. ხშირად მიფიქრია: მოვკლავ და იმას კი არ დავუშვებ, რომ მის გვერდით სხვა ქალი აღმოჩნდეს-მეთქი. მაგრამ ერთ დღეს, მართლაც, ზაზამ გამომიცხადა: ცოლი უნდა შევირთო, მაგრამ შენ არ მიგატოვებ — ჩვენ შორის ყველაფერი ძველებურად დარჩებაო... გავოგნდი. მეგონა, ჭკუიდან შევიშლებოდი. გონებამ ჩემდა უნებურად, გამოსავლის ძებნა დაიწყო. პირველი, რაც მოვიმოქმედე, ის იყო, რომ ცნობილ მკითხავს მივადექი. შენი საყვარელი ადამიანი ცოლს ირთავს და შენ მას დაკარგავო, — მითხრა. — როგორ მოვიქცე-მეთქი? — ადექი და რაიმე ცუდი მოიგონე იმ გოგოს შესახებ და მათი ქორწინება ჩაიშლებაო... პირველ რიგში, იმ გოგოს ვინაობა უნდა დამედგინა. ერთხელ, ზაზასთან შინ მისულმა, მის უბის წიგნაკში მაიას ტელეფონის ნომერი ვნახე და ჩემი გეგმის შესრულებას შევუდექი... რომ დავურეკე, მითხრეს — სამსახურშიაო. — ახლობელი ვარ, გადაუდებელი საქმე მაქვს და თუ შეიძლება, სამსახურის მისამართი მომეცით-მეთქი... მეორე დღესვე, დირექტორს გამოვეცხადე და თავი ჟურნალისტად გავაცანი. თქვენს ამა და ამ თანამშრომელთან (მაია აღვუწერე) ინტერვიუს ჩაწერა მინდა-მეთქი. გამოიძახა. ვინაიდან დირექტორის დავალება იყო, უარი არ უთქვამს. საუბრისას ამიხსნა, რომ მეორე დღეს, მივლინებით მიემგზავრებოდა სხვა ქალაქში. ყოველივე დაწვრილებით გამოკითხე. მისი პირადი ცხოვრების შესახებაც ბევრი ინფორმაცია მივიღე და დავემშვიდობე. მოვდიოდი და თან ვფიქრობდი: გიჩვენებ სეირს, როგორ უნდა ჩემი ზაზას „დათრევა“, შენ როგორ უნდა მაჯობომეთქი?!. შურისძიების გრძნობით ვიყავი აღვსილი. უკან არაფერზე დავიხევდი. ორი დღის შემდეგ, საუბარში, ვითომ შემთხვევით ვკითხე ზაზას: კარგ ვენეროლოგს ხომ არ იცნობ-მეთქი? — შეშფოთდა: რა იყო, რაიმე ხომ არ გვჭირსო? — არა-მეთქი, — მშვიდად ვუპასუხე და ასეთი ამბავი მოვუყევი: ჩემმა მეგობარმა გოგონამ დამირეკა, ამა და ამ ორგანიზაციაში მუშაობს (დავასახელე მაიას სამსახური), მის თანამშრომელ დაქალს, ვიღაც მაიას ვენეროლოგი სჭირდება, რადგან რაღაც პრობლემა შეექმნა — არადა, ის უბედური მალე თხოვდება და სასწრაფოდ უნდა იმკურნალოს-მეთქი და კმაყოფილი, წამოვედი შინ... ცოტა ხანში ზაზამ დამირეკა: იმ მაიას შენ თუ იცნობ? — კი, როგორ არა-მეთქი? — აღმიწერე, როგორი გარეგნობა აქვსო. — მეც ავდექი და დაწვრილებით აღვუწერე. მერე კი, ნავთზე ცეცხლი დავასხი: ახლა, ფულის საშოვნელად, ამა და ამ ქალაქში მიდის-მეთქი, — და ის სასტუმროც დავუსახელე, სადაც მაიას უნდა ეცხოვრა... მეორე დღესვე გაქანდა ზაზა იმ ქალაქში, სასტუმროში მოულოდნელად დაადგა თავზე მაიას და ისე განრისხდა, რომ აღარც უცდია მისგან რაიმე ახსნა-განმარტების მოსმენა — უცებ გამობრუნდა და იმ დღიდან, მასთან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა.

— ამის შემდეგ თქვენს ურთიერთობაში შეიცვალა რამე?

— არაფერი. ჩვენი ურთიერთობა ჩვეულებრივად გაგრძელდა, ოღონდ ეგ იყო, რომ

ზურა ყიფშიძე

უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. ამ ამბიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი, წავიჩხუბეთ და განაწყენებულმა მივახალე: იმ მაიასთან საქმე მე ჩაგიშალე და ღირსიც იყავი; სინამდვილეში ის პატიოსანი გოგო და კარგი ადამიანია-მეთქი. მიყურა, მიყურა და მითხრა: ახლა, ამ გაბრაზებულ გულზე გინდა, რომ ის ბოზი ცოლად მომაყვანინო და ასე იმიტომ მეუბნებიო...

რას ფიქრობენ ამ მოვლენაზე ან თავადაც ხომ არ ყოფილან ოდესმე, სასიყვარულო სამკუთხედის მონაწილენი, მსახიობები, პოლიტიკოსები, ტელეჟურნალისტები — ადამიანები, რომლებიც საზოგადოებისა და მასმედიის მუდმივი თვალთახედვის არეში არიან მოქცეულნი? უნდა ითქვას, რომ ბევრმა მათგანმა თავი აარიდა ამ თემაზე საუბარს. როგორც ჩანს, ბევრისთვის ეს თემა საკმაოდ მტკივნეულია...

ნინო დარასელი, *ტელეჟურნალისტი:*

— ვფიქრობ, სასიყვარულო სამკუთხედი ნებისმიერი ადამიანისთვის ნაცნობი პრობლემაა. ბავშვობაში, ვიდრე გავთხოვდებოდი, ყოველთვის ვმალავდი ხოლმე ჩემს გრძნობებს და არ ვამჟღავნებდი, თუ ვინ მიყვარდა. შემდეგ, როდესაც გაქრებოდა, ვცდილობდი, დამევიწყებინა ის ადამიანი. ასე რომ, გახსენებაც არ მსურს... ყოფილა შემთხვევა, რომ მეგობრის შეყვარებულს მოვწონებივარ. ამ დროს, ვცდილობდი დამენახვებინა, რომ მის მიმართ არავითარი გრძნობა არ მქონდა და ყველანაირად ვცდილობდი, თავიდან მომეშორებინა აბეზარი ადამიანი...

— შენს მეგობარს თუ გაუმხილე, რომ მისი რჩეული შენდამი ყურადღებას იჩენდა?

— ზოგჯერ დამიმალავს, ზოგჯერ მითქვამს კიდეც, მაგრამ თუ არ ვუმხელდი, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის გული არ მეტკინა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ წინა პლანზე მეგობრობა უნდა დავაყენოთ და შემდეგ — სხვა ყველაფერი. ყველამ რომ ასე იფიქროს, სამკუთხედის პრობლემაც აღარ იარსებებს...

— შენი აზრით, ვინ არის ზედმეტი — ის, ვინც ბოლოს შედის „თამაშში“?..

— ზედმეტია ის, ვინც ამას იგრძნობს. ამ ზედმეტმა უნდა დათმოს კიდეც პოზიცია. შესაძლოა, მესამე ადამიანი უფრო მნიშვნელოვანი გახდეს ურთიერთობებში, ვიდრე პირველი. ამ შემთხვევაში, რაოდენ გულსატკენიც არ უნდა იყოს, პირველი გზიდან უნდა ჩამოეცალოს დანარჩენ ორს...

ნინო დარასელი

ზურაბ ყიფშიძე, *მსახიობი:*

— თქვენ ისეთი საჩოთირო თემის ირგვლივ მთხოვთ საუბარს, რომ უხერხულ მდგომარეობაში მაგდებთ...

— მრავალი თაობის ქალბატონების კერპად რჩებით. შეუძლებელია, სიყვარულის სამკუთხედთან დაკავშირებით გასახსენებელი არაფერი გქონდეთ...

— გასახსენებელი ნამდვილად ბევრი მაქვს, მაგრამ ეს ძალზედ პირადულია; რომ არ დაგიმალოთ, ჩემთვის არასასიამოვნოც კია ამ თემაზე საუბარი.

— როგორც ვატყობ, ბევრი „ცოდვა“ გაწევთ...

— არა, არა, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს რაიმეს ვმალავდე. უბრალოდ, ხშირად ხდება ისე, რომ მსგავს სიტუაციაში — როდესაც სამკუთხედზეა საუბარი — შესაძლოა, უნებურად რაიმე იაღლიში მოგივიდეს, შემდეგ კი ამ ამბის გახსენება არ გინდოდეს...

— დავუშვათ, რომელიმე ქალი მოგწონთ ან გიყვართ და აღმოაჩენთ, რომ მისი მეგობარი ცდილობს თქვენთან დაახლოებას. როგორ მოიქცევით?

— ალბათ დელიკატურად ავუხსნი, რომ ზედმეტია ჩვენს ურთიერთობაში...

— მაგრამ თუ მიხვდებით, რომ ზედმეტი ის კი არა — პირველი ქალბატონი აღმოჩნდა?..

— მაშინ მას ავუხსნი დელიკატურად... გამორიცხული არაფერია — სიტუაციას გააჩნია. ასეთ დროს, ქალის ხასიათსაც კარგად უნდა იცნობდე, რომ მიხვდე, როგორი კუთხით მიუდგე. ახალგაზრდა მამაკაცმა შესაძლოა, შეცდომაც დაუშვას, მაგრამ ეს გამოუცდელობის ბრალი იქნება. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ გამოცდილ და ასაკიან მამაკაცსაც შეეშალოს რაიმე ქალთან ურთიერთობისას. კაცმა არ იცის, ვინ აღმოჩნდება ზედმეტი. ზოგი ხვდება, რომ ზედმეტია და თამაშიდან გადის, ზოგი — ვერ ან არ ხვდება და მაშინ, თავად უნდა მიახვედრო...

— თქვენ რომ გამოგიჩნდეთ მეტოქე და აღმოჩნდეს, რომ ზედმეტი ხართ?

— ო, არა, არა! ეს ძალზედ რთულია, ამას ყველა ადამიანი მტკივნეულად განიცდის. გამონაკლისი არც მე ვიქნები...

გიორგი ისაკაძე, *სახელმწიფო მინისტრის მოადგილე:*

გიორგი ისაკაძე

— ...გამოდის, რომ თქვენ გაინტერესებთ, შემყვარებია თუ არა სხვისი სატრფო, ცოლი ან მათ თუ შევყვარებივარ?

— დაახლოებით მსგავსი სიტუაციის გახსენებას შეძლებთ?

— არა, არა, ამ თემაზე ლაპარაკი მეუხერხულება. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ურთიერთობის ინიციატორი უნდა იყოს მამაკაცი. თუ ამ კუთხით მივუდგებით, ჩემი მხრიდან სხვას პრობლემას არასოდეს შევუქმნი, რადგან სხვის რჩეულს, მით უმეტეს — მეგობრისას — თვალს არ დავადგამ. როგორი გეომეტრიული ფიგურის ფორმაც არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობებს, ნებისმიერ შემთხვევაში, არჩევანს მამაკაცი აკეთებს. ქალის ნებაა, დათანხმდება თუ არა. ქალის მხრიდან წამოსულ ინიციატივას არასერიოზულად აღვიქვამ...

— დავუშვათ, თქვენი რჩეულის მეგობარმა გამოიჩინა ინიციატივა და თავისი გრძნობები გაგიმხილათ. როგორ მოიქცევით?

— მე მასთან გამოვნახავ საერთო ენას და ამ პრობლემას მოვხსნი. მამაკაცს საკუთარი ძალები გათვლილი უნდა ჰქონდეს... გავესაუბრები იმ გოგონას, ავუხსნი, რომ ის ზედმეტია ჩვენს ურთიერთობაში და არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია. ამის შემდეგ, თავმოყვარე ქალმა თავისი პოზიციები უნდა დათმოს...

— თქვენს რჩეულს თუ გაუმხელდით, რომ მისი მეგობარი თქვენ მიმართ გულგრილი არ ყოფილა?

— არა, არ გავუმხელ. ვეცდები, მეგობრებს შორის შუღლი და უთანხმოება არ გამოვიწვიო. მე თავად მოვაგვარებ პრობლემას. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდე! მაინც უხერხულია და არასასიამოვნო...

საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი დაახლოებით ორი წელია, რაც თბილისში მოღვაწეობს. პროფესიით ელექტროინჟინერი, საქართველოში კომპანია „იბერდროლას“ წარმოადგენს, რომელმაც ტენდერში გამარჯვების შემდეგ, სრული მონოპოლია აიღო ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე. სხვა უცხოური კომპანიებისაგან განსხვავებით, მათი საქმიანობა თბილისში სკანდალებისა და ხმაურიანი დაპირისპირების მიზეზი არ გამხდარა. როგორც თავად სოლისი აცხადებს, მუშაობის პროცესში სერიოზული ბარიერები ხვდება, თუმცა, ამის გამო სათბობ-ენერგეტიკის მინისტრზე აუგი არ წასცდება. ისე კი, საოცრად არ მოსწონს, მომხმარებლისგან ამოღებულ თანხებს მაღალჩინოსნები საკუთარ ჯიბეში რომ იდებენ. და ამ წყენის გაქარვებას ქართველი ლამაზმანების ცქერით ცდილობს, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, არც ამ საქმეში უმართლებს ბოლომდე...

ალბერტო სოლისი – მონოპოლისტი, მრავალშვილიანი მამა და

ქართულ ღვინოზე შეყვარებული კაცი

ხათუნა მაღრაძე

— ბატონო ალბერტო, რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ჩამოსვლა?

— მე ათეული წლების განმავლობაში, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მიმუშავია: ესპანეთში, გერმანიაში, ირლანდიაში, აშშ-ში და სხვაგან. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კი, აქცენტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე ავიღეთ. ჩვენი კომპანია, რომელიც ევროპაში მეორეა თავისი სიდიდითა და გავლენით, დაინტერესდა ტენდერით, რომელიც საბითუმო ბაზართან დაკავშირებით გამოცხადდა, კონკურსის წესით გავიმარჯვეთ და საინტერესო პროექტის განსახორციელებლად ჩამოვედით.

— რა სიტუაცია დაგხვდათ ჩვენს ქვეყანაში?

— თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, საერთო მდგომარეობა საკმაოდ რთულია. თუმცა, გარკვეული პოზიტიური ძვრები მაინც შეინიშნება, რადგან არ არის ინფლაცია და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი. მაგრამ სრულიად წარმოუდგენელი მასშტაბის კორუფციას, რომელიც თქვენს ქვეყანაშია გამეფებული, ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ვერაფერი მოუხერხა. ეს სერიოზულ პრობლემებს უქმნის ჩვენი კომპანიის მუშაობასაც, რადგან გადახდისუნარიანი მოსახლეობისგან ამოღებული თანხები ადრესატამდე ვერ აღწევს, მას კონკრეტული ადამიანები საკუთარ ჯიბეში იდებენ.

— მიუხედავად იმისა, რომ ქართველი „ენერგომამების“ მიმართ საზოგადოებაში ბევრი ეჭვი არსებობს, თქვენ მათთან უპრობლემოდ თანამშრომლობთ. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენი ინტერესები გარკვეულწილად, ემთხვევა ერთმანეთისას?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენ მუშაობის პროცესში ვცდილობთ, პრობლემების შექმნას თავი ავარიდოთ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყველაფერში ვეთანხმებით თუნდაც, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს, რადგან სიტუაციის დაძაბვისგან, ისევ მომხმარებელი დაზარალდება. ამიტომ უმჯობესია, ურთიერთობების დარეგულირება მოხდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა ხელისუფლების მხრიდან სრული მხარდაჭერა გვაქვს. ვერ ვიტყვი, რომ ხელოვნურად გვიქმნიან პრობლემებს და მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ, ამიტომ ბედნიერი ვარ აქ მოღვაწეობით.

— იმ სადამსჯელო ღონისძიებებზე რას იტყვით, გადახდისუუნარო მოსახლეობაზე რომ ავრცელებთ ხოლმე?

— წარმოუდგენელია მუშაობა ისე, თუ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა არ მოხდა, ამიტომ იძულებულნი ვართ, შევიმუშაოთ სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მათ, კანონის შესაბამისად ვაიძულებთ თანხის გადახდას. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს მექანიზმი, რომელიც გადამხდელ მომხმარებელს ელექტროენერგიის მასობრივი გათიშვისგან დაიცავს. სადამსჯელო ღონისძიებებისაგან მათი დაცვა ტექნიკურად ჯერჯერობით შეუძლებელია.

— ბატონო ალბერტო, ცალკეული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს აქვს საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ მოსახლეობა უკეთ უზრუნველყოს ელექტროენერგიით, მაგრამ მომხმარებლამდე მისი მიტანა, კორუფციისა და ცალკეული ადამიანების მიერ მათი პირადი ინტერესების გატარების გამო ვერ ხერხდება.

— ეს არ არის სწორი ინფორმაცია. ჩვენ ნამდვილად არა გვაქვს რესურსები იმ დონეზეც კი, რომ მივაწოდოთ ელექტროენერგია თუნდაც იმ მომხმარებელს, რომელიც მზადაა, გადაიხადოს მისი საფასური, ამიტომ ზამთრის პერიოდში შექმნილ უმძიმეს კრიზისს, კორუფციას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. ელექტროენერგიის 24-საათიანი მიწოდებით მოსახლეობის უზრუნველყოფა მხოლოდ ზაფხულის პერიოდშია შესაძლებელი, რადგან საქართველო მდიდარია მდინარეებით.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ თბილისში ოჯახის წევრების გარეშე ჩამოხვედით. ეს გარკვეულ დისკომფორტს არ გიქმნით?

— ასეთია ჩემი ცხოვრების წესი: მუდამ სხვადასხვა ქვეყანაში მიწევდა მუშაობა, ამიტომ შევეჩვიე განმარტოებით ცხოვრებას. ალბათ უკეთესი იქნებოდა, ერთად რომ ვყოფილიყავით, მაგრამ ტრაგედიას ვერც ამაში ვხედავ. ოთხი შვილი მყავს. ისინი უკვე ზრდასრული ადამიანები არიან, თავიანთი ცხოვრება აქვთ და, ბუნებრივია, ჩემთან ერთად ვერ იმოგზაურებენ. რაც შეეხება მეუღლეს — ის პერიოდულად ჩამოდის ხოლმე ჩემთან.

— ოთხი შვილი ალბათ იშვიათობას წარმოადგენს დღევანდელ ევროპელთათვის. თქვენ კი, მიუხედავად მუდმივი მოგზაურობისა, მრავალშვილიანი მამა ყოფილხართ...

— ესპანეთში ბავშვები ძალიან უყვართ. იმ პერიოდში, როცა მე დავქორწინდი, ყველა ახალგაზრდა ოცნებობდა, რომ რაც შეიძლება მეტი შვილი ჰყოლოდა. ახლა, ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, ესპანეთშიც იშვიათობაა მრავალშვილიანი ოჯახები.

— თქვენი მეუღლე რამდენჯერაა საქართველოში ნამყოფი?

— ორჯერ ჩამოვიდა და უნდა ითქვას, რომ მოასწრო კიდეც თქვენი ქვეყნის შეყვარება. ამ ვიზიტის დროს, ძალიან ბევრ ადამიანს დაუმეგობრდა. ესპანელთა ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ გვიადვილდება ქართველებთან კონტაქტში შესვლა. თანაც, საქართველო საოცრად ლამაზი ქვეყანაა თავისი ბუნებით. მე და ჩემი მეუღლე განსაკუთრებით მთებმა მოგვხიბლა. ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, როცა გუდაურისა და ბაკურიანის შემდეგ, სვანეთში ავედით. მესტია ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო — მსგავსი შთაბეჭდილება ჩემზე დიდი ხანია არაფერს მოუხდენია. ხასიათით ესპანელები და ქართველები ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ესპანეთში უამრავი ბასკი ცხოვრობს; ბევრი მათგანი ამბობს, რომ კავკასიელი — კერძოდ, ქართველია... სიმართლე გითხრათ, ჩვენი ასეთი მსგავსება ძალიან მახარებს და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემს ქვეყანაში ვცხოვრობ.

— რამდენადაც ვიცი, გულგრილი არც ქართველი ქალბატონების მიმართ ბრძანდებით.

— ეს ნამდვილად სერიოზული თემაა. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან, მოხიბლული ვარ ქართველი ქალების განუმეორებელი შარმით. მათში არის ის მიმზიდველობა, რომელიც გულგრილს ვერ დატოვებს ნამდვილ მამაკაცს...

— კარგია, მეუღლე რომ არ გისმენთ, თორემ იეჭვიანებდა.

— არა, მეუღლეს ეჭვიანობის საბაბს არ ვაძლევ. რასაკვირველია, მომწონს ქართველი ქალები, მაგრამ მხოლოდ ამით შემოვიფარგლები. ბუნებრივია, ვისურვებდი გაგრძელებას, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ მომხდარა...

— არც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში?

— გულწრფელად გეუბნებით, რომ ასეა. ქართველი ქალები ევროპელებთან შედარებით, ზედმეტად მკაცრები და სერიოზულები არიან. შეუძლებელია, მათი ეს ღირსება არ დაინახო და არ დააფასო, რადგან დასავლეთის ქვეყნებში თავდაჭერილობა ქალების უმეტესობას დაკარგული აქვს...

— საქართველოში ძალზედ დაძაბული კრიმინოგენული ვითარებაა. თქვენ, როგორც მდიდარ ადამიანს, თავდასხმის ან გატაცების არ გეშინიათ?

— რაც შეეხება ჩემს მატერიალურ მდგომარეობას — საკითხავია, ვარ თუ არა მდიდარი. მაგრამ გატაცებისა და თავდასხმის არ მეშინია. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ჩემი დაყაჩაღება სცადეს, მაგრამ ამის გამო შიშს ნამდვილად არ შევუპყრივარ. არც იმის პრობლემა მაქვს, რომ უცხო ქვეყანაში ვარ და ვერავინ დამიცავს. ამავე დროს, ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში უფრო რთული კრიმინოგენული სიტუაციაა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. მაგალითად, ბასკეთში ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, 100-ზე მეტი მკვლელობა მოხდა. მსგავს ინციდენტებს ხშირად აქვს ადგილი აშშ-ში... ასე რომ, ამ მხრივ, საქართველოში განსაკუთრებით საგანგაშო ვითარება სულაც არ არის. ვერც იმ შემთხვევებს მოგიყვებით, რომელიც თქვენს ქვეყანაში გადამხდა თავს, რადგან ისინი ისეთივე ტიპურია, როგორიც სხვა ქვეყანაშიც შეიძლებოდა დამმართოდა.

— ამბობთ, მდიდარი არ ვარო. მაინც რაში ხარჯავთ ფულს სიამოვნებით საქართველოში?

— კლასიკური მუსიკის საღამოებზე დავდივარ ოპერაში. ვყიდულობ საოპერო ჩანაწერებს. ასევე სიამოვნებით ვხარჯავ ფულს, როდესაც მივდივარ მთაში. ვყიდულობ ხოლმე ქართული წარმოების ღვინოს, რომელსაც გასაოცარი გემო და არომატი აქვს.

— ღვინის კოლექცია ხომ არ გაქვთ?

— ამას წინათ, ესპანეთში 40 ბოთლი ქართული ღვინო წავიღე და კიდევაც შევიძენ დიდი სიამოვნებით. განსაკუთრებით, საფერავი მომწონს — ის ხომ ღვინის მეფეა! როგორც ვთქვი, მე მდიდარი არა ვარ, მაგრამ სიამოვნებისთვის თვეში მილიონ დოლარს ვხარჯავ *(იცინის)*...

— ყანწით სმის ტრადიციაც ხომ არ შეგითვისებიათ?

— არა, ჩემი აზრით, ღვინის შესმა პატარა ჭიქით უკეთესია. საერთოდ, თრობის მოყვარული არა ვარ, კაცმა იმდენი უნდა მიირთვა, რამდენიც გესიამოვნება, მეტის დალევა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას ნიშნავს.

— გავიგე, რამდენიმე დღის წინ, პირველი შვილიშვილი შეგეძინათ. ალბათ მისთვის განსაკუთრებული საჩუქარი გექნებათ მომზადებული?

— დიახ. ჩემი ქალიშვილი გერმანელზეა გათხოვილი. ერთი კვირის წინ მათ გოგონა შეეძინათ. ბერლინში ჩასვლას აპრილში ვაპირებ. რაც შეეხება საჩუქარს — დიდი სურვილი მაქვს, აქ დავამზადებინო ქართული ოქროს ჯვარი, თავისი ძეწკვით.

— ისე, ესპანელებისთვის, მათი ხასიათიდან გამომდინარე, გერმანელი სიძე ძნელი ასატანი ხომ არ არის?

— აბსოლუტურად მართალი ხართ, ესპანელები და გერმანელები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ჩვენ ხელგაშლილები და სტუმართმოყვარენი ვართ, გერმანელების სიძუნწე კი საქვეყნოდაა ცნობილი. მაგრამ ჩემი სიძის შემთხვევაში, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა. ის არაჩვეულებრივი ახალგაზრდაა და ჩემთან, ისევე, როგორც ჩემს მეუღლესთან, მშვენიერი ურთიერთობა აქვს. ■

განსასჯელს მეგობრის დედის მკვლელობისთვის ასამართლებენ

ექსპერტთა თქმით, ქალი მომხრჩვალი იყო

განსასჯელი ხათაშვილი

2002 წლის 13 სექტემბერს, ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცაში, საკუთარ სახლში, შუახნის ცისანა ემანულიძის გვამი იპოვეს. გარდაცვლილს ყელის არეში ძალადობის ნიშნები ეტყობოდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, ცისანა ემანულიძე მოკლული იყო. სავარაუდოდ, ბოროტმოქმედმა იგი მოახრჩო. სიკვდილის უშუალო მიზეზი კი, ექსპერტთა დასკვნით, სასუნთქი გზების გადაკეტვის შედეგად განვითარებული, მექანიკური ასფიქსია იყო.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა და გარდაცვლილის ნათესავებმა შენიშნეს, რომ სახლი გაძარცული იყო. გვამის გამოკვლევის შედეგად კი, ექსპერტებმა დანაშაულის ჩადენის სავარაუდო თარიღიც დაადგინეს. მათი თქმით, მკვლელობა გვამის აღმოჩენამდე ორი დღით ადრე მოხდა.

მომხდარი ფაქტის გამო, ქარელის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ორ დღეში, 15 სექტემბერს, სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილიც დააკავეს. იგი მოკლულის შვილის — თამაზ ემანულიძის მეგობარი აღმოჩნდა.

ეჭვმიტანილმა — ჯუმბერ ხათაშვილმა, რომელიც სხვათა შორის, წარსულში ორჯერ გახლდათ ნასამართლევი (ერთხელ — ყაჩაღობისთვის, ხოლო მეორედ — ქურდობისთვის; მისჯილი ჰქონდა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა 1992 წელს, ამნისტიით გათავისუფლდა), თავდაპირველად, მეგობრის დედის მკვლელობა და მისი ბინის გაძარცვა უარყო. მოგვიანებით, პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში ის წერდა, რომ თავს დამნაშავედ ცნობს და ჩადენილი დანაშაულის შესახებაც დაუფარავად ჰყვებოდა.

გამოძიების მასალების მიხედვით, ქალაქ ზესტაფონში მცხოვრებმა ჯუმბერ ხათაშვილმა სოფელ ქვენატკოცაში, თავის მეგობართან — თამაზ ემანულიძესთან ჩასვლა გადაწვიტა. ამის მიზეზი, როგორც თავად ხათაშვილი აღნიშნავს, ვალები იყო. მისი თქმით, მას საკმაოდ დიდი თანხა დაედო ვალად, გამოუვალ სიტუაციაში იმყოფებოდა, რადგან ამ ფულის გადახდა არ შეეძლო, მეგობრისთვის დახმარების თხოვნა უნდოდა.

თამაზ ემანულიძე მას შინ არ დახვდა. ხათაშვილი იძულებული გახდა, სოფელში დარჩენილიყო და ღამე ემანულიძის დედასთან, გვერდით სახლში მცხოვრებ ცისანა ემანულიძესთან გაეთია. ცისანა ემანულიძე მარტო იყო, მაგრამ შვილის მეგობარი შინ მან უსიტყვოდ მიიღო.

იქ ყოფნისას, ხათაშვილმა სხვადასხვა, ძვირად ღირებული ნივთი შენიშნა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კი, ამ ნივთების ქურდობაც გადაწყვიტა. განიზრახა, ცისანა ემანულიძის საცხოვრებელი სახლი მოპარვაც გაექურდა, მოპარული ნივთები გაეყიდა და აღებული თანხით ვალები გაესტუმრებინა.

მეორე დღეს, დილით ის შინ დაბრუნებულ თამაზ ემანულიძესაც შეხვდა, მასთან ისაუბრა და კვლავ ზესტაფონში დაბრუნდა. რამდენიმე დღეში, ხათაშვილმა განზრახული ქურდობის განხორციელებაც გადაწყვიტა და ამ მიზნით, 2002 წლის 10 სექტემბერს, ზესტაფონი-თბილისის მარშრუტის ავტობუსით, დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის, ქვენატკოცაში ჩავიდა. იგი სახლის ეზოში ჩუმად შევიდა, მაგრამ მეორე სართულის კარი დაკეტილი დახვდა. მაშინ ხათაშვილმა აივნის ქვეშ, ხის სათლელი დანა იპოვა და მისი მეშვეობით, კარიდან მინა ამოიღო. ამ გზით ბინაში შესულ ხათაშვილს ემანულიძის ნივთები ფანჯრიდან გადაჰქონდა და კიბით, პირველ სართულზე ჩაჰქონდა. სწორედ ამ დროს, ხმაურზე, პირველი სართულიდან ცისანა ემანულიძე გამოვიდა. მან ჯუმბერ ხათაშვილი მაშინვე იცნო, იმასაც მიხვდა, თუ რას სჩადიოდა. მაგრამ სანამ ხმის ამოღებას მოასწრებდა, ხათაშვილი სწვდა და ყელში ხელები წაუჭირა. ქალი ძირს დააგდო და არ გაუშვა მანამ, სანამ ამ უკანასკნელმა სული არ დალია. გამოძიების ვერსიით, ხათაშვილი მხოლოდ დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით მოიქცა ასე. როცა დარწმუნდა, რომ ცისანა ემანულიძე უკვე მკვდარი იყო, გვამი მან ოთახში შეიტანა და იქვე, საწოლზე დაასვენა. ამის შემდეგ, ხათაშვილმა ბინიდან ნივთების გატანა განაგრძო. სახლიდან მან ძირითადად, აპარატურა და ტანსაცმელი, მათ შორის — ქრისტესგამოსახულებიანი ხის დიდი ჯვარიც წაიღო.

11 სექტემბრის დილით, ის ზესტაფონში ჩავიდა. ავტოსადგურთან ნაცნობი — ნიკოლოზ ბუცხრიკიძე შეხვდა. უთხრა, რომ ნივთები, რომელიც თან ჰქონდა, მისი იყო. ვალები მაქვს და უნდა გავყიდო, იქნებ დამეხმაროო, — უთქვამს ხათაშვილს, შემდეგ კი, ხის ჯვარი და ქალის ბეწვის ქურქი დაუტოვებია მისთვის. მოპარული ტელევიზორი იქვე შპს „ორბიტსერვისის“ ტექნიკურ ცენტრში მიიტანა და ჩააბარა.

15 სექტემბერს პოლიციელებმა როგორც ბუცხრიკიძის ბინიდან, ასევე „ორბიტსერვისიდან“ აღნიშნული ნივთები ამოიღეს. იმავე დღეს ხათაშვილიც დააკავეს.

გამოძიების პერიოდში, ბრალდებულად დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში **ჯუმბერ ხათაშვილი** წერს:

„...ხმაური რომ გავიგონე, ვიფიქრე, რომ სახლის პატრონი იქნებოდა. გაქცევა დავა-

მოსამართლე — იური ტაბუცაძე

პირე, მაგრამ კიბის ბოლოში ცისანა ემანულიძე დამხვდა და მიცნო. მას ხელი მივარტყი ყელის არეში, დაეცა და ხრიალი დაიწყო. მერე შევიყვანე ოთახში და საწოლზე, გულაღმა დავაწვინე. შევნიშნე, რომ ხელზე მას ოქროს ბეჭედი ეკეთა, მოვხსენი და ნეკა თითზე გავიკეთე. შემდეგ კედლიდან ქრისტეს ხის დიდი ჯვარი ჩამოვხსენი...“

თამაზ ემანულიძე, მოკლულის შვილი:

„...მე ჩემს მეუღლესთან ცალკე, ნაქირავებში ვცხოვრობდი. დედაჩემი კი, სახლში მარტო იყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მასა და ჩემს ცოლს ბოლო დროს ურთიერთობა ძალიან დაეძაბათ. ჯუმბერს კარგად ვიცნობდი, მასთან ვმეგობრობდი. ერთ დილით დავინახე, რომ დედაჩემის სახლიდან გამოვიდა. გამიკვირდა, მან კი მითხრა – შენს სანახავად ჩამოვედი, მაგრამ შინ რომ არ დამხვდი, ღამე დედაშენთან გავათიეო. სახლში შევიპატიჟე, ერთად ვჭამეთ პური. ჯუმბერი მეუბნებოდა – უფულოდ ვარ და ისე მიჭირს, მამაჩემსაც კი არ დავზოგავო. ამის შემდეგ ერთმანეთს დავცილდით.

13 სექტემბერს ეზოში ვმუშაობდი. უცებ, მეზობლის გოგომ დამიძახა და მითხრა – ორი დღეა დედაშენი არსად ჩანს, ეზოშიც არ გამოსულაო. მაშინვე მივატოვე მუშაობა და სახლისკენ წავედი. ოთახში რომ შევედი, დავინახე, საწოლში ვიღაც იწვა, დედაჩემი ვიცანი. მივხვდი, რომ მკვდარი იყო და დავიყვირე...“

ჯუმბერ ხათაშვილს ჩადენილი დანაშაულისთვის პროკურატურამ 109-ე მუხლი – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში – მიუყენა. ამჟამად მას უზენაესი სასამართლო ასამართლებს. ■

ყაჩაღურ თავდასხმას ორი ადამიანი ემსხვერპლა

2003 წლის 25 მარტს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში შარტავების ოჯახს თავს დაესხნენ. თავდასხმის შედეგად, ორი ადამიანი დაიღუპა – ერთი თავდამსხმელი, ხოლო მეორე – შარტავების ოჯახის უფროსი.

წინასწარი ინფორმაციით, გვიან ღამით, შარტავებს ოთხი შეიარაღებული პირი დაესხა თავს. ხმაურზე მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს, თუმცა სროლას ოჯახის უფროსი ვერ გადაურჩა. ის ფეხში დაიჭრა, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და საავადმყოფოში გარდაიცვალა. რაც შეეხება თავდამსხმელს, მისი ვინაობის დასადგენად, სამართალდამცავები მუშაობენ. ამჟამად ის მორგშია დასვენებული. ■

„თბილგაზის“ ოფისიდან ბანდიტებმა დიდი თანხა გაიტაცეს

2003 წლის 24 მარტს, „თბილგაზის“ ცენტრალურ ოფისზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ოფისი მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარეობს. სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში აღიძრა. პროკურატურის ინფორმაციით, თავდამსხმელები ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულები, სახეზე კი ნიღბები ჰქონდათ აფარებული. როგორც ამბობენ, ოფისიდან დიდი რაოდენობით თანხაა გატაცებული. ამავე ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა გატაცებისას გამოყენებული ავტომანქანა საირმის ქუჩაზე დაწვეს და მიიმალნენ. ■

რუსთავის პროკურორმა საოლქო სასამართლოს საჩივრით მიმართა

რუსთავის პროკურორი თამაზ კოღუა რუსთაველი ექიმის – შოთა ვაშაძის მკაცრად დასჯას მოითხოვს. სწორედ ამ მოთხოვნით, მან რამდენიმე დღის წინ საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს. ექიმი შოთა ვაშაძე რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2002 წელს მომხდარი ფაქტის გამო გაასამართლა. პროკურატურა ვაშაძეს ცოფით დაავადებულ, 6 წლის ოთარ (ოთიკო) ბურდულაძის გარდაცვალებაში ადანაშაულებს. იგი ბრალდებულის კანონის შესაბამისად დასჯასა და მისთვის სამედიცინო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას მოითხოვს. ბრალდების თანახმად, ექიმმა ავადმყოფ ბავშვს სათანადო დახმარება არ აღმოუჩინა, რამაც ამ უკანასკნელის სიკვდილი გამოიწვია.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ექიმ შოთა ვაშაძეს პირობითი სასჯელი შეუფარდა. პროკურატურა კი მიიჩნევს, რომ განაჩენი უკანონოა და მის გადამოწმებას თბილისის საოლქო სასამართლოსგან მოითხოვს. ■

სამუდამო პატიმრობამისჯილმა ციხეში გვირაბი გათხარა

ამ რამდენიმე დღის წინ, თბილისის სასჯელთაღსრულების №5 საპყრობილეში გვირაბი აღმოაჩინეს. როგორც ამბობენ, ის დაახლოებით 1 მეტრი სიგრძის იყო. მისი გათხრა კი თურმე სამუდამო პატიმრობამისჯილმა მალხაზ ქებაძემ გადაწყვიტა.

მალხაზ ქებაძე 21 წლის გახლავთ. წელს ის უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა და 2001 წელს ჩადენილი დანაშაულისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ზესტაფონის რაიონში მცხოვრებმა მალხაზ ქებაძემ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა – მან საკუთარი ორი ბიძაშვილი განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მოკლა.

სამართალდამცავთა ცნობით, ქებაძემ 2003 წლის 6 იანვარს, ციხეში. კერძოდ, №1 საპყრობილეში ყოფნისას, კიდევ ერთი ადამიანის – უსაფრთხოების ინსპექტორის მოკვლა სცადა. ამის გამო, ის №1-იდან №5 საპყრობილეში გადაიყვანეს და როგორც ამბობენ, ნახევარსარდაფის ტიპის საკანში გამოკეტეს. საკანში ქებაძე მარტო იჯდა, ბოლო დროს კი ავადმყოფობას იმიზეზებდა და იქიდან გარეთ – ციხის ეზოშიც კი არ გადიოდა. სამართალდამცავთა თქმით, პატიმარი იმ პერიოდში გვირაბს თხრიდა. ეს ფაქტი თავად ქებაძემაც დაადასტურა და აღნიშნა, რომ ამას ის გაქცევის მიზნით, მარტო აკეთებდა. ■

თბილისის ზღვაზე დამხრჩვალი გოგონები, „ოკრიბასთან“ კი — მოკლული მამაკაცის გვამი იპოვეს

2003 წლის 22 მარტს, თბილისის ზღვიდან, საგანგებო სიტუაციების სამმართველოს თანამშრომლებმა ჩაძირული, ვერცხლისფერი „მერსედესი“ ამოიღეს. მანქანაში ორი დამხრჩვალი გოგონა იპოვეს. სავარაუდოდ, ორივე 20 წლისაა.

წინასწარი ინფორმაციით, „მერსედესი“ ზღვასთან ახლოს იყო გაჩერებული, მაგრამ მოულოდნელად დაგორდა. მასში ოთხი ადამიანი იჯდა. ორმა, დაგორებული მანქანიდან გადახტომა მოასწრო, გოგონები კი, „მერსედესთან“ ერთად, ზღვაში გადაცვივდნენ.

მომხდარ ფაქტს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველო იძიებს.

იმავე დღეს, თბილისში, ავტოსადგურ „ოკრიბას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, კიდევ ერთი გვამი აღმოაჩინეს. იგი ავტომანქანა „ნივაში“ იპოვეს. როგორც გაირკვა, გარდაცვლილი, ვინმე ლევან კაჭახიძეა.

წინასწარი დათვალიერებისას, სამართალდამცავებმა ავტომანქანაში რაიმე სახის იარაღი ვერ აღმოაჩინეს. დადგინდა, რომ მანქანა თავად აწ გარდაცვლილს ეკუთვნოდა. რაც შეეხება სიკვდილის მიზეზს — ექსპერტთა თქმით, ის კისერზე განხორციელებული ზეწოლით გამოწვეული ასფიქსია გახლავთ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ლევან კაჭახიძე მოკლეს. მკვლელობის ვერსიას, გვამზე დაფიქსირებული სხვა დაზიანებებიც და გარდაცვლილის მდგომარეობაც ადასტურებს. კერძოდ ის, რომ გვამი მანქანაში ნახევრად შიშველი და სველი იპოვეს.

ექსპერტების თქმით, გარდაცვლილს სახის, კისრისა და ტერფის არეში ბლაგვი საგნით მიყენებული არაერთი დაზიანება აღენიშნება. მკვლელობის მიზეზსა და დამნაშავეთა ვინაობას ამჟამად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა არკვევს. ■

უგრალო შელაპარაკებას ტრაგედია მოჰყვა

2002 წლის 28 ივნისს, ქალაქ ლანჩხუთში, ასკურავას ქუჩაზე მომხდარ ჩხუბს მამა-შვილის — თეიმურაზ და ედემ ართმელაძეების სიცოცხლე შეეწირა. პროკურატურის ინფორმაციით, ისინი 22 წლის დავით გორგილაძემ დანით სასიკვდილოდ დაჭრა.

2002 წლის 28 ივნისს დავით გორგილაძეს ნასვამ თეიმურაზ ართმელაძესთან შელაპარაკება მოუხდა. ჩხუბის მიზეზი, როგორც გაირკვა, ჯართის დამზადება იყო. ისინი იქვე მყოფმა პირებმა — თენგიზ უგრეხელიძემ, ვასილ კოვზირიძემ და იოსებ გოგუაძემ მაშინვე გააშველეს. მოჩხუბრები დაიშალნენ და თავ-თავიანთი გზით წავიდნენ.

იმავე დღეს, ღამის ორის ნახევარზე განაწყენებულმა თეიმურაზ ართმელაძემ შვილის — ედემ ართმელაძისა და მეზობლის — მიხეილ თევზაძის თანხლებით, დავით გორგილაძეს შინ მიაკითხა. გორგილაძე მათ გარეთ გამოიხმეს. ედემი და დავითი სასაუბროდ ოდნავ მოშორებით, მეზობლის — ალექსანდრე მგელაძის საცხოვრებელ სახლთან მივიდნენ. დავითი იქვე, სკამზე ჩამოჯდა, ხოლო ედემი ფეხზე იდგა. ამ უკანასკნელმა გორგილაძეს, მამამისთან ჩხუბის გამო უსაყვედურა, მას დავითიც შეეპასუხა და მალე, კამათი ერთმანეთის ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ჩხუბში ედემის მამა — თეიმურაზ ართმელაძე და მიხეილ თევზაძეც ჩაერივნენ. გამოძიების თანახმად, ამ დროს გორგილაძემ ჯიბიდან თვითნაკეთი, ორლესული დანა ამოიღო და ედემს გულმკერდის არეში ჩაარტყა. მან იგივე დანა თეიმურაზ ართმელაძესაც მოუქნია, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელი აიფარა. მაშინ გორგილაძემ მას მეორედ ჩაარტყა იარაღი. ამჯერად, დანა თეიმურაზ ართმელაძეს ბარძაყში მოხვდა და არტერია დაუზიანა. მამა-შვილი ადგილზე გარდაიცვალა.

დავით გორგილაძე სამართალდამცავებმა დააკავეს. ჩადენილი დანაშაულისთვის მას უზენაესი სასამართლო გაასამართლებს. ■

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ბავშვი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

ყაჩაღებმა მოხუცს ნამეგობით ამოხადეს სული

სახლის პატრონი ჯერ სიგარეტით დაწვეს, შემდეგ კი დანით დასერეს

ძმებს — ლევან და ბესიკ ტყებუჩავებს, გოჩა ლათითაშვილს, მიხეილ რატიანსა და მერაბ მუმლაძეს პროკურატურა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ, განზრახ მკვლელობასა და ყაჩაღობაში ადანაშაულებს. ბრალდების თანახმად, ისინი გაძარცვის მიზნით, გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრები კაზუმ გაჯიევის ოჯახს დაესხნენ თავს. გამოძიების ვერსიით, ამ ოჯახიდან მათ 30.000 ამერიკული დოლარის, ძვირფასეულობისა და სხვა ნივთების გატაცება სურდათ. როცა დანაშაულის ჩასადენად მისულებს, შინ მყოფმა კაზუმ გაჯიევმა წინააღმდეგობა გაუწია, ეს უკანასკნელი მათ ჯერ საშინლად აწამეს, შემდეგ კი ცემით მოკლეს.

საქმის მასალების მიხედვით, 2000 წლის აგვისტოში, მიხეილ რატიანმა, ვინმე ვახტანგ ბუაძის დახმარებით, თანამზრახველები მოძებნა და მათთან ერთად, დასაყაჩაღებელი გეგმა შეიმუშავა. კაზუმ გაჯიევის ოჯახის შესახებ ინფორმაცია მას იმავე სოფელში მცხოვრებმა ერთ-ერთმა პირმა მიაწოდა; ისიც უთხრა, რომ გაჯიევები ლილოს ბაზრობაზე ვაჭრობდნენ. სწორედ ამიტომ, დამყაჩაღებლებმა დანაშაულის ჩასადენად კვირა ღამე შეარჩიეს, რადგან ამ დროს, შინ მხოლოდ მოხუცები და მცირეწლოვანი ბავშვები იქნებოდნენ.

ტყებუჩავები და მათი თანამზრახველები 9 მმ-იანი კალიბრის თვითნაკეთი რევოლვერით შეიარაღდნენ, თუმცა ესეც არასაკმარისად ჩათვალეს და გამოძიებით დაუდგენელი პირისგან — ვინმე გოჩასგან, კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი შეიძინეს. მათ წინასწარ, გამჭვირვალე წებოვანი ლენტები — ე.წ. „სკოჩი“, ბაწარი, ნიღბები და დანებიც მოიმარაგეს. სოფელ ყარაჯალაში ნაცნობის — ბექა მიქაიას ავტომანქანით ჩავიდნენ. ღამის 2-3 საათისთვის, ისინი უკვე სოფლის სასაფლაოსთან იმყოფებოდნენ. მიქაიას, იქვე გააჩერებინეს მანქანა, თავად კი, გაჯიევების სახლისკენ გასწიეს, ღობეს გადაახტნენ და ეზოშიც შეაღწიეს. წინასწარ განაწილებული როლების თანახმად, სახლში პირველი ბესიკ ტყებუჩავა შევიდა.

პირველ სართულზე ოჯახის უფროსს — კაზუმ გაჯიევს ეძინა. ბოროტმოქმედებმა მას იარაღის მუქარით, ფული მოსთხოვეს. როცა გაჯიევმა უარით უპასუხა, ისინი ცემაზე გადავიდნენ. მიუხედავად ამისა, სახლის პატრონი ფულისა და ძვირფასეულობის გადაცემაზე ვერ დაითანხმეს. მაშინ მათ, გაჯიევს ბაწრით შეუკრეს ხელ-ფეხი, პირი „სკოჩით“ აუკრეს და სხეულზე ანთებული სიგარეტის არაერთხელ მიდებით, მას ხელები დაუწვეს. პირაკრული გაჯიევი ვერ ყვიროდა, წინააღმდეგობის გაწევის უნარიც დაკარგა, მაგრამ ესეც არ აკმარეს და სხეულის სხვადასხვა ადგილი დანით დაუსერეს. ბოლოს, ხელები და ფეხები ურტყეს, რის შედეგადაც, გაჯიევს ტვინში სისხლი ჩაექცა და იქვე გარდაიცვალა.

ბოროტმოქმედებმა სახლიდან 11.000 ამერიკული დოლარი, 150 ლარი, ძვირფასეულობა, დოკუმენტები და ძვირად ღირებული ქურქები გაიტაცეს. ნიღბები იქვე, ეზოში დაყარეს და შემთხვევის ადგილიდან ისევ მიქაიას ავტომანქანით მიიმალნენ.

გამოძიების თანახმად, მიქაიამ კარგად იცოდა, თუ რისთვის მიდიოდნენ ტყებუჩავები და მათი თანამზრახველები გაჯიევების ოჯახში. ის მათ დანაშაულის ჩადენის პერიოდში, სასაფლაოსთან მანქანით ელოდებოდა. ამავე ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა გაჯიევების ოჯახს სულ 23.499 ლარის ოდენობის ზარალი მიაყენეს.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, კაზუმ გაჯიევის სხეულზე დაფიქსირებული ყველა დაზიანება სიცოცხლის დროინდელია. სიკვდილის მიზეზი კი, ტვინში სისხლჩაქცევა, რომელიც სავარაუდოდ, გაჯიევმა მაშინ მიიღო, როცა მას თავში რევოლვერის ტარი ურტყეს.

ძმებ ტყებუჩავებს, რატიანს, ლათითაშვილსა და მუმლაძეს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში, ყაჩაღურ თავდასხმაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვაში, ტარებასა და გადაზიდვაში და დოკუმენტების გატაცებაში ედებათ ბრალი. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ხსენებულ პირებს საკმაოდ მკაცრი სასჯელი ელით. რაც შეეხება ვახტანგ ბუაძეს, პროკურატურა მას მძიმე დანაშაულის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეუტყობინებლობისთვის ადანაშაულებს. გამოძიება ბრალს სდებს სოფელ ყარაჯალაში მცხოვრებ პენსიონერ გაჯიევსაც, რომელმაც ბოროტმოქმედები დანაშაულის ჩადენისკენ წააქეზა. ■

რუბრიკა მოამზადა
მეგი ცანავამ

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

ჩერნიშევსკი ბაყურაძეებისს...

ეს ამბავი ამ ოცდაოდე წლის წინ მოხდა და დღემდე, მხოლოდ ორი კაცის საიდუმლოდ რჩებოდა. რაკიღა საიდუმლოს ფასი დაეკარგა, გახუნდა, ამ ორიდან ერთ-ერთმა ტაბუ მოხსნა და მიამბო — ისეთი კვიმატი და სალალობო ამბავია, დაწერე, დაბეჭდე და ამ გაჭირვებულ ყოფაში ხალხი მცირე ხნით მაინც გაამხიარულე — მადლი იქნებაო...

ჯაბა ლეონიძე

კახა ყიფიანი და ზაზა ბაკურაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ კურსზე, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ. II კურსს ამთავრებდნენ, საგაზაფხულო გამოცდების დაწყებას ბევრი არაფერი აკლდა, როცა ზაზას ბაბუა გარდაეცვალა, ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. წავიდა ზაზა სოფელში, უკანასკნელ გზაზე გააცილა ბაბუა და ერთი კვირის შემდეგ, შავ პერანგში გამოწყობილი დაბრუნდა თბილისში. თუმცა, სახედახოკილსა და მთელი კვირის ნამტირალევს დიდად არ ჰგავდა: კალისტრატე ბაკურაძე ოთხმოცდაათს მიტანებული მოხუცი იყო და როგორც იტყვიან ხოლმე, ნეტავ, ჩვენც გვაცოცხლა ამდენი ხანიო, — ფიქრობდნენ მისი შთამომავლები...

კახა და ზაზა ყველა ლექცია-სემინარზე ერთად ისხდნენ და იმ დღესაც, რუსული ლიტერატურის კათედრის სპეციალურ აუდიტორიაში სემინარზე ჩვეულებისამებრ, ერთად ისხდნენ. კახა ფიქრებში იყო წასული — თითქოს დიდი გულისყურით უსმენდა ლექტორს, — მაგრამ მოულოდნელად, ზაზამ ხელი ჰკრა და გამოაფხიზლა. გაკვირვებულმა შეხედა მეგობარს. ზაზა აუდიტორიის მარჯვენა კედელს მიშტერებოდა და მზერით ანიშნებდა კახას — შენც იქით გაიხედეო. კახამ მის მზერას გააყოლა თვალი და მიხვდა: რუსი კლასიკოსების კედელზე გამოფენილ პორტრეტებზე ანიშნებდა მეგობარი.

— რა მოხდა, ბიჭო? რას გაშტერებულხარ? პირველად ხედავ მაგ სურათებს? — გაკვირვებული შეეკითხა კახა.

ზაზამ უცებ ჯიბიდან სურათი ამოიღო: ეს ბაბუაჩემის — კალისტრატეს სურათიაო, — და მუხლებზე დაუდო.

— ჩერნიშევსკის დააკვირდი, ბიჭო, ჩერნიშევსკის! რავა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ბაბუაჩემს, ეგ ჩემი ცოდვით სავსე. შეხედე, ალი-კვალი კალისტრატეა. ნეტავი, გერონტია ბაკურაძის ნაბუშარი ხომ არ იყო, ა? ხომ იცი — სჩვევიათ ქართველებს რუსეთში ბუშების დატოვება, — სიხარულს ვერ ფარავდა ზაზა.

კახა გაოცებული უცქერდა ხან ერთ და ხან მეორე სურათს. კალისტრატე ბაკურაძე მართლა ჩერნიშევსკის ორეული იყო. ასეთი მსგავსება არსად ენახა — სახის მოყვანილობა, ნაკვთები, გამოხედვაც კი... ამას ისიც ერთვოდა, რომ ორივეს, ძველებური კიტელი ეცვა და — ჰოი, საოცრებავ! — პენსნეც კი ერთნაირი ეკეთა... რუს კლასიკოსსა და გურულ გლეხს ჭაღარა, ერთნაირწვეტიანი წვერიც ამშვენებდათ (აი, წვერცანცარას და თხა-წვერას რომ ეძახიან, ისეთი).

აუდიტორიიდან რომ გამოვიდნენ, ზაზამ მეგობარი განზე იხმო და უჩვეულო იდეა გაუზიარა: ბებიაჩემმა სოფლიდან ბაბუის სურათი და 50 მანეთი გამომატანა; მთხოვა — ორმოცისთვის გაადიდებინე და ჩამომიტანეო; მოდი, ძმაო, ჩერნიშევსკის სურათი „დავითრიოთ", ჩავიტან სოფელში და თალიკო ბებია კი არა, ბაბუაჩემის მამა — გერონტი რომ ადგეს საფლავიდან, ის ვერ გაარჩევს, კალისტრატეს სურათია ეგ თუ ჩერნიშევსკისაო... ცხადია, 50 მანეთი ბიჭებს დარჩებოდათ — 50 მანეთით კი, იმ დროს, ორჯერაც მოულხენდა ორი სტუდენტი სახინკლეში...

რუსი მწერლის სურათის აუდიტორიიდან გაქრობა კახამ იკისრა, რადგან ზაზას უფრო „მჩატე" კაცის სახელი ჰქონდა სტუდენტებშიც და პროფესორ-მასწავლებლებშიც და შეიძლებოდა, მასზე ეჭვი აეღოთ...

მეორე საღამოს, შეიპარა კახა რუსულის აუდიტორიაში, ჩამოხსნა ჩარჩო, გამოაძრო სურათი, დაახვია, ქურთუკის უბეში დამალა და ცარიელი ჩარჩო დააბრუნა კედელზე. მერე, სურათის ზომის ჩარჩო იშოვეს და კალისტრატე ბაბუის ორმოცამდე, კვლავ საგულდაგულოდ დამალეს.

კი ატყდა ერთი ამბავი რუსულის კათედრაზე, ლამის იყო, მთელი თვე ეძებდნენ კლასიკოსის სურათს, სტუდენტებიც დაჰკითხეს, მაგრამ ვერაფრით მიაგნეს და რაღას იზამდნენ? — ხელი ჩაიქნიეს, „ახალი ჩერნიშევსკი" იშოვეს, ჩარჩოში ჩასვეს და თავის ადგილზე დააბრუნეს.

ამასობაში კი, ზაზამ და კახამ ორმოცზე ჩაუტანეს „ქმრის სურათი" თალიკო ბებიას... ჩაიკრა, ჩაეკონა ჩერნიშევსკის თალიკო ბებია და მთელი ხმით დაიწყო მოთქმა: ჩემი კალისტრატე ჩამომივიდა! ნახეთ, ხალხო, რა ლამაზი ქმარი მყავდა, როგორი კალმით დახატული! ნახეთ, ჩემი შეკერილი კიტელი როგორ უხდება, ამას ენაცვალოს მისი თალიკოო!..

თვალისჩინს ნამდვილად არ უჩიოდა თალიკო ბებია, მაგრამ წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ კალისტრატეს სურათი არ იყო, ასე მხურვალედ რომ იხუტებდა... რაღა მოხუცი ბებია? — ორმოცზე, 100-ზე მეტმა ნათესავ-ახლობელმა და მეზობელმა მოიყარა თავი ბაკურაძეებისას და კაცი არ დაეჭვებულა, რომ სასაფლაოსკენ მიმავალ პროცესიას, ჩერნიშევსკის სურათი მიუძღოდა წინ...

10 წელი იცოცხლა თალიკო ბებიამ ამ ამბის შემდეგ, ყოველ საღამოს ჩამოხსნიდა ხოლმე ჩერნიშევსკის პორტრეტს, მუხლებზე დაიდებდა, ცხვირსახოცით გადაწმენდდა და ისევ კედელზე დააბრუნებდა, თან ჩუმი ხმით წაუტირებდა ხოლმე... საფლავში ისე ჩავიდა, სიმართლე არ გაუგია — ანდა, ვინ ეტყოდა? ზაზა ხომ, ვერც გაუბედავდა თავისი ოინის გამჟღავნებას...

ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ბაკურაძეების ოჯახში დღემდე კიდია ჩერნიშევსკის დიდი სურათი. კალისტრატე ბაკურაძის შვილიშვილები და შვილთაშვილები აზრზე არ არიან, რომ იმ კაცს, კედლიდან რომ გადმოსცქერის, მათ ოჯახთან საერთო არაფერი აქვს; ცხადია — არც თალიკო ბებიასთან, რომლის იმავე ზომის სურათიც ჩერნიშევსკისგან მარჯვნივ კიდია.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ალბათ ჩამოხსნიან ბაკურაძეები რუსი კლასიკოსის პორტრეტს, ნაღდი კალისტრატე ბაკურაძისას გაადიდებენ და ერთგული მეუღლის სურათის გვერდით დაკიდებენ... ■

ფული ხომ ხელის ჭუჭყია

ანუ სად არის „ის“ ფული?!.

ფულები არის ჩვენი გამხარებელია, — კმაყოფილი ღიღინებს ძია მაკარი (ხომ გახსოვთ „ქეთო და კოტე“?) და სეიფს ნიკოლოზისგამოსახულებიანი ბანკნოტებით ავსებს, მაგრამ თავისი ოცნების ასრულებას — მოხვდეს უმაღლეს საზოგადოებაში, ფულითაც ვერ ახერხებს და ხსნის ერთადერთ გზას, თავის ქეთოში ხედავს...

დღეს აღარც თავადობაა და თუ ფული გაქვს, აღარც ქეთის გასხვისებაზე „ტენდერია“ საჭირო ე.წ. ელიტაში ადგილის დასამკვიდრებლად. მით უმეტეს, რომ მაშინდელი „ქარვასლის ვირთხებს“, დღეს კომერსანტები და ბიზნესმენები ჰქვიათ.

ფული ქალალდის პატარა ფურცელია, რომელსაც იმდენი ბედნიერებისა თუ უბედურების, სიკეთისა თუ ბოროტების მოტანა შეუძლია, რომ თავისი უნივერსალურობის გამო, ხშირად გამხდარა დავის, დაპირისპირებისა და ბრძოლის მიზეზი. მაშ, არის თუ არა ფული ხელის ჭუჭყი, რომლისგანაც, რაც შეიძლება, მალე უნდა „განიწმინდო“ და ვინ განაგებს მრავალნულიან თანხას, რომელიც პარალიზებული ქვეყნის რეანიმაციას ესაჭიროება?

ავთო მარგველაშვილი

რომან გოცირიძე, *პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:*

— სამწუხაროდ, ძალიან შორს ვარ სიმდიდრისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ქართული სტანდარტებითაც კი, საშუალო ფენას განვეკუთვნები.

— რა იცით სიმდიდრისა და ფუფუნების შესახებ?

— ვიცი ის, რომ თუ გინდა გახდე მდიდარი და ძალიან მოინდომებ, გახდები კიდეც. მთავარია ორი რამ: პირველი — ნამუსზე ხელის აღება, მეორე — რისკი. თუმცა, ისეთიც ბევრია, ვისაც არ სურს გამდიდრება კორუფციის გზით.

— იქნებ, სიღარიბეზეც გსმენიათ რამე?

— კი, მსმენია... გამდიდრებისაგან განსხვავებით, ჩვენში მდიდრის გაღარიბება უფრო შეუძლებელია, რადგან თანდაყოლილი იმუნიტეტი აქვს და სიღარიბის ბაცილა არ ეკარება...

— საკუთარ თავზე თუ გამოგიცდიათ სიღარიბე?

— ყველაზე ღარიბი ვიყავი 1992 წლის ოქტომბერში, როცა ვიცე-პრემიერის პოსტიდან გადავდექი. რამდენიმე წელი, მეუღლის ბინაში ვცხოვრობდი და ბენზინის ფულიც კი არ მქონდა. არადა, მაშინ ბევრი გამდიდრდა... ბოლო 5 წელი კი, საკმაოდ ნორმალურად ვცხოვრობთ, რადგან ბევრი შეკვეთა მომდის უცხოეთიდან, ანალიტიკურ გამოკვლევებზე.

— ფული მართლა ხელის ჭუჭყია?

— არავითარ შემთხვევაში. ფული ერთერთი ყველაზე დიდი გამოგონებაა, რომელიც ამარტივებს და რაციონალურს ხდის ცხოვრებას.

— რა სიამოვნებაში ხარჯავთ ფულს დაუნანებლად?

— ვერ ვიტყვი, რომ დიდი სიამოვნებით ვხარჯავ ფულს. ბევრი ფული უნდა გქონდეს, რომ ადვილად ხარჯო. ისე კი, ყოველთვის მიყვარდა წიგნის ყიდვა. კომუნისტური მმართველობის დროს, ბედნიერება იყო, თუ რაიმე განსაკუთრებულ წიგნს ჩაიგდებდი ხელში. ახლა ყველაფერი ხელმისაწვდომია, მაგრამ საზოგადოებამ ინტერესი დაკარგა წიგნის მიმართ.

— რამდენად წყალობთ მათხოვრებს, რომლებიც პარლამენტის შესასვლელშიც ბლომად არიან?

— ნამდვილ მათხოვარს ყოველთვის ვწყალობ. ასეთები ძირითადად, ქუჩებსა და ეკლესიებში გხვდებიან, რაც შეეხება პარლამენტთან მდგომ მათხოვრებს — ისინი პროფესიონალი თაღლითები უფრო არიან, ვიდრე გაჭირვებულები, დეპუტატებმაც ისწავლეს ხერხი და ახლა, უფრო ხშირად, გვერდითი შესასვლელებით სარგებლობენ, ამიტომ მათხოვრები ორიენტირებულები არიან უცხო მომსვლელებზე, რომლებმაც ჯერ არ იციან იქაური სიტუაცია. რომ იცოდეთ, როგორი ხელჩართული ბრძოლა აქვთ ხოლმე ადგილის გამო!..

— იქნებ, ისიც მითხრათ, რამდენია თქვენი ყოველდღიური ჯიბის ფული?

— დაახლოებით იმდენი, რამდენიც მოულოდნელობებისაგან დამაზღვევს: მობილურის მონობარათი რომ ამომეწუროს ან ბენზინი გამითავდეს... ბოლოს და ბოლოს, ქართველები ვართ და მანდილოსანი რომ დაპატიჟო კაფეში, დაახლოებით 100 ლარი გინდა...

— რაში ხედავთ იმ ნიჭიერი ახალგაზრდების ხსნას, რომლებსაც უფულობამ ყოველგვარი პერსპექტივა მოუჭრა?

— ძალიან მცირე ნაწილს ეძლევა შანსი უცხოეთში წასვლისა, თუმცა იქაც ძნელია მუშაობისა და სწავლის შეთავსება. ამიტომ ცდილობენ, ადგილზე გამონახონ მცირე შანსი მაინც. არსებობს გაცვლითი პროგრამები, გრანტები, ჰუმანიტარული პროგრამები...

— ესეც ხომ ერთეულებისთვისაა ხელმისაწვდომი?

— გეთანხმებით, მაგრამ თუ კომპიუტერი ფუფუნებაა, წიგნი არ არის მიუწვდომელი. მერწმუნეთ, ნიჭიერ კაცს წიგნითაც შეუძლია აჯობოს კომპიუტერს. ისე კი, რა თქმა უნდა, რთული მდგომარეობაა. მსოფლიოს უამრავი სხვა ქვეყანაც ყოფილა ამ დღეში და იცით, სწორედ ამ დროს გამოვლენილან დიდი ვარსკვლავები სხვადასხვა სფეროში...

— რამდენად მისაღებად მიგაჩნიათ ფულის გადანაწილების დღევანდელი ფორმა?

— ეს არის უსამართლობის ყველაზე დიდი გამოვლინება. შეუძლებელია, 10 წელიწადში ისე გამდიდრდეს ან ისე გაღარიბდეს ხალხი, როგორც ჩვენში მოხდა. ეს კორუფციის შედეგია. არ უნდა გვყავდეს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



არც ასეთი მდიდრები და არც ასეთი ღარიბები. ეს არის ფულის გადანაწილების ველური მექანიზმის შედეგი.

— რამდენად იმედიანად უყურებთ მომავალ არჩევნებს და გჯერათ თუ არა, რომ ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს?

— სიმართლე გითხრათ — ნაკლებად. სწორი არჩევანის გაკეთება მომზადებულ ამომრჩეველს შეუძლია, ჩვენში კი, იგი ცრუპენტელებს უფრო წყალობს, რადგან ტკბილი ტყუილი ურჩევნია მწარე სიმართლეს.

ვიტალი ხაზარაძე, *საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე:*

— არა მგონია, ჩემისთანა კაცი მდიდრად ჩაითვალოს საქართველოში, მაგრამ ოჯახის შენახვა არ მიჭირს... არასოდეს მიფიქრია სიმდიდრეზე, არც ფუფუნებაში ცხოვრებაზე მიოცნებია. ვინც მიცნობს, ეს იცის კიდეც. სიღარიბეზე უფრო მეტი შემიძლია ვთქვა: დღეს აუტანელ მდგომარეობაშია ხალხი. გულზე და ხასიათზე უარყოფითად პირდაპირმოქმედია ამის დანახვა. არ შეიძლება, ამ დროს კაცი გამდიდრებაზე ფიქრობდეს...

— ანუ ფული ხელის ჭუჭყია, არა, ბატონო ვიტალი?

— ეს ხატოვანი გამოთქმა უფროა, ვიდრე აფორიზმი. ფულს აქვს ორი ფუნქცია: ეს არის ფინანსური რესურსი, რომელსაც შეუძლია სიღატაკის დაძლევა, და საშუალება, რომლითაც ბევრი სიკეთის გაკეთება შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, სწორად იქნა გამოყენებული...

— მერე რამდენად სწორად ხდება დღეს მისი გამოყენება?

— შედეგებს თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ნაკლებეფექტურად.

— რაში არ გენანებათ ფულის დახარჯვა?

— იცით, არასოდეს მქონია სწრაფვა ძვირფასეულობის შეძენისაკენ. რაც შეეხება ოჯახის წევრების ნორმალურად ჩაცმას — ეს ყოველთვის აუცილებლად მიმაჩნდა. მით უმეტეს, თუ კაცი თანამდებობაზე მუშაობ, ელეგანტურად უნდა გამოიყურებოდე. განსაკუთრებულ მოდებზე არ გვაქვს გართულება...

— მოწყალებასაც ხშირად იღებთ თქვენს სამსახურთან მჯდომ ღატაკებზე?

— სამწუხაროდ, პარლამენტთან და კანცელარიასთან ვინც იყრის თავს, იმათ ღატაკებსა და მათხოვრებს ვერაფრით ვუწოდებ: მათთვის ეს ბიზნესია. მართლა უმწეოს, რა თქმა უნდა, ვეხმარები. იმათ კი, გამომძალველები ჰქვიათ და მეტი არაფერი. პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაში გაყენებენ. თანაც, ერთ ლარს კი არ სჯერდებიან!..

— ეი. თქვენს ჯიბეს საგრძნობლად აზარალებენ ის „გამომძალველები“. თუ საიდუმლო არ არის, რამდენი გიდევთ ყოველდღიურად ჯიბის ფულად?

— ყოველდღიურად ფული არც მეხარჯება, მაგრამ ჯიბეში 100-150 ლარი მაინც მიდევს ხოლმე. კვირაში 80-100 ლარი მყოფნის. თვეში, ჯიბის ფულად 300 ლარი თუ დამეხარჯება.

— მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღევანდელ საქართველოში უფულოდ ყველაფერი შეუძლებელია: შვილის აღზრდა, კარგი განათლების მიღება, ნორმალური სამსახურის შოვნა...

— უკვე აღარ არის მთლად ასე. საბაზრო ეკონომიკის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლამ ფასი დაადო პროფესიონალიზმს. თუ მანამდე, მეგობრობით, „ზემოდან“ დარეკვით, ახლობლობით შეიძლებოდა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურაში ვინმე დანიშნულიყო, ეს ყოველთვიურად ქრება, ყავლი გასდის და ჩვენს ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ, ნაცნობობის გარეშეც დაიწყონ მუშაობა. ეს აძლევს მათ რწმენას, რომ მათაც შეუძლიათ ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. თუ კაცი მონდომებული და ნიჭიერია, მის ნიჭიერებას წინ ვერაფერი აღუდგება.

— როდის ან როგორ გამოსწორდება ჩვენი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა? მოგეხსენებათ, საშუალო ფენა თითქმის აღარ არსებობს და სიღატაკის ზღვარზეა მისული.

— უდავოდ, საშუალო ფენის ჩამოყალიბებების პროცესი ძალიან გაიწელა საქართველოში და ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა: 90-იანი წლების პირველი პერიოდი, სამოქალაქო ომი და სხვა... იმარჯვა ძალამ და არა ხელისუფლებამ. ახლა, მოწესრიგება მიმდინარეობს და საშუალო ფენაც თანდათან ყალიბდება, რაც იქნება ქვეყნის სტაბილურობის გარანტი. სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი აზრი მაქსიმალურად უნდა დაუპირისპირდეს ოლიგარქიული მართვის მოსვლას ხელისუფლებაში.

— ეს ყველაფერი ძირითადად, არჩევნებზე იქნება დამოკიდებული. რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ ამას?

— უპირველესად, უნდა მოხდეს ცვლილებები საარჩევნო კოდექსში და, რაც მთავარია, საარჩევნო სიების ობიექტური შედგენა. ამის მერე უნდა შემოვიღოთ ამომრჩევლებზე რაღაც ნიშნის დადება, თითზე ან ხელზე. თუ ეს ყველაფერი მოხდა, მერე უნდათ, პირადობის მოწმობებზე იმამაძაღლონ — მაინც არაფერი გამოუვათ. ასეთ შემთხვევაში შედგება მართლა დემოკრატიული არჩევნები და ხალხიც გააცნობიერებს, რომ მის ხმას ფასი აქვს...

სანდრო ბრეგაძე, *ფრაქცია „აღორძინების“ წევრი:*

— არ ვიცი, როგორია საზოგადოებრივი აზრი ჩემ შესახებ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მდიდარი ნამდვილად არა ვარ. უფრო, საშუალო ფენას წარმოვადგენ. საზოგადოებას ხშირად, გადამეტებული წარმოდგენა ექმნე-

ფრაზა

გენიალური

ფული იგივეა, რაც სექსი: თუ არა გაქვს, სხვაზე ვერაფერზე ფიქრობ, თუ გაქვს — მის გარდა, ყველაფერზე.

დ. ბოლდუინი

ქეთი დოლიძე

თათული დოლიძე



ოთარ კობერიძე

რეზო ესაძე

ბა ხოლმე.

— არც გამოგიცდიათ სიმდიდრე?

— წამიკითხვას, მინახავს, გამომიცდია კიდეც: ვთქვათ, ფეშენებელურ იახტაზე, სასტუმროში ვყოფილვარ, მაგრამ სხვისი მიწვევით; თვითონ არასოდეს მქონია ამის საშუალება.

— სიღარიბეზე რას გვეტყვით?

— იყო ჩემი ოჯახის ცხოვრებაში პერიოდები — 1992-დან 1997 წლამდე, როცა სერიოზული ფინანსური პრობლემები გვქონდა...

— ეთანხმებით თუ არა გამოთქმას — „ფული ხელის ჭუჭყია“?

— ალბათ კი, იმიტომ, რომ მაქსიმალურად ხშირად ვცდილობ, მოვიცილო. უფრო სწორად — ჩემდა უნებურად, მალ-მალე მითავდება ხოლმე...

— რაში ხარჯავთ ფულს დაუნანებლად?

— ბავშვების საჩუქრებში ფული არასოდეს დამნანებია. თუ ჯიბეში მაქვს 100 ლარი, შეიძლება 90 ლარი საჩუქრებზე დავხარჯო.

— რამდენად გულუხვად ეხმარებით გაჭირვებულებს?

— ეს იმათ ჰკითხეთ: ყოველთვის დიდი ჟრიამულით მხვდებიან... ერთხელ, მართლა არ მქონდა ფული და გვარები დავუსახელე — იმათ მოსთხოვეთ, ბევრი აქვთ-მეთქი. იცით, რა მითხრეს? — რაც მეტი აქვთ, მით უფრო „კრიჟანები“ არიანო. ხელფასის დღეებიც იციან და კართან მხვდებიან ხოლმე. განსაკუთრებით ბავშვები მეცოდებიან და უნდა ვაღიარო ისიც, რომ ეროვნული ნიშნითაც ვარჩევ მათ...

— ანუ ქართველ მათხოვრებს უფრო წყალობთ?

— ვგრძნობ, რომ ჩემი სისხლი და ხორცია და გული მტკივა...

— რომ გთხოვოთ — ჯიბის ფულის თანხა დამისახელეთ-მეთქი, — ძალიან გაწყენინებთ?

— პრობლემა არ არის — გეტყვით: ყოველდღიური ჯიბის ფული საშუალოდ, 100 ლარი მაქვს. უნდა მქონდეს საჭიროებისათვის.

— ალბათ, ჯიბეცარიელიც ხშირად მისულხართ შინ?

— ხშირად. დედაჩემი ამბობდა, როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი: ამ ბავშვს მანეთს მისცემ თუ 100 მანეთს, ერთნაირად ჰყოფნისო. ახლა კი, როცა ოჯახი მაქვს, უფრო ვზოგავ ფულს.

— ახალგაზრდები, რომლებსაც ნიჭიერების მიუხედავად, სამსახურისა და ლუკმაპურის შოვნა უჭირთ, როგორ უნდა მოიქცნენ?

— სამწუხაროდ, მართლა ასეა, მაგრამ არა მარტო დღეს დადგა ეს პრობლემა — ასე იყო კომუნისტების დროსაც. საზოგადოებას რომ გადახედავ, გული გაგისკდება. ჩემი ლექტორი, მამაჩემის კოლეგა, უნივერსიტეტის პროფესორი წიგნს ყიდის. არადა, ის წიგნი მისი ცხოვრებაა. ამ დროს, ვიღაც უნიჭო, ვისაც იმ პროფესორის ნახევარი ცოდნა და პატრიოტიზმიც არა აქვს, პარლამენტში ზის ან მინისტრის პორტფელით დადის... დღევანდელი ოლიგარქების უმეტესობა გოიმია, რაღაც შემთხვევის წყალობით რომ იშოვეს ფული და წამოგვასხდნენ თავზე. შეუძლიათ იყიდონ სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული ობიექტებიც კი!!..

— გამოსავალს რაში ხედავთ? არჩევნებში?

— შემიძლია გითხრათ, რომ ეს არჩევნები არის თაობათა ცვლის არჩევნები. ძველი თაობა, რომელიც კომუნისტების ეპოქიდან მოდის, უნდა წავიდეს და მოვიდეს თაობა, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა და ეროვნულ მოძრაობას წარმოადგენდა. სწორედ მათ შექმნეს ფონი ახალი ქვეყნის მშენებლობის დაწყებისა. ოლიგარქების დრო უნდა დამთავრდეს. კომკავშირული ნომენკლატურის წარმომადგენლები უნდა წავიდნენ.

როგორც ხედავთ, ჩვენი კანონმდებლები თვითონაც უჩივიან უფულობას, ხმალშემართულები მოგვიწოდებენ ოლიგარქიული მმართველობის ჩამოშორებისკენ. მაშინ იქნებ, ფული იმათ აქვთ, ვინც მთელი ცხოვრება ხელოვნებას შეალია და თავისი მშვენიერი შემოქმედებით არაერთხელ მიუნიჭებია საზოგადოებისთვის სიხარული?

ქეთი დოლიძე, *რეჟისორი:*

— მე გეტყვით, რამდენია ჩემი შემოსავალი და თქვენ თვითონ იანგარიშეთ, რამდენი მექნება ყოველდღიური ჯიბის ფული...

— კეთილი.

— ინსტიტუტში 41 ლარს ვიღებ ხელფასს, მაგრამ ვმუშაობ კინომსახიობთა თეატრშიც, სადაც ყველაზე დაბალი ხელფასი მაქვს — 51 ლარი. მეტი შემოსავალი არ გამაჩნია. მიზეზი მოჰკითხეთ მათ, ვისი დამსახურებაც ეს არის...

თათული დოლიძე, *რუსთაველის თეატრის მსახიობი:*

— *(იცინის)* გეტყვით — რატომაც არა! მოგეხსენებათ, თეატრი საბიუჯეტო ორგანიზაციაა. ჰოდა, მეც 160 ლარი მაქვს ყოველთვიური ხელფასი. ამდენივე — ჩემს მეუღლეს.

ოთარ კობერიძე, *კინომსახიობი:*

— 74 სურათში ვარ გადაღებული, რომლებმაც დიდი თანხა შემოიტანა. დამინიშნეს პენსია — 14 ლარი. როგორც ომის მონაწილეს, 45 ლარი მეკუთვნოდა. ამიტომ მითხრეს — აირჩიეო. მეც ავირჩიე და დღეს 45 ლარი მაქვს.

რეზო ესაძე, *კინორეჟისორი:*

— მე, ჩემი ბატონო, საწუწუნო არაფერი მაქვს. გადახედეთ, რა დღეშია ხალხი!.. სამ ადგილას ვმუშაობ. მუშაობს ჩემი ორივე ვაჟი და რძალიც. მართალია, არ გვყოფნის, მაგრამ დღევანდელი გაჭირვების ფონზე, ხმას როგორ ამოვიღებთ?!.

... „მოდი, ვნახოთ ვენახი,

რამ შეჭამა ვენახი?“ ყველას გვაინტერესებს, სად არის მაშინ „ის“ ფული? მაგრამ ჩვენ კიდევ ვჯობნით ჩვენზე უარესებს და ხმას როგორ ამოვიღებთ? რა გვაქვს საწუწუნო?!

■

ვახუშტი კოტეტიშვილის ახალგაზრდა მეუღლე — მზეო გოგოჭური ხუთი წელია, რაც საჭეს მიუჯდა. მანქანა მას მხოლოდ გადასაადგილებლად სჭირდება და საჭესთან ყოველთვის ან ფიქრობს, ან მღერის. ახლობლები მზეოს, დაბნეულ ადამიანად მიიჩნევენ. საჭესთან მჯდომს, დედა ეხვეწება ხოლმე: შენი ჭირიმე, არ ჩაგეძინოსო... მზეოც ფიქრობს, რომ დაბნეულია, ოღონდ — შინ. „მოძრაობისას არ მეღავნდება ეს დაბნეულობა. გადაადგილება მიყვარს...“ — ამბობს ის. თავისი საქმიანობის გამო, დღის ნახევარს საჭესთან ატარებს. მზეო რეჟისორია. ახლა ასპირანტურაში სწავლობს ლიტერატურის განხრით და დისერტაციაზე მუშაობს. პარალელურად, ნახევარსაათიანი ფილმი გადაიღო მხატვარ თენგიზ (ჩუბჩიკა) მირზაშვილზე. პროფესიონალმა რეჟისორებმა ფილმს კარგი შეფასება მისცეს. ფართო აუდიტორია მას ახლო მომავალში იხილავს. მაგრამ ამჯერად, მზეოს პობიზე მოგითხრობთ და გავარკვევთ — როგორი მასწავლებელია ვახუშტი კოტეტიშვილი, სჩვევია თუ არა მზეოს ბილწსიტყვაობა საჭესთან და რატომ ინახავს მანქანის საბუთებსა და სურათებს... მაცივარში.

ცხოვრებაში დაბნეული მზეო კოტეტიშვილი საჭესთან მაქსიმალურად მობილიზებულია

ნათია თენიეშვილი

— ადრე, ვახუშტის დავყავდი ხოლმე ყველგან — საქმეზე ვიყავი წასასვლელი თუ დაქალთან. ძალიან ვაწუხებდი, იტანჯებოდა. მაშინ წყნეთში ვცხოვრობდით და, რა თქმა უნდა, თბილისში სიარული ხშირად მიხდებოდა. მინდოდა, დამოუკიდებლად შემძლებოდა მოძრაობა. ვახუშტის უამრავი საქმე ჰქონდა, არ შეეძლო ჩემი რიტმით ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ არ მიყვარს ტექნიკასთან ურთიერთობა, მივხვდი — საჭირო იყო, მანქანის მართვა მესწავლა და ვისწავლე.

— ვინ გასწავლათ?

— ვახუშტი მასწავლიდა, წყნეთის გზაზე. თუ თბილისიდან მივდიოდით, ბაგების შემდეგ მე ვჯდებოდი საჭესთან. მაგრამ ქალაქში მაინც მეშინოდა — საშინელი მოძრაობაა. მერე, პროფესიონალ მძღოლთან მაინც მივედი და ათი გაკვეთილი ჩამიტარა. ამის შემდეგ, მომიჯდა ვახუშტი გვერდით და მასწავლიდა — ქალაქში სად შეიძლებოდა გამეჩერებინა მანქანა და სად — არა, სად უნდა მომეხვია დ ა.შ.

— როგორი მასწავლებელია ბატონი ვახუშტი?

— ძალიან ნერვიული და ექსცენტრიკული მასწავლებელი აღმოჩნდა — სულ ყვიროდა და მაფრთხობდა; მე ტირილს ვიწყებდი. ასე მთავრდებოდა ჩვენი გაკვეთილები.

— ახლა, როცა თქვენ ზიხართ საჭესთან, ისევ თუ გაძლევთ ხოლმე შენიშვნებს?

— რა თქმა უნდა, ახლაც იგივე ხდება. სულ მეუბნება: ეს ჩართე, აქ მოუხვიე, ისე შედიო, — და ა.შ. მეც სულ ვეუბნები: უშენოდ დავდივარ და მაშინ მშვენივრად ვატარებ-მეთქი... თუმცა, თუ რაღაც ისეთი გავაკეთე, რაც მოეწონება, იმასაც აღნიშნავს ხოლმე: უყურე შენ, სად გაძვრაო?!.

— სწრაფად დადიხართ?

— თავიდან უფრო სწრაფად დავდიოდი, ახლა — არა. როცა ახალი დაწყებული გაქვს მანქანის მართვა, ცდილობ, გაერკვე საკუთარ შესაძლებლობებში, გაინტერესებს — შეგიძლია თუ არა სწრაფად სიარული და ა.შ. რაღაც ეტაპის შემდეგ კი, დინჯად, მშვიდად მოძრაობ... თანაც, მე საჭესთან ფიქრი მიყვარს და ამ დროს, არ შეიძლება სწრაფად სიარული — ხელს მიშლის ფიქრში.

— სწრაფად არ დადიხართ, მაგრამ როგორც ვიცი, მოძრაობის წესებს ხშირად არღვევთ.

— კი, ვარღვევ. ხანდახან, ისე გამიტაცებს ფიქრი, რომ ვერც ვამჩნევ შუქნიშანს და წითელზე გავივლი ხოლმე. ვხედავ — დგანან ავტოინსპექტორები, მაგრამ გულუბრყვილოდ მაინც მივდივარ. ასეთ დროს, როგორ გინდა დაარწმუნო, რომ არ დაგინახავს შუქნიშანი?!. ასე, ფიქრში გართული ვარღვევ ხოლმე მოძრაობის წესებს. თუმცა, სახიფათო სიტუაცია თითქმის არასდროს შემიქმნია.

— მერე, როცა ავტოინსპექტორები გაჩერებენ, როგორ იქცევით?

— ხან გავუცინებ, ხან ვეხვეწები — მაპატიეთ-მეთქი. თუმცა, მათთან ურთიერთობისას, პრობლემები არა მაქვს იმიტომ, რომ ქალებს მაინც ბევრ რამეს ჰპატიობენ. ეს დამოკიდებულება ჩვენში ისევ მოქმედებს. შეიძლება ცუდია, მაგრამ მე მაინც მომწონს, რომ ქალისადმი პატივისცემა აქვთ. გამაჩერებენ და შენიშვნას მაძლევენ, ან შორიდან თითს მიქნევენ...

— მაგრამ თქვენნაირი ურჩი ქალბატონებისთვის, ქალაქში რამდენიმე ავტოინსპექტორი ქალი გამოჩნდა, რომლებიც ასე მოწყალედ მძღოლ ქალებს არ ეპყრობიან...

— კი, მეც გამაჩერეს ცოტა ხნის წინ. მართვის მოწმობა წამართვეს და დიდი ჩხუბი მოგვივიდა... საავადმყოფოში მივდიოდი და ძალიან მეჩქარებოდა. ვხედავდი მათ, მაგრამ მაინც გადავუხვიე უადგილო ადგილას იმის იმედით, რომ გამიგებდნენ. თანაც, უსაშველო არაფერი ჩამიდენია: გზა თავისუფალია... გამაჩერეს, გამომართვეს მოწმობა და ერთ-ერთმა ჩაიდო ჯიბეში... ძალიან უხეშად და ცინიკურად იქცეოდნენ. მეც შემეძლო, ცინიკურად მეპასუხა მათთვის, მაგრამ არ ვიკადრე. არაფერი მითქვამს. თავისი ძალის დემონსტრირებას ახდენდნენ. მეც ვეხვეწე, თავი დავიმცირე ფაქტობრივად და ამით გული გავუხარე. ბოლოს, იძულებული გავხდი, მეთქვა — ვახუშტი კოტეტიშვილის ცოლი ვარ-მეთქი. ასე, ,,ბოროტად'' გამოვიყენე მისი სახელი... ახლა კი გაგიშვებთ, მაგრამ იცოდე: ყველას სადღაც გვეჩქარებაო, — ჭკუაც დამარიგეს...

— სხვა დროს არ გამოგიყენებიათ ბატონი ვახუშტის სახელი?

— კი, რამდენჯერმე. სხვათა შორის, ძალიან რბილად ვიწყებ ხოლმე: თუ გაგიგონიათ, თუ იცნობთ ვახუშტი კოტეტიშ-

როგორც კი ქალაქიდან გავალ, აუცილებლად სადღაც, შუა გზაზე გამითავდება ხოლმე ზეთი

ვილს-მეთქი... ზოგი მიჯერებს, ზოგი — არა. ერთხელ, დავურეკე ვახუშტის და ინსპექტორს დავალაპარაკე...

— **მანქანას მოვლაში ვინ გეხმარებათ?**

— გასარეცხად, ხან ავტოსამრეცხაოში მიმყავს, ხან კი, ჩემი დისშვილი, დათუნა მირეცხავს. ის ჩვენთან ცხოვრობს, მე და ვახუშტი ვზრდით, როგორც ჩვენს შვილს და ის მეხმარება.

— **ბევრი ქალისგან გამიგია, რომ ხშირად, მანქანაში ბენზინის ჩასხმა ავიწყდება და შუა გზაში უჩერდება. თქვენ თუ მოგდით ხოლმე მსგავსი რამ?**

— მე ზეთი მითავდება ხოლმე. თბილისში ათასობით კილომეტრს დავდივარ და არაფერი, მაგრამ როგორც კი ქალაქიდან გავალ, აუცილებლად სადღაც, შუა გზაზე გამითავდება ხოლმე ზეთი. მერე დავდივარ მინდორ-მინდორ და ვეძებ... რაც შეეხება ბენზინს — სამყოფი არასდროს მაქვს. წითელ ნათურას ყოველთვის მინთებს. რითი დავდივარ, მე თვითონ არ ვიცი... ძალიან მიხარია, როცა ვახუშტი ჯდება საჭესთან. გაავსებს აგზს და მიმედებს: ერთი კვირა დამატებაც აღარ დაგჭირდებაო. მაგრამ მე მაინც, მხოლოდ სამი დღე მყოფნის ხოლმე...

— **პროფილაქტორიუმში თქვენ დაგყავთ ხოლმე მანქანა თუ ბატონ ვახუშტის?**

— ნაცნობები მყავს ერთ-ერთ პროფილაქტორიუმში და იქ დავდივარ ხოლმე. თავიდან, ვახუშტი მიმყვა რამდენჯერმე. ახლა უკვე მცნობენ, შესწავლილი აქვთ ჩემი მანქანა და ყველაფერს იქ მიკეთებენ. ელიავას ბაზრობაზეც მყავს, მანქანის ნაწილების ნაცნობი გამყიდველები. სახელი ყველასი ვიცი, აი, გვარი კი, ყველას „ელიავა“ აქვს. ასეც მიწერია ბლოკნოტში: რამაზ ელიავა — საბურავები, გია ელიავა — მაშუქები...

— **ავტოავარიაში არ მოხვედრილხართ?**

— მარტო ერთხელ. დავით აღმაშენებლის გამზირზე დიდი საცობი იყო. ნელ-ნელა მივიწევდით წინ. უცებ, ჩემ წინ მანქანამ დაამუხრუჭა. გაჩერება ველარ მოვასწარი და მივარტყი. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა. და ერთხელაც, ჩემს მანქანას უკნიდან დაარტყა სამარშრუტო ტაქსიმ. თბილისში ხომ დღეს, თითო კაცზე თითო სამარშრუტო ტაქსი მოდის... მაგრამ მძღოლი კარგი ბიჭი აღმოჩნდა — სინდისიერად შეაკეთა ყველაფერი. დავმეგობრდით კიდეც.

— **მამაკაცები ამბობენ — ქალს სწრაფი რეაქციის უნარი არა აქვს და ამიტომაც, საერთოდ არ უნდა ივჯდეს საჭესთანო...**

— ძალიან სწრაფი რეაქციის უნარი მაქვს. ვახუშტიც აღიარებს და ბევრჯერ გამიოცებია ამით.

— **ამდენი ხანია ვსაუბრობთ და ის კი არ მიკითხავს, რა მანქანა გყავთ?**

— მანქანის მართვის სწავლა „გაზ-24“-ზე („ვოლგა“) დავიწყე. მერე, ვახუშტის შვილმა — ტატომ გვაჩუქა „ნივა“ და იმით დავდიოდით. ისე ვიყავი მიჩვეული, აღარ მინდოდა პატარა მანქანა. „ნივაში“ ძალიან სიმეტრიულ გრძნობ თავს: ძალლა ზიხარ, გზაზე ყველაფერს კარგად ხედავ... მერე, „ნივა“ გაფუჭდა, იმის შეკეთებას აზრი აღარ ჰქონდა და ვახუშტის ზურა წერეთელმა აჩუქა „მერსედესი“.

— **როცა ქალები მანქანას მართავენ, ხშირად, მამაკაცებივით ბილწსიტყვაობასაც იწყებენ ხოლმე. თქვენც ხომ არ დაგჩემდათ ეს ჩვევა?**

— თავიდან ძალიან დაძაბული ვიჯექი, ვნერვიულობდი და რამდენჯერმე წამომცდა ცუდი სიტყვა. მერე ძალიან ბევრი ვიცინეთ ამაზე მეც და ჩემმა ახლობლებმაც. ახლაც, ხანდახან შეიძლება ვთქვა რამე „ისეთი“. უფრო ხშირად კი, ვამბობ: ვაიმე, როგორ მინდა, ახლა ერთი შევიგინო-მეთქი, — და ამით განვიმუხტები ხოლმე.

— **ახლობლები დაბნეულ ადამიანად მიგიჩნევენ და ეს თქვენც აღიარეთ. მაინც რაში გამოიხატება თქვენი დაბნეულობა?**

— საჭესთან დაბნეულობა არ მჩვევია. ძალიან მობილიზებული ვარ, როცა მანქანას ვმართავ. შინ კი, მართლაც, დაბნეული ვარ. მექანიკურად ვმოძრაობ. ერთ რამეზე ვფიქრობ და სულ სხვა რამეს ვაკეთებ... ერთხელ, მანქანის საბუთები და გასაღები ვერ ვიპოვე. აღარ მახსოვდა, სად დავდე. თურმე მექანიკურად, მაცივარში შემიდვია. ცოტა ხნის შემდეგ, ვახუშტის და იზა ორჯონიკიძის სურათებიც იქ შევინახე და შემთხვევით, დედაჩემმა იპოვა მერე, გაყინული... ერთხელ ოთახში მარტო ვიჯექი. ბუხარში შეშა უნდა გადამეადგილებინა. ვუყურებ ცეცხლს, თან ფიქრებში ვარ წასული. ავიღე ტელევიზორის პულტი, მივუშვირე ბუხარს და ვაჭერ ღილაკებს თითს — ველოდები, როდის გადაადგილდება... ერთხელ კი, სანთებელა ჩავაგდე ქვაბში: ალბათ კოვზი მეგონა. ძალიან ვხალისობთ ხოლმე ამაზე მეც და მთელი ოჯახიც. მეგობარმა კი, ერთხელ მითხრა: საჭმელი არ მინდა, მაცივარში რომ საბუთები გიდევს, ისინი დამიჭერი თხლადო...

მზეომ, სხვა მძღოლი ქალებისაგან განსხვავებით, მანქანის ნაწილების სახელებიც იცის და ხმაზე ან სუნზეც კი ხვდება, თუ რა სჭირს მის „მერსედესს“. სიგარეტს მანქანაში არავის აწევინებს, ბატონი ვახუშტის გარდა, რომელზეც ეს მკაცრი წესი, ბუნებრივია, არ ვრცელდება... მზეოს მიაჩნია, რომ მანქანის მართვა განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა, განსაკუთრებით — მზიან ან წვიმიან ამინდში და ოცნებობს ჯიპზე: უფრო უსაფრთხოა და ფიქრის მეტი საშუალება მექნება; ვიჯდები საჭესთან და ვიფიქრებო...

■

ვახუშტის და იზა ორჯონიკიძის სურათებიც იქ შევინახე და შემთხვევით, დედაჩემმა იპოვა მერე, გაყინული...



მოდელი
თიკა
სიხარულიძე

გამომწვევი გარეგნობის ქალების მოყვარული მოდელიერი ახლობლებს ნებისყოფით აკვირვებს

ნინო ჯავახიშვილი

მოდელიერ ზალიკო ბერგერის (ზაალ ხეცურიანი) საძინებელ ოთახში ადრე, ბევრი უცნაური ნივთი, ხის ნაკეთობა, ნახატი და კოლაჟი ყოფილა „დაბინავებული“. მეგობრები თურმე საათობით ათვალიერებდნენ ხოლმე აჭრელებულ კედლებს და იხიბლებოდნენ ოთახში აციმციმებული ნეონის ნათურებით, რაც მაშინ, „ახალი ხილი“ ყოფილა... ასაკთან და დროსთან ერთად, ზალიკოს გემოვნება რომ დაიხვეწა, მისი საძინებლის ფერადი კედლები თეთრით შეიცვალა და ბევრი ნივთიც ოთახიდან უკვალოდ გაქრა. ზალიკოსთან შინ თუ მოხვდებით, აუცილებლად მიაქცევთ ყურადღებას კუთხეს, სადაც მოდელიერს უამრავი, ძვირად ღირებული სუნამო უწყვია. საწერ მაგიდაზე კი, რამდენიმე გამორჩეული ნივთი დევს. ყველაზე მეტად მეგობრის ნაჩუქარი, ანტიკვარული ცხენი უყვარს. საერთოდ, მას საჩუქრების მიძღვნა „ისე რა“ ჰყვარებია, სამაგიეროდ, ძალიან სიამოვნებს, სხვები რომ ასაჩუქრებენ ძვირფასი ნივთებით. ზალიკოს საყვარელი ფერი შავია, თუმცა მის საზაფხულო გარდერობში კვასკვასა ვარდისფერ და ცისფერ პერანგებსაც ნახავთ. როგორც საუბრისას აღნიშნა, ამ ბოლო დროს, ყველაზე კომფორტულად, თავისუფალ, ფართო ტანსაცმელში გრძნობს თავს და ეძებს ხორბლისფერკანიან ქალს... ჯერჯერობით კი, მისი გული თავისუფალია...

ზალიკოს ოთახში უამრავ ლამაზ, ბრჭყვიალა აქსესუარს ნახავთ — ქამრებს, სამაჯურებს, ყელსაბამებს, საყურეებს... მანეკენები კი, ტანსაცმლის ახალ ნიმუშებში არიან გამოწყობილნი, რომელიც ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია.

— ზალიკო, ფსევდონიმად რატომ აირჩიე მაინცდამაინც ბერგერი? მსახიობ ბერგერთან მსგავსების გამო თუ უბრალოდ, მოგეწონა?

— ახალგაზრდობაში, ჩემმა მეგობრებმა გერმანელ მსახიობს — ჰელმუტ ბერგერს მიმამსგავსეს და სახელის მაგივრად, ბერგერს მეძახდნენ. „პირველ რადიოში“ რომ ვმუშაობდი, მაშინაც, დიჯეი-ბერგერი ვიყავი. ასე შემრჩა ეს ფსევდონიმი დღემდე.

— შენ როგორ ფიქრობ — რა განაპირობებს გემოვნების ჩამოყალიბებას და დახვეწას — გარემო ფაქტორები თუ ეს ნიჭი ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება თან?

— ზოგ შემთხვევაში, ალბათ გემოვნება თანდაყოლილიც არის. მაგრამ რასაკვირველია, ასაკის მატებასთან, ცოდნის შეძენასა და აზროვნების შეცვლასთან ერთად, გემოვნებაც იცვლება და იხვეწება. გემოვნებას აყალიბებს წიგნიც, კინოც... მაგალითად, მეხუთე კლასში რომ ვიყავი, მასწავლებელმა გვირჩია, რომ არდადეგების დროს წაგვეკითხა „მერი პოპინსი“, „ტომ სოიერი“, „ჰეკლბერი ფინი“ და ა.შ. მერე და მერე, უკვე მე თვითონ ვხვდებოდი, რა უნდა წამეკითხა და რა — არა. სტუდენტობის დროს კი, საბედნიეროდ, ძალიან დახვეწილი გემოვნების მქონე ადამიანების წრეში მოვხვდი და ისინი მაწვდიდნენ თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშებს, ახალ ფილმებს. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გემოვნების დასახვეწად.

— როდის და როგორ დაასკვენი, რომ გემოვნებიანი ადამიანი ხარ და ის, რაც შენ გეცვა, სხვების მოწონებას იმსახურებდა?

— იცი, რა, მე ვფიქრობ, მსგავს შემთხვევაში, უკვე ამბიციაზეა ლაპარაკი: შეიძლება, გემოვნებით არც გეცვას, მაგრამ შენმა უცნაურმა ჩაცმულობამაც მიიქციოს საზოგადოების ყურადღება... გარკვეული ინტელექტი რომ მქონდა, ამას მაშინ მივხვდი, როცა უნივერსიტეტში ვაბარებდი. მაგრამ იმის გამო, რომ ბევრი რამ ისეთი გინახავს და წაგიკითხავს, რაზედაც სხვებს ხელი არ მიუწვდებათ, კაცმა ცხვირი არ უნდა აიბზუო... დღესდღეობით, არსებობს „ფეშენ ტივი“, შეგიძლია უყურო და ისწავლო, როგორ უნდა ჩაიცვა...

— როგორ გგონია — ქართველები გემოვნებიანი ხალხი ვართ?

— მგონი, კი — რატომაც არა?! უბრალოდ, დრო არის ისეთი, რომ ჯერ ერთი, უფულობის გამო ვერ ყიდულობ, რაც გსურს და მეორეც — შეიძლება, გემოვნებაც გქონდეს

ასეც ხდება, ისეც ხდება – რა ვიცი, რა გითხრა...

და ფულიც, მაგრამ ხალისი არ გქონდეს არაფრის... საზღვარგარეთ ნებისმიერ ,,კაი ადგილზე'' რომ მოხვდე, აუცილებლად შესაფერისად უნდა იყო ჩაცმული. აქ კი ამის პრეტენზია არავის აქვს... თანაც, აქაურებს თავის მოვლის სურვილიც არ აწუხებთ მაინცდამაინც. არადა, ზამთარ-ზაფხულ, კანი აუცილებლად გარუჯული უნდა გქონდეს, კარგი კრემი უნდა გესვას, კარგი სუნამო უნდა გესხას და ა.შ.

— მაშინ ის მითხარი — ქართველი პოპულარული ადამიანებიდან ვინ არის ყველაზე გემოვნებიანი და პირიქით — ყველაზე უგემოვნო?

– *(იცინის)* მაკა ასათიანი ყველაზე გემოვნებიანი ქალია. უგემოვნო კი, იმდენია – რომ ჩამოვთვალო, მთელი ჟურნალი არ ეყოფა... თან, ხომ გითხარი – აქ არ არის ლაპარაკი იმის აუცილებლობაზე, რომ შენი ჩაცმულობით ყველასგან გამოირჩეოდე. მომღერალი, როდესაც რესტორანში უწევს გამოსვლა, ზედმეტად გადაპრანჭული არ უნდა იყოს. ისინი, ვისაც გემოვნებიან ადამიანებად მოაქვთ თავი, ამ დროს კი, ბეწვის ჩექმით ან ნახევრად შიშვლები მიდიან რესტორანში და მღერიან, ძალზედ სასაცილოდ გამოიყურებიან!..

— შეიძლება, რომ ადამიანის გემოვნება-უგემოვნობაზე მხოლოდ ერთი შეხედვით — ჩაცმა-დახურვით შეგექმნას შთაბეჭდილება?

– როდესაც ვიღაცას კარგად აცვია, რა თქმა უნდა, გაიფიქრებ: ეტყობა, მართლაც კარგი გემოვნება აქვსო. პრინციპში, თუ ფული გაქვს, მაშინ იცი, რა გიხდება, რა არის მოდაში და რა უნდა ჩაიცვა.

— ამაში კი ვერ დაგეთანხმები: ზოგს ბევრი ფულიც აქვს და ცნობილი ფირმის ტანსაცმელიც აცვია, მაგრამ — უგემოვნოდ. ასე არ არის?

– ასეც ხდება, ისეც ხდება – რა ვიცი, რა გითხრა... იმავე მაკა ასათიანის გარშემომყოფებს, მის მეგობრებს, ყველას ალბათ გემოვნებით აცვია. მაგრამ რამდენიმე ადამიანი საერთო ატმოსფეროს ვერ შექმნის.

— შენს მეგობრებს როგორ აქვთ ამ მხრივ საქმე? ხშირად გეკითხებიან ხოლმე რჩევებს?

– უმეტესად, არ სჭირდებათ ჩემი რჩევები, თვითონაც საკმაოდ დახვეწილი გემოვნება აქვთ.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა შენი რჩევების შედეგად, ვილაც, აბსოლუტურად „სხვა ადამიანად" ქცეულა?

– გონებაში გამჩენია ამის სურვილი და გამიფიქრებია: ახლა, ეს გოგო რას ჰგავს და რა კარგი შეიძლება გახდეს-მეთქი, – თუმცა, ეს სურვილი სურვილად დარჩენილა და ასეთი ექსპერიმენტი არასდროს ჩამიტარებია.

— ჟურნალისტების ჩაცმულობაზე რას იტყვი?

– მე ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ქუჩაშია გასული და მუშაობს, გადაპრანჭული არ უნდა დადიოდეს. მთავარია, კოხტად გეცვას, თორემ, რა აუცილებლობაა, რომ წვეულებაზე, რომელზეც ჟურნალისტებიც არიან მიწვეულნი, კარი გაიღოს და შენი კოლეგა ისეთი ჩაცმული შემოვიდეს, რომ ყველას თვალები შუბლზე აუვიდეს?!.

— თვითონ თუ გცმია ოდესმე ისე, რომ შენს დანახვაზე თვალები შუბლზე ასვლიათ?

– ძალიან ბევრჯერ. ყველაზე ექსტრავაგანტურად ერთხელ, მოსკოვში, დისკოთეკაზე მეცვა. წლების წინ, მე და ჩემი ამხანაგი მოსკოვში ვიყავით წასულები რაღაც კონკურსზე თუ ფესტივალზე. როდესაც ღონისძიება დამთავრდა, დისკოთეკაზე წასვლა გადავწყვიტეთ. ძალიან უცნაურად გვეცვა და ორგანიზატორი გვიჟდა: კი, მაგრამ ასე აპირებთ წასვლასო?!. იცი, რა მეცვა? – პლუშის უშველებელი შლაქსები, ისეთი, რომ ტოტები მიწაზე დამთრევდა, თან ოქროსფერი იყო; პერანგი კი, ღაღანა წითელი და ისეთი ფოსფორისფერი ყვავილები ჰქონდა, რომ თითქოს ანათებდა. კიდევ რა მეცვა, რომ აღარ მახსოვს... ვაიმე! – რა მეცვა და იასამნისფერი, ბრჭყვიალა ,,პლაში'', მუხლამდე. იასამნისფერი ლურჯში და ვერცხლისფერში გადადიოდა...

— მერე, დისკოთეკაზე რომ მიხვედი, რა მოხდა?

– რა მოხდებოდა, ხომ ხვდები? ვაიმე, ვინ ხართ, ვარსკვლავები ხართო? – გვეკითხებოდნენ. ატყდა ერთი ამბავი... სხვათა შორის, ჩემი ჩაცმულობის წყალობით, მაშინ ძალიან ბევრი ვინმე გავიცანი. თბილისში რომ იმ ,,ფორმაში'' მივსულიყავი სადმე, იტყოდნენ: გაფრინაო, – თუმცა, თბილისშიც მცმია ექსტრავაგანტურად.

— როგორ ადამიანზე ამბობ ხოლმე — გემოვნების ნატამალიც არა აქვსო?

– ისეთი რამ თუ აცვია, რაც არ უხდება, ან ზედმეტად ექსტრავაგანტურად აცვია ამისთვის შეუფერებელ ადგილას. ამის გარდა, კიდევ ის მაღიზიანებს ხოლმე ძალიან, როცა დარწმუნებულები არიან – მაგრად გვაცვიაო...

— საურთიერთოდ როგორი ქალი ან კაცი „ჯდება" შენს გემოვნებაში?

– ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი უნდა იყოს-მეთქი, – ამას არ ვიტყვი, მაგრამ გარეგნულად თვალში საცემი უნდა იყოს; არ უნდა იყოს უგემოვნო; აუცილებლად

უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, უყვარდეს გართობა, სიცილი, კარგი საზოგადოება და ა. შ.

ერთგული მკითხველი

1. როდის შეიქმნა ანსამბლი „ერისიონი“?

ა) 1945 წელს;
ბ) 1886 წელს;
გ) 1991 წელს.

2. ომნიბუსი — ძველებური ორსართულიანი ავტობუსი, რომლითაც სავსეა დღევანდელი ლონდონი, პირველად გამოჩნდა...

ა) ...პარიზში;
ბ) ...რომში;
გ) ...ვენაში.

3. რომელმა ქართველმა მსახიობმა გააკვირვა ალენ დელონი?

ა) ლიკა ქავჟარაძემ;
ბ) გოგოლა კალანდაძემ;
გ) მარინა კახიანმა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, უყვარდეს გართობა, სიცილი, კარგი საზოგადოება და ა. შ. ძნელია იმის თქმა, როგორი უნდა იყოს ლამაზი, იდეალური ქალი. ახლა, ნინო ორდენიძე (მოდელი) მომწონს გარეგნულად, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შავია, შავი ქალი კი, ჩემს გემოვნებაში საერთოდ „არ ვჯდება“. ისე, ყველას თავისებური ეშხი აქვს — შავგვრემანსაც, ქერასაც და თეთრსაც. მიყვარს ხორბლისფერკანიანი ხალხი, ძალიან „თეთრგვრემანი“ ქალები რატომღაც არ მომწონს...

— მაშინ ის მითხარი, საიდან იწყებ ხოლმე ქალის აღქმას? ქალს რომ შეხედავ, პირველ რიგში, თვალში რა გხვდება?

— რა ვიცი — შეიძლება, თვალში მეცეს ქალის ლამაზი ფეხები, ან მკერდი. საერთოდ, გამომწვევი ტიპის ქალები უფრო მიზიდავს...

— ეი. ქალმა შენი ყურადღება რომ მიიქციოს, გამომწვევად უნდა იყოს ჩაცმული?

— ჰო. გადამეტებულად — არა, მაგრამ გამომწვევად — კი...

— სუფრასთან და ქართულ სამზარეულოსთან რა დამოკიდებულება გაქვს?

— ჭამა-სმა ძალიან მიყვარს და მეტყობა კიდეც, არა?.. სუში *(იაპონური კერძი. — ავტ.)* მენატრება ძალიან. გამორჩეულად ისეთი არაფერი მიყვარს, თუმცა, ძალიან მომწონს მეგრული სამზარეულო. ჩინურიც. ხაჭაპური მიყვარს, წვნიანებიდან კი — რატომღაც, ბულიონი. რაც შეეხება სასმელს — თითქმის ყველანაირს ვსვამ. ქართულ სუფრაზე საქეიფოდ, თეთრი ღვინო მირჩევნია, დისკოთეკაზე კი, საზღვარგარეთ — ვისკი, თბილისში — არყიდან დაწყებული, ტეკილათი დამთავრებული, არაფერზე ვამბობ უარს.

— ყველაზე უცნაური, რაც გიჭამია, რა არის?

— გველები და ხვლიკები არასდროს მიჭამია. ლოკოკინასა და ბაყაყსაც ვერ შევჭამ. მიჭამია რვაფეხა და ძალიანაც მომეწონა, გემრიელია. რვაფეხა მაინც წყლის ბინადარია და ისე ძალიან არ მეზიზღება.

— საკუთარი ხელით გაკეთებულ სამკაულებს თუ ატარებ?

— მაქვს ერთი გულსაკიდი, რომელსაც აწერია — „ბერგერი“. ჩემი ოქრომჭედლის გაკეთებულია, უფრო სწორედ — ის დამეხმარა. ამ ყელსაბამს მხოლოდ მაშინ ვიკეთებ, როდესაც რაიმე განსაკუთრებული ხდება. მაქვს რამდენიმე ბეჭედიც, მაგრამ იშვიათად ვატარებ. აუცილებლად ვატარებ საათს. აი, სათვალეს კი, ვერაფრით მივჩვიე: ვერ ვხედავ ხოლმე ვერაფერს და მეშინია, რაიმეს არ შევეჯახო. რამდენჯერმე, საკმაოდ ძვირად ღირებული სათვალე შევიძინე, მაგრამ — ტყუილად. ახლა ჭკუა ვისწავლე და სათვალეს აღარ ვყიდულობ.

— რისი შექმნა განიჭებს ყველაზე დიდ სიამოვნებას?

— აქსესუარები. ვისაც მათი შექმნის პროცესში ვუნახივარ, ყველას უკვირს: აუჰ, შენ რა მაგარი ნებისყოფა გაქვსო... ერთი სული მაქვს ხოლმე, როდის დავასრულებ ამა თუ იმ აქსესუარს. მათ შესაქმნელად ძირითადად, ნახევრად ძვირფას ქვებს, ბიჟუტერიას, ვერცხლსა და ოქროს ვიყენებ.

— ამჟამად რაზე მუშაობ?

— ჩვეულებისამებრ, ვმუშაობ აქსესუარებზე. საკმარისი მასალა მაქვს სამუშაოდ. უახლოეს მომავალში, შეიძლება, აქსესუარების ჩვენება მოვაწყო, ზაფხულის დასაწყისისთვის კი — ტანსაცმლის საზაფხულო კოლექციის ჩვენებას ვგეგმავ...

■

შეიძლება, თვალში მეცეს ქალის ლამაზი ფეხები, ან მკერდი



გაზაფხული: ორგანიზმის გამოძახილი „SOS“

- თქვენ უძილობას, გაღიზიანებადობას, ყურადღებისა და მეხსიერების დაქვეითებას უჩივით?
- ხშირად ცივდებით?
- სწრაფად გეღლებათ თვალები?
- კანი გამოგიშრათ?
- ფერიმჭამელებმა შეგაწუხათ?
- ტუჩები გისკდებათ, ფრჩხილები გეყოფათ, თმა გიფერმკრთალდებათ და გცვივათ?
- კბილების ყოველი გახეხვისას ღრძილებიდან სისხლი გდით?

ყველაფერი ეს ავიტამინოზის სიმპტომებია, რომლის შესახებ ჩვენი ორგანიზმი გვაფრთხილებს. ორგანიზმს მულტივიტამინების (სასურველია ნატურალური) რეგულარული მიღებით შეგვიძლია დავეხმაროთ, მაგრამ მხოლოდ ხილისა და ბოსტნეულის მიღებით შემოფარგვლა საკმარისი არ არის.

მეტი თვალსაჩინოებისთვის: ბოსტნეული და ხილი მხოლოდ ორი ვიტამინის — ასკორბინის მჟავისა (ვიტამინი C) და ფოლიუმის მჟავის საიმედო წყაროა, აგრეთვე კაროტინისაც, ისიც, თუ ხილის ნაკრები საკმარისად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იქნება. ამგვარად, C ვიტამინის შემცველობა 100გ ვაშლის წვენში მხოლოდ 2მგ-ს შეადგენს. იმისათვის, რომ ამ წვენთან ერთად ვიტამინის დღეღამური ნორმა მიიღოთ, საჭიროა დღეში 15 ჩ./ჭ. წვენის მიღება.

რაც შეეხება B ჯგუფის ვიტამინებს, აგრეთვე, A, E და D ვიტამინებს, მათ ძირითად წყაროს წარმოადგენს არა ხილი და ბოსტნეული, არამედ ხორცი, ღვიძლი, თირკმელი, კვერცხი, რძე, კარაქი . . .

ამიტომ, ნუ უფრთხით მულტივიტამინების მიღებას!

სწორად შერჩეული ვიტამინების კომპლექსი შეავსებს ორგანიზმში არსებულ დეფიციტს, მოაწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, გაგიუმჯობესებთ ორგანიზმის საერთო მდგომარეობას და შრომისუნარიანობას.

კომპანია „ჯეოვიტი“ ცნობილი ამერიკული ფირმა „შიფ“-ის ნატურალური ვიტამინების ფართო ასორტიმენტს გთავაზობთ, რა თქმა უნდა, ასაკობრივი გრადაციის გათვალისწინებით:

„**პრენატალი**“ — მულტივიტამინები ქალის ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდისთვის. აშშ-ის ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული ნატურალური ფორმულა 22 კომპონენტს შეიცავს.

„**ინფანთ ქეა**“ — 1 თვიდან 1 წლამდე ბავშვების მულტივიტამინებისა და მიკროელემენტების ნატურალური ფორმულა დოკოჰექსანოის ამინომჟავას (DHA) შეიცავს, რომელიც დედის რძის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და თავის ტვინისა და მხედველობის ორგანოების განვითარებას უწყობს ხელს.

„**ჩილდრენ ჩივეიბლ**“ — 1 წლიდან 16 წლამდე მოზარდების მულტივიტამინები. შეიცავს A და D ვიტამინების დაბალანსირებულ კონცენტრაციას, რომლებიც ბავშვის ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისთვის აუცილებელია. ამ ფორმულაში შემავალი — ჯგუფის კომპლექსი 6 ვიტამინისგან შედგება და იშვიათ ნაკრებს წარმოადგენს.

„**სინგლ დეი**“ — 16-დან 55 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის განკუთვნილი მულტივიტამინების ნატურალური ფორმულა. B-ჯგუფის ვიტამინების გაზრდილი კონცენტრაცია ხელს უწყობს ჰომოცისტეინის დონის ნორმალიზაციას და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის სტაბილიზაციას.

„**ფრაიმ იარზ**“ — საგანგებოდ შერჩეული ნატურალური ფორმულა ასაკოვანი ადამიანებისთვის 55 წლიდან და ზევით. პრეპარატში შემავალი ვიტამინების სპეციფიკური კონცენტრაცია ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას, რომელიც ამ ასაკის ადამიანებში მნიშვნელოვნად დაქვეითებულია.

კომპანია „ჯეოვიტის“ გამოცდილი სპეციალისტები სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებიან.

GV

მის: ილია ჭავჭავაძის 41ა (ვაკის პარკის პირდაპირ), ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი“, ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899-10-99-20 (სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის ჩათვლით)

გსურთ თქვენი ინტიმური ცხოვრება უფრო კომფორტული გახდეს?

- ხშირად გაქვთ კონფლიქტი მეუღლესთან (პარტნიორთან)?
- გაღიზიანებული გახდით?
- სამსახურში პრობლემები გაქვთ?
- სქესობრივი ურთიერთობის ფობია გაგიჩნდათ?
- და საერთოდ, თავს წარუმატებელ ადამიანად თვლით ან ფიქრობთ, რომ მთელი სამყარო თქვენს წინააღმდეგ შემობრუნდა?

სექსუალური ურთიერთობის სიჯანსაღე ცხოვრებისეული წარმატებების საწინდარია

ვეროქსინ 7 – წარმატება სიყვარულსა და კარიერაში!

კომპანია „ჯეოვიტი“ მზად არის, თქვენი ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესოს

R

მთამსვლელთა მკურნალი

ზურა ასტახიშვილი



მთამსვლელებმა იციან, რომ შეიძლება უკან ვეღარ დაბრუნდნენ, მაგრამ მაინც მიდიან მთაში. თუ რატომ? — ამ კითხვას ყველაზე მარტივად და ზუსტად, ალბათ ყველა დროის უდიდესმა ალპინისტმა — რაინჰოლდ მესნერმა გასცა პასუხი: „მიდიან, რადგან ევერესტი არსებობს...“ ქართველი მთამსვლელების ბევრი თაობა ოცნებობდა, ჰიმალაის თოთხმეტი რვაათასიანი მწვერვალიდან, ერთ-ერთზე მაინც დაედგა ფეხი. „მამაჩემი ვერასდროს იფიქრებდა, თუ მისი შვილი ჰიმალაებში მოხვდებოდა“, — ამბობს ექიმი ზურა ასტახიშვილი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო იმ პირველი ქართული ექსპედიციის წევრი, 1995 წელს, ჰიმალაის მონბლანად წოდებულ 8172-მეტრიან დაულაგირის მწვერვალზე რომ განახორციელა ასვლა.

ნათია თენიეშვილი

— მამაჩემი მთამსვლელი იყო და როცა პატარა ვიყავი, მეც დავყავდი ხოლმე მთაში. მერე, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის დროს, სრულიად შემთხვევით, ალპინიადებში მივიღე მონაწილეობა. ამას მოჰყვა პამირი, ტიან-შანი და სხვა. როგორც ექიმი, ისე დავყვებოდი სხვადასხვა ექსპედიციას. მერე გია თორთლაძემ ძალიან მოინდომა და ჰიმალაებში პირველი ქართული ექსპედიციაც მოეწყო. მეც მოვხვდი ამ გუნდში. ძალიან გაგვიმართლა მაშინ: ძველი თაობა ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ქართველები ჰიმალაიში მოხვდებოდნენ.

— რატომ არის საოცნებო ჰიმალაის მთები ყველა მთამსვლელისთვის? რით არის გამორჩეული და ასეთი განსაკუთრებული?

— ჯერ ერთი, იქ ყველაზე მაღალი მთებია დედამიწაზე. და მეორე — ცხოვრების წესია სხვანაირი. ნეპალის დედაქალაქი — კატმანდუ სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებულია — იქ ევროპაც არის, აზიაც და ინდოეთიც. ასეთი სინთეზი ძალზედ საინტერესო სანახავია... 1995 წელს იყო პირველი ექსპედიცია და იმის შემდეგ, სპეციალურად, ბევრ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მთამსვლელებმა. 1999 წელი კი, საერთოდ განსაკუთრებული აღმოჩნდა: მაშინ ორი ქართული ექსპედიცია ავიდა ევერესტზე — ჩრდილოეთის მხრიდან, ჩვენი ჯგუფი და სამხრეთის მხრიდან — სხვა ჯგუფი. ეს იყო სენსაცია. გვეუბნებოდნენ: ასეთი პატარა ქვეყანა ხართ და ორი მხრიდან დალაშქრეთ ევერესტი — ეს წარმოუდგენელი რამ არისო... 2000 წელსაც ვიყავით ევერესტზე და 2001-შიც, ოღონდ — უკვე სხვა ექსპედიციის შემადგენლობაში: გია თორთლაძე, როგორც მონაწილე, მე — როგორც ექიმი. წელსაც ვაპირებთ წასვლას. ერთი სული მაქვს, როდის გადაწყდება ყველაფერი. მით უმეტეს, რომ ახლა ნეპალში ღირსშესანიშნავი წელიწადია — 50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ექსპედიცია ავიდა ევერესტზე. მთელი მსოფლიოს მთამსვლელები მოიყრიან კატმანდუში თავს. საოცარი დღესასწაულები მოეწყობა და ძალიან საინტერესო იქნება ამის საკუთარი თვალით ხილვა. მაგრამ თუ სპონსორი არ გამოგვიჩნდა, ჩვენი ექსპედიცია ჩაიშლება...

— როგორც ვიცი, ასეთ სიმაღლეზე ყოფნა, ფიზიკურად ძალზედ ძნელია — სუნთქვა ჭირს, თანაც სხეულის მოყინვაც შესაძლებელია. მთაში ბევრი პაციენტი გყავთ ხოლმე?

— მაგალითად, კავკასიონზე დაავადებები ნაკლებად არის. აქ დაბალი სიმაღლე და ტექნიკურად რთული მარშრუტებია, ამიტომაც ექიმის ძირითადი პრობლემა — ტრავმატიზმია. იქ კი, დიდ სიმაღლეზე — პამირში, ტიან-შანსა და ჰიმალაიში, ტექნიკურ პრობლემას სიმაღლის ფაქტორიც ემატება. ბევრი მთამსვლელი ადის რვაათასიან მწვერვალზე, დამხმარე ჟანგბადის მოწყობილობის გამოუყენებლად, მაგრამ საერთოდ, ნორმალური ადამიანი 6000 მეტრის სიმაღლეზე დიდხანს რომ დარჩეს, გამოიფიტება. ამ სიმაღლეზე დარჩენა ორ კვირაზე მეტხანს არ შეიძლება. კიდურების და სხეულის მოყინვის საფრთხე დიდ სიმაღლეზე, რა თქმა უნდა, მეტია. ძალიან ხშირია

მაშინ ორი ქართული ექსპედიცია ავიდა ევერესტზე. ეს იყო სენსაცია

ფილტვების შეშუპებაც, რაც ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობით არის გამოწვეული. ამ დროს ადამიანი ვერ სუნთქავს, ფილტვები სითხით ევსება და თუ დროზე არ ჩაიყვანე ქვემოთ – დაიღუპება. ათასი მეტრით დაბლაც რომ ჩამოიყვანო, ძალიან დიდ შვებას იგრძნობს.

— თქვენ თავად თუ დაგჭირვებიათ ექიმის დახმარება?

– გია თორთლაძე სულ მეუბნება: შენ 6.400 მეტრზე ყოფნის რეკორდი დაამყარეო. როგორც გითხარით, ამ სიმაღლეზე ერთ კვირაზე მეტხანს გაჩერება არ შეიძლება. აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე ქვემოთ, დაისვენო და მერე ახვიდე. ისე მოხდა, რომ მე სამი კვირა მომიწია 6400 მეტრზე ყოფნა.

— რის გამო მოხდა ეს და როგორი შედეგი ჰქონდა?

– ნაწილობრივ, ჩემი სიზარმაცის გამო მოხდა ეს ამბავი: 25 კილომეტრი უნდა იარო, რომ ქვედა ბანაკამდე მიხვიდე, მერე ისევ ზევით უნდა ახვიდე... დამეზარა, ბიჭები გავუშვი და მე დავრჩი. იმ სამ კვირაში, 10 კგ დავიკელი. ჩემთან ერთად იქ სხვა ექსპედიციების წევრებიც იყვნენ, რომლებიც არ ჩავიდნენ ქვემოთ და არ დაისვენეს. ვერც ერთი ვერ ავიდა იმ წელს მწვერვალზე...

— მთაზე ასვლას სპეციალური ფიზიკური მომზადება სჭირდება. თქვენ ემზადებით ხოლმე?

– ვერ ვასწრებ. მთელი ცხოვრება, ან სამსახურში ვარ – საავადმყოფოში, ან გზაში. ახლა ეუთოს დამკვირვებლებს დავყვები ხოლმე შატილში, საზღვრებს აკვირდებიან. ხან ვერტმფრენით, ხან ფეხით, ყოველდღე მიწევს გასვლა და ეს არის, ფაქტობრივად, ჩემი მომზადება. ისე, მოუმზადებლობის გამო ბევრი იღუპება ხოლმე ჰიმალაიში. ახლა იქ ძალიან მომრავლებულია კომერციული ექსპედიცია. თუ გაქვს სურვილი და ფული, შეგიძლია აიყვანო ინსტრუქტორი, იყიდო ან იქირავო საჭურველი და წახვიდე ევერესტზე. პროფესიონალი მთამსვლელები კომერციული ექსპედიციების წინააღმდეგნი არიან.

— თქვენ თქვით — 2000 წლიდან მოყოლებული, სხვა ქვეყნის ექსპედიციას დავყვებითო. რა ექსპედიციაა ეს?

– 2000 წელს მე და გია მიწვეულები ვიყავით კომერციულ ექსპედიციაში. კატმანდუში ჩასვლა დაგვიგვიანდა. როცა ჩავედით, აღმოჩნდა, რომ ექსპედიცია აღარ შედგა. ჩვენთვის ფაქსი გამოუგზავნიათ, მაგრამ უკვე გზაში ვიყავით. მაშინ შეგვიკედლა იაპონურმა ჯგუფმა და სამი წელი მათთან ერთად ვიარეთ. ეს ეკოლოგიური ექსპედიციაა. იაპონელებმა დაიქირავეს 30 შერპი *(მაღალ მთაში მცხოვრები ტომი. – ავტ.)* და ევერესტს წმენდდნენ იქ დაგროვილი ნაგვისაგან: როცა მთამსვლელები მწვერვალიდან უკან ბრუნდებიან, იმის თავი აღარა აქვთ, რომ კარვები, ჟანგბადის ბალონები და სხვა ნივთები წამოიღონ უკან.

კატმანდუს მაღაზიაში

— შერპების გამძლეობაზე ბევრი მსმენია. მთამსვლელებს მტვირთავებად ისინი დაჰყვებიან და თუ არ ვცდები, ევერესტზეც პირველად სწორედ შერპი — თენსინგ ნორგეი ავიდა. რატომ არიან ისინი სხვებზე უფრო გამძლეები?

– ისინი მაღალ მთაში ცხოვრობენ. მათი სოფლები დაახლოებით სამი ათას მეტრზე მდებარეობს. მიჩვეულები არიან სიმაღლეს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მათაც დაემართოთ იგივე ავადმყოფობა, რაც, მაგალითად, ევროპელებს ან სხვას. ფილტვების შეშუპების შემთხვევის მოწმე შერპებში უფრო ხშირად ვყოფილვარ, ვიდრე სხვებში. მაგრამ ახლა რომ ვაანალიზებ იმას, თუ რითი იყო ეს განპირობებული, ვხვდები: ისინი დაქირავებულები არიან და რადგანაც ქვეყანა ძალიან ღარიბია, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გასამრჯელო მიიღონ. რასაც იმ პერიოდში გამოიმუშავებენ, მთელი წელი უნდა იმყოფინონ. უჟანგბადოდ ადიან 8000 მეტრის სიმაღლეზე, თავს არ ზოგავენ. ალბათ ამიტომაც ავადდებიან ხშირად, თუმცა სიმაღლის ამტანობა მათ გენეტიკურად მოსდგამთ.

— მთაში ალბათ საკვებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს...

– რა თქმა უნდა. ძალიან მნიშვნელოვანია სითხე და საკვები. მე, მაგალითად, ერთხელ ლუდმა გადამარჩინა: ლუდი კალორიის წყაროა, მას თხევად პურს ეძახიან. ამ მხრივ იაპონელებთან საერთო ენის გამონახვა ცოტა გაგვიჭირდა: ისინი უმეტესად, დაკონსერვებული წყალმცენარეებითა და ხამანწკებით იკვებებიან. ერთხელ გიამ თქვა: აღარ შემიძლია, მშიაო, – და შემწვარი ქათამი მოინდომა. ასეთ დროს შეგიძლია შეუკვეთო და ქვემოდან ამოგიტანენ.

— ეს ევერესტზე ხდება?

– კი, ძირითად ბანაკში –

მწვერვალ კალაპაგარის დაპყრობის შემდეგ



ტესტი ერუდიციაზე

1. ვინ იყო პროფესიით „ჰარი პოტერის“ ავტორი, ჯოან როულინგი, სანამ მწერლობას მოჰკიდებდა ხელს?

ა) მუსიკოსი;
ბ) სკოლის მასწავლებელი;
გ) ბავშვთა ექიმი.

2. რა ჰქვია შოუგალეტს, რომლის ხელმძღვანელია თეა გოგეჯიშვილი?



ა) „თელა“;
ბ) „რონდო“;
გ) „ვერნისაჟი“.

3. რომელი საგნების მასწავლებელი იყო კოტე ყუბანეიშვილი სოფელ ჟერემში?

ა) ფიზიკა-მათემატიკის;
ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის;
გ) შრომისა და ფიზაღზრდის.

4. ვინ არის მხ/ფ-ის — „ძალაძი ანარა“ რეჟისორი?

ა) რეზო ესაძე;
ბ) ირაკლი კვირიკაძე;
გ) თენგიზ აბულაძე.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

5200 მეტრის სიმაღლეზე. ამოატანინა გიამ ქათმები, მაგრამ იქაურები ქათამს არ კლავენ. ამას მთელ კატმანდუში სულ რამდენიმე ადამიანი აკეთებს. მოკლედ, ყველამ უარი თქვა და გიამ თვითონ დაკლა ქათმები, მერე გაფუჭდა ამინდი და შერპებმა მას დააბრალეს: ქათამი რომ დაკალი, იმის ბრალიაო. იმ წელს ავიდა გია მწვერვალზე და რომ დაბრუნდა, ამბობდა: ასე გამართლდა თქვენი ცრუწინასწარმეტყველებაო...

— ალბათ მთაში ბევრი კურიოზიც გადაგხდენიათ. იქნებ, რომელიმე გაიხსენოთ...

— როგორც რომი გადაარჩინეს ბატებმა, ისე გადამარჩინეს მე ვირებმა 1995 წელს. როცა უკან მოვდიოდით, 5000-მეტრიან უღელტეხილზე დაგვათოვა. წინ სხვა ექსპედიციის წევრები მიდიოდნენ. თვალს ვადევნებდი — არ მინდოდა კონტაქტის დაკარგვა. ნახევარ საათში, იმხელა თოვლი მოვიდა, რომ კვალი დაიკარგა. ზვავის საშიშროებაც იყო. გავიხედე — წინ აღარ არიან. ჩემებიც დავკარგე და აღმოვჩნდი საშინელ მდგომარეობაში — სულ მარტო. ამ დროს, ინსტინქტი მუშაობს — უნდა იარო. მივდივარ და უცებ, ნისლში თვალი მოვკარი ვირების ჯოგს. გავიაზრე, რომ სადაც ვირებია, იქ მათი პატრონიც იქნება. ვინ უნდა დამენახა იმ ვირების მაგივრად, რომ ასე ძალიან გამხარებოდა — ვერ გეტყვით... 1999 წელს, ქართულ ექსპედიციასთან ერთად ვიყავი ევერესტზე. საბაზო ბანაკი ქალაქივით არის — უზარმაზარი კარვებია და ა.შ. ისე მოხდა, რომ სულ ორი ექიმი ვიყავით და უამრავი პაციენტი გვყავდა. ერთი იაპონელი გახდა ცუდად. რომ ჩამოვიყვანეთ, სულ გამომშრალი იყო. მალე შეშუპება დაეწყებოდა. გადასხმები გავუკეთეთ და გადარჩა. მათ ცოტა გაბუქება იციან და ინტერნეტში გადასცეს ინფორმაცია: ოპერაცია გაკეთდა და ყველაფერი კარგად არისო. თბილისში ჩამოვედი და აეროპორტში დამხვედრი ხალხი მეკითხებოდა: თირკმელზე რა ოპერაცია გააკეთეო?..

— ბატონო ზურა, ის მთამსვლელები, რომლებიც მთაში ილუპებიან, იქვე რჩებიან თუ ხერხდება მათი გადმოსვენება?

— ისინი იქვე რჩებიან. რომ მიდიხარ, გზაზე გხვდება — განსაკუთრებით ზევით, 8000 მეტრზე დაღუპულები. გიას უნახავს რამდენიმე. გზაზე ვისაც გადაეყარა, იაპონურმა ექსპედიციამ, ნაპრალებში გადასვენა და ქვებით დაფარა... თუ ნათესაობამ მოითხოვა, შეიძლება მათი ჩამოსვენება, მაგრამ საკმაოდ რთულია და დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული... იქ ბევრგან არის მათ სახელზე გაკეთებული მემორიალები.

— ამ მძიმე ნოტზე რომ არ დავამთავროთ, მითხარით — მართლა მოიპარსეთ ულვაში, როცა პირველი ქართული ექსპედიცია ავიდა დაულაგირზე?

— კი. ოღონდ, ეს ჩემი მოგონილი არ იყო. არსებობს წიგნი, სადაც მოთხრობილია ექსპედიციის ხელმძღვანელზე, რომელსაც არასდროს მოუპარსავს ულვაში; ის ექსპედიციის ყველა წევრს რაღაც სიმბოლო ჰგონია. მეც არასდროს მომიპარსავს ულვაში მანამდე და ამის გავლენით ვთქვი: თუ გაიმარჯვებენ, მოვიპარსავ-მეთქი. ჰოდა, გაიმარჯვეს და მოვიპარსე...

■

იაპონური ექსპედიციის წევრებთან ერთად

შალვა გელოვანი (დგას მარცხნივ) სხვა გადასახლებულებთან ერთად. 1952 წ.

ჩიმკენტში გადასახლებულ ქართველებს მერმანელმა ტყვეებმა უმასპინძლეს

ემა გელოვანი

1951 წლის 26 დეკემბერს, ღამის 3 საათზე, საქართველოდან 51000 ადამიანი გადაასახლეს. ეს იყო იმდროინდელი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაცადი ხერხი – ქვეყნიდან მოეკვეთათ ერისა და ხალხის „მტრები“. იმ საშინელ და ცივ ღამეს ნავთლულის რკინიგზის სადგურიდან ორი სამხედრო ეშელონი გავიდა, რომლის ვაგონებიც ცხოველების სადგომს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანებისთვის განკუთვნილ ტრანსპორტს.

იმ ღამეს, თბილისში თითქმის არავის ეძინა. სადგური ხალხით იყო სავსე: ერთი ნაწილი თავის ახლობლებს ემშვიდობებოდა, მეორე კი, სამუდამოდ (მაშინ ასე ეგონათ) – თავის სამშობლოს... ისტორიამ ამ ადამიანებს რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსი მიანიჭა და მათ, ვინც დღეს ცოცხალია, ხელისუფლებამ 45-ლარიანი საკომპენსაციო პენსია დაუნიშნა.

ამ ადამიანების თავს დამტყდარი უბედურება უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა, მაგრამ ამ მოვლენების შესახებ დეტალურ ინფორმაციას მხოლოდ მისი უშუალო მონაწილენი ფლობენ. ერთი რეაბილიტირებული ოჯახის მაგალითზე გვინდა საზოგადოებას კიდევ უფრო ცხადად დავანახვოთ ამ მოვლენის მთელი ტრაგიზმი.

1951 წლის 25 დეკემბერს, ხალხი თბილისში ჩვეული რიტმით ცხოვრობდა – პურისა თუ ფქვილის რიგებში იდგა, დაფუსფუსებდა: გაჭირვებული ცხოვრების მიუხედავად, ყველას და ყველაფერს წინასაახალწლო სამზადისის ელფერი დაჰკრავდა. ომი უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო, ამიტომ ზოგისთვის, შინ დაბრუნებულის მიერ მოგვრილი სიხარული, ზოგისთვის კი, შინმოუსვლელის გამო გაჩენილი ჭრილობა ოდნავ მაინც ჩვეულად ქცეულიყო... ხალხი გრამობით პურს სჯერდებოდა და იმით მაინც იყო კმაყოფილი, რომ ომის საშინელება წარსულს ჩაჰბარდა. მოვლენების რადიკალურად ტრაგიკულ შემობრუნებას აღარავინ ელოდა. რაც ყველაზე მთავარია, მათ სწამდათ დიდი ბელადის და რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ბევრს დღემდე სჯერა, რომ იოსებ სტალინი შეცდომაში შეიყვანეს და სამშობლოდან მათი გასახლების ბრძანების დოკუმენტზე ხელი მოტყუებით მოაწერინეს...

ეთერ მესხი:

– აგერ უკვე 82 წლისა ვარ, შვილო; ჩემს თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ... დღევანდელ ახალგაზრდებს რომ ვუყურებ – აღგზნებულები ხართ, ნერვები არ გყოფნით, – არადა, იმას, რაც მე თქვენს ასაკში გამოვიარე, მტერს არ ვუსურვებ... თავისუფლების მოედანზე ვცხოვრობდი, იტალიურ ეზოში. მე და ჩემს მეუღლეს ოთხი შვილი – ოთხი ვაჟი გვყავდა. გარდა ამისა, ჩემი მეუღლის მშობლები და დედმამიშვილებიც იქ ცხოვრობდნენ. იმ საშინელ ღამეს, ბავშვებს ეძინათ. პატარა ჯერ ერთი წლისაც არ იყო და აკვანში მეწვინა... კარზე დაგვიკაკუნეს და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული, სამი მამაკაცი შემოვიდა. რამდენიმე შეიარაღებული სამხედრო დერეფანში მწყობრად იდგა. ის სამი მამაკაცი ტახტზე ჩამოჯდა. გვიბრძანეს, რომ ტანთ ჩაგვეცვა და ბავშვებთან ერთად, წავყოლოდით. პატარა, აკვნიდან „ამომაგლეჯინეს“.

— მიზეზი არ დაუსახელებიათ, რატომ გასახლებდნენ?

– მაშინ არაფერი უთქვამთ, ან ვის ჰქონდა უფლება, ეკითხა – ვინ ხარ და რა გინდაო?!. შემდეგ შევიტყვეთ ამის მიზეზი. ჩემი მეუღლე დიდი სამამულო ომის დროს ტყვედ იყო ჩავარდნილი. ის პუნქტი, რომელიც გერმანელებმა დაიკავეს, შემდეგ, ისევ ჩვენებმა დაიბრუნეს და ჩემი მეუღლე კვლავ თავის ნაწილს დაუბრუნდა. ისე იყო დაჭრილი, რომ მისთვის ხელის მოკვეთა უნდოდათ, მაგრამ ქართველი ექთანი გოგონა უვლიდა და არ მიუცია ამის უფლება. მან მოარჩინა და ხელიც შეუნარჩუნა. სწორედ ჩემი მეუღლის ტყვედ ჩავარდნა გახდა შემდგომში, ჩვენი გადასახლების მიზეზი. ჩემი მეუღლე ეხვეწებოდა: მე წამიყვანეთ – შვილებსა და ცოლს რას ემართლებითო?! – მაგრამ ვინ მოუსმინა?.. ოთახში ჩვენთან არც ჩემი დედამთილი შემოუშვეს და არც სხვა ახლობელი. იარაღის ძებნა დაიწყეს; საგვარეულო ხანჯლის მეტი არაფერი გვქონდა და მისთვის ხელი არ უხლიათ. როგორც შემდეგ გავიგეთ, იმ სამი მამაკაციდან ერთ-ერთს, იმ ღამეს ძმა გაუსახლეს. თვითონ სხვებს ასახლებდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მისი ძმაც ჩვენს დღეში იყო... დიდი სატვირთო მანქანის ძარაზე შეგვყარეს პატარა ბავშვებთან ერთად და ნავთლულში, რკინიგზის სადგურზე წაგვიყვანეს. იქ საშინელი სურათი ვიხილეთ: უამრავი ხალხი ირეოდა; დაბნეულები იყვნენ – არავინ იცოდა, სად მივყავდით. მანქანა მანქანას მოჰყვებოდა და ხალხისგან, როგორც ტვირთისგან, ისე ცლიდნენ; შემდეგ, ისევ მიდიოდნენ, ახალი ტვირთისთვის... ისეთ ვაგონებში შეგვყარეს, რომელიც დიდ რკინის „ტუნელს“ მოგაგონებდა. ფანჯრის მაგივრად, ერთი პაწაწინა სარკმელი ჰქონდა – ერთადერთი დამაკავშირებელი გარე სამყაროსთან. ხალხი კიოდა, ტიროდა, ყვიროდა. უცებ, ამ ქაოსში საზარელი კივილის ხმა გაისმა. საშინელი ჩოჩქოლი ატყდა. ყველას გვინდოდა, სარკმლიდან რაიმე დაგვენახა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ახალგაზრდა ქალს, შიშის გამო, ნაადრევი მშობიარობა დასწყებია, ვერავინ დაეხმარა და იქვე გარდაიცვალა...

— როგორ? ექიმი არავინ იყო?

– როგორ არა? ჩვენს მეზობელ ვაგონში პროფესორი თევზაძე და მისი მეუღლე მიჰყავდათ, მაგრამ ისეთი ქაოსი ტრიალებდა ირგვლივ, რომ დახმარება ვერავინ აღ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეალის უბის წიგნაკიდან:

1. სპილოს კანის სისქე 3-4 სანტიმეტრია.
2. ლენინის პირველი მავზოლეუმი ხის იყო.
3. შვედეთს ბერნადოტების სამეფო დინასტია განაგებს.

4. ჯაბა იოსელიანმა თავისი სიცოცხლის 23 წელი ციხეში გაატარა.
5. „ვენია 1% აღმაფრენაა და 99% – ოფლის ღვრა“, – ამბობდა ედისონი.
6. ჯორჯ ბუში-უმცროსის ორ უსაყვარლეს ძაღლს ბარნი და სპოტი ჰქვია.
7. ლეონარდო და ვინჩის ზოგიერთი ხელნაწერის წასაკითხად სარკეა საჭირო.
8. ადამიანის მიერ ამონასუნთქი ჰაერის გასაზომ ხელსაწყოს სპირომეტრი ჰქვია.
9. იტალიური ლირის 2.000-იან კუპიურაზე გალილეო გალილეი არის გამოსახული.
10. „სერთიფიკატი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად, სათანადოდ დამზადებულს ნიშნავს.
11. რომის პირველ პაპად პეტრე მოციქული ითვლება. იოანე-პავლე II რიგით 265-ე პაპია.
12. მსაჯს არა აქვს უფლება, განსაჯოს მატჩი, თუკი ფინალში მისი მშობლიური ქვეყნის ნაკრები ასპარეზობს.
13. „ღმერთი ცაში ჭადრაკს თამაშობს. შავი მეფის ფიგურად იგი რომის პაპის – ლეონ მეათის სულს იყენებს, ხოლო თეთრი მეფის ფიგურად – მარტინ ლუთერის სულს“, – წერდა XVI საუკუნის გერმანელი თეოლოგი ფილიპე მელანქტონი.
14. 27 წლის მიხაილ ლერმონტოვი დუელში მაიორმა მარტინოვმა მოკლა. ხელისუფლებამ მკვლელს მონანიება მიუსაჯა.
15. ტერმინი – „თაფლობის თვე“ პირველად ვოლტერმა იხმარა თავის ფილოსოფიურ თხზულებაში – „ზადიგი ანუ ბედი“.
16. ფილოსოფიური ტერმინი „ელემენტი“ ლათინური ალფაბეტის ერთმანეთის მომდევნო სამი ასოს – L, M, N-საგან წარმოიშვა.
17. ჭიანჭველაჭამიას კბილები არა აქვს. P.S. ცხოველებს,რომლებიც მხოლოდ ჭიანჭველებითა და ტერმიტებით იკვებებიან, მირმეკოფაგები ეწოდებათ.
18. კაპიტოლიუმი, დამოუკიდებლობის

მოუჩინა. სამხედროებმა წინასწარ გაგვაფრთხილეს – თუ რაიმე პრობლემა შეგვექმნებოდა, კარზე დაგვეკაკუნებინა, ვინაიდან ვაგონის კარი გარედან იყო ჩაკეტილი. მაგრამ დახმარების ხელი არავის გამოუწვდია... ვაგონში რკინის „კოიკები“ იყო; მე და ჩემი უმცროსი ვაჟი მესამე ზედა „კოიკაზე“ მოვხვდით. ვაგონში ისეთი სიცივე იყო, რომ ჭერზე ყინულებს ვფხეკდით... მატარებელი ხშირად ჩერდებოდა და ზოგჯერ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში ვიყავით გაჩერებულები. ვაგონის კარს იშვიათად აღებდნენ – მაშინ, როდესაც წყალი იყო ამოსატანი. პატარა, ძალიან დამისუსტდა გზაში, მაღალი სიცხე მისცა. მიზეზს ვერ ვიგებდით. ვაგონში 9 ოჯახი ვიმყოფებოდით, მათ შორის იყო აფთიაქის გამგე უჯმაჯურიძე და არც ერთი ექიმი. უჯმაჯურიძეს მედიკამენტები ჰქონდა წამოღებული, მაგრამ დანიშნულების გარეშე არ ვიცოდით, რა მიგვეცა. კარზე ვაბრახუნებდით, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა. მაღალი სიცხის დასაგდებად, პატარა კოვზით ყინულებს ვფხეკდით ვაგონის ჭერიდან და ბავშვს შუბლზე ვადებდით. ეს კოვზი ახლაც შენახული მაქვს და რომ მოვკვდები, საფლავში უნდა ჩამატანონ... ძუძუს ვაჭმევდი, მაგრამ განადგურებულსა და ნახევრად მშიერს რა რძე უნდა მქონოდა?!. 5 იანვარს ერთი წელი უსრულდებოდა. ბავშვი ხელში მეჭირა და ვინაიდან რამდენიმე ღამე გავათენე, ჩამთვლიმა. ვიღაცის ყვირილმა გამომაღვიძა: ეთერ, ბავშვი კვდებაო! შოთიკო მართლაც, კვნესოდა. არ ვიცოდით, რა გვექნა. კარზე ვაბრახუნებდით, მაგრამ ისინი მხოლოდ დღის ბოლოს მოვიდნენ – მაშინ, როდესაც პატარა უკვე აღარ მყავდა... თავს სქელი ლითონის კედლებს ვურტყამდი, იმ იმედით, რომ ეს მომკლავდა, ჩემი მეუღლე არანორმალურად ყვიროდა – და ამ ყველაფერს ჩემი შვილები – რვის, ოთხის და ორი წლის ბიჭები – უყურებდნენ... ალბათ ასეთმა საშინელმა ხმებმა აიძულა ისინი, კარი გაეღოთ, მაგრამ ჩემი მეუღლე გააფთრებული ეცა და გარეთ გაყარა... უკვე ვიცოდით, რომ ორ დღეში ჩავიდოდით ყაზახეთში, ამიტომ გადავწყვიტეთ, ბავშვის გვამი იქ ჩაგვეტანა და სადაც ბინას დავიდებდით, იქ დაგვესაფლავებინა. ვაგონში მყოფთაგან, წინააღმდეგობა არავის გაუწევია: ერთი წლის ჩვილის გვამი ვის რას დაუშავებდა?!. მოულოდნელად, მატარებელი გაჩერდა, ამოვიდნენ ჩვენი „გამცილებლები“, ჩემს მეუღლეს რაღაც გადაულაპარაკეს. მან ბავშვის გვამი გამომართვა, მაგრამ დამპირდა, რომ ისევ უკან მოიყვანდა და იმ ხალხს გაჰყვა. დღემდე არ ვიცი, რა უთხრეს ისეთი, რომ შვილის ნეშტი სადღაც გაურკვეველ ადგილას, რომელიღაც საავადმყოფოში (ალბათ ექსპერიმენტების ჩასატარებლად) ნებაყოფლობით დაატოვებინეს... ასე, თბილისიდან ოთხი მცირეწლოვანი შვილი წამოვიყვანე, იქ კი, იმ საშინელ ადგილას მხოლოდ სამი მიმყავდა... ჩემი მეუღლე დიდგვაროვან ოჯახს მიეკუთვნებოდა და ნამდვილ ქართულ ტრადიციებზე იყო აღზრდილი. შალვა არ იყო ის პიროვნება, რომელიც ტანზე რაიმე ფორმის ტატუირებას გაიკეთებდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო შვილის სამუდამოდ დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, რომ ჩემმა მეუღლემ მარჯვენა ხელის მტევანზე „შოთა“ ამოისვირინგა. ეს იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ყოველთვის გვახსენებდა მას და გამუდმებით გვტკიოდა მისი არყოფნა.

— ყაზახეთში მართლაც ისეთ ადგილას დაგასახლეს, რომ ადამიანების დასასჯელად გამოდგებოდა?

– 1952 წლის 7 იანვარს ჩავედით სამხრეთ ყაზახეთის ჩიმკენტის რაიონში, სადაც გადასახლებულების დიდი ნაწილი, მიტოვებული და დანგრეული, ბამბის კომბინატის შენობაში შეგვასახლეს. მიწაზე დავიგეთ ლოგინი და მხოლოდ მეორე დღეს შევძელით დაგვენახა, რომ საშინელ მტვერში გვძინებია. ცოტა მოსულიერებულები, შემდეგ, მიწურ ქოხებში დაგვანაწილეს, სადაც იქაურებთან ერთად მოგვიწია ცხოვრება. ჩვენ მათი მდგმურები ვიყავით. მათ ქოხებს ფანჯრები საერთოდ არ ჰქონდა – მხოლოდ ერთი პაწაწინა სარკმელი. არ გვქონდა საწოლები და პირდაპირ მიწაზე გვეძინა. ჰაერი ისეთი ცხელი იყო, რომ სუნთქვა ჭირდა, მიწა კი, მტვრის დიდი ფენით იყო დაფარული ისე, რომ ფეხიც კი გვეფლობოდა.

გიორგი მდივანი თავის ჩიმკენტელ მოსწავლეებთან ერთად. 1952 წ.

შალვა გელოვანი და ეთერ მესხი (მარცხნივ) მეზობლებთან და შვილებთან ერთად

სახლში უამრავი მორიელი დაღოღავდა, ზოგჯერ ღამით, სხეულზეც გვაროხდებოდნენ ხოლმე. ეზოში იმდენი ქვეწარმავალი დასრიალებდა, რომ მტვერი ტალღებად ირხეოდა. გველის დანახვაზე რა რეაქცია გვექნებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ? ამიტომ, ჩემმა მეუღლემ მისი მოკვლა დააპირა. დიასახლისი გადაირია, წინ გადაუდგა: ეს ჩვენი ოჯახის მფარველი ანგელოზია თუ მოკლავ, უამრავი დაგვესევა და ამოგვწყვეტენო... დასალევი წყალი ფიზიკურად არ იყო. მდინარიდან მოგვქონდა ტალახიანი წყალი, შემდეგ ვადუღებდით და ისე ვსვამდით.

— **ასეთ ადგილას თავს რით ირჩენდი?**

— ჩვენ რა გვიჭირდა? — ყამირი უკვე გატეხილი დაგვხვდა: ომის შემდეგ, იმ ადგილებში, ტყვედ ჩავარდნილი გერმანელები ჩაუსახლებიათ. ცივილიზაცია თავისას შვრება — მათ უკვე ხის კოტეჯები ჰქონდათ აგებული და საქონელიც ჰყავდათ მოშენებული. ესეც პარადოქსი და ბედის ირონია არ არის? — ჩვენც, იმის გამო ვიმყოფებოდით ამ უდაბნოში, რომ მათ ჩავუვარდით ტყვედ და ისინიც, ჩვენთან ტყვედ ჩავარდნამ მიიყვანა იმ ადგილას... ამის მიუხედავად, მაინც გვეხმარებოდნენ და რძესა და სხვა პროდუქტებს გვაძლევდნენ ხოლმე. ხომ გაგიგონიათ — ქართველი კაცი არსად დაიკარგებაო. ჰოდა, ჩემმა მეუღლემ ღვინის დაყენება დაიწყო, მეწაღემ — ფეხსაცმლის კერვა, დალაქმა — თმის შეჭრა და ასე ვეწეოდით ცხოვრების ჭაპანს. პერიოდულად, შესაბამისი კომისია გვამოწმებდა. მათ აინტერესებდათ, როგორ ვიქცეოდით. ეს კომისია მოსკოვიდან ჩამოდიოდა და მახსოვს, ერთხელ, ერთი ქართველი კაციც აღმოჩნდა მის წევრებს შორის. მან ჩემს მეუღლეს ქართულად გადაულაპარაკა: ნუ გეშინიათ — მალე დაგაბრუნებენო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მას კი, კოლეგებმა უსაყვედურეს — ქართულად ნუ ლაპარაკობთო... ჩვენამდე, ყაზახეთში იყო ჩასახლებული ქუთაისელი ფხალაძე. ის უკვე მატერიალურად მომაგრებული იყო, ამიტომ ღამით, რომ არავის შეემჩნია, ისე დაგვიდებდა ხოლმე ხან ნავთს და ხან — შეშას. ერთხელ, ქართველები ყურძნის საკრეფად წაგვიყვანეს. ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა — ეს იმდენად ჰგავდა საქართველოში ყოფნას, რომ თან ვკრეფდით და თან ვტიროდით... უკვე გითხარით, რომ ჩემი მეუღლე ქართული ტრადიციების დამცველი კაცი იყო და იმისათვის, რომ საქართველოს სიახლოვე ეგრძნო, როცა გვასახლებდნენ, იმ არეულობაშიც კი მოახერხა ბარგში ყანწების ჩადება. ჩვენთან ერთად გადასახლებულ კაკო გოგიშვილს მეუღლემ ქართული სიმღერების ჩანაწერები ჩამოუტანა და ასე იკლავდნენ მაშინ ქართველები გულში მოწოლილ მონატრების სევდას!

— **დღეს თუ გაქვთ ურთიერთობა იმ ადამიანებთან?**

— მათგან ცოცხალი თითქმის აღარავინ დარჩა, მათ შვილებსა და შვილიშვილებს კი ჩემთან ურთიერთობა არა აქვთ. სხვათა შორის, ჩვენთან ერთად იყო გადასახლებული პროფესორი ათანასე მენაღარიშვილი, მეუღლესთან ერთად. მათაც მიწური ოთახები გამოუყვეს საცხოვრებლად, სადაც მანამდე, ვირების სადგომი ყოფილა. ცოტა შეაკეთეს, გაასუფთავეს ბინა და სწორედ იქ შეეძინათ ვაჟი — ირაკლი, რომელიც დღეს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია.

— **ქართველი ბავშვებისთვის ქართული კლასები არ შექმნილა?**

— ჩემს შვილს, მხოლოდ ერთს მოუწია იქაურ სკოლაში სიარული, სადაც სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ჩვენთან ერთად ყაზახეთში იმყოფებოდა მასწავლებელი — გიორგი მდივანი, რომელიც ამ სკოლაში მოეწყო მასწავლებლად და ქართველი ბავშვების აღზრდაში თავისი წვლილი შეიტანა...

1953 წლის 20 მაისს კი, მოგვისწრო ბრძანებამ ჩვენი გათავისუფლების შესახებ. ხალხში ამბობდნენ — ხელისუფლებამ აღიარა თავისი შეცდომა, ჩვენი უკანონოდ გადასახლებით რომ დაუშვაო... უკან — სახლში, ღია ვაგონებით ვბრუნდებოდით. ხალხი მხიარულობდა, მღეროდა, ქეიფობდა. მე და ჩემნაირები კი, უკან დიდი დანაკლისით ვბრუნდებოდით. ნუთუ, ჩემი ერთი წლის შვილის სიცოცხლე იყო საჭირო ჩემი მეუღლის დანაშაულის გამოსასყიდად?!. სტალინის ლოზუნგი ხომ ასე ჟღერდა — ტყვია დაიხალეთ და ტყვედ არ ჩავარდეთო!..

■

ინფორმაციულ-უმეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

სასახლე, აშშ-ის ხაზინა, ლინკოლნის მემორიალი, თეთრი სახლი — ეს შენობები ამერიკული დოლარის სხვადასხვა კუპიურაზეა გამოსახული.

19. ყურთაგლეჯა — ერთგვარი საბავშვო თამაშია. პირის რაიმე ჩასატკბარუნებელს, კანფეტს, ხილს ისვრიან ზევით. ბავშვები წაეტანებიან, ვინც დაიჭერს, იმას დანარჩენები ყურში სწვდებიან და ცდილობენ, ხელიდან გაავდებინონ.

20. რუსულ ტელეგადაცემაში „100/1“, ერთსა და იმავე კითხვას უსვამდნენ 100 კაცს, რის შედეგადაც ავლენენ ამა თუ იმ კითხვაზე პასუხის რეიტინგს. კითხვაზე — „ვის უყვარს ლუდი?“ — ყველაზე პოპულარული პასუხი იყო — „მე!“

21. სასტენდო სროლა 1880 წელს მას შემდეგ წარმოიშვა, რაც სამიზნე თეფშების გასაშვები მანქანა გამოიგონეს. მანამდე, შეჯიბრის მონაწილენი ცოცხალ სამიზნეს, სპეციალური ყუთებიდან გამოშვებულ ველურ მტრედებს ესროდნენ.

22. სპორტის სასახლე თბილისში 1961 წელს აშენდა. მისი ტრიბუნები 10500 მაყურებელს იტევს.

23. გადასახლებაში ვახუშტი კოტეტიშვილის მამას გამომძიებელმა რაღაც უგვანობა შესთავაზა. უფროსმა ვახტანგ კოტეტიშვილმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და გამომძიებელს ხელი გაარტყა. ამის გულისთვის, პატიმარს ორივე ფეხი მუხლში გადაუმტვრიეს.

24. მტრის თითოეული ჩამოგდებული თვითმფრინავისთვის სადამ ჰუსეინმა ჯილდოდ დააწესა 33.000 დოლარი, ჩამოგდებული ვერტმფრენისათვის — 17.000 დოლარი. ასევე 17.000 დოლარს მიიღებს ერაყელი ჯარისკაცი, თუკი ტყვედ აიყვანს მოწინააღმდეგეს, ხოლო მისი მოკვლისათვის ჯილდო 8.000 დოლარია.

25. Я осторожно в клавиш бью,
Сижу не чванно, не спесиво,
И говорит мне, как „спасибо“
Моя машинка: ЯЧСМИТЬБЮ.

ეს ლექსი სემიონ კირსანოვმა საკუთარ საბეჭდ მანქანას მიუძღვნა. P.S. რუსული საბეჭდი მანქანის კლავიატურის ქვედა რიგზე სწორედ ეს ასოები, ЯЧСМИТЬБЮ არის განლაგებული.

■

„ჩხუბს რაღა დიდი ფილოსოფია უნდა!“ გაიფიქრებთ თქვენ, მაგრამ აბსოლუტურად არ იქნებით მართალი. რადგან სწორად წარმართულმა ჩხუბმა შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა ძალზედ გაგიიოლოთ. ამქვეყნად ჩხუბისგან დაზღვეულნი იდეალური წყვილებიც კი არ არიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი მათგანი თავისებურად ჩხუბობს. ერთნი, ხმის ჩახლეჩამდე ყვირილის შემდეგ, სულ იოლად რიგდებიან, მეორენი კი, ერთმანეთისთვის ორიოდე „ტკბილი სიტყვის“ თქმის მერე, გაყრაზე ფიქრს სერიოზულად იწყებენ. რატომ ხდება ასე?

ფეგიფლიაში თუ არა სწორად ჩხუბი?

ადამიანები თითქოს ერთ ენაზე მეტყველებენ, მაგრამ ერთმანეთის არ ესმით

ადამიანები საკუთარი აზრებისა და ემოციების გადმოცემას სიტყვის მეშვეობით ახერხებენ. სიტყვების საშუალებით ჩვენ ვცდილობთ, სათქმელი მოსაუბრემდე მივიტანოთ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ამ სიტყვების არსი მისთვის გაუგებარი და მიუწვდომელი რჩება. ჩვენ პარტნიორის ნათქვამს, პირადი გამოცდილებისა და ემოციური მდგომარეობის პრიზმაში გარდატეხილს აღვიქვამთ, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი აღქმა არ შეიძლება ყოველთვის ადეკვატური იყოს. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ წყვილებს შორის ჩხუბი, ხშირ შემთხვევაში, პრინციპული უთანხმოების საფუძველზე კი არა, პარტნიორის ნათქვამის არასწორად აღქმის გამო ხდება. ზოგჯერ ურთიერთგაუგებრობა და დაძაბულობა ისეთ ზღვარს აღწევს, რომ ქალსა და მამაკაცს თარჯიმნის დახმარება სჭირდებათ. ასეთ შემთხვევაში თარჯიმნის ფუნქციას, ცხადია, ფსიქოლოგები კისრულობენ. სამწუხაროდ, ოჯახური წყვილები სპეციალისტს მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა ურთიერთობა მეტისმეტად ეძაბებათ. იმისათვის, რომ თქვენი ოჯახის მომავალი და მისი ბედნიერება საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს, ჩვენ რამდენიმე უბრალო რჩევას შემოგთავაზებთ, რაც მამაკაცებთან საერთო ენის გამონახვაში დაგეხმარებათ.



სახელმწიფო ევროპაში	ეგვიპტელი ღმერთი	სჯობს ..., ვიდრე არასდროს	ლ. ტოლსტოი „... კარენინა“	„... ცქერით როდი გაცვდება...“	აღტაცების შეძახილი თეატრში	ყვავილი	დაქირავებული კავალერი
ოსტატობის ხარისხი ძიუდოში	მდინარე აღმ. საქართველოში	ტროპიკული ხილი	ბუდისტი მღვდელი	ზოლებიანი ცხოველი სავანაში	მოგზაურობა	რუსთაველ ძველად ერ	

ჩხუბის დროს მოერიდეთ მკვახე გამოთქმებს

არსებობს მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომელსაც ნებისმიერი მამაკაცის წონასწორობიდან გამოყვანა შეუძლია. გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში, სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად შეესაბამება ეს სიტყვები სიმართლეს. დაიხსომეთ ეს გამოთქმები და ურთიერთობის გარკვევისას მოერიდეთ მათ გამოყენებას: „ყველაფერი შენ გამო მოხდა“; „დამნაშავე შენა ხარ“; „შენი ბრალია“; „შენ დამპირდი“; „ვალდებული ხარ, რადგან“; „ხომ გეუბნებოდი, რომ უნდა“; „ოდნავ მაინც რომ გიყვარდე“; „დედაჩემი ცამდე მართალი იყო, როცა მეუბნებოდა“. თუ თქვენი მიზანია მოსაუბრისთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება და არა მისი წონასწორობიდან გამოყვანა, შეეცადეთ, რომ თქვენი აზრები უფრო კორექტულად გამოხატოთ; მთავარია, არავითარ შემთხვევაში, არ ახსენოთ დედათქვენი ან დედამთილი. ურთიერთობის გარკვევისას თავი შეიკავეთ სალანძღავი და თავმოყვარეობის შემლახავი გამოთქმების გამოყენებისაგან. იმიტომ, რომ უთანხმოების შემდეგ, შესაძლოა, ჩხუბის მიზეზი სულაც აღარ გაგახსენდეთ, შეურაცხყოფის დავიწყება კი, ბევრად უფრო გაგიჭირდებათ. რა თქმა უნდა, როცა ჩხუბის დროს, ყველა არგუმენტი ამოწურულია, ბუნებრივია, ადამიანს უჩნდება სურვილი, რაღაც ისეთი უთხრას მოწინააღმდეგეს, რომ გაამწაროს იგი (მაგალითის მოყვანისაგან თავს შევიკავებთ). თუმცა შეგახსენებთ, რომ ადამიანს ყველაზე მძაფრი ემოციების გამოხატვაც კი, კორექტული, მისაღები ფორმით უნდა შეეძლოს. მთავარი ის კი არ არის — რას ამბობთ, არამედ ის — თუ როგორ ამბობთ!

როცა უთანხმოების ვნებათაღელვა საბოლოოდ ჩაცხრება, გირჩევთ, თქვენი პარტნიორისათვის კეთილი სიტყვები არ დაიშუროთ. თქვენს ოჯახში თუ თბილი, ურთიერთნდობისა და პატივისცემის ატმოსფერეა გამეფებული, ცხელ გულზე ნათქვამი უხეში სიტყვებიც კი გაბუნდება ჩვეული ნაზი სიტყვების მოსმენისას. მაგრამ იცოდეთ, თუ თქვენ წლების მანძილზე გულში წყენას ჩაიდებთ, იშვიათად ნათქვამი „მიყვარხარ“, ამ ღვარძლის ნიაღვარში ჩაიკარგება და სიტუაცია განეიტრალების ნაცვლად, სულ უფრო და უფრო გაუსაძლისი გახდება.

ჩხუბის შემდეგ შექმნილი სიტუაცია აუცილებლად გააანალიზეთ

თუ თქვენ ჩხუბის შემდეგ ერთად (ან თუნდაც ცალკე) გააანალიზებთ მომხდარს, დაფიქრდებით იმაზე, თუ რით დაიწყო ყველაფერი, ფრიად საინტერესო დასკვნამდე მიხვალთ. მაგალითად, გაიხსენებთ, რომ ჩხუბის პროვოცირება სწორედ თქვენ მოახდინეთ: მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცით, თქვენი მეუღლე ვერანაირ ზეწოლას ვერ იტანს, კამათის დასაწყისში განუცხადეთ: „ამ თაროებს ახლავე თუ არ დაამაგრებ, მთელ შენს ხელსაწყოებს ფანჯრიდან გადავყრი — მაინც არაფერში იყენებ!“ ამ სიტყვების შემდეგ კი, იცოდეთ, რომ არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, რომ ეს თაროები სწორედ თქვენ შარჩიეთ მაღაზიაში, რათა ქმრისთვის გესიამოვნებინათ. არც იმას, რომ მეუღლის ხელსაწყოების გადაყრა სინამდვილეში გულშიაც არ გაგივლიათ. მთავარია ის, რომ თქვენმა პარტნიორმა ეს სიტყვები ულტიმატუმად აღიქვა და თაროების შერჩევის ფაქტი აღარც კი გახსენებია. სულ რაღაც ორიოდე წუთში, როცა სკანდალმა პიკს მიაღწია, თაროები თქვენც მიგავიწყდათ. ასე რომ, თუ რეგულარულად გააანალიზებთ უსიამოვნების მიზეზებს, აუცილებლად მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ შეიძლებოდა, ეს ყველაფერი ქმრისთვის უფრო მისაღებ და გასაგებ ენაზე გეთქვათ, რითიც სკანდალსაც აიცილებდით თავიდან. ნელ-ნელა, სათქმელის სწორად ჩამოყალიბებასაც ისწავლით და მეუღლესთან ერთად, ყველაზე მწვავე პრობლემების მშვიდ ატმოსფეროში განხილვასაც შეძლებთ.

საინტერესო ინფორმაცია

ემოციურ განწყობას, ისევე, როგორც ურთიერთობის სტილს, ოჯახში 90%-ით განსაზღვრავს ქალი. მეუღლეთა თანაცხოვრების რაღაც გარკვეული ეტაპის შემდეგ, მამაკაცი ისე მიმართავს და ექცევა ცოლს, როგორც ამას მის მიმართ გამოხატავენ. ამიტომ, თქვენსავე ინტერესებში შედის, ელაპარაკოთ მას ისე და იმ ენაზე, რომლითაც გსურთ, რომ თქვენ მოგმართონ. ■

დათუნია ... პუჰი	სპორტული ჭიდაობა	ქალის თაყვანური	ტუჩის საცხი	შიშველი სხეული მხატვრობაში	არქიტექტურული სტილი	თბილისის ძველი უბანი	თამაშის დროს ჩასული თანხა
ინ ი ნ ა ს ა მ ბ ო ხ ი ნ ტ ე ნ ა ბ ა ნ ი ბ ო ტ ო ნ ი ბ ო ტ ო ნ ი ბ ო ტ ო ნ ი ბ ო ტ ო ნ ი							
პროსპექტს ... პროსპექტი	კოცნა	მაყარებლების ხადგომი	წიაღისეული	მჭედლის იარაღი	გაუშელი ყვავილი	ძაღლი ... — ქარავანი მიდის	ქალაქი რაჭაში

რა მადლს ვიღებთ ნაკურთხი ზეთის ცხებისას?

მორენა მერკვილაძე

მართლმადიდებლური ეკლესიის საიდუმლოთაგან ერთ-ერთია ზეთის კურთხევის საიდუმლო, რომლის ხილული მხარეა სასულიერო პირის მიერ ადამიანის სხეულის სხვადასხვა ადგილზე ნაკურთხი ზეთის ცხება, ამიტომ მას ხშირად ზეთის ცხებასაც უწოდებენ... რა არის ზეთის კურთხევის საიდუმლო და რა მადლს ვიღებთ ნაკურთხი ზეთის ცხებისას? როგორ აღესრულება ეს საიდუმლო? რა უნდა ვიცოდეთ მის შესახებ, რათა სათანადოდ მოვემზადოთ ამ საიდუმლოსთვის — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით გვესაუბრება წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ძვლივიძე.

— ზეთის კურთხევის საიდუმლო სათავეს მოციქულთა დროიდან იღებს. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში ნათქვამია: „უძლურ თუ ვინმე არს თქვენს შორის, მოუწოდონ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მის ზედა და სცხონ ზეთი სახელითა უფლისაითა“ (იაკობი 5,14). აქედან გამომდინარე, ზეთის კურთხევის საიდუმლო ძირითადად, დაუძლურებული და სნეული ადამიანისთვის აღესრულება, რომელთან მიახლოებისასაც, ადამიანი სულიერი და ხორციელი უძლურებისგან განიკურნება. ამასთანავე, მას მიეტევება დავიწყებული და გაუცნობიერებელი ცოდვები. როგორც იაკობ მოციქული გვამცნობს: „რწმენის ლოცვა გადაარჩენს ავადმყოფს და თუ ცოდვები უქმნია, მიეტევება“ (იაკობი 5,15).

— როგორც იაკობ მოციქულის სიტყვებიდან ჩანს, ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსასრულებლად ეკლესიის ხუცესს, ანუ ღვთისმსახურს უნდა მივმართოთ, აქვს თუ არა ყველა სასულიერო პირს ამ საიდუმლოს აღსრულების უფლება?

— არა მარტო ზეთის კურთხევის საიდუმლო, ნებისმიერი საიდუმლო ღვთისმსახურმა უნდა აღასრულოს, რადგან საიდუმლოს აღსრულების უფლება, მხოლოდ მოციქულთა მემკვიდრეებს — მართლმადიდებელ ღვთისმსახურებს აქვთ, მაგრამ ეკლესიის საიდუმლოებებს არ აღასრულებენ დიაკვნები, მათ შორის, არც ზეთის კურთხევის საიდუმლოს. რაც შეეხება ეპისკოპოსებს და მღვდლებს, ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულების უფლება, ნებისმიერ ეპისკოპოსს და მღვდელს აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასნეულებული ადამიანის განკურნების მიზნით ზეთის ცხებას ჯერ კიდევ მოციქულები იყენებდნენ „ახალი აღთქმის“ მიხედვით, როდესაც უფალმა მოციქულები საქადაგებლად წარგზავნა, მისცა ხელმწიფება ყოველთა სენთა და უძლურებათა განკურნებისა: „სნეულნი განკურნეთ, მკვდრები აღადგინეთ, კეთროვანნი განწმინდეთ, ეშმაკები განდევნეთ“ (მათე 10,1). მოციქულებიც ქადაგებდნენ: „სდევნიდნენ მრავალ ეშმაკს და სნეულებს სცხებდნენ ზეთს და კურნავდნენ“ (მარკოზი 6,13).

— როგორ აღესრულება ზეთის კურთხევის საიდუმლო და როგორ იძენს ზეთი მაკურნებელ ძალას?

— ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულების დროს, ღვთისმსახური მაგიდაზე დაასვენებს ჯვარს და „სახარებას“, რომლის გვერდითაც იდგმება ხორბლით სავსე ჭურჭელი, მასში მომცრო ჭურჭლით დგამენ ზეთშერეულ ღვინოს (ღვინო, რომელიც ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსასრულებლად გამოიყენება, აუცილებლად უნდა იყოს წითელი ფერის). ხორბალში ჩაარჭობენ შვიდ ღერ სანთელს და შვიდ ბამბაშემოხვეულ ჩხირს. ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულებას, დაახლოებით ორი საათი სჭირდება. თავიდან სასულიერო პირი კითხულობს სპეციალურ ლოცვებს ზეთის კურთხევაზე, შემდეგ კი იხდის პარაკლისს და კითხულობს მკურნალ წმინდანთა ლოცვებსა და კონდაკებს. ამის შემდეგ, იკითხება შვიდი თავი სამოციქულოდან და შვიდი თავი „სახარებიდან“. საიდუმლოს აღსრულების დროს, ღვთისმსახურის ლოცვით, ზეთზე გადმოდის სულიწმიდის მადლი, ანუ ხდება ღვთიური მადლის მატარებელი და აქვს სულიერ და ხორციელ სნეულებათა განკურნების ძალა. ზეთის კურთხევის საიდუმლო, წესით, შვიდმა მღვდელმა უნდა აღასრულოს, მაგრამ თუ შვიდი მღვდელი არ შეიკრიბა, შეიძლება, ერთმა მღვდელმაც აღასრულოს.

— როგორი ზეთი გამოიყენება ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსასრულებლად?

— ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსასრულებლად, წესით, გამოიყენება ზეთუნის ზეთი, თუმცა შეიძლება სხვა მცენარეული ზეთის გამოყენებაც.

— რატომ ურევენ ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულების დროს ზეთში ღვინოს?

— ამ საიდუმლოს აღსრულებისას ზეთში ღვინის გარევას, საფუძვლად უდევს „ახალი აღთქმიდან“ ერთ-ერთი თავი — „იგავი გულმოწყალე სამარიელზე“, რომელმაც ავაზაკებისგან დაჭრილ მომაკვდავს ზეთი და ღვინო სცხო და განკურნა.

— ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულების წესის დროს, ხშირად გვხვდება რიცხვი — შვიდი. რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ამ რიცხვს?

— „სახარებაში“ გვხვდება რიცხვები, რომელსაც განსაკუთრებული სულიერი დატვირთვა აქვს. მაგალითად, რიცხვი — სამი, წმინდა სამებას გაგვახსენებს და მისი სიმბოლოა; რიცხვი ცხრა — ანგელოზთა ცხრა დასს; ორმოცი — იუდეის უდაბნოში იესო ქრისტეს ორმოცდღიან მარხვას; თორმეტი — თორმეტ მოციქულს და ებრაელთა თორმეტ ტომს. ერთ-ერთი ასეთი რიცხვია შვიდი, რომელსაც „ძველი აღთქმის“ მიხედვით განსაკუთრებული სულიერი დატვირთვა ჰქონდა. მოსეს ბრძანებით, „ძველი აღთქმის“ მოძრავ კარავში შვიდტოტა სასანთლე უნდა დანთებულიყო. მოციქულებმა აქედან აიღეს რიცხვი — შვიდი და „ახალი აღთქმის“ ეკლესიაშიც განსაკუთრებული სულიერი დატვირთვის მატარებელი გახდა. შვიდი სიმბოლურად — სისავსის ნიშანია.

— როგორ ხდება ნაკურთხი ზეთის ცხება?

— ღვთისმსახური ჯვრის სახით შვიდჯერ სცხებს ნაკურთხ ზეთს ადამიანს შუბლზე, ლოყებზე, თვალებზე, ცხვირზე,

ნიკაპზე, მკერდზე და ხელებზე, თან ლოცვით მიმართავს ღმერთს, რომ განკურნოს იგი სულიერი და ხორციელი სნეულებისგან. ბოლოს, ღვთისმსახური მას თავზე დაადებს „სახარებას“ და უკითხავს მიტევების ლოცვას.

— შეიძლება თუ არა, მკურნალობის მიზნით ნაკურთხი ზეთის ცხება სხეულის ნებისმიერ ადგილზე?

— მკურნალობის მიზნით ნაკურთხი ზეთის ცხება სხეულის ნებისმიერ ადგილზე შეიძლება, მაგრამ თუ ადამიანს ზეთის ცხება ისეთ ადგილზე სჭირდება, რომელიც გარკვეულ უხერხულობას შეუქმნის, შეუძლია, სასულიერო პირის მიერ ხელზე ნაცხები ნაკურთხი ზეთი, სნეულ ადგილზე თვითონვე მოისვას.

— შეიძლება თუ არა, ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულება მხოლოდ ერთი ადამიანისთვის?

— ზეთის კურთხევის საიდუმლოს აღსრულება, მხოლოდ ერთი ადამიანისთვისაც შეიძლება.

— როდესაც ადამიანი ფიზიკური უძლურების გამო ვერ ახერხებს ტაძარში მისვლას, შეიძლება თუ არა, მისთვის ზეთის კურთხევის საიდუმლო, ღვთისმსახურმა შინ აღასრულოს?

— ზეთის კურთხევის საიდუმლო წესით უნდა შესრულდეს ტაძარში, მაგრამ თუ ადამიანი იმდენად დაუძლურებულია, რომ ვერ ახერხებს ტაძარში მისვლას, შეიძლება, ზეთის კურთხევის საიდუმლო მის სარეცელთანაც აღესრულოს, ანუ სასულიერო პირმა შინ სცხოს ზეთი.

— როგორ უნდა მოემზადოს ადამიანი ზეთის ცხებისთვის?

— ადამიანი, ვისთვისაც ზეთის კურთხევის საიდუმლო აღესრულება, აუცილებლად უნდა იყოს მართლმადიდებლური წესით მონათლული და ერთხელ მაინც ჰქონდეს ჩაბარებული აღსარება. ამასთანავე მან უნდა გააცნობიეროს, თუ რა არის ზეთის კურთხევის საიდუმლო და რა მადლს ვიღებთ ნაკურთხი ზეთის ცხებისას.

P.S. რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ზეთის ცხებამ ადამიანზე მაკურნებლად იმოქმედოს? შეიძლება თუ არა, უგონოდ მყოფ ადამიანს, ნაკურთხი ზეთი ვცხოთ მისი მოსულიერების მიზნით? რა ასაკიდან შეიძლება ბავშვისთვის ნაკურთხი ზეთის ცხება? რატომ აღესრულება დიდმარხვის დროს ზეთის კურთხევის საიდუმლო ყველა ტაძარში? — ამ კითხვებთან დაკავშირებით „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით. ■

„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ...“

პანთეონი

„გზის“ წინა ნომერში იმ ორი მოღვაწის შესახებ მოგითხრობდით, რომელიც პირველად დაკრძალეს მამადავითის მთაზე. რუსი მწერლისა და დიპლომატის — ალექსანდრე გრიბოედოვისა და ქართველი საზოგადო მოღვაწის, სამშობლოს სასიკეთოდ ბრძოლას შეწირული დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვით, მთაწმინდაზე პანთეონი არ დაარსებულა. ეს საკმაოდ მოგვიანებით მოხდა.

თამაგ ქორქოლიანი

მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, ქართულ საზოგადოებაში პანთეონის დაარსების იდეა მომწიფდა. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრებმა მისი აშენება, თავდაპირველად, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის შემოგარენში განიზრახეს. მაგრამ არსებობდა მეორე აზრიც — მთაწმინდაზე პანთეონის დაარსებისა.

1892 წელს, საქართველომ თავისი დაუფასებელი და დაუტირებელი შვილი დაიბრუნა და დაიტირა — 47 წლის შემდეგ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებს სამშობლოში განსასვენებელი ეღირსა. მთელმა საქართველომ, ერმა და ბერმა, ღირსეული პატივი მიაგო და დიდუბის წმინდა მიწას მიაბარა მარტოსული პოეტის ნეშტი და ამით საფუძველი დაუდო დიდუბეში პანთეონის დაარსებას. მას შემდეგ დაიწყო დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გადმოსვენება-დაკრძალვა; პარალელურად, გროვდებოდა შეწირულობები შენობის ასაგებად.

პანთეონის შენობა-ტაძარი უძველესი კლასიკური ტრადიციების გათვალისწინებით უნდა აგებულიყო. „პანთეონი“ ბერძნული სიტყვაა და ყველა ღმერთის ტაძარს, მათი თავშეყრის ადგილს ნიშნავს, თანამედროვე გაგებით კი — ამა თუ იმ ერის ღვთაებათა ერთობლიობას, მათ სამუდამო განსასვენებელ ადგილს. ტაძრებშია მოთავსებული რომის, ლონდონისა და პარიზის უძველესი პანთეონები.

1907 წლის 30 აგვისტოს (ახალი სტილით — 12 სექტემბერი) წიწამურის გზაზე, ეთნიკურმა ქართველებმა და ბუნებით არაკაცებმა, საქართველოს უგვირგვინო მეფე



— 70 წლის ილია ჭავჭავაძე მოკლეს. მგლოვიარე საქართველომ მისი ნეშტი მამადავითის მიწას მიაბარა. მამადავითზე ილიას დაკრძალვამ მთაწმინდას განსაკუთრებული სიდიადე მიანიჭა და თითქოს საბოლოოდ განსაზღვრა ერის რჩეულთა ადგილსამყოფელი. მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდუბის ეკლესიაში მაინც მიმდინარეობდა პანთეონის მოსაწყობი სამზადისი. სხვადასხვა სასაფლაოდან აქ გადმოასვენეს: პლატონ იოსელიანის, ეკატერინე გაბაშვილის (თარხნიშვილი), ნიკო ხიზანიშვილის, დუტუ მეგრელის (ხოშტარია), იეთიმ გურჯის (დაბღიშვილი), ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას, უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილის), სიმონ ხუნდაძისა და სხვათა ნეშტები. დიდუბის პანთეონის შენობის ასაგებ, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკის პროექტმა გაიმარჯვა, რომელიც გადაეგზავნა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რათა მასში ეროვნული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ელემენტები გაეთვალისწინებინათ.

1915 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს), სოფელ სხვიტორში გარდაიცვალა 75 წლის აკაკი წერეთელი. ქართულმა საზოგადოებრიობამ უყოყმანოდ გადაწყვიტა, რომ პოეტი მთაწმინდაზე დაესაფლავებინათ. მისი ერთ-ერთი შედეგი — „განთიადი“, მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს, მთელ საქართველოს ეძღვნება, ანდერძისეულ მინიშნებას შეიცავს:

„დედაშვილობამ, მეტს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო“...

გარდა ამისა, ილიას და აკაკის სახელები, ერთმანეთისგან განუყრელი იყო მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და ლოგიკური იქნებოდა, რომ ამ ორ ბუმბერაზს საუკუნო განსასვენებელიც ერთი ჰქონოდა...

იმავე წლის 27 ივლისს (9 აგვისტოს),

ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობაში, სადაც მაშინ სამხედრო ჰოსპიტალი იყო, 54 წლის ასაკში ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა. მას არც ანდერძი დაუტოვებია და არც რაიმე ანდერძისეული მინიშნება საკუთარ შემოქმედებაში. სიკვდილის წინ, მწვანე ბალახი მოითხოვა და უკანასკნელად შეისუნთქა მშობლიური მიწის სურნელი... ვაჟას სამოქალაქო პანაშვიდი ქაშუეთის ტაძარში გადაიხადეს და 2(15) აგვისტოს, დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს. ეს ფაქტი იმის მიმანიშნებელია, რომ ქართულ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღქმულ-გააზრებული ვაჟა-ფშაველას ჭეშმარიტი სიდიადე...

ამ დროისათვის, საქართველოში უკვე ორი პანთეონი არსებობდა. ხოლო რაც შეეხება დიდუბის პანთეონის ტაძარ-შენობის აგებას – იმის გამო, რომ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ქვეყანა აირია და ე.წ. სოციალისტური რევოლუცია მოხდა, ეს საშვილიშვილო საქმე განუხორციელებელი დარჩა. ხელისუფლების სათავეში მოსულ მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს პანთეონის მოწყობის არც დრო ჰქონდათ და არც სურვილი. ხოლო როცა მენშევიკები, მათმა ახალგანაყარმა „ძმებმა“ – ბოლშევიკებმა შეცვალეს, დაიწყო რევოლუციებისათვის დამახასიათებელი, ფასეულობათა ხელახალი გადაფასება. მარადიული ფასეულობები უპირველესად სამშობლოს ეროვნული ცნობიერებიდან ამოდის და შემდეგ აღწევს ზოგადსაკაცობრიო შინაარსს. აკაკი ბრძანებს – „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“. ხოლო დროებითი ფასეულობები რევოლუციების, სამხედრო გადატრიალებების, ვერაგული შეთქმულებებისა და სხვა მსგავსი მოვლენების დროს ინერგება.

არაკანონიერი გზით მოსული ნებისმიერი ხელისუფლება ცდილობს, თავს მოახვიოს ქვეყანას საკუთარი ზნეობრივი ნორმები და აქედან გამომდინარე, პატივს მიაგებს თავის „გმირებს“, რომლებსაც ხშირად, დიდი პატივითა და პომპეზურობით სწორედ პანთეონებში კრძალავენ, რითიც უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ უპირველეს ყოვლისა, მიცვალებული „გმირის“ ახლობლებს, შემდეგ კი – მომავალ თაობებს, რადგან ადრე თუ გვიან, სიმართლე მაინც ირკვევა და უღირსთა ნაშთებისგან პანთეონების განწმენდის საკითხი დგება...

1929 წელს, ბოლშევიკებმა აღნიშნეს ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალების 100 წლისთავი. შეაკეთეს მამადავითზე მისასვლელი გზა, ჩამოაყალიბეს კომისია, რომელსაც დაევალა, მამადავითის ეკლესიის ტერიტორიაზე არსებული საფლავების გადასინჯვა და პანთეონში დასატოვებელი საფლავების ნუსხის დადგენა. იქვე, ახლოს მდებარე ბერმონაზვნების საცხოვრებელ შენობაში მოაწყვეს გრიბოედოვის მემორიალური მუზეუმი, რომელსაც მოგვიანებით შეემატა: მირზა ფათალი ახუნდოვის, გაბრიელ სუნდუკიანის, ოვანეს თუმანიანის, მირზა შაფისა და სხვათა ავტოგრაფები და პორტრეტები. ამ წელს, მამადავითის ეკლესიის შემოგარენი ოფიციალურად გამოაცხადეს საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად. ხოლო 1935 წელს, თბილისის საქალაქო საბჭოს დადგენილებით, მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ნეშტები. ამავე წელს შეიქმნა პანთეონის მოვლა-პატრონობის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, სერგი დანელია და სარგის კაკაბაძე. როგორც ჩანს, ამ გამოჩენილ მწერლებსა და მეცნიერებს ბევრს არაფერს ეკითხებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიულ-ნომენკლატურული მუშაკები მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში არ დაიკრძალებოდნენ.

ილიას დაკრძალვის დღეს

1936 წელს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, პანთეონში დაკრძალეს ძველი ბოლშევიკი, პროფესიონალი რევოლუციონერი, პროფესიით ასოთამწყობი, არალეგალური სტამბების მოწყობის სპეციალისტი, სილიბისტრო თოდრია, რომელიც გარკვეულ პერიოდში, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედაც გაუმწესებიათ, თუმცა მწერლობასთან არაფერი აკავშირებდა. მოგვიანებით, იქვე დაიკრძალა მიხა ცხაკაია – ამჯერად, უკვე საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილებით. ცხაკაია იყო ქართველთა შორის ერთ-ერთი პირველი მარქსისტი. 1905 წელს, მან გახსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მესამე ყრილობა და ლენინს მოხსენებისთვის სიტყვა მისცა. საქართველოში ბოლშევიკური წყობილების დამყარების შემდეგ, მიხა ცხაკაია იყო საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარე. მისი სახელი სიცოცხლეშივე მიანიჭეს მის მშობლიურ სენაკს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „ამხანაგი“ მიხა ბოლომდე, ერთობ მწყრალად ყოფილა სწავლა-განათლებასთან მიმართე-

დღეს მთაწმინდის პანთეონში განისვენებენ:

ნიკოლოზ ბარათაშვილი
ვასილ ბარნოვი
იაკობ გოგებაშვილი
ალექსანდრე გრიბოედოვი
ნინო ჭავჭავაძე
სოლომონ დოდაშვილი
დავით ერისთავი
ვაჟა-ფშაველა
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა
ექვთიმე თაყაიშვილი
დავით კლდიაშვილი
ნიკო ნიკოლაძე
ოლღა ალექსანდრეს ას. გურამიშვილი
დიმიტრი ყიფიანი
აკაკი წერეთელი
ილია ჭავჭავაძე
ოლღა თადეოზის ას. გურამიშვილი
ზაქარია ჭიჭინაძე
იოსებ გრიშაშვილი
შალვა დადიანი
გიორგი ლეონიძე

ილია ჭავჭავაძის სასაფლაო

ბაში. ერთ-ერთ მიტინგზე, რომელსაც სტალინიც ესწრებოდა, დიდი რევოლუციონერი ტრიბუნაზე გამოსულა და ასეთი სიტყვა წარმოუთქვამს: ამხანაგებო! ჩვენ გავიმარჯვეთ და ჩვენი წითელი, პროლეტარული დროშა ქე დავარჭვეთ დედამიწის ერთ მეექვსედზე, მალე დავარჭობთ ერთ მეათედზე, მერე – ერთ მეასედზე, მერე – ერთ მეათასედზე, მერე – ერთ მეათიათასედზეო... – და ამ დროს, სტალინს უყვირია: გააჩერეთ ეს შობელძაღლი, თორემ, იმდენს იზამს, დროშის ჩასარჭობ ადგილს აღარ დაგვიტოვებსო!..

1941 წელს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშურ-გლეხურ-ინტელიგენტური მოსახლეობა, გერმანიასთან ომის დაწყებას ისე არ გაუკვირვებია, როგორც ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი გიგლა ბერბიჭაშვილის დაპატიმრებამ გააკვირვა. ილიას მკვლელობიდან 34 წელიწადი იყო გასული და ამ ხნის განმავლობაში, მისი მკვლელებისთვის არამცთუ დაპატიმრება, არამედ უბატონოდ ხმის გაცემაც არავის გაუბედავს. ყველამ კარგად იცოდა, თუ ვინ იყო ბერბიჭაშვილი; თვითონაც არ მალავდა და ტრაბახობდა კიდეც: აი, ამ მარჯვენით დავახალე „ბერდენკის“ ტყვია „ხალხის მტერს“, ილია ჭავჭავაძესო!.. – იკვეხნიდა, ხან მთვრალი და ხან ფხიზელი და პენსიის მომატებას მოითხოვდა: „აბიდაში“ ვარ – სხვებს ჩემზე მეტი პენსია დაუნიშნესო... ისიც კარგად იცოდნენ, საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მაღალჩინოსანი, ფილიპე მახარაძე რომ იფარავდა ილიას მკვლელს. ხალხმა ისიც იცოდა, რომ ილიას მკვლელობა სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ კრებაზე გადაწყვიტეს, რომელსაც ესწრებოდნენ: ისიდორე ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და პეტრე გულეიშვილი. თავმჯდომარეობის „პატივი“ კი ფილიპე მახარაძეს ხვდა წილად. ამ კრებაზე ნოე ჟორდანიაც ყოფილა მიწვეული, მაგრამ როცა შეიტყო, თუ რა საკითხი უნდა განეხილათ, უპასუხია: მე ხელები დამიბანიაო... შემდეგ, როცა ჟორდანიასთვის უკითხავთ – როგორ აფასებთ ილიას მკვლელობასო? – განუცხადებია: რა მოხდა? როცა ხეს ჭრიან, ნაფოტი ცვივაო. ეს რომ შეუტყვია, კრიტიკოს კიტა აბაშიძეს უკითხავს: ილია თუ ნაფოტია, თვით ჟორდანია რაღაააო?!.

ხალხმა კარგად იცოდა, რომ ილიას მკვლელობის სულისჩამდგმელი, ინიციატორი და ორგანიზატორი ფილიპე მახარაძე იყო, რომ მან ე.წ. „წითელრაზმელებს“, შარაგზის ყაჩაღებს – გიგლა ბერბიჭაშვილს, ივანე ინაშვილს, გიორგი (ლომა) ხიზანიშვილს, პავლე ფშავლიშვილს (აფციაური) და „ვინმე იმერელ ბიჭს“ (სავარაუდოდ – სერგო ორჯონიკიძეს), პარტიის სახელით დაავალა ილიას ლიკვიდაცია. ეს ყველაფერი ლავრენტი ბერიამაც კარგად იცოდა – ყველაფრის ცოდნა ხომ მისი პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობა იყო. მაგრამ ბერია დუმდა, დუმდა მანამ, სანამ მასა და ამხანაგ ფილიპეს შორის შავმა კატამ არ გაირბინა. ოცდაათიანი წლების ბოლოს, საქართველოს კულტურისა და ხელოვნების მოსკოვური დეკადის მონაწილეები იხსენებდნენ: როცა სტალინთან შესახვედრად გამზადებული დელეგაციის შესამოწმებლად მოსულა და წინა რიგის ცენტრში მდგომი ფილიპე დაუნახავს, ლავრენტი პავლოვიჩი ერთობ გაღიზიანებულა; ეს კიდევ ცოცხალიაო? – უკითხავს, ყველას გასაგონად და ამხანაგი ფილიპე ჭადრაკის ფიგურასავით, უკანა რიგში, მიფარებულში გადაუყვანია, მის ადგილას კი, თეთრჩოხიანი შალვა დადიანი დაუყენებია...

ბერბიჭაშვილის დაპატიმრება, სწორედ იმ შავი კატის ბრალი უნდა ყოფილიყო, ბერიასა და მახარაძეს შორის რომ გაირბინა... იმავე წლის დეკემბერში, ფილიპე მახარაძე, ფრიად ბუნდოვან ვითარებაში გარდაიცვალა. ერთნი ამბობდნენ – მხილების შეეშინდა და თავი მოიკლაო, მეორენი – შიშისაგან გული გაუსკდაო. ასე იყო თუ ისე, ფაქტია: ფილიპე მახარაძე, გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლოს დამთავრებამდე გარდაიცვალა. და ეს კაცი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ილია ჭავჭავაძესთან ბრძოლას მოახმარა, ებრძოდა მიცვალებულსაც (წლების განმავლობაში, დიდი ილიას ხსენებაც კი აკრძალული იყო და საშუალო სკოლების პროგრამებიდან ამოღებული იყო მისი შემოქმედება), ილიას გვერდით დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში!..

მას შემდეგ, თითქმის ორმოცდაათი წელიწადი გავიდა და როცა ბოლშევიკების კერპების დამხობის დრო დადგა, რადიკალურად განწყობილმა ადამიანებმა რამდენჯერმე ააფეთქეს ილიას მკვლელის საფლავი. ხელისუფლება შეშინდა – თენგიზ აბულაძის გახმაურებული ფილმის – „მონანიების“ პერიპეტიები ცხოვრებაშიც არ გამეორდესო, – და ერთ ბნელ ღამეს, კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენელთა ნეშტები სხვა სასაფლაოებზე გადაასვენეს: ფილიპე მახარაძე – ვაკის სასაფლაოზე, სილიბისტრო თოდრია და მიხა ცხაკაია – კუკიაზე.

1989 წლის 21 ოქტომბერს, მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს საქართველოს ეროვნული გმირი, ტრაგიკულად დაღუპული მერაბ კოსტავა. იგი ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას თავშეწირული, უკანასკნელი რაინდია, ვისი ნეშტიც მამადავითის წმინდა მიწას მიაბარეს. ■

გალაკტიონ ტაბიძე	აკაკი ხორავა
ლეო ქიაჩელი	ვახტანგ ჭაბუკიანი
სიმონ ჩიქოვანი	ნიკო ბერძენიშვილი
ვასო აბაშიძე	ილია ვეკუა
ვერიკო ანჯაფარიძე	ნიკო მუსხელიშვილი
ლადო გუდიაშვილი	ალექსანდრე ცაგარელი
სერგო ზაქარიაძე	მოსე ჯანაშვილი
კოტე მარჯანიშვილი	სიმონ ჯანაშია
იაკობ ნიკოლაძე	ეკატერინე გელაძე-ჯუღაშვილი
ივანე ფალიაშვილი	მერაბ კოსტავა

დიდი სპორტი და ტატუირება

ალექსი რეხვიაშვილი

დევიდ ბექჰემი

დღეს უკვე აღარავის უკვირს ის, რომ სხეულის მოსვირინგება დიდი პოპულარობით სარგებლობს თითქმის მთელ მსოფლიოში. უნდა ითქვას, რომ „სვირინგის ეპიდემიამ“ საქართველოშიც შემოაღწია. თუმცა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ჩვენში მამაკაცისთვის და მით უმეტეს — ქალისთვის, ტატუირებული სხეული, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ ტონად ითვლებოდა. ამჟამად, პლანეტის სხვადასხვა კუთხეში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ადამიანებს, რომლებსაც სხეულის ესა თუ ის ნაწილი მოსვირინგებული აქვთ (რომ აღარაფერი ვთქვათ იაპონელ იაკუძებზე, რომლებიც ხშირად, მთელ სხეულს მოიხატავენ ხოლმე).

მსახიობების, მუსიკოსების, მოდელების, ჯარისკაცებისა თუ რიგითი მოქალაქეების სხეულებზე ხშირად ვხედავთ ამა თუ იმ ფრაზასა თუ აფორიზმს, უხამს სიტყვას ან საყვარელი ადამიანის სახელს, ათასგვარ ორნამენტს, ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების პორტრეტს, რელიგიურ-ოკულტურ სიმბოლოებსა თუ ნადირ-ფრინველთა გამოსახულებებს. განსაკუთრებული პოპულარობით ტატუირება სპორტსმენებში სარგებლობს, რისი მოწმენიც სპორტის ამა თუ იმ სახეობის მოყვარულები ყოველდღე ხდებიან.



დენის როდმანი და სინდი კროუფორდი

ტატუირების ტრადიცია ევროპაში XVIII საუკუნეში, მეზღვაურმა ჯეიმს კუკმა ტაიტიდან შეიტანა, რის შემდეგაც, სხეულის მოხატვამ საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა. საინტერესოა, რომ სხეულები მოსვირინგებული ჰქონდათ: რუსეთის იმპერატორს — ნიკოლოზ მეორეს, ინგლისის მეფეებს — გეორგ მეხუთესა და ჰაროლდს, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს — უინსტონ ჩერჩილს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს — ჯონ კენედისა და თვით „ხალხთა მამას“ — იოსებ სტალინსაც. სწორედ ამიტომ, გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის, რომ დღეს, საქვეყნოდ ცნობილი ბევრი ადამიანი და განსაკუთრებით, სპორტსმენი ცდუნებას ვერ უძლებს და ათასგვარი სვირინგით იმკობს სხეულს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სხეულის მოსვირინგებაში პირველობას არავის უთმობენ NBA-ს ვარსკვლავები. საკმარისია ვახსენოთ დენის როდმანის სახელი, რომელიც ტატუირებაში (და არა მარტო ტატუირებაში) თავიდანვე ითვლებოდა NBA-ს მთავარ კანონმდებლად. შეიძლება გასაკვირიც იყოს, მაგრამ როდმანის 30 ტატუდან, არც ერთს არ გაჩნია რაიმე შინაარსობრივი დატვირთვა. დამთხვეული დენისის სხეულზე ამოსვირინგებული, ყველაზე ცნობილი ნახატი — შვიდი სპილოც, რომლებსაც ერთმანეთის კუდები ხორთუმებით უჭირავთ, არავითარი იდეის მატარებელი არ არის. ერთადერთი სვირინგი „ჩიკაგო ბულზის“ ყოფილი ვარსკვლავის სხეულზე, რომელიც „აზრს მოკლებული“ ნამდვილად არ არის, გახლავთ სიტყვა „fuck“. „NBA-ს მადონამ“ ფულის მოსახვეჭად სხვა, უფრო რიგიანი ვერაფერი მოიფიქრა — უკანალზე კანის ის ნაწილი აიჭრა, სადაც ეს სიტყვა ეწერა და 50.000 დოლარადაც გაყიდა. აი, NBA-ს კიდევ ერთმა ვარსკვლავმა, ალენ აივერსონმა კი, როდმანს ნამდვილად ავჯობა ტატუირებაში. მის სხეულზე 37 სვირინგია განთავსებული და თანაც, ყოველი მათგანი „იდუმალი აზრის“ მატარებელიცაა. ამასთანავე, ალენი ნებისმიერ ცნობისმოყვარე ადამიანს დიდი ენთუზიაზმით უხსნის თავისი სვირინგების შინაარსს. მაგალითად, ჯარისკაცის თავსა და მუზარადიან თავის ქალას კალათბურთელი შემდეგნაირად ხსნის: „მთელი ცხოვრება ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ომში ვიმყოფებოდე“. ბულდოგის თავი კი, აივერსონის შეუპოვარ ხასიათზე მეტყველებს. ყველაზე საინტერესო მაინც ის სიტყვებია, რომელიც ალენს სხეულზე დაუგროვდა. თავიდან, მის სხეულზე სიტყვა „ალენი“ გამოჩნდა, შემდეგ — „მხოლოდ ძლიერს შეუძლია თავის გადარჩენა“ და კიდევ რამდენიმე ფრაზა, რომელსაც მალე მოჰყვა გამონათქვამები საკალათბურთო ცხოვრებიდან. „უნდა დარჩე იმად, რაც ხარ“, — ეს ალენის ცხოვრებისეული კრედოა. მას შემდეგ კი, რაც აივერსონმა პოპულარობა მოიპოვა, მის სხეულზე ასეთი ფრაზაც გამოჩნდა: „საუკეთესო ვირჯინიელი“ (ალენ აივერსონი ვირჯინიაში დაიბადა).


დიეგო მარადონა

კრივის გულშემატკივრებისთვის კარგად არის ცნობილი მაიკ ტაისონის „საქმენი საგმირონი“, მაგრამ ბევრს არ ეცოდინება ის, რომ ყურიკვნეტია სუპერმძიმეწონოსნის მკერდში „ნამდვილი კომუნისტის გული ძგერს“: მხარზე მას მაო ძედუნის პორტრეტი ამოუსვირინგებია, ხოლო მათთვის, ვინც პოლიტიკაში კარგად ვერ ერკვევა, იქვე მინაწერიც არის: „ლიდერი მაო“. გვერდზე „რკინის მაიკს“ ერნესტო ჩე გევარა ასატია, რასაც „განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქის ამსახველი სურათების მთელი გალერეა მოსდევს. ოცდაათიან წლებში, საბჭოთა კავშირში, პატიმრებში ძალზედ პოპულარული იყო გულმკერდის ერთ მხარეს სტალინის, ხოლო მეორე მხარეს – ლენინის პროფილის ამოსვირინგება; ბევრი ფიქრობდა, რომ თუ მას დახვრეტას მიუსჯიდნენ, ბელადებს არავინ ესროდა... როგორც ჩანს, მაიკ ტაისონს ჩინელი და ლათინურამერიკელი მოკრივეების შიში აქვს და ორი ბელადის სვირინგი იმიტომაც გაიკეთა. გარდა ამისა, „რკინის მაიკი“ სენტიმენტალურიც ყოფილა: მარჯვენა ბიცეპსზე ტაისონს, შიდსის ვირუსისაგან გარდაცვლილი შავკანიანი ამერიკელი ჩოგბურთელი – არტურ ეში ამოუსვირინგებია. მისგან განსხვავებით, ევანდერ ჰოლიფილდს ხელზე ბანალური დრაკონი ასატია. სულ ცოტა ხნის წინ კი, მაიკმა სახეზე მორის ტომის ორნამენტი დაისატა, რაც იმით ახსნა, რომ მას აღარ მოსწონს თავისი „კეთილშობილური“ გამომეტყველება და უფრო მკაცრი იერის მიღება სურს. სხვათა შორის, ამის გამო, მოკრივეს ახალზელანდიელები აუმხედრდნენ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მაიკს არ ჰქონდა, მათი ტომის უძველესი ორნამენტის დაუკითხავად გამოყენების უფლება.

მაიკ ტაისონი

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ლათინურამერიკელი რევოლუციონერების დიდი თაყვანისმცემელია დიეგო მარადონაც. არგენტინელ სუპერვარსკვლავს, მარჯვენა მხარეს ჩე გევარას პორტრეტი უმშვენებს. 2001 წლის ზაფხულში კი, დონ დიეგომ „ამხანაგ“ ფიდელ კასტროს ტატუც გაიკეთა, რომელსაც ფეხბურთელი სინამდვილეშიც თავის „დიდ ამხანაგად“ მიიჩნევს.

დიეგო მარადონასაგან განსხვავებული გემოვნება აქვთ სხვა ფეხბურთელებს. მაგალითად, ანდრეი შევჩენკოს თავისი ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, დრაკონი აქვს ამოსვირინგებული, ხოლო მის თანაგუნდელ კახა კალაძეს, ვეფხვის ტატუ გაუკეთებია. „მინდორზე თავადაც ძლიერ და სწრაფ ვეფხვს ვგავარ“, – ამბობს ქართველი მცველი. აი, დანიელი ნახევარმცველი, სტივ ტეფტინგი კი, სვირინგს უფრო „ფილოსოფიურად“ მიუდგა. მას სხეულზე აწერია ლოზუნგი: „არავითარი შებრალება!“ დევიდ ბექჰემმა თავისი სვირინგები ოჯახს მიუძღვნა: „მანჩესტერის“ ნახევარმცველს მარცხენა მაჯაზე თავისი ცოლის სახელი, „ვიქტორია“ აწერია, თუმცა სვირინგი ჰინდის დამწერლობითაა შესრულებული, ამიტომ მისი წაკითხვა არცთუ ისე ადვილია; წელზე კი, დევიდს თავისი ვაჟიშვილების – ბრუკლინისა და რომეოს სახელები, ამჯერად უკვე გოტიკური დამწერლობით ამოუსვირინგებია. თანაც, ინგლისელმა ვარსკვლავმა, ორივე ტატუ ბავშვების დაბადებისთანავე გაიკეთა. ყველაზე დამაინტრიგებელი ტატუ ბექჰემს ბეჭზე აქვს გაკეთებული. როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, ეს თავდახრილი ქალბატონი მისი მფარველი ანგელოზია. ■

საპროტესტო სტვენა „მილ სენტერის“ ტრიბუნებზე

როგორც უკვე ცნობილია, ერაყში მიმდინარე ომმა პლანეტის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი უკიდურესად უარყოფითად განაწყო აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიმართ. იგივე ხდება სპორტულ სამყაროშიც. ამას წინათ, შოკში აღმოჩნდნენ ნიუ-იორკული ჰოკეისტთა გუნდის – „აილენდერსის“ წევრები, რომლებიც „მონრეალთან“ სათამაშოდ კანადაში იმყოფებოდნენ. NHL-ის მატჩის წინ, ჰიმნების შესრულებისას, მონრეალის „ბელ სენტერის“ ტრიბუნებზე მყოფმა, 20 ათასმა გულშემატკივარმა აშშ-ის ჰიმნის გაგონებისთანავე, ყურის წამღები სტვენა ატეხა და შეხვედრის დიქტორის თხოვნის შემდეგაც – პატივისცემით მოპყრობოდნენ სტუმრებს, – არ გაჩერებულან. სხვათა შორის, NHL-ის ზოგიერთმა წარმომადგენელმა უკვე გამოხატა კიდეც ერაყში მიმდინარე მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულება. მაგალითად, ლიტველმა დონატას ზავაცკასმა, რომელიც „პიტსბურგის“ ღირსებას იცავს, წამოაყენა წინადადება – საერთოდ შეწყდეს NHL-ის ჩემპიონატი. ერაყში ამერიკელთა შეჭრა მან 1991 წელს, ლიტვაში საბჭოთა კავშირის ჯარის შეყვანას შეადარა. ამასთანავე, უკვე გადაიდო ვაშინგტონის მარათონი, აგრეთვე იაპონელი ფეხბურთელებისა და ბეისბოლისტების ტურნე აშშ-ში. სამაგიეროდ, არ შეცვლილა მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის გრაფიკი, რომელიც ნიუ-იორკში უნდა გაიმართოს. ■

ომს პირესიც ეწინააღმდეგმა



ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველმა, რობერტ პირესმა განაცხადა, რომ მზად არის, გაიფიცოს კოალიციური ჯარების მიერ ერაყში დაწყებული სამხედრო ოპერაციების გამო. გაზეთ Sun-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ომისა და თვით აშშ-ის წინააღმდეგია. პირესმა ისიც დასძინა, რომ „არსენალის“ ინგლისელი მოთამაშეები აშშ-ს მხარს უჭერენ, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ უშლის ხელს ფეხბურთელთა შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობას. ■

ბირჰოფი საფეხბურთო ელჩი გახდება

გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ოლივერ ბირჰოფი, რომელსაც იტალიურ „კიევოსთან“ კონტრაქტის ვადა მომავალ ზაფხულს ამოეწურება, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ელჩად მოგვევლინება. „ოლივერი სამუშაოს მომავალი ზაფხულიდანვე შეუდგება. მას ბევრი უთამაშია საზღვარგარეთ, იცის უცხო ენები, ამიტომაც ამ საქმეს ჩინებულად გაართმევს თავს“, – განაცხადა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, ვოლფგანგ ნიერსბახმა.



ტოტი UNICEF-ის ელჩი გახდა

„რომას“ ფლეიმეიკერი ფრანჩესკო ტოტი UNICEF-ის (გაერთიანებული ერების ბავშვთა ორგანიზაცია) კეთილ ნების ელჩი გახდა. იგი მეორე იტალიელი ფეხბურთელია, რომელმაც პაოლო მალდინის შემდეგ მიიღო ეს საპატიო სტატუსი. ამიერიდან ტოტი, ფეხბურთის გარდა, საქველმოქმედო საქმიანობითაც იქნება დაკავებული და ბავშვთა უფლებების დასაცავად განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამაშიც მიიღებს მონაწილეობას. „რადგან ასეთი შანსი მომეცა, სწორედ იქით გავეშურები, სადაც ბავშვები ყველაზე მეტად იტანჯებიან, – ამბობს ტოტი. – ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ ბავშვები მიყვარს. ვიცი, თუ რამდენად სჭირდებათ მათ ცნობილ ადამიანებთან კონტაქტი. მსურს გავაკეთო ყველაფერი, რაც კი შემიძლია, რათა დავეხმარო მათ. ელჩი გავხდი და მინდა, რომ სამაგალითო ვიყო არა მარტო მოედანზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. უფრო მეტიც – სხვა ფეხბურთელებსაც მოვუწოდებ, მომბაძონ და დროის ნაწილი ბავშვთა უფლებების დაცვას მოახმარონ“.

ბერგკამპი დააჯარიმეს

ლონდონის „არსენალის“ ფორვარდი, დენის ბერგკამპი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ 11.750 დოლარით დააჯარიმა. ამის მიზეზი, „არსენალსა“ და „ვესტჰემ იუნაიტედს“ შორის, „ჰაიბერიზე“ გამართულ მატჩში მომხდარი ინციდენტი გახდა. ამ შეხვედრაში ჰოლანდიელმა ფორვარდმა უხეშად მოჰკიდა ხელი ლი ბოიერს სახეზე და ასე ცდილობდა მის ჩამოშორებას. მატჩის შემდეგ, ბერგკამპმა ეს ეპიზოდი შემთხვევითობას მიაწერა. შეგახსენებთ, რომ დენისი შარშან დეკემბერში, „ბლეჭბერნის“ მოთამაშის, ერიკ იოჰანსონისთვის ფეხის ჩარტყმის გამოც დააჯარიმეს.

პასარელა ბეწვზე გადარჩა

ახალგაზრდა მექსიკელმა ქომაგმა, სერხიო პერეს ერნანდესმა „გვადალახარასა“ და „ჰაგუარესს“ შორის გამართულ მექსიკის ჩემპიონატის მატჩზე დასწრებისას თვალი დაკარგა. როდესაც გოლის გატანის შემდეგ, სერხიო სკამიდან ფეხზე წამოხტა, ის ვერც კი გაიფიქრებდა, რომ სულ რაღაც წამების შემდეგ, საყვარელი გუნდის ქომაგობის გარდა, საკუთარი თავზე ზრუნვაც მოუწევდა: მას ტრიბუნიდან ნასროლი პეტარდა მოხვდა. ცნობილია, რომ ლათინურამერიკულ ქვეყნებში გოლის გატანის შემდეგ, ტრიბუნებიდან ხშირად ისვრიან ფეიერვერკისათვის განკუთვნილ ასაფეთქებელ საშუალებებს. „სასწრაფო დახმარებამ“ ერნანდესი მაშინვე წაიყვანა საავადმყოფოში, მაგრამ სამწუხაროდ, გვიანი იყო: პეტარდისაგან მას უკვე სრულიად დაზიანებული ჰქონდა მარცხენა თვალი. მართალია, მექსიკელი ქომაგი თვალზე შემოჭერილი შავი სახვევის გამო თავს უხერხულად არ გრძნობს, მაგრამ ამიერიდან იგი იძულებული იქნება, ფეხბურთს ტელეეკრანზე უყუროს, რადგან მეორე თვალის დაკარგვის შიშით, სტადიონზე წასვლას ნამდვილად ვეღარ გარისკავს. იმავე დღეს, სასწაულებრივად გადარჩა, წარსულში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი და ამჟამად მექსიკური „მონტერეის“ მთავარი მწვრთნელი, დანიელ პასარელა. ტრიბუნიდან ნასროლი პეტარდა მას პირდაპირ თავში მოხვდა. საბედნიეროდ, ასაფეთქებელი მასალა ჯერ მოქმედებაში არ იყო მოსული და შეძრწუნებულ პასარელას დამწვრობა არ მიუღია, თუმცა თავზე კოპი კი დააჯდა.

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ბრაზილია უმასპინძლებს

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში ჩატარდება – ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის წარმომადგენელმა 10-მა ქვეყანამ პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში გამართულ ორგანიზაციის სხდომაზე. მარტის დასაწყისში კი, ციურიხში ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკაში ჩატარდება. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ კონტინენტმა წარსულში უკვე არაერთხელ უმასპინძლა მსოფლიო თასის გათამაშებას, კერძოდ: 1930 წელს, პირველი მუნდიალი შედგა პარაგვაიში, 1950 წელს, ტურნირი უკვე ბრაზილიაში ჩატარდა, 1962 წელს – ჩილეში, ხოლო 1978 წელს კი – არგენტინაში.

ვიეირა უეფას ემდურის

„არსენალის“ ნახევარმცველი, პატრიკ ვიეირა მიიჩნევს, რომ უეფა რასიზმისაგან შავკანიანი ფეხბურთელების დასაცავად არაფერს აკეთებს. ფრანგი ფეხბურთელი ძალიან აღაშფოთა „ვალენსია“-„არსენალის“ მატჩის დროს სტადიონზე განვითარებულმა მოვლენებმა. კერძოდ, ლონდონური კლუბის შავკანიან მოთამაშეებს მთელი მატჩის მანძილზე, ტრიბუნებიდან დამამცირებელი რეპლიკებით მიმართავდნენ. „უეფა ამ პრობლემაზე მხოლოდ ლაპარაკობს და არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ რამე შეიცვალოს, – ამბობს ვიეირა, – ჩვენ კი, ამას უკვე მივეჩვიეთ და მომავალშიც, კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ“.



რედონდოსა და რაულს იმბეცილები უწოდეს

ემიგრაციის საკითხებში მადრიდის დეპარტამენტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, თომას ვერამ, რედონდოსა და რაულს „იმბეცილთა უსუსური წყვილი“ უწოდა, რისი მიზეზიც ის გახლდათ, რომ მათ, ნაციონალისტური იდეებით გამსჭვალული გულშემატკივრებისაგან მიიღეს საჩუქრები. „ვფიქრობ, რომ მათი მხრიდან ეს დიდი სიბრიყვე იყო, რადგანაც ამ ნაბიჯით მათ რასისტებსა და ნაცისტებს დაუჭირეს მხარი. ასეთი ქმედება ხომ პოლიტიკურად არაკორექტულია“, – განაცხადა ვერამ, რომელიც ყველაზე მეტად იმით იყო აღშფოთებული, რომ ფეხბურთელებმა ულტრა-დაჯგუფების ლიდერთან, ხოსე ლუის ოჩაიტოსთან ერთად სურათიც გადაიღეს: „რედონდო დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ ის რაულთან ერთად, იმბეცილი აღმოჩნდა, რადგან მინდორზე იმის გამო დაბრუნდა, რომ დამნაშავის, რასისტისა და ქსენოფობისაგან საჩუქარი მიეღო. ამით მათ ამ ჯგუფის ლეგალიზაციას შეუწყვეს ხელი, რის გამოც, უნდა დაისაჯონ. „რეალი“ რედონდოს ვერ შეეხება, მაგრამ რაული კი უნდა დასაჯოს, რადგან კლუბი ღონეს არ იშურებს საიმისოდ, რომ გულშემატკივართა მხრიდან რასიზმის გამოვლენის ფაქტები აღკვეთოს“.

ვინ არის ნამდვილი მამა?

ცნობილმა ბრაზილიელმა მოდელმა, ვივიანა ბრუნერიმ განაცხადა, რომ გააჩინა ბიჭი, რომლის მამაც ერთ-ერთი ცნობილი ფეხბურთელია ამ სამთაგან: რონალდო, რივალდო, დენილსონი. ქვეყანას მოვლენილი კაეტო დედასთან ერთად, მშვენივრად გრძნობს თავს. საგულისხმოა ის, რომ ბედნიერი დედა, კიჭას ჯერ კიდევ 1994 წლიდან იცნობს, როდესაც ის „პსვ ეინდჰოვენის“ ღირსებას იცავდა. სხვათა შორის, ვივიანა ბრუნერი თავისი ვაჟიშვილის სავარაუდო მამის დასახელებისას, მხოლოდ ფეხბურთელებით არ შემოიფარგლა და ერთ-ერთი წარმატებული იაპონელი მეწარმისა და ცნობილი ბრაზილიელი ბიზნესმენის სახელებიც ახსენა. თუ ვინ არის კაეტოს ნამდვილი მამა, ამას სკანდალების მოყვარულნი მხოლოდ აგვისტოში – ბრუნერის ავტობიოგრაფიული წიგნის გამოსვლისას შეიტყობენ, სადაც ის მკითხველს საიდუმლოს გაუმხელს.

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

დაგვიანებული რეისი მისკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

ამარშრუტო ტაქსიდან პირდაპირ ციხის ასახვევთან გადმოსული დეა კარგა ხანს, უძრავად იდგა და ნაბიჯის წინ წადგმა ვერაფრით მოეხერხებინა. მუხლები უკანკალებდა და გულიც ყელში ისე უცნაურად მოჰბჯენოდა, თითქოს, ციხეში მყოფი ძმის სანახავად კი არ მიდიოდა, თავადაც ცხრაკლიტულში გამოსაკეტად ემზადებოდა.

ბოლოს ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ჩანთა, რომელიც აქამდე ხელში სრულიად უსაგნო ნივთივით ეჭირა, მხარზე მოხდენილად გადაიკიდა, იქვე, პირდაპირ ასფალტზე, დადგმულ სასმელ-საჭმლით სავსე ცელოფანის პარკს ხელი წამოავლო და აღმართს ნელ-ნელა აუყვა.

გზაში რამდენიმე მანქანა წამოეწია. მათგან ერთს, ჩამუქებულ-ფანჯრებიან შავად მოზიმზიმე „ბეემ-ვეს“, გვერდით რაღაც უცნაურად რომ ჩაუსისინა, თვალი რატომღაც, გულმოდგინედ გააყოლა. უცბად მანქანა გზის პირას შედგა და იქიდან შავ ტყავის ქურთუკში „ჩაჭედილი“ ახმახი ძლივძლივობით გადმოიზლაზნა:

— დაბრძანდით, ქალიშვილო, მანქანით მიგიყვანთ, — გამოსძახა მან დეას.

დეამ ერთი კი გაიფიქრა, მართლა ხომ არ ჩავჯდეო, მაგრამ, შემდეგ, ახმახს მაინც თავაზიანი უარი უთხრა. იმანაც მხოლოდ მხრები აიჩეჩა და მანქანაში ისევ რის ვაივაგლახით ჩაეტენა...

ციხის ჭიშკართან სიცივისგან გალურჯებული რამდენიმე ქალი იდგა და პლასტმასის მოზრდილ ლანგრებზე დალაგებულ ხაჭაპურს ყიდდა. დეას დანახვაზე ერთი მაშინვე მისკენ გამოენთო. დეამ ხაჭაპურის გამყიდველსაც და მის ხაჭაპურსაც ერთი გულგრილად დახედა, „სულ დედაჩემის გამომცხვარს არ ჰგავს?“ — გაიფიქრა და ეზოში შეაბიჯა.

ცოტა ხანში, საკმაოდ უსახური შენობის შესასვლელთან აღმოჩნდა, რკინის მძიმე კარი შეაღო, ვიწრო დერეფანში შევიდა და კედელში ამოჭრილი სარკმლის მიღმა მჯდარ, ყვინჩილასავით კისერწაგრძელებულ მორიგეს თავისი პასპორტი გაუწოდა:

— თემურ ავალიანთან ვარ მოსული.

მორიგემ ჯერ დეა შეათვალიერა, შემდეგ მის პასპორტს ჩააშტერა თვალები და ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა:

— დაელოდეთ, დაგიძახებენ.

დეაც სარკმელს მაშინვე მოსცილდა და იქვე, კუთხეში მდგარი, საშუალო ასაკის, ორი ქალისკენ გადაინაცვლა. ქალები გაცხოველებით საუბრობდნენ. ეტყობოდა, ერთმანეთი ის-ის იყო, გაეცნოთ, მაგრამ გულახდილობის ბუშტი, მაინცდამაინც, ახლა გასკდომოდათ და თავ-თავიანთი სატკივარს ერთმანეთს იმდენად ხმამაღლაც უზიარებდნენ, რომ დეას, ძალაუნებურად, მათი ყოველი სიტყვა ესმოდა. ერთს, თურმე, ქმარი ჰყავდა პატიმარი, მეორეს — ქმარ-მაზლი. ორივე, რაღა თქმა უნდა, თავიანთი ახლობლების უდანაშაულობაზე და მოსამართლეების დაუნდობლობასა და უსამართლობაზე წუწუნებდა.

ბოლოს, ერთმანეთთან ლაქლაქით რომ იჯერეს გული, ერთ-ერთი დეას მოუბრუნდა:

— თქვენ ვისთან ხართ მოსული?

— ძმასთან, — უხალისოდ მიუგო დეამ.

— დიდი ხანია ზის?

— არც ისე.

— რამდენი აქვს მისჯილი?

— ცხრა წელი.

— ასეთი რა ჩაიდინა? — სასწრაფოდ საუბარში ჩაერთო მეორე ქალიც.

— კაცი მოკლა, — მშვიდად მიუგო დეამ.

ქალებმა მას ჯერ აშკარად შემცბარებმა გადმოხედეს, შემდეგ კი ისე დემონსტრაციულად შეაქციეს ზურგი, თითქოს, თავად დეასაც ჰყოლოდეს ვინმე მოკლული.

„მადლობა ღმერთს! — გაიფიქრა დეამ, — თორემ ამათ რა გაუძლებდა“.

ამასობაში „ყვინჩილა“ მორიგემ სამივენი თავისთან იხმო და საშვები ჩამოურიგა. ქალები მაშინვე დერეფნის ბოლოს, რკინისგისოსებიანი კარისკენ გაემართნენ. დეაც მათ მიჰყვა.

კარში მდგარმა ბადრაგმა მათ საშვებს ერთი გულგრილად დახედა და ჩანთები და „პრავიზია“ მიჩვენეთო, თითქმის უბრძანა. დეას წინ მდგარმა ქალებმა ხელჩანთები მაშინვე გახსნეს და ბადრაგს ჯიბეში ფული ჩაუცურეს. დეაც ზუსტად ასე მოიქცა. კმაყოფილმა ბადრაგმა სამივეს ჩანთები ზერელედ დაათვალიერა და... კიდევ ერთი ბნელი და ვიწრო დერეფნის გავლის შემდეგ, საკმაოდ ფართო და განათებულ ოთახში შეუძღვა.

ოთახის შუაგულში გრძელი მაგიდა და რამდენიმე ასეთივე გრძელი, ხის სკამი იდგა. ფანჯარასთან მიმდგარი რამდენიმე ავტომატიანი ბადრაგი რაღაცაზე ხორხოცებდა.

ქალები მაშინვე მაგიდას მიუსხდნენ. დეაც შორიახლოს ჩამოჯდა. მთავარი შემოსასვლელის გარდა, ოთახს კიდევ ორი კარი ჰქონდა. უცბად ერთ-ერთი ჭრიალით გაიღო და ზურგზე ხელებდაწყობილი ოთხი პატიმარი შემოიყვანეს. ერთ-ერთი თემო აღმოჩნდა. დეა მაშინვე ფეხზე წამოხტა, მაგრამ ძმის საოცრად გაფითრებული სახისა და ამღვრეული თვალების დანახვაზე, ნაბიჯი წინ ვეღარაფრით წადგა. თემო მას თავად მიუახლოვდა:

— შენ აქ რას აკეთებ? დედაჩემს რამე ხომ არ დაემართა?

დეა ძმას სიტყვის უთქმელად გადაეხვია და ტირილი აუვარდა. შემდეგ ორივენი სკამზე ჩამოსხდნენ.

— დეა, დედა სად არის? — გაუმეორა კითხვა თემომ.

— დედამ მოსვლა ვეღარ შეძლო და მე გამომიშვა, — სული ძლივსღა მოითქვა დეამ.

— ავად გახდა?

— ჰო, ცოტათი... — თავი ჩაქინდრა დეამ.

— აბა, თვალებში შემომხედე და ისე მითხარი, რა სჭირს? — მკაცრად ჰკითხა თემომ. — დედაჩემს ფეხზე დგომა მაინც რომ შესძლებოდა, შენ აქ ნამდვილად არ გამოგიშვებდა.

— მართალი ხარ... — ამოიოხრა დეამ. — მეორე კვირაა, რაც ფეხზე საერთოდ არ

წამომდგარა...

— რა-ა-ა?

— მარჯვენა ხელი და ფეხი წაერთვა... — ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა დეამ. — მაგრამ ექიმები მპირდებიან, ეს დროებითია და თუ კარგი მოვლა-მკურნალობა ექნება, ფეხზე ნამდვილად წამოდგებაო... — იცრუა მან.

თემოს სახეზე ყველა ნაკვთი ნერვიულად აუთამაშდა, შემდეგ თავი ხელებში ჩარგო:

— ჩემი ბრალია ყველაფერი...

— კარგი რა, თემო, — შავ ხვეულ თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა დეამ, — ტყუილად გულს ნუ ამოიჭამ, ხომ იცი, ყველაფერი, მაინც, ღვთის ნებაა. თანაც, ხომ გითხარი, ექიმები იმედს მაძლევენ-მეთქი... მოდი, ახლა შენი ამბავი მომიყევი, დედას ყველაფერი აინტერესებს: რას ჭამ, რას სვამ, ვინმე ხომ არ გავიწროებს?

— მავიწროებს? — დეას ბოლო კითხვაზე თემოს რაღაც უცნაურად, ცალყბად გაეღიმა, — თორემ რომ შემავიწროონ, უცბად არ მიშველოთ რა!.. შენ და დედაჩემს, ეტყობა, ისევ ის ღლაპი გგონივართ, უბნის ბიჭებთან ნაჩხუბარს რომ მესარჩლებოდით... ეს ციხეა, დეა! ციხეს კი თავისი კანონები აქვს...

— ვიცი, მაგრამ...

— ყველაფერი რიგზეა... დედა დაამშვიდე: შენს შვილს უბატონოდ ხმასაც ვერავინ გასცემს-თქო...

— კარგი, ეგრე ვეტყვი, — უცბად გვერდზე მოდგმულ ცელოფანის პარკს დასწვდა დეა, — აქ შენი საყვარელი კატლეტები და კიდევ რაღაც-რაღაცებია... ხომ იცი, დედას აღარ შეუძლია და ყველაფერი მე მოგიმზადე. იმედია, არ დამიწუნებ... ჰო, სიგარეტიც მანდ არის...

— ფული?

— ფული?.. შენ რომ გინდოდა, იმდენი ვერ მოგიგროვეთ... ნაწილი დედას წამლებში დამეხარჯა, — ამ სიტყვებზე დეამ ხელჩანთა გახსნა და გაზეთში გახვეული ფული თემოს მიაწოდა. იმანაც ფული მაშინვე ჯიბეში ჩაიტენა, — მაგრამ დედამ შემოგითვალა — არ ინერვიულო, დღე-დღეზე ზემო სართულს დავაგირავებ და მერე ცოტა მეტს გამოგიგზავნიო.

— რას ვიზამო? — თვალები მოჭუტა თემომ.

— ჩვენი სახლის მეორე სართულს ვაგირავებთ.

— ვისზე?

— ნუ ნერვიულობ, უცხოს სახლში არ შემოვუშვებთ. ჩვენს მდგურს, ლონდას უნდა.

— ლონდასო? კი, მაგრამ, ასეთი რა იშოვა?

— ფულიანი საყვარელი გაიჩინა...

— გოგო, რამ გაგაგიჟათ? — უცბად ციებიანივით ჩურჩულზე გადავიდა თემო. — ლონდასნაირ ბოზს მამაპაპისეულ სახლკარს ვინ ანდობს? თანაც, კაცმა არ იცის, ის ახალი საყვარელი ვინ ოხერია...

— სხვა გზა არა გვაქვს. დედას უნდა, რომ მთელი ქვემოთა სართული ჩვენ დაგვრჩეს, დამგირავებელმა კი, მეორე სართულზე ასასვლელად, კიბე სახლს გარედან მიაშენოს. ამაზე მარტო ლონდა დაგვთანხმდა. უფრო სწორად — შეგვპირდა: ხანდახან შიდაკიბით მე მაინც ვისარგებლებ, ჩემი სტუმრები კი ნამდვილად არ შეგაწუხებენო...

— კარგი, რაც არის, არის, ლონდას დედაც ვატირე! რამდენს იძლევა? — სასწრაფოდ საქმეზე გადავიდა თემო.

— თანხის ამბავი ჯერ ბოლომდე არ გადაგვიწყვეტია. დედამ შენთან ამაზე მოსალაპარაკებლადაც გამომგზავნა.

— ორი ათასს ფეხი არ მოუცვალოთ.

— ჰო, დედაც ეგრე ფიქრობს.

— მე ახლა რამდენი მომიტანე?

— ორმოცდაათი...

— დამპალმა მამაჩემმა არაფერი მოგცათ?

— ჩვენ რა უნდა მოგვცეს?! იმ უბედურს თავისი გასჭირვებია...

— როდის აქეთაა, მამაშენის სიბრალულით გული გისკდება?

— რაც დედა ჩავარდა...

— რა იყო?.. პროფესორები ხომ არ დაახვია?

— რომელი პროფესორები?.. იცი, რა დღეშია? ამას წინათ ვიყავი... სამ-სამი ბავშვით ერთ ვიწრო სარდაფშია გამომწყვდეული. მაგათი ფანჯრიდან მხოლოდ გამვლელ-გამომვლელის მტვრიანი ფეხსაცმელები მოჩანს...

— თავი შეგაცოდა, ხომ? მე მაგის...

— მამა სახლში საერთოდ არ დამხვედრია... რაიონებში დადის, თურმე, ლექციების წასაკითხად. ცოლი დამხვდა... იცი, რა ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი ჰყოლია?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს... მამაჩემის იმედი არც არასოდეს მქონია... უბრალოდ, ვიფიქრე — რომ გაიგებს, ციხეში მოვხვდი, იქნებ, მაშინ გაახსენდეს თავისი მოვალეობა-მეთქი...

— თემო, დამიჯერე, შენი თვალით რომ გენახა, როგორ ცხოვრობს, იქით მიეხმარებოდი... დღეს აბა, პროფესორი და განათლებული ადამიანი ვიღას რაში სჭირდება?..

— კარგი, შევეშვათ მაგ ახვარს... დედას უთხარი, ეს ფული მთლიანად „აბშიაკისთვის“ მჭირდება და ბინას როგორც კი დააგირავებს, სასწრაფოდ კიდევ მომაშველოს რამე...

— რა თქვი, რისთვის მჭირდებაო? — ვერ გაუგო დეამ.

— აბა, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?.. ხომ გითხარი, ციხეს თავისი კანონები აქვს-მეთქი... აქ რომ მართლა მშვიდად იყო, არაფერში უნდა ჩაიჭრა, გაიგე?

— ბევრი ვერაფერი... — მხრები ბავშვივით აიჩეჩა დეამ. — მაგრამ ხომ გითხარი, ფულს კიდევ მოგიტან-მეთქი... ისე, შენი ფერი არ მომწონს, თანაც, ძალიან გამხდარხარ... თემო, გეხვეწები, არ დამიმალო, ისევ ხომ არ...

— ხომ გითხარი, ყველაფერი რიგზეა-მეთქი! — თემომ დეას დაჟინებულ მზერას ვეღარ გაუძლო და გვერდზე გაიხედა. — ციხე სანატორიუმი ხომ არ არის, ფერხორცი მომემატოს...

თემოს, ბოლო სიტყვა ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უცბად კარი გაიღო და ოთახში საშუალო ასაკის წარმოსადეგი მამაკაცი შემოვიდა. მის გამოჩენაზე უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა, თვით ფანჯარასთან მდგომმა ბადრაგებმაც შეწყვიტეს ხორხოცი. მამაკაცმა ოთახს ერთი თვალი მოავლო და ის იყო, უკან გასვლას აპირებდა, რომ უცბად დეა დაინახა და პირდაპირ მისკენ წამოვიდა. დეას გულმა რეჩხი უყო. თემო მამაკაცისგან ზურგით იჯდა და, ამიტომაც, მისი შემოსვლა მანამდე არ გაუგია, სანამ ეს უკანასკნელი თავზე არ წამოადგა და ორივე ხელი მხრებზე მეგობრულად არ მოუტყაპუნა:

— უმცროს ძმას ჩემი სალამი.

ამ ხმის გაგონებაზე, თემო უცბად შებრუნდა და ის იყო, ფეხზე უნდა წამომხტარიყო, მაგრამ მამაკაცმა არ დაანება:

— იჯექი, იჯექი... სტუმარს მიხედე... ისე, მშვენიერი საცოლე გყოლია...

— დეა ჩემი დაა... — დაიწყო თემომ, მაგრამ მამაკაცმა გააწყვეტინა:

— კარგია, კარგი... მაშინ გამოდის, რომ უმშვენიერესი და გყოლია, ჩემო თემო...

— დეა, — სასწრაფოდ მოუბრუნდა თემო დას, — გაიცანი, ეს...

— გიორგი გიორგობიანი, — თემოს სიტყვის დამთავრება ისევ არ აცალა უცნობმა და დეას თავი ღიმილით დაუკრა.

დაბნეულმა დეამ ჯერ თემოს გადახედა, შემდეგ ფეხზე ოდნავ წამოიწია და უცნობს ხელი ისე გაუწოდა:

— ძალიან სასიამოვნოა... დეა...

— დედაშენმა რატომ აღარ გინახულა? — ისევ თემოს მიუბრუნდა მამაკაცი, — თუმცა, დეასთვის ცოტა ხანს კიდევ არ უშვია ხელი.

— ლოგინად ჩავარდნილა... — ჩაიბურღღუნა თემომ.

— რას მეუბნები?.. მერე, იქნებ, გამახსენო... თბილისში ბევრ კარგ ექიმს პირადად ვიცნობ და სასწრაფოდ ვუშველოთ რამე... — ამის შემდეგ მამაკაცმა თემოს ხელი მხარზე ერთხელ კიდევ მოუთათუნა, დეას კი თავი ისევ ისე ღიმილით დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

მამაკაცის გასვლა და ოთახში დარჩენილთა ახმაურება ერთი იყო... თემომაც მაშინვე შვებით ამოისუნთქა.

— ვინ იყო? — ჰკითხა დეამ. — რა ყველას გულები გაგიხეთქათ...

— კანონიერი ქურდია... გიგოლა... — კბილებში უცნაურად გამოსცრა თემომ.

— გიგოლა თუ გიორგი?.. მე ხომ ასე გამეცნო...

— ჰო, ნამდვილი სახელი გიორგი ჰქვია... გიგოლა „კლიჩკაა“... ძალიან მაგარი ვინმეა... მთელი ციხე ხელში უჭირავს... ისე, მე მგონი, ცუდი თვალით არ უნდა მიყურებდეს... იმიტომ, რომ ჯერ არაფერში ჩავჭრილვარ...

— რომ ჩაიჭრა, რას გიზამს? — გულუბრყვილოდ იკითხა დეამ, მაგრამ თემოს მისთვის აღარაფერი უპასუხია...

დეა შინ საკმაოდ დაღლილი დაბრუნდა და როგორც კი ლოგინში წამომჯდარი დედა დაინახა, მაშინვე შეიცხადა:

— ეს რა გიქნია?! ექიმმა ხომ მკაცრად გაგაფრთხილა — სულ უნდა იწვეო?

— ექიმებს რომ დავუჯერო, მალე ფეხზეც წამოვდგები... — არ შეეპუა შვილს ქალბატონი ელენე.

— წამოდგები, აბა რას იზამ?

— მეტი არაა ჩემი მტერი, მე ფეხზე ვეღარ წამოვდგე... რა ქენი? ნახე ჩემი ბიჭი?

— ვნახე, აბა, რას ვიზამდი?

— მაგას მოუკვდეს დედა! რას შვრება? როგორ არის?

— როგორ და მშვენივრად.

— სიმართლე მითხარი, ძალიან ხომ არ გამხდარა?

— სულაც არა. მართლა... მართლა... ისე კარგად გამოიყურება, კიდეც გავეხუმრე, ციხეში ხარ თუ სანატორიუმშიმეთქი... — ისევ იცრუა დეამ. — მარტო შენი დარდი აქვს... რატომ გარეთ არა ვარ, რომ ექიმები დავახვიო და სასწრაფოდ ფეხზე წამოვაყენოო...

— მაგას შემოევლოს დედა! ოღონდ, ეგ მყავდეს კარგად და ჩემი თავი ჯანდაბას! ფული შეგატანინეს?

— კი. როგორც დამარიგე, ზუსტად ისე მოვიქეცი და ფულიც მთლიანად შევუტანე და საჭმელიც...

— სხვა?.. რა გითხრა?.. კიდევ ხომ არაფერი მჭირდებაო?

— არაფერი. ის კი არადა, აქეთ დამტუქსა: ან ამდენი ფული რად მინდოდა და ან ამდენი საჭმელიო... მართლა შიმშილით კი არ მკლავენო...

— შინაური საჭმელი მაინც სულ სხვაა... ციხის ბალანდას კი არ ჭაგს... არ უთხარი, ფულს კიდევ მოგიტანო?

— ვუთხარი, მაგრამ ძალიან იუარა: დედას მოახმარე და ფეხზე მალე წამოაყენეო. სახლის ამბავზეც ველაპარაკე. ლონდას ვარიანტი, დიდად მაინცდამაინც, არ მოსწონებია, მაგრამ თუ სხვა გზა არ არის, მიაგირავეთ, ოღონდ, ორი ათასს ფეხი არ მოუცვალოთო...

— არც მოვუცვლი! — ირგვლივ ამაყად მიმოიხედა ქალბატონმა ელენემ. — ამისთანა სახლ-კარში ცხოვრებას ეხუმრები?! — ლონდა სულ მუხლებს უნდა გვიკოცნიდეს... მართლა, წეღან მოქაქანდა და რაღაც მოსაწვევი დააგდო მაგიდაზე...

— მოსაწვევი?

— ჰო. თავის საყვარელზე მითხრა: კაკო ამ საღამოს გრანდიოზულ დაბადების დღეს მიხდის და დეაც დაპატიჟებულიაო... ფულიც დაგიტოვა. ტაქსის „მოახტეს“ და 8 საათზე სანაპიროზე, რესტორან „პიკის ქალში“ გაჩნდესო...

— ა-უ-უ, — შეიცხადა დეამ, — სულ არ დამავიწყდა მაგის დაბადების დღე რომ იყო?.. კი, მაგრამ ტაქსის ფული კიდევ გასაგებია და დაბადების დღეზე მისვლას მოსაწვევი რაღაში სჭირდება?

— ეგ მეც ვკითხე და ასე მითხრა, კაკომ რესტორანი უნდა დაახურინოს და მოსაწვევის გარეშე არ შემოუშვებენო... რას იზამ, შვილო, წახვალ?..

— დილით — ციხე, საღამოს — რესტორანი!.. ისე, მაგარი „სკუპი“ კი გამომივა, — სევდიანად გაეღიმა დეას. — თან, შენ ისევ მარტო როგორ დაგტოვო?

— რატომ მარტო? მეზობლის ქალები აგერ არ არიან? რაც შენ წასული იყავი, გვერდიდან წუთითაც კი არ მომცილებიან... წადი, შვილო, თვალი გაახილე, თორემ, მარტო ლექციებზე სიარული და ჩემი მოვლა გაგაგიჟებს, იცოდე...

— მართალი გითხრა, ახლა ქუჩაში ხელახლა გასვლას ყველაფერი მირჩევნია, — ამოიოხრა დეამ, — მაგრამ ლონდას ამბავი არ იცი? არ მკადრულობ და იმიტომ არ მოხვედიო, მისაყვედურებს...

— ჰოდა, შენც ადექი და წადი, — შეაგულიანა დეა ელენემ, — ცოტა გულს მაინც გადააყოლებ...

— ჯანდაბას, წავალ... — როგორც იქნა, დეამაც მიიღო გადაწყვეტილება და ტანსაცმლის გამოსაცვლელად, საძინებელში გავიდა...

ტაქსის მძღოლმა მანქანა პირდაპირ ათასფრად აელვარებული რესტორნის შესასვლელს მიაყენა:

— ეგეც შენი „პიკოვაია დამა“!

დეამ მძღოლს ფული სასწრაფოდ გადაუხადა და მანქანიდან ცოტა შემცბარი გადავიდა. „ნეტავ, ახლა აქ არ შემიყვანა და მომკლა!“ — რატომღაც, გაიფიქრა შემდეგ და რესტორნის კარი უხალისოდ შეაღო. ხმაურზე, კარისკენ ზურგით მდგარი მეტრდოტელი ცქვიტად შემობრუნდა და ის იყო, რაღაცის სათქმელად პირი დააღო, რომ დეამ მოსაწვევიც გაუწოდა.

— მობრძანდით, — მაშინვე თავი დაუკრა მეტრდოტელმა, — ქალბატონი ლონდა დიდ დარბაზში გელოდებათ...

გაჩახჩახებულ დარბაზში შესულმა დეამ, კვასკვასა წითელ და უსაშველოდ დეკოლტირებულ, საღამოს კაბაში გამოწყობილი და საგანგებოდ შეღებილ-დავარცხნილი თავისი მდგმური უცბად ვეღარც კი იცნო. სამაგიეროდ, ლონდას არ გამოჰპარვია მისი გამოჩენა. მაშინვე მოირბინა, ხელი ჩაავლო და ერთ-ერთ მაგიდასთან მიარბენინა:

— გურამ, ეს დეაა, ავალიანი, ჩემი მეგობარი. შენ გვერდით დაჯდება! — მიმართა მან მათკენ ზურგით მჯდარ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც, ლონდას ხმის გაგონებაზე, მოიხედა და სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა:

— ძალიან სასიამოვნოა... — თავი დაუკრა მან დეას. — მე კი გურამ ოდიშელიძე გახლავართ...

ახალგაზრდებმა ერთმანეთს ხელი მეგობრულად გაუწოდეს. თუმცა, გურამის ხელის შეხება და დეას შეხტომა ერთი იყო.

— რაო?.. დენმა ხომ არ დაგარტყა? — ატკარცალდა ლონდა და წამოჭარხლებულ და დაბნეულ დეას მხარი გაჰკრა. — იცოდე, ეს ძალიან საშიში კაცია! მარტო დენს კი არ იტყმევინება, სხვა რამესაც „ათიანში“ ურტყამს!

— ლონდა! — სასწრაფოდ თვალები დაუბრიალა გურამმა ენად გაკრეფილ ქალს. — ისევ დაიწყე შენებური?

— ბიჭო, ჩემს დაბადების დღეზე მაინც მაცალე რა, ლაპარაკი! ანდა, ისეთი რა ვთქვი, რომ ასე აფეთქდი? — ისევ აკაკანდა ლონდა.

— მეტი რაღა უნდა გეთქვა?! — მაინც არ შეეპუა გურამი.

— კარგი, ჰო, დასხედით ახლა და მიხედეთ საქმეს! — ირგვლივ საქმიანად მიმოიხედა ლონდამ. — ისე, მგონი, მართლა კარგი ვქენი, რომ ცალ-ცალკე მაგიდები გავაშლევინე... ვერ ვიტან, ყველა რომ ერთ, ურიის მკვდარივით გაწელილ მაგიდას უზის... შენ რას იტყვი, დეიკო? — მიუბრუნდა ის შემდეგ დეას.

— მე-ე-ე? — დაიბნა დეა. — პირადად მე, აქ ყველაფერი მომწონს...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — გაიხარა ლონდამ. — კაი რესტორანი, მაგარი პურმარილი და კიდევ უფრო მაგარი კაციც! — სხვა რაღა გინდა?!

— მე... მე არაფერი... — საბოლოოდ დაიბნა დეა.

— წადი, რა, ძმურად, სხვა სტუმრებსაც მიხედე! — უცბად მკლავზე უხეშად მოჰქაჩა ლონდას გურამმა. — ჩვენ აქ უშენ-

ოდაც არ დავიკარგებით.

— წავედი. ოღონდ, წინასწარვე შეეგუეთ, რომ თქვენს მაგიდასთან კიდევ ორი კაცი უნდა დავსვა... იმიტომ, რომ...

— ოღონდ შეგვეშვი და თუ გინდა, მთელი დივიზია დასვი! — სიტყვის დამთავრება აღარ აცალა გურამმა.

მიუხედავად გურამის პროტესტისა, ლონდა კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უცბად, დარბაზში შემოსული თავისი საყვარელი დაინახა და სასწრაფოდ მისკენ გაქანდა.

დეა და გურამი ლონდას წასვლის შემდეგაც კარგა ხანს ისევ ფეხზე იდგნენ, ბოლოს ისევ გურამი გამოერკვა, დეასთვის სკამი გამოსწია და თან მოუბოდიშა:

— ამ გადარეულმა ისე დამაბნია, რომ სკამის შემოთავაზებაც კი დამავიწყდა...

— არა უშავს, მთელი საღამო მაინც უნდა ვიჯდე... — დააშვიდა გურამი დეამ, სკამზე მაშინვე ჩამოჯდა და ოდნავ შვებითაც ამოისუნთქა.

გურამი დეას პირდაპირ დაჯდა, თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა და უცბად, რატომღაც „შენობით“ ლაპარაკზეც გადავიდა:

— მართალი მითხარი, ამ ბოზანდარასთან რა საერთო გაქვს?

— ვისთან? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა დეას და თან, ხმაც კინაღამ ჩაუწყდა:

— ლონდაზე გეუბნები! ჯერ, მგონი, მეტი საერთო ნაცნობი არ უნდა გვყავდეს... — მშვიდად დაუზუსტა კითხვა გურამმა.

— ლონდაზე?.. ლონდა ჩემს სახლში ცხოვრობს... ჩვენი მდგმურია... მაგრამ არ მესმის, ასე რატომ...

— კიდევ კარგი! — სიტყვის დამთავრება აღარ აცალა გურამმა. — თორემ, მართლა გამიკვირდა, ამისთანა კარგ გოგოს ლონდასნაირ ქარაფშუტასთან რა ესაქმება-მეთქი... საერთოდ, რას აკეთებ, სწავლობ თუ მუშაობ?

— უნივერსიტეტში ვსწავლობ, ჟურნალისტიკაზე, მეხუთე კურსზე ვარ... — საკუთარი სწავლა-განათლების შესახებ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა დეამ.

— საინტერესო პროფესია აგირჩევია. თუმცა, დღევანდელ საქართველოში აზრი არც მაგას აქვს: წერე და იკითხე! ყველას ყველაფერი მაინც ფეხებზე ჰკიდია! — ხელი ჩაიქნია გურამმა.

— რასაც თქვენ აკეთებთ, იმას თუ აქვს აზრი? — უცბად წამოენთო დეა.

— შემიძლია ახლავე დაგამშვიდო: პირადად მე, საერთოდ არაფერს ვაკეთებ — არც ვსწავლობ და არც ვმუშაობ... — მშვიდად მიუგო გურამმა.

— მართლა?.. რატომ? — გულუბრყვილოდ იკითხა დეამ, შემდეგ თავისი კითხვისა თავადვე შერცხვა და დაბნეულმა, ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს, ვიღაცას ეძებსო...

დარბაზი უკვე სტუმრებით იყო სავსე. ლონდა და მისი საყვარელი კაკო, მათ კარშივე ხვდებოდნენ და მაგიდებთან ეპატიჟებოდნენ. მალე მხოლოდ გურამის და დეას მაგიდასთან დარჩა ორად ორი თავისუფალი ადგილი...

— აქ მე და კაკო დავსხდებით! — უცბად მოქაქანდა მაგიდასთან ლონდა. — ვინც არ უნდა მოვიდეს, არავინ დასვათ! — დააგდო შემდეგ სიტყვა და ისევ თავისი საყვარლისკენ გაიჭრა.

— აუ, რა მშვენიერ კომპანიაში მოგიწევს, ჩემო დეა, ყოფნა?! — ცინიკურად გაეღიმა გურამს. — წარსულში ათასჯერ გადაგდებულ-გადმოგდებული, დღეს უკვე ყოფილი ბიზნესმენი — ანუ მე; ქურდებისა და მამაძაღლების ხელის დამცლელი ვიგინდარა — ანუ კაკო და მისი „ბეჭდიანი“ ბოზი — ანუ ლონდა!

— ნეტავ, ასე, მაინც რამ გაგაბოროტათ? — გურამის ცინიზმს ვეღარაფრით გაუძლო დეამ.

— ცხოვრებამ, ჩემო დეიკო, ცხოვრებამ და კიდევ — საკუთარმა თავმა...

— ყოველი ჩვენგანი საკუთარ თავს, პირველ რიგში, თავადვე ქმნის... — ფრიადოსანი მოწაფესავით ჩაარაკრაკა დეამ.

— აუ, რა ბრძნული შეგონებაა! ყოჩაღ! — გურამმაც მოწაფესავით შეაქო დეა. — ნეტავ, ეს ყველაფერი რომელ სახელმძღვანელოში ამოიკითხე?

— არც ერთში! ცხოვრებამ მასწავლა!

— რას მეუბნები?! განა ჯერ რა იცხოვრე... რამდენი წლისა ხარ?

— მე... მე ოცდაერთის... ისე, არც თქვენ უნდა იყოთ ოთხმოცის... თუმცა, ყველასა და ყველაფერზე დაბოღმილი ბებერივით კი იკბინებით! — უცბად ფეხზე წამოხტა გაცოფებული დეა.

— რას შვრები? სად მიდიხარ? მე და შენ ხომ ქეიფს ახლა ვიწყებთ? — სასწრაფოდ აჰყვა გურამი.

— მე შენთან ქეიფს კი არა, საერთოდ, არასდროს არაფერს დავიწყებ! — სიბრაზისგან, თავადაც რომ ვერ მიხვდა, შენობით ლაპარაკზე ისე გადავიდა დეაც. — და საერთოდაც, აქედან ახლავე მივდივარ!

— ვაშა! მივაღწიე! — უცბად, კინაღამ ტაში შემოჰკრა გურამმა.

— რას? — დაიბნა დეა.

— როგორც კი დაგინახე, მაშინვე ვიფიქრე: საოცარი გაბრაზება ეცოდინება, ამიტომ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, წონასწორობიდან უნდა გამოვიყვანო-მეთქი, — და ხომ გამოგიყვანე!

— მერე?.. მერე ამით რა მოიგე? — გაოგნდა დეა.

— კარგად გაგიცანი... მეტიც, გაგიცანი კი არა, უკვე თითქმის შემიყვარდი კიდეც! — კვლავ არ ცხრებოდა გურამი.

დეა მის ბოლო სიტყვებზე უხერხულად შეიშმუშნა და თვალები დახარა:

— ისე, ძალიან ორიგინალური გაცნობა კი გცოდნია...

— ახლა სიყვარულს აღარ იკითხავ?! — სიტყვა „სიყვარულს“ ხაზი საგანგებოდ გაუსვა გურამმა. — წამო, რა, მართლა წავიდეთ აქედან...

— საინტერესოა, ერთად მაინც, სად უნდა წავიდეთ? — ახლა დეამ გაურია ხმაში ცინიზმი.

— რა ვიცი... თუ გინდა, უბრალოდ, სახლამდე მიგაცილებ... არ მითხრა ახლა, ეს ბალაგანი მართლა მომწონსო, თორემ მეც მართლა გავგიჟდები...

— გაგიჟდი, რა... აქამდე ხომ მარტო მე მაგიჟებდი...

— ვაღიარებ. ნამდვილად ეგრე იყო.

— ლონდას რაღას ერჩოდი? რა დაგიშავა?

— ლონდამ არაფერი... ერთი თავის თავის უბედური გოგოა... იცი, რომ მე მაგის შვილის ნათლია ვარ?..

— შვილის? — გაუკვირდა დეას. — ლონდას შვილიც ჰყავს?

— რა? შენთვის არ უთქვამს?

— არა.

— მაშინ არ ჩამიშვა, რომ გითხარი, კარგი?

— კარგი.

— წავედით?

— წავედით.

ის იყო, გურამი და დეა წასასვლელად მოემზადნენ, რომ ლონდამ ისევ მათ მაგიდასთან მიირბინა და დეას მკლავში ხელი წაავლო:

— წამო, რა, კაკო გამომყვანინე!

— გამოგაყვანინო?.. — გაუკვირდა დეას. — საიდან?

— კუპეში ჩავჯდა თავის ახვარ ძმაკაცებთან და კაი ხანია, გარეთ აღარ გამოუხედავს... მარტო რომ შევიდე, შემჭამს. შენი კი ისე ერიდება, რომ ხმასაც არ ამოიღებს...

— უხერხული არ არის?.. — მაინც უკან დაიხია დეამ.

— წამო, რა, გეხვეწები! — ბავშვივით ყელი გამოუწია ლონდამ. — ნუ გეშინია, ეს ვაჟბატონი უშენოდ არსად წავა, — ანიშნა შემდეგ გურამზე.

— ჰა, ეხლა... ნუ გაუბერე! — ისევ შეუტია გურამმა ლონდას, მაგრამ ამ უკანასკნელს მისი სიტყვები, მგონი, საერთოდ არ გაუგონია, დეას ხელი ისე წაავლო და გააქანა.

გაჩახჩახებული დარბაზიდან სანახევროდ ჩაბნელებულ კუპეში შესულმა დეამ თავიდან საერთოდ ვერაფერი დაინახა. შემდეგ, სიბნელეს თვალი ნელ-ნელა შეაჩვია და სუფრასთან მჯდარი ოთხი მამაკაცი დაინახა. მათგან ერთი კაკო იყო. დეას და ლონდას დანახვაზე, ის მაშინვე ფეხზე წამოხტა და ლონდას უყვირა:

— ხომ გაგაფრთხილე, აქ არ შემოხვიდე-მეთქი?! მაცალე, რა, საქმე მაქვს!

— კარგი რა, კაკო! სულ საქმე და საქმე! დღეს მაინც მოიცალე ჩემთვის! ბოლოს და ბოლოს, იუბილარი ვარ თუ ვინა ვარ?! — სასწრაფოდ აკაკანდა ლონდაც და თან დეასაც ხელი წაჰკრა: მომეშველეო, მაგრამ დეამ ხმა მაინც არ ამოიღო.

— კარგი, წადით ახლა ორივე და მეც მალე გამოვალ... — ხმას ოდნავ დაუწია კაკომ. მაგრამ ლონდა ადგილიდან არ დაძრულა.

— წადი-მეთქი, გეუბნები! — ისევ ყვირილზე გადავიდა კაკო.

— მოიცა, კაკო, ბეჭი ნუ ამოიგდე! — გაისმა უცბად კაკოს გვერდით მჯდარი მამაკაცის ხმა. ეს ხმა დეას ძალიან ეცნო, ამიტომ მამაკაცს მაშინვე გულმოდგინედ დააშტერდა და კინაღამ მუხლებიც მოეკვეთა: მის წინ იმ დილით ციხეში ნანახი, კანონიერი ქურდი გიგოლა იჯდა...

გაგრძელება იქნება

ჰოლივუდის ყველაზე კოლორიტული ვარსკვლავი

სელმა ჰაიეკი 1968 წლის 9 თებერვალს მექსიკის ქალაქ კოატცოკოალკოსში დაიბადა. მამამისის ძარღვებში არაბული სისხლი ჩქეფდა, დედა კი, ესპანელი გახლდათ. სელმას მშობლები თავგამოდებული კათოლიკეები იყვნენ და გოგონაც ლუიზიანის კათოლიკურ სკოლაში გააგზავნეს, სადაც დამოუკიდებელი ხასიათის სელმას მონაზვნებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ხშირად კონფლიქტი მოსდიოდა. მან ამ სკოლაში მხოლოდ ორი წელი გაძლო და შემდეგ კვლავ მექსიკაში დაბრუნდა. ლუიზიანაში მიღებული ცოდნის წყალობით, გოგონამ სულ იოლად დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ კოლეჯში ვერ მოხვდა. ესპანურ პატრიარქალურ ოჯახში აღზრდილ დედამისს — დაიანა ჰაიეკს უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული თავისუფალი ატმოსფერო, ცოტა არ იყოს, აფრთხობდა, ამიტომ გადაწყვიტა, რომ თავისი გოგონა ჰიუსტონში, დეიდასთან გაეგზავნა, სადაც სელმამ წელიწად-ნახევარი დაყო.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე სელმამ მეხიკოს ერთ-ერთ კოლეჯში ჩაბარა. თუმცა განათლება მაინც არ მიუღია... ოჯახის პროტესტის მიუხედავად, გოგონამ მსახიობობა გადაწყვიტა. მან კოლეჯი მიატოვა და პატარა თეატრებში

„ფრიდა“

მოღვაწეობას მიჰყო ხელი. გოგონას ბედმა გაუღიმა — სულ მალე ნიჭიერი დებიუტანტი ტელევიზიის თანამშრომლებმა შენიშნეს. თავდაპირველად, იგი რამდენიმე სარეკლამო რგოლში გადაიღეს, შემდეგ კი ტელესერიალ — Nuevo Amanecer-ში მონაწილეობა შესთავაზეს. ამას სერიალი „ტერეზა“ მოჰყვა, რომელმაც სელმას მექსიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობის სახელი მოუტანა; თუმცა ეს ყველაფერი ის არ იყო, რაც გოგონას სურდა. მას საკუთარი გეგმები ჰქონდა, სადაც ტელევიზია სულაც არ შედიოდა.

1991 წელს სელმა ჰაიეკი ლოს-ანჯელესში გადაბარგდა. ამერიკაში კარიერის შექმნას სელმამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი: მეტყველების გაკვეთილებს კერძოდ იღებდა, სამსახიობო ხელოვნების კურსებიც დაამთავრა. მას ერთი მიზანი ჰქონდა — დიდ ეკრანზე მოხვედრა. ოთხწლიანი თავდაუზოგავი შრომის შემდეგ, ამის შანსიც მიეცა. მანამდე ჰაიეკმა სატელევიზიო ფილმებში რამდენიმე პატარა როლი შეასრულა, მაგრამ მის კარიერაში გარდატეხა ესპანურენოვან ტოკშოუში მონაწილეობის შემდეგ მოხდა. სწორედ ამ გადაცემაში იხილა იგი ახალგაზრდა რეჟისორმა — რობერტ როდრიგესმა, რომელიც იმხანად თავისი ახალი ფილმისათვის მსახიობებს არჩევდა. მის მიერ გადაღებული ნახევრად სამოყვარულო სურათი — „მუსიკოსი“, ძალზედ მოეწონათ პროდიუსერებს და როდრიგესს ამ ფილმის გაგრძელების გადაღება შესთავაზეს. ეს საკმაოდ სერიოზული წინადადება გახლდათ, რადგან ახალბედა რეჟისორს საკმაოდ დიდი დაფინანსება და ცნობილ მსახიობებთან მუშაობა ელოდა. როდრიგესმა „სასოწარკვეთილის“ მთავარ როლზე სელმა ჰაიეკი მიიწვია და არც არაფერი წაუგია, რადგან სურათმა დიდი წარმატება სწორედ სელმასა და მისი პარტნიორის — ანტონიო ბანდერასის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოიპოვა. ეს, ახალბედა მსახიობისთვის უდიდესი გამარჯვება გახლდათ და აქედან


„ფრიდა“

მოყოლებული, მას უამრავ პროექტში მონაწილეობას სთავაზობდნენ. ფაქტობრივად, კარიერის დასაწყისშივე ჰაიეკს მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ როლები საკუთარი სურვილისამებრ შეერჩია.

ტელევიზიაში მას მუდმივი როლი ჰქონდა სერიალ – „სინდბადში“; გარდა ამისა, მონაწილეობდა უამრავ სხვა სერიალშიც. რეჟისორ პიტერ მედაკის „ნოტრ-დამელ კუზიანში“ მან მშვენიერი ესმერალდას როლი შეასრულა. შემდეგ ჰაიეკი კვლავ მექსიკაში დაბრუნდა, რათა მონაწილეობა მიეღო ორ პროექტში. ეს გახლდათ ისტორიული მინისერიალი El Vuelo del Aguila და მხატვრული ფილმი „ზნედაცემული სიყვარული“, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატის – ნაგიბ მაფუზის 1998 წელს დაწერილი ნაწარმოების მიხედვით განხორციელდა. ფილმმა ჰაიეკს ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის „ერალდოს“ ჯილდო და „არიელის“ ნომინაცია მოუტანა. კრიტიკამაც დადებითად შეაფასა მისი ნამუშევარი და პრესაშიც უამრავი სახოტბო რეცენზია დაიბეჭდა. ფილმის მიერ მოტანილმა შემოსავალმა კი, მექსიკის ყველა რეკორდი მოხსნა.

ჰაიეკის შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად „ფრიდას“ მიიჩნევენ. ფილმი ბიოგრაფიული ხასიათისაა და მასში აღწერილია მექსიკელი მხატვარი ქალის, ფრიდა კალოს ფრიად უჩვეულო ცხოვრება და შემოქმედება. სურათის გადაღების იდეა კარგა ხნით ადრე გაჩნდა და როგორც ამბობენ, ჰოლივუდის არაერთი ვარსკვლავი, მათ შორის მადონაც, ფრიად დაინტერესებული გახლდათ ამ პროექტში მონაწილეობით. მაშინ ჰაიეკის კანდიდატურა ამ როლზე არ დაამტკიცეს, რადგან მიიჩნიეს, რომ იგი ძალიან ახალგაზრდა იყო. იმასაც ამბობენ, თითქოს იმხანად სელმამ განაცხადა, რომ მოიცდიდა, ვიდრე ფრიდა კალოს სახის შესაქმნელად შესაფერის ასაკს არ მიაღწევდა. რაღაც სასწაულის წყალობით, იმ ეტაპზე პროექტის განხორციელება მართლაც შეჩერდა, საბოლოოდ კი, როლი ჰაიეკს ერგო.


„სადღაც ველურ დასავლეთში“

მიუხედავად იმისა, რომ სელმას ყოველთვის კომედიური ჟანრის მსახიობად მიიჩნევდნენ, უაღრესად დრამატული ბიოგრაფიის მქონე ამ არაჩვეულებრივი ქალის სახის შექმნის სურვილი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მსახიობს უკან არაფერზე დაუხევია. ფილმის სათანადოდ დაფინანსების პრობლემის მოგვარება მან თავად იკისრა. ჰოლივუდის ერთ-ერთი ძლევამოსილი კინოკომპანიის – „მირამაქსის“ პროდიუსერები ფრიად მომჭირნედ აბანდებდნენ ფულს ამ პროექტში, მაგრამ ჰაიეკი თავისი გმირის მსგავსად, არავის და არაფერს ეპუებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სტუდიამ 12 მილიონი თითქმის დებიუტანტ, ახალბედა რეჟისორს – ჯული ტეიმორს ანდო. მისი კანდიდატურაც სწორედ სელმას აქტიური მხარდაჭერის შედეგად დაამტკიცეს. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჰაიეკის არჩევანმა ზედმიწევნით გაამართლა და თანაც როგორ: დღეისათვის ფილმის დანახარჯი უკვე ორმაგად ამოიღეს; ვენეციის კინოფესტივალზე, რომელიც სწორედ ამ სურათის ჩვენებით გაიხსნა, კრიტიკოსების აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა; „ფრიდამ“ მის შემქმნელებს „ოსკარის“ ექვსი ნომინაცია (მათ შორის – ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინაციაც) მოუტანა.

ჰოლივუდის წარმატებული და საკმაოდ მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავის შესაძლებლობებისა ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რადგან ვერავის წარმოედგინა, რომ იგი შეძლებდა ასე ღრმად ჩასწვდომოდა გენიალური მხატვარი ქალის სულის ტრაგედიას. ფრიდა კალო ხომ საოცარი, არაორდინარული ადამიანი გახლდათ – გენიოსი, ხეიბარი, ლესბოსელი, დიდი მხატვრის – დიეგო რივერას მეუღლე... მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, ჰაიეკმა არა მარტო მხატვრის საინტერესო ბიოგრაფიული ფაქტების დემონსტრირება მოახერხა, არამედ მსახიობი ჩასწვდა მის ტრაგიკულ, შეუპოვარ სულს და საოცრად მეტყველი სახე შექმნა.

დღესდღეობით, სელმა ჰაიეკს ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ მსახიობად მიიჩნევენ, რომელიც მაყურებელსა და სპეციალისტებს შორის, საკმაოდ დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს.

■

ს

უმეტეს, რომ შარშან ოქტომბერში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, მის მომდევნო 7-წლიან საპრეზიდენტო მმართველობას, ერაყელ ამომრჩეველთა 100%-მა დაუჭირა მხარი...

მაგრამ ჰუსეინი ოდენ სახელმწიფო მოღვაწე როდია. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში, სამხედრო მოწოდებით, დიდად არ გამოირჩეოდა, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ამ სფეროშიც „მიაღწია წარმატებებს“: გაიარა ბაღდადის სამხედრო აკადემიის სასწავლო კურსი, გახდა ჯერ გენერალ-ლეიტენანტი, შემდეგ კი, ფელდმარშლის წოდებასაც „მიაღწია“. მაგრამ მხედარმთავარი ომის გარეშე ვერ გამოიჩენს თავს!

ზუსტად იმ წელს, როცა ჰუსეინი ხელისუფლების სათავეში მოექცა, მეზობელ ირანში აიათოლა ჰომეინის თავკაცობით განხორციელებულმა ისლამურმა რევოლუციამ გაიმარჯვა. ჰუსეინს შეეშინდა, რომ ირანელ ფუნდამენტალისტთა იდეები ერაყელ შიიტებს ააფორიაქებდა (თუმცა ძალაუფლება ერაყში სუნიტების ხელთ არის, მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ შიიტები შეადგენენ). გარდა ამისა, მეზობლებს გადაუჭრელი სასაზღვრო დავები ჰქონდათ. 1980 წლის სექტემბერში, ირან-ერაყის ომი დაიწყო, უაზრო სისხლის ღვრა 1988 წელს, არაფრით დასრულდა. ორივე მხარის ჯამურმა მსხვერპლმა თითქმის მილიონი ადამიანი შეადგინა...

ორი წელიც არ გასულა, რომ სადამს კვლავ დენთის სუნი მოენატრა. ამჯერად მისი მზერა ქუვეითისკენ იყო მიმართული. ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში, გენერალმა ყასემმა, ნავთობით მდიდარი ეს პატარა ქვეყანა, ერაყის ოდინდელ ნაწილად გამოაცხადა. მაშინ ის ბრიტანულმა ჯარმა დაიცვა აგრესორისგან და საქმე შეტაკებამდე არ მისულა. აი, სადამმა კი მოახერხა ქარიშხლის გამოწვევა. და თუმცა მაშინ, ამერიკელებმა მას გაკვეთილი ჩაუტარეს, თვით ერაყში ბევრი, თითქმის გამარჯვებულად მიიჩნევს და ამერიკელების მიერ დარქმეულ „ქარიშხალს უდაბნოში“ სრულიად სხვაგვარად – „ყველა ბრძოლის დედად“ მოიხსენიებენ... ალბათ ამიტომაც, ამერიკელთა წლევანდელი თავდასხმის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჰუსეინი ამაყად აცხადებდა: „ჩვენ მზად ვართ საომრად. ერაყი ავღანეთი როდია. ამით იმას არ ვამბობ, რომ შეერთებულ შტატებზე ძლიერები ვართ. მას ჰყავს უძლიერესი-ფლოტი და დიდი სიშორის რაკეტებიც აქვს. მაგრამ ჩვენ გვაქვს ალაჰისა და ჩვენი ერის რწმენა“.

ერაყელი მმართველი ყოველთვის ხელმძღვანელობდა პრინციპით – „ცხოვრება – ბრძოლაა“ და ებრძოდა – როგორც გარე, ისევე შინაურ მტრებს. ამ ბრძოლისას ის შეთქმულებს ხშირად, საკუთარ ოჯახშიც პოულობდა. ამიტომ ერაყელი ლიდერის სიახლოვეს მყოფი ვერც ერთი ადამიანი ვერ გრძნობს თავს აბსოლუტურად უსაფრთხოდ. ამის საუკეთესო მაგალითია სადამის ორი ძმის ბედი, რომელიც კორუფციის ბრალდებით, მაღალ სახელმწიფო პოსტებს ჩამოაცილეს. მესამე ძმას მიესაჯა „გადასახლება“... ჟენევაში.

თუ დასავლეთის მასმედიას დაეჯერება, პრეზიდენტის ოჯახში განსაკუთრებული კოლორიტულობით გამოირჩევა მისი უფროსი ვაჟიშვილი – უდეი. ამბობენ, რომ ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში ის მონაწილეობდა მამის კაბინეტის წევრების – მინისტრების დასჯაში. 1988 წელს კი, ცემით ამოხადა სული სადამის ერთერთ მსახურს. როგორც ერაყის ოლიმპიური ფედერაციის თავკაცი, უდეი ჰუსეინი სპორტს კურირებს, მაგრამ ამას საკმაოდ ეგზოტიკურად აკეთებს: მაგალითად, სუსტი თამაშისთვის ათასგვარი წამებით სჯის ხოლმე ფეხბურთელებს. 1995 წლამდე, უდეის მამის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, მაგრამ მას აშკარად ზედმეტი მოუვიდა: სადამის ნახევარძმის დაჭრის შემდეგ, მამა განარისხა და მემკვიდრის ადგილი თავის უმცროს ძმას – კუსაის დაუთმო, რომელიც ამჟამად, სპეცსამსახურებს, შინაგანი უშიშროების ძალებსა და რესპუბლიკური გვარდიის ელიტურ ნაწილებს კურირებს...

რევოლუციური წარსული სულაც არ უშლის ხელს პრეზიდენტს, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვაში. რამდენიმე წლის წინ, სადამ ჰუსეინი პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა იმ ნუსხაში მოხვდა, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს ამერიკული ჟურნალი „ფორბსი“. მაშინ ერაყის პრეზიდენტი, უმდიდრეს მეფეთა, დედოფალთა და დიქტატორთა სიის მე-5 ადგილზე აღმოჩნდა. ჰუსეინის ქონება 5 მლრდ დოლარს შეადგენდა. იქვე აღნიშნული იყო, რომ ეს კაპიტალი, ნავთობის კონტრაბანდის შედეგად იყო დაგროვილი. ამასთანავე, ჟურნალი დასძენდა, რომ მის გამდიდრებას სწორედ ომმა შეუწყო ხელი: გაეროს სანქციებმა, რომელიც ზღუდავდა ერაყული ნავთობის ექსპორტს, ხელი შეუწყო დიქტატორს იმაში, რომ კონტრაბანდული გზით, გაზრდილი ფასებით გაეყიდა „შავი ოქრო“...

სხვადასხვა ქვეყნის ანალიტიკოსები ჯერ კიდევ ომამდე აღნიშნავდნენ, რომ ერაყში წინააღმდეგობის გაწევის სულისკვეთება საკმაოდ მაღალ დონეზეა. და თუმცა მსოფლიოში არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ამერიკელები მაინც მიიყვანენ საქმეს ბოლომდე – ჰუსეინის რეჟიმს დაამხობენ, – თავად დიქტატორი საკმაოდ მედგრად გამოიყურება და თითქოს არც უფრთხის მისი მოსპობის სურვილით შეპყრობილი ბუშის მუქარებს. საომარი მოქმედებების დაწყების წინა დღეებში, ის ჩვეული სიმშვიდით აცხადებდა: „როგორც კი თავს ბალიშზე დავდებ და თვალს მოვხუჭავ, უმალ ვიძინებ. ბევრი მოღვაწისგან განსხვავებით, არ მჭირდება დასაძინებელი აბები. სრულებით არ მაწუხებს უძილობა...“ ■

Mercedes-ის ოთი ახალი შედევრი

კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერი“ მალე შეუდგება უმძლავრესი „მერსედესის“ – CL 65 AMG-ის წარმოებას. ავტომობილი, რომელზეც კორპორაცია, სახელგანთქმულ სატიუნინგო ფირმასთან – AMG-სთან ერთად მუშაობს, 12-ცილინდრიანი ძრავათი იქნება აღჭურვილი. მისი სამუშაო მოცულობა 6 ლ-ა, სიმძლავრე – 612 ცხ.ძ-ს აღწევს. მის საფუძვლად, კონსტრუქტორებმა გამოიყენეს ცნობილი, 5,5 ლ-იანი აგრეგატი – Mercedes SL 600. ეს სიახლე ფაქტობრივად, გამოწვევაა კორპორაციის მთავარი კონკურენტების – „ფერარისა“ და „პორშესი“. ამ უკანასკნელის ახალი მოდელი – სპორტული ავტომობილი Carrera GT-ც ასევე 612 ცხ.ძ-იანი ძრავათია აღჭურვილი. რაც შეეხება „ფერარის“ მწვერვალს – მოდელს 575 M, მისი მაჩვენებელი რამდენადმე უფრო მოკრძალებულია – 515 ცხ.ძ.

CL 65 AMG, 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით აღჭურვება. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ს აღწევს (მას ელექტრონულ შემზღუდავსაც დაუყენებენ); 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,5 წმ-ში განავითარებს. შედარებისთვის აღვნიშნავთ: „ფერარის“ საამისოდ, წამის სამი მეათედით ნაკლები სჭირდება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 325 კმ/სთ-ს შეადგენს (ის ელექტრონული შემზღუდავით აღჭურვილი არ არის).

CL 65 AMG-ის ფასი ჯერჯერობით გამოცხადებული არ არის, მაგრამ ექსპერტთა პროგნოზით, ის დაახლოებით 200.000 ევრო ეღირება, რაც ცოტათი აღემატება „ფერარის“ ფასს (188.000).

კორპორაციის კიდევ ერთი ახალი შედევრია კაბრიოლეტი Mercedes-Benz CLK, რომელმაც დღევანდელი CLK უნდა შეცვალოს. საყოველთაო აზრით, ეს მანქანა ნამდვილი ბესტსელერია: სხვადასხვა ქვეყანაში ის უკვე 110000-იანი ტირაჟითაა გავრცელებული. მასთან შედარებით, ახალი კაბრიოლეტი, რომლის პრემიერა ჟენევის ავტოსალონზე შედგა, 71 მმ-ით დაგრძელდა, მისი საბორბლე ბაზა კი, 25 მმ-ით გაიზარდა. მას უფრო ვრცელი სალონი აქვს, საბარგული 40 ლ-ით გაიზარდა და 390 ლ-ს აღწევს. ახალი CLK-ის სახურავი ავტომატურად იკეცება; ის დისტანციური მართვის პულტითაცაა აღჭურვილი.

ავტობაზარზე ახალი კაბრიოლეტი გაზაფხულზევე გამოჩნდება. თავდაპირველად, ის მხოლოდ ბენზინის ძრავებით იქნება აღჭურვილი. CLK 500-ის მოდიფიკაციას 8-ცილინდრიანი, 306 ცხ.ძ-იანი აგრეგატი ექნება (100 კმ/სთ სიჩქარემდე – 6,2 წმ). საინტერესოა, რომ ის წინამორბედზე 5%-ით ნაკლებ ბენზინს დაწვავს. კაბრიოლეტი აღიჭურვება აგრეთვე 6-ცილინდრიანი აგრეგატით: 218 ცხ.ძ-იანი CLK 320-ის გარდა, მანქანა გამოვა 2,6 ლ-იანი, 170 ცხ.ძ-იანი ძრავათი. ■

Chrysler: გერმანელ-ამერიკული სინთეზი

ქალაქ ოსნაბრიუკში Karmann-ის ქარხანაში დაიწყო 2-ადგილიანი სპორტული ავტომობილის – Chrysler Crossfire-ს გამოშვება. სულ რაღაც 2 წლის წინ, ეს მანქანა წარმოდგენილი იყო, როგორც ექსპერიმენტული მოდელი. ჩვეულებრივ, სერიულ ნიმუშამდე კონცეპტის მიყვანა დაახლოებით 3 წელს გრძელდება ხოლმე. „დაიმლერ კრაისლერის“ კონსტრუქტორებმა ეს ვადა შეამცირეს. ამის მთავარი მიზეზი, ის გაცხოველებული ინტერესია, რომელსაც მოდელისადმი საავტომობილო სამყაროში და კერძოდ, პოტენციური მყიდველების წრეში იჩენენ.

ავტომობილი ერთი ტიპის ძრავათია აღჭურვილი – ეს არის 6-ცილინდრიანი, V ტიპის, 3,2 ლ-იანი აგრეგატი, რომლის სიმძლავრე 224 ცხ.ძ-ს შეადგენს. Crossfire-ს 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა ან 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი ექნება. ყველა ეს აგრეგატი „მერსედესისაა“. ამრიგად, ეს ავტომობილი ამერიკელ და გერმანელ ავტოინჟინერთა ერთობლივი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

კორპორაციის გეგმის თანახმად, Karmann წლეულსვე დაამზადებს 11000 Crossfire-ს. პირველი ეგზემპლარები გასაყიდად ამერიკაში გაიგზავნება. გერმანელი დამკვეთები ამ მანქანას სექტემბერში მიიღებენ. 2004 წლისთვის, წარმოების მოცულობა საპროექტო სიმძლავრეს – 20000-ს მიაღწევს. ■

Ford მინივენის გამოშვებას იწყებს

წლევანდელი წლის დამლევისთვის, კომპანია კომპაქტური ვენის Ford Focus C-Max-ის წარმოებას დაიწყებს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ „ფორდს“ რამდენადმე დააგვიანდა მისი გამოშვება: ბაზრის ამ სეგმენტში უკვე მყარად დამკვიდრდა: Opel Zafira, Renault Scenic, ცოტა ხნის წინ კი, მათ შეუერთდა Volkswagen Touran. ამავე დროს, შეყოვნებამ „ფორდს“ გარკვეული კოზირებიც მისცა ხელში: კომპანიის კონსტრუქტორებს საშუალება მიეცათ, კონკურენტების მიერ დაშვებული შეცდომები თუ ხარვეზები გაითვალისწინონ. მაგალითად, უკვე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული მოდელის შემუშავებისას, მთავარი აქცენტი გადატანილი იყო კომფორტულობაზე. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ კომპანიის მესვეურებმა უარყვეს 7-ადგილიანი ვარიანტი, რომელსაც სხვა მწარმოებლები უშვებენ. ამრიგად C-Max მხოლოდ 5-ადგილიანი იქნება, რაც უკანა სავარძლის მეტი კომბინაციის მიღების საშუალებას იძლევა. მაგალითად, სავარძლის შუა ნაწილი დაიკეცება, ორი დარჩენილი კი, დიაგონალურად განთავსდება. ნებისმიერი მანიპულაციის მიუხედავად, საბარგო დანაყოფი არ დაპატარავდება.

სერიული წარმოების საწყის ეტაპზე, Focus C-Max სამნაირი ძრავათი იქნება აღჭურვილი, აქედან 2 – დიზელისაა, ერთი – ბენზინის. საინტერესოა, რომ დიზელის აგრეგატები, ფრანგული კომპანია PSA-ს მონაწილეობით მუშავდებოდა. პირველი, 1,6 ლ-იანია (110 ცხ.ძ.), მეორე – 2 ლ-იანი (135 ცხ.ძ.). 2-ლიტრიანი ძრავას შემთხვევაში, მანქანა 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი. მინივენის საბაზო ვერსიისთვის გათვალისწინებულია 1,8 ლ მოცულობის, 120 ცხ.ძ-იანი ბენზინის ძრავა. ■

რიდის გაჩნდემიან ქართულ შოუმიზნესში კონკიემი?

უახლოეს მომავალში, მსუბუქი მუსიკის მოყვარულთ სიურპრიზი ელით. ნატო დუმბაძისა და დათო ოქიტაშვილის თაოსნობით, შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მხარდაჭერითაც იგეგმება ძალზედ საინტერესო პროექტი – „ახალი სახე". ის ახალგაზრდა და ჩრდილში მყოფი მომღერლების წინ წამოწევას ისახავს მიზნად. ორგანიზატორების აზრით, პროექტში, შოუბიზნესში პოპულარობის მისაღწევად საჭირო ყველა ატრიბუტია გათვალისწინებული, მათ შორის: ხარისხიანი ფონოგრამების დამზადება, მომღერალთა რეპერტუარის გაუმჯობესება, მეტყველების, ეტიკეტის, ქორეოგრაფიისა და ვოკალის გაკვეთილების ჩატარება. დიზაინერთა ჯგუფი მომღერლების ჩაცმულობასა და სტილზე იზრუნებს. როგორც ერთ-ერთმა ორგანიზატორმა აღნიშნა, პროექტს საფუძვლად დაედო ყველასათვის საყვარელი ზღაპრის პერსონაჟის – კონკიას, მზეთუნახავად გარდასახვის იდეა....

პროექტის პირველად განხორციელებაში, იდეის ავტორებს ტელეკომპანია „პირველი სტერეო", რადიოსტუდიები – „ფორტუნა", „ფორტუნა პლუსი", „რადიო სანეტი" და თბილისის მერიის კულტურის სამსახური დაეხმარებიან. დაგეგმილია ყოველდღიური გადაღება, რომელიც ახალგაზრდა მომღერლების გარდაქმნის პროცესს დააფიქსირებს. „პირველი სტერეოს" ოპერატორი მთელი დღის მანძილზე იმოგზაურებს გადაცემის მონაწილეებთან ერთად, დაესწრება მათ გაკვეთილებს, გაჰყვება სტუმრად. გადაცემა ეთერში, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღე გავა. რაც შეეხება თავად მომღერლებს – პროექტში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია, მაგრამ ჯერჯერობით მათგან პროექტში მხოლოდ ოთხი ჩაებმება. სავარაუდოდ „შესანიშნავ ოთხეულში", ბუკა მანაგაძე, იაკო ჩანტლაძე, „ბოგლი-მოგლი" და „სეიშენი" მოხვდებიან. თუმცა, ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ შესაძლოა, პროექტის დაწყებამდე, ოთხეულის შემადგენლობა კიდევ შეიცვალოს. პროექტი დამტკიცებული არ არის, ვინაიდან მერიის კულტურის სამსახურს დაფინანსების საკითხი ჯერ არ მოუგვარებია. სავარაუდოდ, ის აპრილის ბოლოს აიღებს სტარტს და ერთ თვეს გაგრძელდება – თუ, რა თქმა უნდა, მის განსახორციელებლად საჭირო თანხები გამოიყოფა. ■

თიკა ჯამმუტიას სიყვარულით დადუმემული თანემი სალონ D.K.–ში

როგორც „გზის" წინა ნომერში გაცნობეთ, „D.J. ბუკლესა" და სალონ D.K.-ის მორიგი სტუმარი თიკა ჯამბურია იყო, რომელთან შესახვედრადაც იმდენი თაყვანისმცემელი მოვიდა, რომ სალონში დასადგომი ადგილიც ჭირდა და „D.J. ბუკლეს" სკამების ჩამატება მოუხდა. მომღერალს გულშემატკივრებად, მისი პროდიუსერი ნატო დუმბაძე და მეგობრები – ლიზი და ნინი მოჰყვნენ.

სანამ თიკა თაყვანისმცემლებს წარუდგებოდა, შეკრებილთ შესთავაზეს „აზიის ხმების" ფესტივალზე თიკას მიერ „ჯეირანის" შესრულების ამსახველი ვიდეოჩანაწერი. შემდეგ მომღერალი, ტაშის თანხლებით კიბით ამოვიდა და მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა. თაყვანისმცემლები მას ყვავილებით შეეგებნენ.

ნორჩ მომღერალს უამრავი კითხვა დაუსვეს. თიკამ გატაცებით ილაპარაკა თავის პატარა ძაღლზე, რომელიც საბუთების მიხედვით, ფაბიან ჯამბურიად ყოფილა „მონათლული"... მომღერალმა თავისი უახლოესი გეგმები გაგვაცნო – კერძოდ ის, რომ სულ ცოტა ხანში, გაემგზავრება მოსკოვში, სადაც დუეტი უნდა ჩაწეროს ცნობილ რუს მომღერალთან, ვლადიმირ პრესნიაკოვთან. სიმღერის არანჟირება უკვე მზად არის, პრესნიაკოვის ხმაც ჩაწერილი ყოფილა და ახლა თიკას ჯერი დადგა.

მომღერლის თანატოლი, ორი გოგონა თავის კერპს თვალებგაბრწყინებული უყურებდა და ხმას ვერ იღებდა. მშობლებმა გაგვიმხილეს, რომ მათი შვილები აღფრთოვანებულები არიან თიკა ჯამბურიათი, ხშირად ურეკავდნენ მას, დაბადების დღესაც ულოცავდნენ...

შეხვედრის ბოლოს, უკვე დამკვიდრებული წესისამებრ, მომღერალს ყველაზე აქტიური თაყვანისმცემელი უნდა აერჩია, მაგრამ თიკას ეს ძალიან გაუჭირდა, ამიტომ გამარჯვებულად სამი გოგონა დაასახელა და სამივეს, ფუმფულა სათამაშოები გადასცა. მომღერალმა არც სხვა თაყვანისმცემლებს დასწყვიტა გული: თითოეულ მათგანს საკუთარი ავტოგრაფიანი დისკი უსახსოვრა.

როგორც „გზის" წინა ნომერში შეგეპირდით, „D.J. ბუკლესა" და სალონ D.K.-ის მომდევნო სტუმარი, მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი იქნება. ■

„მწვანე ოთახის“ კლიპების „წვიმა“

პოპულარულმა ჯგუფმა – „მწვანე ოთახმა“ სულ ახლახან, ორი ახალი კლიპი გადაიღო. ერთი, ჯგუფის პირველი ალბომის – „ლურჯი ზღვა“– სიმღერაზეა გადაღებული; შეგახსენებთ – მისი ახალი ვარიანტი გოგოლა კალანდაძესთან ერთადაა ჩაწერილი; მეორე კლიპი გადაიღეს სიმღერაზე – „ყვითელი მდინარე“.

ჯგუფის სოლისტმა აჩიკო გულედანმა გვაცნობა, რომ სულ მალე, „მწვანე ოთახი“ აპირებს გადაიღოს კიდევ ორი კლიპი – სიმღერებზე: „მწვანე ფერი“ და Love story. რეჟისორად ალბათ ბასა ჯანიკაშვილი მოგვევლინება.

ჯგუფი ამზადებს აგრეთვე მეორე ალბომს, სახელწოდებით Shut down, რომელშიც 11 სიმღერა შედის, ხოლო სავარაუდოდ მაისისთვის, დაგეგმილი აქვს სოლო კონცერტი, თუმცა, სად ჩატარდება, ჯერ თავად ჯგუფის წევრებმაც არ იციან, რადგან როგორც აჩიკო გულედანმა გვითხრა, ეს ფინანსურ საკითხზეა დამოკიდებული. ■

ჯგუფი 5 lines ზათხულში სამ ნაწილად გაიყოფა

გოგონათა ჯგუფს 5 lines დიდი საფესტივალო გეგმები აქვს: მაისში, მისი ოთხი წევრი ბულგარეთში გაემგზავრება, მეხუთე – სტელა რობაქიძე ამ დროს, დედა უნდა გახდეს. ბულგარეთის კონკურსის შემდეგ, ჯგუფის ორი წევრი თბილისში დაბრუნება, ხოლო ორი – ნათია დუმბაძე და ნათია წასიძე გააგრძელებენ საფესტივალო ტურნეს: ისინი ყველასათვის ცნობილ ერთ-ერთ საერთაშორისო ფესტივალში მიიღებენ მონაწილეობას. ■

ჯგუფი „ინტრო“ მარტოობას გაურბის

როგორც „გზის“ ერთ-ერთ ნომერში გაცნობეთ, ჯგუფმა „ინტრომ“ და ქეთა თოფურიამ ახალი სიმღერა ჩაწერეს, რომელზეც ახლა კლიპს იღებენ. ჯგუფის წევრებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ და სულ ახლახან, დათო ხუჯაძესთან ერთად, ახალი სიმღერა – „არ დამტოვო მარტო“ – ჩაწერეს. მუსიკისა და ტექსტის ავტორები, თავად შემსრულებლები არიან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდოდ ორ თვეში, ჯგუფის მეორე ალბომი გამოვა, რომლის სახელწოდებაც ჯერჯერობით უცნობია, რადგან ალბომში შესატან სიმღერებზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა.

ჯგუფის წევრებმა ისიც გაგვიმხილეს, რომ უნდათ, საზაფხულო ტურნე მოაწყონ საქართველოს ყველა რეგიონში. ამ ტურნეში მათთან ერთად დათო ხუჯაძე და ქეთა თოფურია მიიღებენ მონაწილეობას. ■

„სთეისის“ მიჯები ერთად აღარ იმღერენენ

ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ კონცერტზე „სთეისის“ ბიჭებმა ოფიციალურად გამოაცხადეს ჯგუფის დაშლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დაშლის მიზეზი „სთეისის“ არ დაუკონკრეტებია, ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ დაშლის შემდეგაც, მეგობრულ ურთიერთობას შეინარჩუნებენ. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ლაშა კუკულაძემ სოლო კარიერის დაწყება გადაწყვიტა. ის უკვე იწერს დუეტს ახალგაზრდა მომღერალთან, ნინო მახარობლიძესთან ერთად, რომელიც ბოლო ხანებში, ხშირად გამოდის სხვადასხვა კონცერტზე. მუსიკის ავტორი ლილიკო ნემსაძე გახლავთ, ტექსტი პოეტ ნანა ცინცაძეს ეკუთვნის. სიმღერაზე მუშაობის დამთავრებისთანავე დაიწყება კლიპის გადაღება. ■

„პაროლე“ ქართულად აქცევდემა

16 წლის მომღერალი, ქეთი გომართელი შარშან, მოსკოვში ჩატარებული, „იუნესკოს“ ფესტივალის გამარჯვებული გახდა, რის შედეგადაც რამდენიმე ქვეყანაში მიიწვიეს. ქეთის ჯერ ვერ გადაუწყვეტია, თუ რომელ ფესტივალში მიიღოს მონაწილეობა.

ალბათ ყველამ იცის, რომ ქეთის გადაღებული აქვს მხოლოდ ერთი კლიპი – „დაგელოდები“, რომელსაც ბევრი მელომანის მოწონება ხვდა წილად. სულ ახლახან ქეთიმ მუშაობა დაიწყო წარსულში პოპულარული სიმღერის – „პაროლეს“ (შემსრულებლები – დალიდა და ალენ დელონი) და ფილმის – „შერბურული ქოლგების“ სინთეზურ-რიმეიქულ ვერსიაზე. აღნიშნული სიმღერის ქართული ვარიანტის ტექსტი ნანა ცინცაძეს ეკუთვნის, ხოლო არანჟირება – გიგა კუხიანიძეს, რომელმაც გააერთიანა ორი სიმღერა. უახლოეს მომავალში, ამ სიმღერაზე ალბათ კლიპსაც გადაიღებენ, რომლის რეჟისორიც სავარაუდოდ, ზაზა ორაშვილი იქნება. ■



საუკეთესო ცერემონიამ ომი ჰოლივუდის ფონზე ჩაიარა

23 მარტს, ჰოლივუდში „ოსკარებით“ დაჯილდოების 75-ე საიუბილეო ცერემონია გაიმართა. მართალია, შოუ, ერაყში წარმოებული ომის გამო, რამდენადმე ნაკლებად პომპეზური გახლდათ, მაგრამ მაინც მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. კინოთეატრ „კოდაკში“ 3500-მა პრეტენდენტმა და სტუმარმა მოიყარა თავი. საერთო ჯამში, ცერემონიამ საკმაოდ მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ომის საწინააღმდეგო განცხადებები არაერთხელ გაისმა სცენიდან. უამრავ სტუმარს ანტისაომარი სამკერდე ნიშნები უმშვენებდა მკერდს, მათ შორის: ალმოდოვარს, რობ მარშალს, მაიკლ დუგლასს, სიუზან სარანდონს, რიჩარდ გირს, მერილ სტრიპს, მაიკლ მურს და სხვებს.

კრის კუპერი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, ნიკოლ კიდმანი და ედრიან ბროუდი

დავიწყებთ იმით, რომ ცერემონიაზე ჩვენთვის მეტად სასიამოვნო მოვლენა მოხდა: საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმის ნომინაციაში გაიმარჯვა გერმანელი რეჟისორის, კაროლინ ლინკის სურათმა „არსად აფრიკაში“, სადაც მთავარ როლს ჩვენი თანამემამულე, ყველასათვის საყვარელი მსახიობი, მერაბ ნინიძე ასრულებს. ფილმი-მელოდრამა გადაღებულია შტეფან ცვაიგის რომანის მიხედვით და მასში აღწერილია მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მასშტაბური ისტორიული ამბავი. ჯილდოს მისაღებად სცენაზე არავინ ასულა (უნდა აღინიშნოს, რომ „ოსკარის“ გარდა, კინოფილმს უკვე მოპოვებული აქვს სპეციალური პრიზი კარლოვივარის ფესტივალზე).

„ჩიკაგომ“ ექვსი „ოსკარი“ მოიპოვა, მათ შორის — „საუკეთესო ფილმის“ ნომინაციაში. ამ სურათმა 75-ე ცერემონიაზე ყველაზე მეტი ჯილდოს მოპოვება შეძლო: „საუკეთესო მხატვრული დადგმისთვის“, „ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის“, „საუკეთესო მონტაჟისათვის“, „საუკეთესო კოსტიუმებისათვის“ და „საუკეთესო გახმოვანებისათვის“.

„საუკეთესო რეჟისურისათვის“ დაწესებული „ოსკარი“ კინორეჟისორმა რომან პოლანსკიმ მიიღო სურათისათვის — „პიანისტი“. თავად პოლანსკი ცერემონიას არ დასწრებია, რადგან „ოსკარის“ სტატუეტის აღების ნაცვლად, შესაძლო იყო, ციხეში ამოეყო თავი.

„მამაკაცის საუკეთესო როლის“ შემსრულებლად მსახიობი ედრიან ბროუდი აღიარეს, რომელმაც პოლანსკის „პიანისტში“ ებრაელი მუსიკოსის როლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ მსახიობმა სპეციალურად ამ როლისათვის ისწავლა პიანინოზე დაკვრა და 14 კგ-ც დაიკლო. ეს მისი პირველი „ოსკარია“. სცენაზე გამოსვლისას ედრიან ბროუდმ განაცხადა, რომ დიდ სიხარულთან ერთად, უდიდეს მწუხარებასაც განიცდის, რადგან ამ საპატიო ჯილდოს მიღება, ასეთ უჩვეულო და მკაცრ დროში უხდება. მან ამერიკის ხელისუფლებას ერაყის კონფლიქტის სწრაფად მოგვარებისკენ მოუწოდა.

ნიკოლ კიდმანმა, „ქალის საუკეთესო როლისთვის“ დაწესებული „ოსკარი“, მწერლის — ვირჯინია ვულფის როლისათვის მიიღო ფილმში — „საათი“. კიდმანისათვის ეს პირველი „ოსკარია“, თუმცა შეგახსენებთ, რომ შარშან იგი ნომინაციაზე იყო წარდგენილი „ბულენ-რუჟში“ შესრულებული მთავარი როლისათვის.

კეტრინ ზეტა-ჯონსმა გაიმარჯვა „ქალის მეორეხარისხოვანი როლის“ ნომინაციაში. ეს მისი პირველი „ოსკარია“, რომელიც მსახიობმა „ჩიკაგოში“ შესრულებული როლისათვის მიიღო. სულ მალე, „ოსკაროსან“ ქალბატონს მეორე შვილი შეეძინება.

„მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლისათვის“ დაწესებული „ოსკარი“ წილად ხვდა კრის კუპერს ფილმისათვის — „ადაპტაცია“, სადაც მან გენიოსი ჯონ ლაროშეს როლი შეასრულა.

ორ ნომინაციაში — „საუკეთესო სპეცეფექტები“ და „საუკეთესო ხმის რეჟისურა“ გაიმარჯვა სურათმა — „ბეჭდების მბრძანებელი: ორი სიმაგრე“.

„ორიგინალური სცენარისათვის“ დაწესებული პრიზი გადასცეს ცნობილ ესპანელ რეჟისორს, პედრო ალმოდოვარს, ფილმის სცენარისათვის — „ელაპარაკე მას“. ჯილდოს მიღებისას ალმოდოვარმა ერაყის ომის წინააღმდეგ გაილაშქრა და განაცხადა, რომ საკუთარ „ოსკარს“ უძღვნიდა მათ, ვინც ხმას იმაღლებს მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დასაცავად.

ამიერიდან რეპერი ემინემიც „ოსკაროსანია“, მან ეს საპატიო ჯილდო მიიღო ფილმ „მერვე მილში“ აყვერებული სიმღერისათვის — „Love Yourself“. მუსიკის ავტორები არიან: ემინემი, ჯეფ ბასი და ლუის რესტო, სიმღერის ტექსტი კი, ემინემს ეკუთვნის.

„ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის“ დაწესებული საპატიო „ოსკარის“ მფლობელი, პიტერ ო`ტული გახდა. ბოლო წუთებამდე არავინ იცოდა, მივიდოდა თუ არა 70 წლის მსახიობი ცერემონიაზე, რადგან როცა კინოაკადემიამ ამ საპატიო „ოსკარზე“ წარადგინა, მსახიობმა განაცხადა, რომ იგი ჯერ კიდევ ფორმაშია და შესწევს იმის უნარი, რათა უშუალოდ მის მიერ შესრულებული როლისათვის მოიპოვოს საპატიო ჯილდო. როგორც ჩანს, საბოლოოდ, მაინც გადაწყვიტა, დასწრებოდა ცერემონიას და „ოსკარი“ მიეღო.

პირველი, ვინც ცერემონიაზე ერაყში გაჩაღებული ომის წინააღმდეგ მწვავე განცხადება გააკეთა, გახლდათ მექსიკელი მსახიობი გაელ გარსია ბერნალი. ვიდრე აყვერდებოდა სიმღერა მექსიკური ფილმიდან „ფრიდა“, მან განაცხადა: „ფრიდა ცოცხალი რომ ყოფილიყო, იგი ომის მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩვენთან ერთად იქნებოდა“. კიდევ უფრო მწვავე განცხადებით გამოვიდა „საუკეთესო დოკუმენტური ფილმის“ კატეგორიაში გამარჯვებული რეჟისორი მაიკლ მური. „ჩვენ, დოკუმენტალისტებს, გვიყვარს ცხოვრებისეული სინამდვილის ფირზე აღბეჭდვა, მიუხედავად იმისა, რომ ვცხოვრობთ გამოგონილ

დროში, გამოგონილი პრეზიდენტის დროს, რომელიც ასევე იგონებს მიზეზებს ომის გასაჩაღებლად. გრცხვენოდეთ, მისტერ ბუშ!.. ყველა, თქვენი წინააღმდეგია“. აღსანიშნავია ისიც, რომ მურს სათქმელის ბოლომდე დამთავრება არ აცალეს, მისი სიტყვები მუსიკამ ჩაახშო.

საინტერესო ფაქტები „ოსკარის“ ისტორიიდან

„ოსკარის“ ისტორიიდან ჩვენთვის უამრავი რამაა ცნობილი, მაგრამ ცხადია, არსებობს ისეთი ფაქტები, რომელიც მანამდე არასოდეს გვსმენია.

მაგალითად:

● „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიის სატელევიზიო დებიუტი პირველად 1953 წელს შედგა.

● ტელემაყურებელმა „ოსკარის“ ცერემონიის ფერადი ტრანსლაცია პირველად 1966 წელს იხილა.

● პირველი ფერადი სურათი, რომელმაც „საუკეთესო ფილმის“ კატეგორიაში გაიმარჯვა, გახლდათ ეპიკური საგა – „ქარწაღებულნი“ (1939 წ.) ვივიენ ლისა და კლარკ გეიბლის მონაწილეობით.

● „კინოაკადემიკოსები“ არასოდეს წყალობდნენ სიქველეს. გამონაკლისი გახლავთ „ნათლია“ (II ნაწილი), რომელმაც 1974 წელს „საუკეთესო ფილმის“ კატეგორიაში გაიმარჯვა.

● 1978 წელს მეგი სმიტმა მიიღო „ოსკარი“ მის მიერ შესრულებული მსახიობის როლისათვის, რომელმაც ვერ მიიღო „ოსკარი“.

● ყველაზე უიღბლო ნომინანტები არიან რიჩარდ ბარტონი და პიტერ ო`ტული. ორივე მათგანი შვიდჯერ იყო წარდგენილი ნომინაციაზე და ვერც ერთხელ ვერ

პიტერ ო`ტული

გაიმარჯვა (წელს, პიტერ ო`ტულის მიერ „კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისათვის“ მიღებული „ოსკარი“ სიტუაციას არ ცვლის).

● პირველი უცხოელი მსახიობი, რომელმაც „ქალის საუკეთესო როლის შემსრულებლის“ „ოსკარი“ მოიპოვა, გახლდათ სოფი ლორენი. იგი დაჯილდოვდა 1961 წელს, ფილმისათვის – „ორი ქალი“.

● იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ცოლ-ქმარი ერთდროულად იყო ნომინირებული ქალისა და მამაკაცის საუკეთესო როლების შესრულებისათვის. ეს გახლდათ რიჩარდ ბარტონისა და ელიზაბეტ ტეილორის წყვილი, ფილმისათვის –„ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“, მაგრამ „ოსკარი“ მხოლოდ ელიზაბეტ ტეილორს მიანიჭეს.

● ყველაზე ასაკოვანი მსახიობი, რომელმაც „საუკეთესო შემსრულებლის“ ნომინაციაში გაიმარჯვა, იყო ჰენრი ფონდა, ცერემონიის დღეს იგი 76 წლის და 317 დღის გახლდათ.

● ყველაზე ასაკოვანი მსახიობი ქალი, რომელმაც ამავე კატეგორიაში აიღო „ოსკარი“, ჯესიკა ტენდია. იმხანად იგი 80 წლის და 293 დღისა გახლდათ.

● „საუკეთესო რეჟისურისათვის“ ყველაზე მეტი „ოსკარი“ ჯორჯ ფორდს აქვს მოპოვებული.

● ყველაზე საუკეთესო სცენარები კი, როგორც ჩანს, ვუდი ალენს გამოსდის. იგი 13-ჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე“ და ორგზის მოიპოვა კიდეც.

● სემი კანი ოცდაექვსგზის იყო წარდგენილი ნომინაციაზე. მის მიერ შექმნილი სიმღერები, ოთხგზის აღიარეს საუკეთესოდ.

● „ოსკარი“ ერთადერთხელ ერგო თავის სეხნიას, ვინმე ოსკარ ჰამერსტეინს, რომელიც პოეტი-მომღერალი გახლდათ.

● 1939 წელს, კინოსტუდია „უოლტ დისნეიმ მიიღო ფრიად ორიგინალური „ოსკარი“ – ერთი დიდი სტატუეტი, რომელსაც ირგვლივ გარს ერტყა 7 პატარა. ამით უკვდავყვეს პირველი ანიმაციური ფილმი, რომელმაც „საუკეთესო ფილმის“ კატეგორიაში გაიმარჯვა.

● ჯეკ პელანსმა „ოსკარის“ მიღებით გამოწვეული სიხარული ყველაზე ორიგინალურად გამოხატა – იგი ოთხჯერ აიზიდა ცალ ხელზე. მსახიობი დაჯილდოვდა „ქალაქელ კოვბოებში“ შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისათვის.

● „ოსკარების“ 67-ე ცერემონიაზე ყველაზე ორიგინალური კაბით გამოცხადდა დიზაინერი ლიზი გარდინერი – მისი სამოსი American Express-ის ბარათებისგან იყო შექმნილი.

მერაბ ნინიძე ფილმში „არსად აფრიკაში“

● არსებობის მანძილზე დაჯილდოების ცერემონია მხოლოდ სამჯერ გადაიტანეს: 1938 წელს, წყალდიდობის გამო; 1968 წელს, მარტინ ლუთერის დაკრძალვასთან დაკავშირებით; 1981 წელს, აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტზე, რონალდ რეიგანზე თავდასხმის მცდელობის გამო.

● მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლების, „სრულყოფილი“ „ოსკარებით“ დაჯილდოება 1945 წლიდან დაიწყეს. მანამდე ამ კატეგორიაში გამარჯვებულებს მხოლოდ სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს გადასცემდნენ.

● პირველი ფილმი, რომელმაც „საუკეთესო მსახიობი ქალისა და მამაკაცის“ ნომინაცია ერთდროულად მოიპოვა, გახლდათ სურათი – „ეს მოხდა ერთხელ ღამით“.

● იყო ერთი შემთხვევა, როცა მსახიობს „ოსკარის“ ხის ქანდაკებაც გადაეცა. ეს გახლდათ ედგარ ბერგენი, რომელსაც ხის „ოსკარი“ საკუთარი თოჯინა-პარტნიორისათვის – ჩარლი მაკარტნისთვის გადასცეს (1938 წ.)

● მსახიობმა ლინდა ჰანტმა „ოსკარი“ საპირისპირო სქესის ადამიანის როლის შესრულებისათვის მოიპოვა.

● რეჟისორს, უილიამ უაილერს, სულ თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ „ოსკარების ძიძა“. 30-მა მსახიობმა სწორედ მის მიერ გადაღებული ფილმების წყალობით მოიპოვა ეს ჯილდო.

● პროდიუსერი ზბიგნევ რიაბჩინსკი მხოლოდ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მულტიპლიკაციური ფილმის შექმნისათვის როდი შევიდა „ოსკარების“ ისტორიაში. დაჯილდოების შემდეგ, სცენიდან ჩასული ზბიგნევი დაცვას ეჩხუბა და ცერემონიის დარჩენილი ნაწილი საკანში გაატარა.

● „ოსკარით“ სიკვდილის შემდეგ პირველად დაჯილდოვდა სიდნეი ჰოვარდის ოჯახი (1939). იგი „ქარწაღებულნის“ სცენარის ავტორი გახლდათ და როცა ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა. ■

სტრესი სამსახურში – გულის შეტევა შინ...



რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის თანამშრომელთა ჯგუფმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ე.წ. „სამსახურებრივი სტრესები“ უშუალო, ბიოლოგიურ კავშირშია გულ-სისხლძარღვთა სისტემის მთელ რიგ დაავადებებთან. გამოკვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სტრესული სიტუაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე და ააქტიურებს „სტრესის ჰორმონების“ გამომუშავების პროცესს. ეს ჰორმონები, თავის მხრივ, იწვევს ე.წ. „მეტაბოლური სინდრომის“ განვითარებას, რაც კორონარული სისხლძარღვების დახშობის წინამორბედია და მაშასადამე, მომავალში გულის პრობლემებს გამოიწვევს.

სექსი ქორწინების გარეშე საშიშია სიცოცხლისათვის

სექსი ქორწინების გარეშე საშიშია სიცოცხლისათვის – ასეთი განცხადებით გამოვიდა ბრიტანელი კარდიოლოგი გრემ ჯექსონი. მისი გამოკვლევების მიხედვით, ცოლქმრული წყვილები ყველაზე ნაკლებად დგებიან სექსის დროს, გულის მდგომარეობის გართულების რისკის წინაშე. იმ შემთხვევათა 75%-ში, როცა ადამიანს საწოლში გული გაუჩერდა, ქორწინების გარეშე კავშირები დაფიქსირდა. განსაკუთრებით ხშირია ინფარქტი მნიშვნელოვანი ასაკობრივი სხვაობის მქონე დაუქორწინებელ პარტნიორებს შორის.

ხულიგნებს უნდა ვუმკურნალოთ

აგრესიული კომპიუტერული თამაშებითა და ვიდეოფილმებით გატაცებულ მოზარდთა თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილის აქტივობის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით გამოკვლევისას მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კვლევის ყველაზე ალერგიულ მონაწილეებს დაქვეითებული აქვთ თავის ტვინის შუბლის წილების აქტიურობა. ტვინის ეს ნაწილი ქცევისა და მოძრაობის კონტროლს ახორციელებს. დადგინდა, რომ ეს დაქვეითება დაკავშირებულია არა მხოლოდ მემკვიდრულ, ორგანულ ფაქტორებთან, არამედ იმ გარემოს თავისებურებებზე, რომელშიც ბავშვი ვითარდებოდა. ცვლილება ყველაზე მეტადაა გამოხატული იმ ბავშვებში, რომლებსაც ხშირად უხდებათ ძალადობასთან შეჯახება.

მეცნიერთა დასკვნა ასეთია: მრავალსაათიანი ვიდეოთამაშები, რომელიც ძალადობის ელემენტებს შეიცავს, არღვევს ტვინის მუშაობას უჯრედულ დონეზე, აფერხებს ნერვულ იმპულსთა გადაცემას და აქვეითებს ტვინის აქტიურობას, რის შედეგადაც ბავშვი კარგავს ვირტუალური და რეალური ძალადობის ადეკვატურად განსხვავების უნარს.

კარტოფილმა ალერგია გამოიწვია

ბელგიის უნივერსიტეტის დიეტოლოგები დაინტერესდნენ ალერგიის მიზეზებით 3,5 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებში. სპეციალისტთა აზრით, დაავადების მიზეზი გახდა კარტოფილი. ამ მოსაზრების შესამოწმებლად მედიკოსებმა 300-მდე ბავშვი გამოიკვლიეს; მათ უმრავლესობაში კარტოფილი ალერგიულ რეაქციას იწვევდა. მეცნიერებს ჯერ არ დაუდგენიათ, კარტოფილში შემავალი, საკუთრივ რომელი ალერგენი ხდება დაავადების მიზეზი. კვლევის დროს დადგინდა აგრეთვე, რომ თერმული დამუშავებაც კი არ აქვეითებს კარტოფილის ალერგიულ თვისებებს.

დაიყარეთ სახამებელი ჭრილობაზე

მინესოტის შტატის კლინიკის მეცნიერებმა რამდენიმე ათეული მოხალისე მიიწვიეს სისხლდენის შემაჩერებელი ახალი საშუალების გამოსაცდელად. ექსპერიმენტის მონაწილეებს წინამხარზე უკეთებდნენ 2 განაკვეთს (5 მმ სიგრძით და 1 მმ სიღრმით). ჯგუფის ნახევარს ადებდნენ კლასიკურ, მარილის სახვევს, მეორე ნახევარს კი, ჭრილობაზე კარტოფილის გაწმენდილ სახამებელს აყრიდნენ. ჭრილობაზე დაკვირვება წარმოებდა დროის სხვადასხვა მომენტში: მაშინვე პროცედურის შემდეგ, 10 წუთის შემდეგ, 7 და 10 დღის შემდეგ. შედეგებმა ექიმებიც კი განაცვიფრა: კარტოფილის სახამებელი მომენტალურად აჩერებდა სისხლდენას, შემდგომ კი, ხელს უშლიდა ნაწიბურის წარმოქმნას კანზე. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სახამებლის საფუძველზე დამზადებული საცხით დაინტერესდებიან ტრავმატოლოგები და კარდიოქირურგები. ■

ეგზემა

ეგზემა არის დაავადებაა, რომლის დროსაც კანი ზედმეტად მგრძნობიარე ხდება და ამის გამო „არაადეკვატურად" რეაგირებს გარე და შიდაგამღიზიანებლებზე.

ეგზემის გამომწვევი მიზეზები ბოლომდე ცნობილი არ არის. ექიმები ფიქრობენ, რომ დაავადება ვითარდება ალერგიული განწყობის ადამიანებში სტრესის ან ნერვული გადაძაბვის ფონზე. განასხვავებენ ჭეშმარიტ, სებორეულ, მიკრობულ და პროფესიონალურ ეგზემას.

ჭეშმარიტი ეგზემა უხშირესად ხელის მტევნის ზურგს და სახეს აზიანებს. შეწითლებულ ფონზე ჩნდება წვრილი ბუშტუკები, რომელიც შემდეგ სკდება და წერტილოვან ჩაღრმავებებად გარდაიქმნება. იქიდან სეროზული სითხე გამოდის. ბუშტუკების რაოდენობა თანდათანობით მცირდება, მათი ნაწილი ქერქით იფარება, ხოლო ეგზემის ადგილას აქერცვლა ვითარდება, რასაც ძლიერი ქავილი ახლავს თან. ხშირად ეგზემის ყველა სტადია ერთდროულად შეიძლება ვნახოთ ერთ უბანზე, რაც დაავადების მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

ჭეშმარიტი ეგზემა შეიძლება დაიწყოს ძლიერი ფიზიკური, ქიმიური ან მექანიკური გამღიზიანებლის ზემოქმედებით. ზოგჯერ კი იგი რაიმე შინაგანი დაავადების ან წამლების ხანგრძლივად მიღების ფონზე ვითარდება. დაავადება მწვავედ იწყება, შემდეგ კი ქრონიკულდება (გრძელდება 1,5-დან 6 თვემდე) და ხასიათდება მორიგი გამწვავებებით.

სებორეული ეგზემა სახეზე, მკერდზე, თავის თმიან ნაწილზე ან ბეჭებს შორის ვითარდება ხოლმე. კანზე ჩნდება მოყვითალო-მოვარდისფრო კვანძები, რომელიც ცხიმოვანი ქერქითაა დაფარული. მოგვიანებით ისინი ფოლაქებად გარდაიქმნება, რომელიც ერთმანეთს ერწყმის და დაზიანების დიდ კერას ქმნის.

მიკროგული ეგზემა ჩნდება წვივებზე, ხელის მტევნებზე და შემდგომში მთელ სხეულზე ვრცელდება. დაზიანების არე მრგვალია, მკვეთრად შემოსაზღვრული და დაფარულია ქერქით, რომლის მოშორებისას კარგად ჩანს სეროზული ღრუები. ეგზემის ეს ფორმა პიოკოკებისადმი მგრძნობიარე ადამიანებს უვითარდებათ.

პროფესიონალური ეგზემა ხელის მტევნებს, წინამხრებს, სახესა და კისერს აზიანებს. მისი მსხვერპლნი ხდებიან ადამიანები, რომლებიც რეგულარულად განიცდიან ქიმიური, ფიზიკური ან მექანიკური გამღიზიანებლების ზემოქმედებას. თუ ამ ფაქტორებს მოვაშორებთ ადამიანს, პროფესიონალური ეგზემა ადვილად იკურნება.

აუცილებელია ვიცოდეთ

ეგზემის პირველი ნიშნების შემჩნევისთანავე სასურველია, დაიცვათ რძისა და მცენარეული პროდუქტების დიეტა. რაციონიდან უნდა გამოირიცხოს: ცხარე, მარილიანი, შებოლილი კერძები, შოკოლადი, კვერცხი, ციტრუსი და ალკოჰოლი. უნდა შეიზღუდოს ნახშირწყლები: შაქარი, ტკბილეული, მაკარონი.

კანის დაზიანებული უბნები არ დაისველოთ წყლით. არ არის რეკომენდებული საპნისა და სარეცხი საშუალებების გამოყენება.

უარი თქვით სინთეტიკურ ტანსაცმელზე, ატარეთ ბამბის ან სელის ტანსაცმელი.

ეგზემის უბნები დაცული უნდა იყოს ბუნებრივი გამღიზიანებლებისაგან: თოვლისგან, ქარისგან, ყინვისგან და ა.შ.

რა გამოგიწერათ ექიმმა?

ეგზემის მკურნალობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: ადგილობრივი, რომლის მიზანია კანისმხრივი მოვლენების შემსუბუქება და ზოგადი, რომლის შერჩევის დროსაც ექიმი ცდილობს, გაარკვიოს დაავადების გამომწვევი მიზეზი და გაუმკლავდეს მას. ადგილობრივი ზემოქმედებისათვის გამოიყენება ბუროვის სითხე, ტყვიის წყალი, თუთიის ზეთი, კასტელანის საღებავი და სხვა.

ზოგადი მკურნალობის მიზნით კი, ინიშნება კალციუმის ქლორიდის 10%-იანი ხსნარი, ნატრიუმის თიოსულფატის 30%-იანი ხსნარი, ანტიჰისტამინური და დამამშვიდებელი პრეპარატები, აგრეთვე B1, B6 და B12 ვიტამინები.

ეგზემის სამკურნალო ბუნებრივი საშუალებები

ეგზემის მკურნალობისას ძალზედ მნიშვნელოვანია ორგანიზმის ალერგიული განწყობის მოხსნა (დესენსიბილიზაცია):

1. ჯორის ძუის ნაყენი. 1/2 ჩ/კ დანამცეცებულ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. დააყოვნეთ 1 საათი და გაწურეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ, 3-ჯერ დღეში.

2. ჭინჭრის ნახარში. 2 ს/კ მცენარეს დაასხით 1/5 ჭიქა წყალი, ადუღეთ 2 წთ, დააყოვნეთ 1 სთ და გაწურეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა, 3-ჯერ დღეში.

3. ძირტკბილას ფესვის პატარა (ლობიოს მარცვლის ხელა) ნატეხი კარგად დაღეჭეთ და გადაყლაპეთ. გაიმეორეთ 3-ჯერ დღეში.

ასევე მნიშვნელოვანია დამამშვიდებელი ბალახების მიღება:

1 ს/კ კრაზანას დაასხით 1,5 ჭიქა მდუღარე წყალი, დააყოვნეთ 30 წთ, მიიღეთ 1/4 ჭიქა, 4-ჯერ დღეში.

ქავილის მოსახსნელად იყენებენ პიტნის ნაყენს, რომელიც ანთებით პროცესსაც აცხრობს.

1 ს/კ დანამცეცებულ პიტნას დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, დადგით 30 წთ, გაწურეთ. გაიკეთეთ თბილი ნაყენის აბაზანა დაზიანებულ უბანზე. მკურნალობა უნდა გაგრძელდეს მანამ, ვიდრე ანთებითი პროცესი არ გაივლის.

ჭეშმარიტი ეგზემის სამკურნალოდ:

1 ს/კ კაკლის ხის ფოთლებს დაასხით 1/2 ჭიქა ზეითუნის ზეთი, დადგით 7 დღე, შემდეგ მოათავსეთ მდუღარე წყლის ორთქლზე 3 სთ-ის განმავლობაში, ორჯერ გაწურეთ დოლბანდში და ისევ ადუღეთ 30 წთ. თანდათანობით ჩაუმატეთ 1-2 ს/კ თაფლის სანთელი. კარგად აურიეთ ცხელი მალამო. დაზიანებულ უბნებზე შეიზილეთ ძილის წინ. მკურნალობის კურსი გრძელდება სრულ გამოჯანმრთელებამდე.

სებორეული ეგზემის დროს, აურიეთ თანაბარი რაოდენობით ორკბილას ფოთლები, გვირილას ყვავილები და სალბის ფოთლები. 4 ს/კ ნარევს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. დადგით. იკეთეთ აბაზანები დღეში 2-ჯერ გამოჯანმრთელებამდე.

■

საჭირო მინერალი

ჩვენს ორგანიზმში იგი მეტია, ვიდრე სხვა მინერალები. მასზეა დამოკიდებული ჩვენი კბილებისა და ძვლების მდგომარეობა. ეს ერთადერთი მიკროელემენტია, რომლის დღიური დოზა იზომება არა მილიგრამებში, არამედ გრამებში და ამიტომ ვერც ერთი პოლივიტამინის აბი ვერ იტევს ელემენტის ამ რაოდენობას. ეს მიკროელემენტი არის კალციუმი.

მზე, ხაჭო და ვირთევზა

უკანასკნელი რეკომენდაციების თანახმად, აქტიური ზრდის პერიოდში ორგანიზმისათვის აუცილებელია 1,2 გ კალციუმი დღე-ღამეში. 25 წლის შემდეგ, დოზა კლებულობს 0,8 გ-მდე, მაგრამ ორსულებისათვის ისევ იზრდება 1,2 გ-მდე, ხოლო მეძუძური დედებისათვის – 1,5 გ-მდე. ამდენივე კალციუმი ესაჭიროებათ 50 წელს გადაცილებულ ქალებს ოსტეოპოროზის (ძვლების გამოფიტვის) თავიდან ასაცილებლად.

საიდან მივიღოთ კალციუმი? პირველ რიგში რძიდან: 4-5 ჭიქა ხომ ზუსტად 1,2 გ-მდე კალციუმს შეიცავს. ამასთან ახალი რძე გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე გადამუშავებული (შენახვის ხანგრძლივი ვადის მქონე). მათთვის კი, ვისაც არ უყვარს ან ვერ იტანს რძეს, არსებობს რძის პროდუქტთა ფართო ასორტიმენტი: ყველი, ხაჭო, მაწონი, კეფირი... რომელიმე მათგანი ყოველდღიურად აუცილებლად უნდა შეიტანოთ რაციონში...

კალციუმის მიღება საქმის მხოლოდ სანახევროდ გაკეთებაა, რადგან მნიშვნელოვანია მისი ათვისებაც. იდეალურ შემთხვევაში ამისთვის აუცილებელია D ვიტამინის საკმარისი რაოდენობა და მზის სინათლე (რომელიც, სხვათა შორის, აძლიერებს D ვიტამინის სინთეზს). აი რატომაა, რომ ზოგიერთი სამხრეთელი ხალხები პრაქტიკულად არ ჭამენ რძის პროდუქტებს, მაგრამ მაინც არ განიცდიან კალციუმის დეფიციტს, რადგან მზეზე მუდმივი ყოფნისას, მათი ორგანიზმი ბოლო მილიგრამამდე ითვისებს საკვებიდან მიღებულ მინერალს.

ჩვენში მზე ზომიერადაა, მაგრამ არც იმდენად, რომ უარი ვთქვათ D ვიტამინის შემცველ პროდუქტებზე. ამიტომ გირჩევთ, სვათ პერიოდულად თევზის ქონი, მიირთვათ ვირთევზას ღვიძლი და საერთოდ, იკვებოთ თევზეულით.

სუპერკალციუმიანი სადილი

- თეთრი ლობიოსა და ქაშაყის სალათა არაჟნით.
- რძის წვნიანი ყვავილოვანი კომბოსტოთი.
- ნაღების ნაყინი ნუშით.

არა მხოლოდ რძით

რძის პროდუქტების მკაცრად უარმყოფელებსაც კი შეუძლიათ აიცილონ კალციუმის დეფიციტი. რეცეპტისათვის შორს წასვლა არ მოგიწევთ, საკმარისია გადახედოთ მართლმადიდებლურ სამარხვო კერძებს. რძისა და თევზის აკრძალვა კომპენსირებულია პარკოსნებით, რომელიც მდიდარია კალციუმით, მაგნიუმითა და ფოსფორით (თანაც იდეალური შეფარდებით). ამასთან, ორი უკანასკნელი ელემენტი ხელს უწყობს პირველის უკეთ ათვისებას. კალციუმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სოია და მისი პროდუქტები.

კალციუმით მდიდარია თევზის კონსერვები, ხორცის ბულიონი (განსაკუთრებით მჟავე კომპონენტების შემცველი). მჟავეს „გამოაქვს“ კალციუმი პროდუქტებიდან და ხელს უწყობს მის ათვისებას. დესერტად კი კალციუმის უკმარისობის დროს კარგია ნუში, ლეღვი.

რა დაავადებებისაგან გვიცავს კალციუმი?

ოსტეოპოროზი. ეს არის ძვლებში კალციუმის უკმარისობასთან დაკავშირებული მძიმე დაავადება, ცუდად იკურნება, სამაგიეროდ, ადვილია მისი თავიდან აცილება. პროფილაქტიკის საფუძველია კალციუმი და ფიზიკური დატვირთვა.

ჰიპერტონია. კალციუმის დეფიციტით გამოწვეული ჰიპერტონია (მაღალი წნევა) საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. თუ წნევა „თამაშობს“, სცადეთ ორი კვირის განმავლობაში კალციუმის გლუკონატის აბების მიღება (არა უმეტეს 1,5 გ-ისა დღეში). თუ უკეთესობას იგრძნობთ, გადახედეთ თქვენს მენიუს – გაზარდეთ რაციონში კალციუმის შემცველი პროდუქტები.

მსხვილი ნაწლავისა და კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო. მედიკოსთა უკანასკნელი რეკომენდაციების თანახმად, ამ დაავადებათა მაღალი რისკის მქონე ადამიანებს პროფილატიკის მიზნით უნდა დაენიშნოთ კალციუმის პრეპარატები. ამასთან, თვალყური ადევნეთ, რომ თქვენს მენიუში იყოს მაგნიუმითა და ფოსფორით მდიდარი პროდუქტები.

განსაკუთრებით ვის სჭირდება კალციუმი?

ვინც ნაკლებს მოძრაობს. წოლითი რეჟიმი რამდენიმე დღითაც კი ამ მინერალის სერიოზულ დანაკარგს იწვევს. მათ, ვისაც ცხოვრების მჯდომარე წესი აქვს, უნდა მიიღონ კალციუმის პრეპარატები.

ნერვიულებს და ავადმყოფებს. სტრესი და ინფექციური დაავადებები აქვეითებს მინერალის შეთვისებას კვების პროდუქტებიდან. მისი ნაკლებობა სასურველია, პრეპარატებით შეივსოს.

სპორტული დარბაზებისა და აბანოების მუდმივ სტუმრებს. კალციუმი ოფლთან ერთად იკარგება. ამიტომ აქტიური ვარჯიშებისა და ორთქლის აბანოში ბანაობისას, აგრეთვე სიცხეში, საჭიროა მისი კომპენსირება. ამისათვის გამოდგება კალციუმიანი მინერალური წყალი ან რძე.

დიეტებისა და ორგანიზმის „წმენდის“ ფანატიკოსებს. ბევრი დიეტა გამორიცხავს რძის პროდუქტებსა და პარკოსნებს, როგორც კალორიულ პროდუქტებს. ხოლო ორგანიზმის „წმენდის“ დროს ქვეითდება მის მიერ მინერალის შეთვისების უნარი. თუ მსგავსი პროცედურის შემდეგ იგრძნობთ კრუნჩხვებს ფეხებში ან კბილები გიელავთ, სასწრაფოდ მიატოვეთ ყოველგვარი დიეტა და გადადით კალციუმიანი პროდუქტების მიღებაზე.

გაზიანი სასმელებისა და კაკაოს მოყვარულებს. ფოსფატები, რომელიც შედის გაზიან სასმელებსა და კაკაოში, აქვეითებს კალციუმის ათვისებას.

მათ, ვისაც უძილობა აწუხებს. ჭიქა რძე, ყველის ნაჭერი ან კალციუმის აბი ძილის წინ დაგეხმარებათ დაძინებაში. ■

ჯანმრთელი ფეხები

მსუბუქად სასიარულოდ

ბოლო დროს ჟურნალ-გაზეთებში სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ტერმინი „ვარიკოზული დაავადება“ ან „ვენების ვარიკოზული გაგანიერება“. როგორ ვლინდება დაავადება და შეიძლება თუ არა მასთან ბრძოლა? ბევრს ვარიკოზი არასწორად მიაჩნია ჩვეულებრივ ესთეტიკურ პრობლემად, რომელსაც ასე თუ ისე შეიძლება შეეგუო, მაგრამ, სინამდვილეში, ვენების ვარიკოზული გაგანიერება საკმაოდ გავრცელებული და სერიოზული დაავადებაა, რომელიც პროფესიონალურ მკურნალობას მოითხოვს და თანაც უკეთესი ეფექტი ადრეულ სტადიებზე მიიღება.

დაავადება უხშირესად კანქვეშა ვენების, სისხლძარღვოვანი ვარსკვლავების გამოჩენით ვლინდება ხოლმე. საწყის ეტაპზე დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ადამიანს მხოლოდ კოსმეტიკურ უხერხულობას უქმნის.

დაავადება დროთა განმავლობაში პროგრესირებს, პათოლოგიურ პროცესში ერთვება კანქვეშა ვენების ახალი უბნები, იწყება ვენური სისხლის შეგუბება, ირღვევა მიკროცირკულაცია და ქსოვილოვანი ცვლა. ადამიანს აქვს ტკივილი, დისკომფორტის შეგრძნება, ადვილად ეღლება ფეხები სტატიკური დატვირთვისას, აქვს შეშუპებები დღის ბოლოს.

რისკის ფაქტორთა შორის წამყვანი როლი ეკუთვნის მემკვიდრეობითობას, ქალებში კი ორსულობას და მშობიარობას (განსაკუთრებით, განმეორებითს). გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს სიმსუქნეს, ჰორმონული სტატუსის დარღვევას, კონტრაცეპტული პრეპარატების მიღებას, ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვას.

ვენების გამოხატული ვარიკოზული გაფართოების დროს კარდინალური ზომების მიღების გარეშე დადებითი შედეგი არ მიიღება, ამიტომ ადამიანის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ვიზიტი ფლებოლოგთან (ვენების სპეციალისტთან).

თუ დაავადება შორს წასული არ არის, საკმარისი ხდება სკლეროზირება: დაზიანებულ უბანში უწვრილესი ნემსით შეჰყავთ პრეპარატები, რომელიც თითქოსდა აწებებს ვენას და სისხლი ჯანსაღ სისხლძარღვებში გადანაწილდება. ხოლო გართულებულ შემთხვევაში, კეთდება ვენის უბნის ამოკვეთის ოპერაცია. მისი ნუ გეშინიათ – იგი მაქსიმალურად დამზოგავი და ნაკლებტრავმულია. დაავადების ყველა ფორმის დროს ინიშნება სპეციალური კომპრესიული ტრიკოტაჟი – წინდები, გოლფები, კოლგოტები, რომელიც ინდივიდუალურად შეირჩევა თითოეული ავადმყოფისათვის.

ქალებს, რომლებსაც ცხოვრების აქტიური სტილი აქვთ, აღელვებთ შესაძლო შეზღუდვები. რას იზამთ, ის აუცილებელია: არ არის რეკომენდებული ცხელი აბაზანები, საუნა. ეს მსხვერპლი აუცილებელია იმისათვის, რომ კვლავ დაიბრუნოთ ლამაზი ფეხები, მსუბუქი სიარული, თავი დააღწიოთ კიდურების დაღლას, შეშუპებას და ტკივილს.

■

ცრემლის მაცოცხლებელი ძალა

ჩვეულებრივ, ცრემლები ნაღველთან, დარდთან ასოცირდება. მაგრამ თუ ცრემლი საკმარისი არ არის, მატულობს თვალის ანთებითი დაავადებების საშიშროება. გამონაბოლქვი გაზები, მტვერი, საწარმოო ნარჩენები აღიზიანებს რქოვანას და ხელს უწყობს დამცავი საცრემლე გარსის გამოშრობას. თვალის სიმშრალის მიზეზი ხშირად ხდება კომპიუტერთან ან ტელევიზორთან მრავალსაათიანი ჯდომა: თვალის ხანგრძლივი დაძაბვა და ელექტრომაგნიტური გამოსხივება არღვევს საცრემლე ჯირკვლების სეკრეციას. დაუნდობლად აზიანებს და აშრობს თვალის ლორწოვანს კონდიციონირებული ჰაერი, სიგარეტის ბოლი, სამრეწველო აეროზოლი.

ნუ დატოვებთ უყურადღებოდ საცრემლე აპარატის ფუნქციის დარღვევებს. „მშრალი თვალების“ სინდრომის დაძლევაში დაგეხმარებათ ოკულისტის რეკომენდაციები, მხედველობის ორგანოს დროული მოვლა.

● დაისველეთ წამწამები და თვალები გვირილის ცივ ნაყენში დასველებული ტამპონით. ნაყენის დასამზადებლად 1 ჩ/კ გამხმარ ყვავილს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, ჭურჭელს დახურეთ და დადგით 30 წთ. შემდეგ გაწურეთ. ნაყენში დაასველეთ ბამბის ტამპონი, ოდნავ გაწურეთ, დაიფინეთ დახუჭულ თვალებზე 10-15 წთ.

● კვირაში ერთხელ მაინც გაიკეთეთ თვალების აბაზანა ახალდაყენებული ჩაით – ეს მეტად ეფექტური ანტიანთებითი საშუალებაა. დაასხით ოთახის ტემპერატურის ნაყენი ფიალაზე ან პატარა ჭიქაში, მიიტანეთ თვალთან და დაახამხამეთ. თითოეულ თვალს ცალკე აბაზანა უნდა გაუკეთოთ.

● დილაობით თვალები ამოიბანეთ ცივი წყლით: ჩაყავით სახე წყალში, რამდენჯერმე დახუჭეთ და გაახილეთ თვალები, დაატრიალეთ თვალის კაკლები. ასეთი პროცედურა ასველებს მათ, აწესრიგებს საცრემლე აპარატის მუშაობას.

● კომპიუტერთან მუშაობის შემდეგ, თვალის დაძაბულობის მოსახსნელად უნდა გაკეთდეს ვარჯიშები. თავის გაუნძრევლად ატრიალეთ თვალები ჯერ საათის ისრის მიმართულებით, შემდგომ – საპირისპიროდ. მოძრაობა გაიმეორეთ 4-5-ჯერ.

■

სასიამოვნო გრძნობა ეუფლება ადამიანს, როცა ვინმეს რაიმეს აჩუქებს და გაახარებს, მაგრამ დამეთანხმებით, ახლობლებისა თუ ნაცნობებისათვის საჩუქრის შერჩევა, საკმაოდ რთული საქმეა, ნებისმიერ მათგანს ხომ საკუთარი გემოვნება და მიდრეკილებები აქვს და უპირატესობასაც რაღაც გარკვეულ ნივთებს ანიჭებს. ზოგიერთი ადამიანი საჩუქარს წინასწარ, საგულდაგულოდ არჩევს, ზოგი კი, რაც ხელში მოხვდება, იმას ყიდულობს. ფრთხილად იყავით! არასწორად შერჩეული საჩუქრით, თქვენ შესაძლოა, ვინმე გაანაწყენოთ კიდეც. ამიტომ პასუხისმგებლობით მოეკიდეთ მეორე ადამიანისადმი ყურადღების გამოვლენის ფაქტს.

როგორ შევარჩიოთ საჩუქარი

ფორმალურად თუ მთელი სულით და გულით?

ჩვეულებრივ, ნათესავებისა და მეგობრებისათვის საჩუქრის შერჩევისას, პრობლემები ნაკლებად გვექმნება: ჩვენთვის ხომ მათი გემოვნებაცა და სურვილებიც კარგადაა ცნობილი. მთავარია, განვსაზღვროთ საჩუქრის ხასიათი: თუ ამას ფორმალური ხასიათი აქვს, დიდად თავის შეწუხება არ მოგიწევთ; ამ შემთხვევაში ყვავილები, შოკოლადი და სუვენირიც გამოგადგებათ. თუ საყოფაცხოვრებო ნივთის ჩუქება გაქვთ განზრახული, აუცილებლად მოეთათბირეთ ახლობლებს, რათა ერთნაირი ჩაის სერვიზითა თუ ლოგინის თეთრეულის კომპლექტით ხელდამშვენებულის როლში არ აღმოჩნდეთ. თუ თქვენ ახლობელი ადამიანის გახარება და მისთვის გულის აჩუყება გნებავთ, კარგს იზამთ, თუ ისეთ რამეს აჩუქებთ, რაზეც იგი დიდი ხანია ოცნებობს. არის მეორე ვარიანტიც — ბევრი ფულის დახარჯვა არ მოგიხდებათ, ასეთ საჩუქარს სულის სითბო კი აუცილებლად უნდა ჩააქსოვოთ — საკუთარი ხელით გაკეთებული ნივთის მიძღვნით, თქვენს ახლობელს ძალზედ გაახარებთ (რაღა თქმა უნდა, თუკი მსგავსი რამეები ხელგეწიფებათ). იმ შემთხვევაში, თუ საჩუქრით ფურორის მოხდენა გსურთ, შეარჩიეთ რაღაც ეფექტური, თვალში მოსახვედრი ნივთი, რაღა თქმა უნდა, შესაბამის ფასად.

ეს ელემენტარულია, ვატსონ!

ნაცნობებისათვის, რომელთა გემოვნებაც ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი, საჩუქრის შერჩევა უფრო რთული საქმეა. ამიტომ შეეცადეთ, წინასწარ გაერკვეთ მათ სურვილებსა და მიდრეკილებებში (ამის შესახებ გამოჰკითხეთ საერთო ნაცნობებს). იქნებ იმ ადამიანს აქვს რაღაც კოლექცია, რომლის შევსებაში წვლილის შეტანას შეძლებთ. კარგი იქნება თუ მისი ჰობის შესაბამის ენციკლოპედიას აჩუქებთ. შესაძლოა დედუქციის მეთოდიც მოიშველიოთ და მისი ინტერესების სფერო თავადვე განსაზღვროთ. ასეთ დროს, საჩუქრის შერჩევა აზარტულ გასართობადაც კი შეიძლება გექცეთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სწორად ვერ განსაზღვრავთ იმ ადამიანის ინტერესების სფეროს, მისთვის მაინც სასიამოვნო იქნება ის ფაქტი, რომ თქვენ საჩუქრის შერჩევას ამდენი დრო და ფიქრი მოანდომეთ.

ფსიქოლოგიური ტიპაჟები

საჩუქრის მიღება რომ ყველას უყვარს, ეს უდავოა, მაგრამ როგორ დავადგინოთ, ვის რა ესიამოვნება უფრო მეტად? რაღაც გარკვეული თვისებებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგები ადამიანებს სამ ტიპად ჰყოფენ: „ვიზუალებად“, „აუდიალებად“ და „კინესთეტებად“. პირველნი, სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღებისას, უპირატესობას მხედველობით აღქმას ანიჭებენ. ლაპარაკისას ისინი ჩვეულებრივ, მოსაუბრეს პირდაპირ თვალებში უყურებენ და მხოლოდ მაშინ აცილებენ თვალს, როცა ღრმად ჩაფიქრდებიან. „ვიზუალებისათვის“ საუკეთესო საჩუქარი შეგიძლიათ სამხატვრო სალონში შეარჩიოთ: ნახატი, ნატიფი სტატუეტი, ხალხური რეწვის ნიმუში — მოკლედ, რაიმე ისეთი, რაც თვალს ახარებს. „აუდიალები“ გარემოს ძირითადად სმენის მეშვეობით აღიქვამენ. ლაპარაკისას ისინი მოსაუბრის გვერდით ჯდომას ამჯობინებ და აანალიზებენ მათ ნათქვამს. ამ დროს მათ, უფრო გვერდზე ყურება უყვართ (ვიდრე პირდაპირ). ამ ტიპის ადამიანებს ძალზედ ასიამოვნებთ, თუ მიუძღვნით კომპაქტ-დისკს, აუდიოკასეტას, ფლეიერს, მუსიკალურ ზარდახშას, მობილურ ტელეფონს ან პეიჯერს. მესამე, ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფში შედიან ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ხელის შეხებით, სუნით და გემოთი აღიქვამენ. ლაპარაკისას ისინი ყოველთვის ცდილობენ, ხელით შეეხონ მოსაუბრეს და ამ დროს, ხშირ შემთხვევაში სულაც არ უყურებენ მას. „კინესთეტებს“ თამამად შეგიძლიათ აჩუქოთ რბილი, ფუმფულა ტანსაცმელი, ორიგინალურ შანდლებში მოთავსებული არომატული სანთლები, საკონდიტრო ნაწარმი და პარფიუმერია.

■

ოპერის მუსიკალური შესავალი
არქიმედეს უცნობილესი წამოძახილი
თენგიზ აბულაძის ფილმი
დედამიწის საჰ. გარსი
„დინამო“ ყოფ. კაპიტანი
ცხოველთა სამყარო
უდარდელი, მოქეიფე კაცი
სოფელი ახმეტის რაიონში
სამყაროულ კრივის საერთაშ. ფედერაცია
უძრავი ქონების დროებითი დაქირავება
მახების ხატვის მოყვარული ესპანელი
გამარჯვების ბერძნული ქალღმერთი
ქარიფველი ძალოსანი
წარხმება სამსახურში
პოპულარული სიმღერებისგან შედგენილი ნაწარმოები
ფილმი „ლონდრე“ (ნიშრეკანის მეუღლე)
აპოლონის ადგილსამყოფელი
მუხის ნაყოფი
სატანვარჯიშე იარაღი
უმაღ. სათავადაზნაურო ტიტული ინგლისში
ცხენის „საჭე“
თურქული ვალუტა
რაჭული შაშხი
ქვის ხანის უკანასკნელი ეპოქა
ქიმიური ელემენტი
დეკორატიული ყვავილი
სარეცხი ფხვნილი
ბედისწერა
შარლ პერო ცნობილია როგორც
მიწის სათხრელი მანქანა
ბილიარდის სათამაშო ჯოხი
... კროუ-ფორდი
ცხვირის ხვრელი
გროგის კომპონენტი
მოკლე კაბა
„რუსთავი-2“-ის წამყვანი
ცხენების ჯოგი
ცოლის მამა
მუსიკალური ნაწარმოები
რიმის დედაზრი
სიმინდის ყვავილი
შეადგინა რამაზ ალანიამ



24-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა.
28-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა; 4-ა.

კვირის (31 მარტი – 6 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV



აუცილებელია, გამოიჩინოთ დიპლომატია კონკურენტებთან ურთიერთობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ყველა გეგმა ჩაგეფუშოთ. სასიამოვნო სიახლეებს კვირის შუა პერიოდისთვის შეიტყობთ, ოღონდ, ქედმაღლობას ნუ გამოიჩენთ. არ გირჩევთ, ექსპერიმენტებს სამოსთან დაკავშირებით – ჩვეული სამოსი უფრო იღბლიანი იქნება თქვენთვის.

კრეტა – 21/IV-21/V

კონტრასტული ემოციები ნებისმიერ ადამიანს დაებნევს, ამიტომ მაქსიმალურად მშვიდად შეხვდით ყველაფერს, რაც ამ კვირაში გადაგხდებათ თავს და სასაცილო მდგომარეობაშიც არ აღმოჩნდებით. სამშაბათს განსაკუთრებით მოერიდეთ ჭარბად კვებას – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას სიმაძღრე არ უხდება.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

როგორც კი საქმიანი წინადადებით მოგმართავენ, დაუყოვნებლივ დათანხმდით: საქმე სარფიანი იქნება. ოღონდ, კოლეგებთან ტრაბახს მოერიდეთ – თქვენ მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ შეიძლება არაადეკვატური რეაქცია გამოიწვიოს. კვირის ბოლოსთვის მაღაზიებს ეწვიეთ: დიდი ხნის ნანატრი ნივთების შეძენის დროა.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

საკმაოდ კარგი კვირა გელით მოლაპარაკების და მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაფორმებისთვის. აი, სასიყვარულო ამბებით გატაცება კი დროებით გადადეთ: სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ. ხუთშაბათს უფროსობასთან თავშეკავება გმართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთობის გართულება გელით.

ლომი – 23/VII-23/VIII



თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი – თუმცა, შესაძლოა, თავიდან ამას ვერც მიხვდეთ. ფინანსური პრობლემები, რომლებიც ორშაბათიდანვე შეგაწუხებთ, პარასკევისთვის საუცხოოდ გადაიჭრება. არ მოჰკიდოთ ხელი უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს – ამის დრო ჯერ არ დამდგარა.

ქალწული – 24/VIII-23/IX

თუ თქვენს ყველა უსიამოვნებაში „დამნაშავეების“ ძებნას მიჰყავით ხელი, ეი. თქვენივე პრინციპებისა და შეხედულებების გადასინჯვის დრო დაგდგომიათ. ყველაფერი იცვლება და ეს ადამიანებსაც ეხება: დაიწყეთ ახალი ცხოვრება ორშაბათიდან!

სასწორი – 24/IX-23/X

ბოლოს და ბოლოს, თქვენი გეგმების ხორცშესხმის დროც მოახლოვდა. ნუ შეგეშინდებათ გაბედული ნაბიჯების გადადგმის – ყველაფერი ხომ თქვენი ხელით გაქვთ გაკეთებული. თქვენი პოპულარობა იზრდება, საპირისპირო სქესის წარმომადგენლებიც მოგაპყრობენ ყურადღებას – ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკუთარი ძალების რწმენასა და სიმტკიცეს ასხივებთ.

დრეანკალი – 24/X-22/XI

ნუ უარყოფთ თითქოს შემთხვევით წინადადებას – მან შეიძლება დიდი წარმატება მოგიტანოთ. კვირის მეორე ნახევარში ბევრი სამუშაო გექნებათ, მაგრამ ამაში ხომ თქვენთვის არაფერია ახალი. პარასკევს ეცადეთ, დღე ისე გაატაროთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ენერგია დახარჯოთ; შაბათს კი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

უეცრად თავს დამტყდარი სიყვარული უკანა პლანზე გადასწევს სამსახურსაც და ყოველდღიურ საზრუნავსაც. ფრთხილად იყავით – შეიძლება უამრავ სიტუაციაში მსხვერპლის როლში აღმოჩნდეთ, ამიტომ შეეცადეთ, კვირის ბოლოსთვის განმარტოვდეთ და შექმნილ გარემოებათა ავ-კარგი საფუძვლიანად აწონ-დაწონოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

გული ნუ დაგწყდებათ, თუ ძველი გეგმები ჩაგეშალათ – ოთხშაბათისთვის ნათლად დაინახავთ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ ვითარდება, ხუთშაბათისთვის კი ორი საოცარი პროექტიც გამოგიჩნდებათ – და თუმცა ის საკმაოდ რეალური იქნება, საფუძვლიანი შრომა მოგიწევთ. კვირა დღეს შეიძლება ძალზედ მნიშვნელოვანი შეხვედრა გქონდეთ, რომლის საბაბი, უბრალო გაუგებრობა იქნება.

მერწყული – 21/I-19/II

მთელი კვირა იმის სურვილი გექნებათ, რომ როგორმე თავი დააღწიოთ სამუშაოსა და ყოველგვარ პასუხისმგებლობას. მხოლოდ დისციპლინა და ორგანიზებულობა გიხსნით. თუ თავს ძალას დაატანთ, თავადაც კმაყოფილი დარჩებით. ძალიან ხელსაყრელ წინადადებას მიიღებთ.

თევზები – 20/II-20/III

ეს კვირა ხელსაყრელია ფასიანი ქაღალდების შესაძენად. პაემანზე ფიქრს თავი დაანებეთ. მთავარი მაინც ის არის, რომ არავის მისცეთ თქვენი ემოციებითა და გუნება-განწყობით მანიპულირების საშუალება. არ შეეპუოთ სევდიან ფიქრებს – ამაში ძველი მეგობრები დაგეხმარებიან.

როგორი მეგობარი ხართ?

ზოგიერთი ადამიანი გაცნობის დღესვე მეგობრებს იძენს და ის, რომ მეგობარი ცხოვრებაში შეუცვლელია და მასზე დაყრდნობა უნდა შეიძლებოდეს, გვიან ახსენდება. ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომელთაც მეგობრების გარეშე ნაბიჯის გადადგმაც უჭირთ და საკუთარ შეხედულებებსაც მეგობრების აზრებზე დაყრდნობით ქმნიან. მოკლედ, მეგობრობა ყველას როდი შეუძლია...

თუ გაინტერესებთ, როგორი მეგობარი ხართ და საერთოდ, შეგიძლიათ თუ არა მეგობრობა, უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს:

1) როგორ მოიქცევით, თუ ახლო ნათესავი სადმე გაყოლას გთხოვთ, თქვენ კი უკვე შეთანხმებული ხართ მეგობრებთან შეხვედრაზე?

ა) ნათესავს ზრდილობიანად ეტყვით უარს – 2;

ბ) ეტყვით, რომ არ გცალიათ და არ გაჰყვებით – 0;

გ) ეტყვით, რომ დღეს მეგობრებს ხვდებით და მას ხვალ წაჰყვებით – 1.

2) როგორ მოიქცევით, თუ მოულოდნელად საინტერესო სამუშაოს შემოგთავაზებენ?

ა) რჩევას მეგობრებს ჰკითხავთ – 2;

ბ) კარგად მოიფიქრებთ და გადაწყვეტილებას მარტო მიიღებთ – 1;

გ) მაშინვე სიხარულით დათანხმდებით – 0.

3) არიან თუ არა ჩახედული თქვენი მეგობრები თქვენს პირად ცხოვრებაში?

ა) მეტ-ნაკლებად – 1;

ბ) თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ არაფერი იციან – 0;

გ) ყველაფერი იციან – 2.

4) როგორ მოიქცევით, თუ მეგობარი გთხოვთ, სასწრაფოდ დაეხმაროთ, თქვენ კი ამ დროს პირადი საქმე გაქვთ მოსაგვარებელი?

ა) საქმეს გადადებთ და მეგობარს მიეხმარებით – 2;

ბ) ეტყვით, რომ მაშინვე დაეხმარებით, როგორც კი საქმეს მორჩებით – 1;

გ) ეტყვით, რომ ახლა მისი დახმარება არ შეგიძლიათ – 0.

5) როგორ მოიქცევით, თუ შეატყობთ, რომ თქვენი საყვარელი ადამიანი თქვენს მეგობრებს არ მოსწონთ?

ა) კარგად დაფიქრდებით, იქნებ მეგობრები მართლები არიან – 2;

ბ) სასწრაფოდ მათი მეორე ნახევრების კრიტიკას მიჰყოფთ ხელს – 0;

გ) აზრს არ შეიცვლით, მეგობრებს კი ეტყვით, რომ ამ თემაზე საუბარი აღარ გსურთ – 1.

6) როგორ მოიქცევით, თუ თქვენი მეგობარი პაემანს მოიმიზეზებს და თავისი საოჯახო საქმეების მოგვარებას გთხოვთ?

ა) ეტყვით, რომ ერთხელ დაეხმარებით, შემდეგში კი თქვენი იმედი არ ჰქონდეს – 1;

ბ) მეგობრისთვის მზად ხართ ყველაფერი გააკეთოთ – 2;

გ) უარს ეტყვით – 0.

7) როგორ გრძნობთ თავს, როცა რაიმე წვეულებაზე მეგობართან ერთად მიდიხართ და მას საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე თქვენ?

ა) ხმამაღლა დაიწყებთ ლაპარაკს მისი ნაკლის შესახებ – 0;

გ) გაგიხარდებათ – 2;

გ) საკუთარ თავს მიხედავთ, მას კი ყურადღებას არ მიაქცევთ – 1.

8) როგორ მოიქცევით, თუ მოულოდნელად დაქოწინებას გადაწყვეტთ?

ა) ყველა მეგობარს დაურეკავთ და ჰკითხავთ, სწორად იქცევით თუ არა – 2;

ბ) გახარებული დაელოდებით ქორწილის თარიღს – 1;

გ) ეჭვშეპარული შინ ჩაიკეტებით და მეგობრებს არ დაეკონტაქტებით – 0.

დაჯამეთ ქულები

12-16 ქულა: დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას ჩვეული არ ხართ. ამაში ალბათ თქვენი მშობლები არიან დამნაშავენი, რომლებიც სრულად მართავდნენ თქვენს ცხოვრებას. ახლა კი ზრდასრული ადამიანი ხართ და რჩევების მიღება მეგობრებისგან გიწევთ. რა თქმა უნდა, ზოგი თქვენი მეგობარი გარკვეულ საკითხებში თქვენზე კომპეტენტურია: ზოგი ავტომობილებში ერკვევა კარგად, ზოგი — კულინარიაში, ზოგი — ფინანსურ საქმეებში... ასე რომ, მეგობრები ცხოვრებას გიადვილებენ და თქვენც ბოლომდე ენდობით მათ.

6-11 ქულა: სასიამოვნოა, რომ თქვენ იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებით, ვინც მყარად იცავს საკუთარ შეხედულებებს და ამავე დროს მეგობრებთანაც საუკეთესო ურთიერთობას ინარჩუნებს. ზოგჯერ მეგობრები გეხმარებიან, ზოგჯერ თქვენ ეხმარებით მათ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ დანამდვილებით იცით, რა არის მეგობრობა და ამ გრძნობას აფასებთ კიდეც. თქვენთან მეგობრობით ბევრი ამაყობს.

0-5 ქულა: რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ნამდვილი მეგობრები არ გყავთ და შეიძლება ითქვას, არც იცით, რას ნიშნავს ეს გრძნობა. შეიძლება ზომაზე მეტად ჩაკეტილი ადამიანი ხართ, რადგან რთულ სიტუაციებში არავის ენდობით. არ გჯერათ, რომ ვინმე თქვენს დახმარებას მართლა შეძლებს. გირჩევნიათ, საკუთარ თავს მიენდოთ. შეიძლება ცოტა გვიანიც არის, მაგრამ მაინც სცადეთ ნამდვილი მეგობრების პოვნა, ისინი ცხოვრებას შეგიმსუბუქებენ და თავს გაცილებით კარგად და მშვიდად იგრძნობთ.

„94 წლის მამაკაცი ეძებს სექსუალურ ჰიტლიოს, მაგრამ ქორწინებისათვის ჯერ მზად არ არის"

94 წლის ჩინელმა ამ შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა სააგენტოში. ბატონი ჟანი აცხადებს, რომ მას სურს, იპოვოს თავისი სიყვარული, ოღონდაც, „ჯერ" დარწმუნებული არ არის, მზად გახლავთ თუ არა ქორწინებისათვის. ხანში შესული დონ ჟუანის თქმით, მისთვის იდეალურ კანდიდატურას წარმოადგენს 60 წლამდე ასაკის, სიმპათიური, ფინანსურად უზრუნველყოფილი ქალბატონი, რომელიც თავის მხრივ, მზად იქნება იმისათვის, რომ „უგულებელყოს კანონი" (ჩინეთში დაუქორწინებელ წყვილებს კანონით ერთად ცხოვრება ეკრძალებათ).

სააგენტოში ბატონი ჟანის განცხადების საპასუხოდ, ჯერ-ჯერობით, არც ერთი გამოხმაურება არ მიუღიათ. ■

„წლის ძაღლის" ტიტული სიმბირულმა ლაიკამ მოიპოვა

დიდ ბრიტანეთში 2003 წლის საუკეთესო ძაღლად ციმბირული ლაიკა აღიარეს, რომელმაც საკუთარ პატრონს ფაქტობრივად სიცოცხლე შეუნარჩუნა. 23 წლის მიშელ სმარტი სასიკვდილო სენით იყო დაავადებული და ექიმების დასკვნით, მას სამი თვის სიცოცხლეღა დარჩენოდა. გოგონა ყოველთვის ოცნებოდა ძაღლზე და მშობლებმა სიკვდილის წინ, მას ციმბირული ლაიკა – რიო აჩუქეს. მოხდა სასწაული, მიშელის ორგანიზმმა სიცოცხლისათვის ბრძოლა დაიწყო და იგი სრულიად გამოჯანმრთელდა. კონკურსის მთავარი პრიზი – ათასი გირვანქა სტერლინგი მიშელ სმარტს ხვდა წილად, ხოლო მისი ძაღლი – რიო, ოქროს მედლით დაჯილდოვდა. კონკურსის ფინალურ ტურში რიოს გარდა კიდევ თერთმეტი ძაღლი მონაწილეობდა, რომლებიც წამახალისებელი პრიზებით – 250 გირვანქა სტერლინგითა და მთელი წლის სამყოფი, ძაღლის საკვების მარაგით დაჯილდოვდნენ. ■

უნიტაზის მიეი დატყვევებული გეიმანელი გოგონა მეხანძრეებმა დაიხსნეს

ნიურნბერგის მცხოვრებ 24 წლის გოგონას, რომელმაც სადილის ნარჩენები უნიტაზში ჩაასხა, ტუალეტი გაეჭედა. მან უნიტაზის გაწმენდა სპეციალური ჯაგრისით და სხვა ხელსაწყოებით სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მაშინ გოგონამ ტუალეტში ხელი ჩაყო და ჰოი საოცრებავ, უნიტაზმა ხელი შეისრუტა.

საბედნიეროდ, ახალგაზრდა ქალი თავისუფალი ხელით იქვე, ახლოს დადებულ მობილურ ტელეფონს მისწვდა და სახანძრო სამსახურში დარეკა. ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა, გოგონას ტყვეობიდან დახსნა მოკლე ხანში მოახერხეს. ■

ჯანაღელი ტუჩისტი სინდისის ქენჯნამ შეანუხა

ჩინეთიდან შინ დაბრუნებული კანადელი ტურისტი საკუთარმა მამამ საგულდაგულოდ შეჯორა, როცა მის ხელში თვალი მოჰკრა ჩინეთის დიდი კედლის ჩამონატეხ ქვას, რომელიც შვილს მოგზაურობიდან სამახსოვროდ წამოეღო. მამის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შვილზე, იგი სინდისის ქენჯნამ იმდენად შეაწუხა, რომ ქვა სათუთად შეახვია, კოლოფში მოათავსა და ფოსტით კვლავ ჩინეთში გაგზავნა. ამანათის ადრესატი აღმოჩნდა ჩინეთის დიდი კედლის იმ მონაკვეთის დამცველი ორგანო, რომელსაც მოგზაურობისას ახალგაზრდა ტურისტი სტუმრობდა. ■

პანდებს დამოუკიდებლად საცხოვრებლად ამზადებენ

პეკინის ზოოპარკის ბინადარ პანდებს საკვების დამოუკიდებლად მოპოვებას ასწავლიან. ზოოპარკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი წინაპირობაა, ცხოველების ველურ ბუნებაში დასაბრუნებლად. „სასათბურე" პირობებში პანდები მიეჩვევნენ იმას, რომ მათ საყვარელ საკვებს – ბამბუკის ფოთლებს მომვლელები პირდაპირ ხელიდან აჭმევდნენ. ამჟამად მათ ხელოვნურად რეკონსტრუირებული ბამბუკებიდან საკვების მოპოვება თავად უწდებათ. ზოოპარკის თანამშრომლებმა მათ ტერიტორიაზე მთელ სიგრძეზე დახვრეტილი ხეები დაამონტაჟეს, სადაც ბამბუკის ახალმოტეხილ ტოტებს არჭობენ. პირველი ორი დღის მანძილზე პანდებს „ხელოვნური" ბამბუკისადმი არანაირი ინტერესი არ გამოუმჟღავნებიათ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მზრუნველი მომვლელები კვლავაც მოამარაგებდნენ საკვებით. მაგრამ როცა პანდებს კუთვნილი ულუფა საგრძნობლად შეუმცირეს, გაუმაძღარმა ცხოველებმა კეთილი ინებეს და ხიდან თავადაც მოიპოვეს საკვები. ■

ფოტოკუთხეები

688/10

განსხვავებული ჟურნალი

TV-პროგრამა
24.03-30.03 2003 წ.

ქართველ მკითხავს ლიტვა პანიკაში ჰყავს

ჩემი სახლი

№12(25) ფასი 60 თ.

58

ივიკო სეხნიაშვილს 60-ს გადაცილებული ქალები იზიდავს

52

ია ფარულავა მამაკაცებს „ეძებს“

66



კონკურსი
ვინ მოიგებს ბიორგი კანდელაკის ხელთათმანს

რა შეიცვალა მერაბ სეფაშვილის ცხოვრებაში

უთანხმოება ოჯახში